სახელმძღვანელო
კატალიზატორი შენი სულიერი ზრდისათვის

ᲨᲔᲣᲯᲝᲕᲐᲠᲘ

ᲯᲝᲜ ᲑᲔᲕᲘᲠᲘ

ძვირფასო მეგობარო

გულწრფელად მიხარია, რომ შენ დაინახე მშობლიურ ენაზე ნათარგმნი სასწავლო პროგრამის „შეუპოვრის“ შესწავლის მნიშვნელობა. წიგნი „შეუპოვარი“, მოცემული სახელმძღვანელო, აუდიო და ვიდეო გაკვეთილები შთაგვაგონებენ და მოგვიწოდებენ იმისათვის, რომ აღმატებული სააქმეები ვაკეთოდ ღმერთისთვის.

მოცემული სახელმძღვანელო შედგენილია, რათა დაგეხმაროთ ჭეშმარიტების დადგენაში და ახალი გამოცხადებების მიღებაში. სახემძღვანელო შედგება თორმეტი გაკვეთილისგან, რაც თორმეტ ვიდეო გაკვეთილს შეესაბამება. უპირველეს ყოვლისა, წაიკითხეთ წიგნი „შეუპოვარი“, შემდეგ მოცემული სახელმძღვანელო, უყურეთ ვიდეო გაკვეთილებს DVD ზე ან საიტზე: www.CloudLibrary.org ყველა ეს მასალა შესაძლებელია გადმოიტვირთოს ინტერნეტიდან სრულიად უფასოდ. თქვენ შეგიძლიათ გადაიღოთ ასლები, ამონარიდები გაუგზავნოთ თქვენს ეკლესიებს ან გამოიყენოთ ბიბლიის სკოლებში. უფლება გეძლევათ გამოიყენოთ ეს მასალა, რაც დაგეხმარებათ სხვებსაც შეუქმნათ მოტივაცია იმისათვის, რომ საკუთარი თავი დააყენონ იმ სარბიელზე, რომელიც გამარჯვებით სრულდება!

მეგობარო, ამ წიგნში გადმოცემულმა გზავნილებმა სამუდამოდ შეცვალა ჩემი ცხოვრება და ღმერთისადმი მსახურება. ვლოცულობ, რომ შენი ცხოვრებაც შეიცვალოს ამ პროგრამის მეშვეობით. გამიხარდება თუ დამიკავშირდებით და გამიზიარებთ იმას, თუ რა გავლენა იქონია ამ წიგნმა თქვენზე და თქვენს მსახურებაზე. მომწერეთ: JohnBevere@ymail.com

თქვენი ძმა და მეგობარი ქრისტეში

ჯონ ბევირი
JohnBevere@ymail.com

ჯონ ბევირი ფეისბუქსა
და ტვიტერზე

teach reach rescue
Messenger International
MessengerInternational.org

სახელმძღვანელო

კატალიზატორი შენი სულიერი ზრდისათვის

შეუპოვარი

ჯონ ხევირი

Relentless workbook by John Bevere, Georgian
© 2013 Messenger International
www.Messengerinternational.org
Originally published in English as Relentless
Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere
Are available for free download at: www.CloudLibrary.org
To contact the author: JohnBevere@ymail.com

შეუპოვარი, ჯონ ბევირი, ქართულად
© 2013 Messenger International
www.Messengerinternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
სახელწოდებით „შეუპოვარი - სახელმძღვანელო“
ჯონ და ლიზა ბევირებისაგან დამატებითი
რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია
შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელ-ფოსტის მისამართია: JohnBevere@ymail.com

შინაარსი

მიმოხილვა და რჩევები

თავი 1: შეუპოვარი 1

თავი 2: ძალის წყარო 17

თავი 3: გამორჩეული 33

თავი 4: იხილე ან შედი 49

თავი 5: ვინ დგას სირთულეების მიღმა? 65

თავი 6: აღიჭურვეთ! 81

თავი 7: მადლის საჭურველში 99

თავი 8: ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი 115

თავი 9: წინ აღუდექით ეშმაკს 129

თავი 10: წინააღმდეგობის ყველაზე აღმატებული ფორმა 145

თავი 11: შეუპოვარი ლოცვა 161

თავი 12: არასოდეს დანებდე! 179

კეთილი იყოს თქვენი მონაწილეობა სასწავლო პროგრამაში „შეუპოვარი“

გვიხარია, რომ გადაწყვიტეთ შემოგვიერთდეთ ამ სწავლებაში. ძიებაში, ლოცვასა და მომზადებაში გატარებული მრავალი საათი იმიტომ დაიხარჯა, რომ თქვენ გაჩუქოთ სიღრმისეული, ინტერაქტიული და სიცოცხლის მომნიჭებელი მასალა. ეს სახელმძღვანელო თქვენს დასახმარებლად, გამოცხადებების გასამრავლებლად და ჭეშმარიტებაში გასამტკიცებლად შეიქმნა. აქ წარმოდგენილი თორმეტი თავი შეესაბამება DVD გაკვეთილებს და შეიცავს დამაფიქრებელ კითხვებსა და დამატებით შეხედულებებს ყოველდღიური განსჯისთვის.

ყოველ თავში ასევე იხილავთ:

- ადგილებს წმინდა წერილიდან, რომლებიც ცვლიან ადამიანის ცხოვრებას;
- ქრისტიანი ლიდერების ფასეულ და ბრძნულ გამონათქვამებს რუბრიკით „გზის მაჩვენებელი“;
- მასალას ჭეშმარიტების შესამეცნებლად და დასამახსოვრებლად;
- მთელი კვირის დავალებას, რათა პრაქტიკაში შეძლოთ ყოველი გაკვეთილის პრინციპების გამოყენება.

გამონახე დრო საგანგებოდ გამოყოფილი ციტატების გასაანალიზებლად.

ასევე წარმოგიდგენთ გაკვეთილის მოკლე მიმოხილვას და პირადი ჩანაწერებისთვის თავისუფალ ადგილს, რათა განიცადოთ სისავსე იმისა, რაც ღმერთმა ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით მოგიმზადათ. ვლოცულობთ, რომ არა მხოლოდ ინფორმაცია მიიღოთ, არამედ დაინახოთ, როგორ გარდაქმნის ღმერთი თქვენს ცხოვრებას.

„შეუპოვარი“ ინტერნეტში

„გახსოვდეთ თქვენი ლიდერები, რომლებიც გასწავლიდნენ ღვთის სიტყვას. იფიქრეთ მხოლოდ კარგზე, რაც მათი ცხოვრებიდან მიიღეთ და ყოველთვის რწმენის მისაბაძი მაგალითები იყავით“

- ებრაელთა 13:7 (ინგ. ვერსია NLT);

მსოფლიოში ბევრი ქრისტიანია, რომლებიც შეუპოვარი რწმენის ძლიერ მაგალითს გვაძლევენ. სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქრისტიან ლიდერებს ვთხოვეთ პასუხი გაეცათ ამ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე.

მეტი ინფორმაციის მისაღებათ შეგიძლიათ იხილოთ ჯონ ბევირი facebook-ზე ან twitter-ზე.

ასევე მოგიწოდებთ...

- გაკვეთილი დაიწყე ლოცვით და დაამთავრე ლოცვით. მოიწვიე სულიწმიდა და თხოვე გაგიცხადოს და გულში ჩაგიბეჭდოს ჭეშმარიტებები;
- შეიმუშავე გეგმა და განსაზღვრე დრო თითოეული გაკვეთილის შესასწავლად მთელი კვირის მანძილზე;
- მკაცრად დაიცავი გაკვეთილის შესასწავლად წინასწარ განსაზღვრული დრო და ადგილი, არ დანებდე;
- კითხვებზე პასუხების გაცემის დროს იყავი გულწრფელი საკუთარ თავთან და ღმერთთან. ჭეშმარიტება გაგათავისუფლებს.

შეთავაზება ჯგუფის ლიდერებს

ლიდერებო, მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის. თქვენ გვეხმარებით ღმერთის ერს მივუტანოთ ჭეშმარიტებები, რომლებიც ცვლიან ცხოვრებას. თქვენთან ერთად მსახურება დიდი პატივია ჩვენთვის.

ამ სასწავლო პროგრამიდან მაქსიმუმის მისაღებად საჭიროა თქვენი ჯგუფის წევრებს ჰქონდეთ წიგნები და სახელმძღვანელოები. ეს პირადად სიღრმისეულად შესწავლის და გააზრების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული რამ ხდება, როდესაც თავად გამოვყოფთ დროს და გულით ვეკიდებით წარმოდგენილი პროგრამის შესწავლას. სხვაგვარად შეუძლებელია. მოცემული სახელმძღვანელო გამოწვევაა ყველასთვის, რათა თითოეული მორწმუნე გაიზარდოს ღმერთთან ურთიერთობაში და პირად ცხოვრებაში ბიბლიური პრინციპების გამოყენება ისწავლოს.

როგორ ვისარგებლოთ „შეუპოვარის“ მასალით: გირჩევთ, სტუდენტებს სთხოვოთ მანამ, სანამ გაკვეთილის შესასწავლად შეიკრიბებით, წაიკითხონ წიგნის შესაბამისი თავები. გაკვეთილებს უყურეთ ან მოუსმინეთ ერთად, შემდეგ იმსჯელეთ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე. ამ ნიშნით G მოცემული კითხვები განკუთვნილია ჯგუფებში განხილვისათვის. თუმცა ჩვენი სურვილია, საშუალება მისცეთ სულიწმიდას თავად მოგცეთ მიმართულება. თუ დანიშნულ დროში ვერ მოახერხეთ არსებული მასალის განხილვა, მაშინ ჯგუფს შესთავაზეთ მოცემული თავის განხილვა მომდევნო დღეებში განაგრძოთ.

ვლოცულობთ, რომ ამ სახელმძღვანელოს მეშვეობით თქვენი და თითოეული მონაწილის ცხოვრება საუკუნოდ შეიცვალოს და გამდიდრდეს. გისურვებთ შეუპოვარი სულით აღსავსე ცხოვრებას, რომელიც ღმერთმა თქვენთვის განსაზღვრა!

„**მოთმინება** გმართებთ
თქვენ, რათა აღასრულოთ
ღვთის ნება და მიიღოთ
აღთქმული [ისიამოვნოთ
სისრულით]“

- ებრაელთა 10:36
(ინგ. ვერსია AMP)

თავი 1

შეუპოვარი

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ 1-ლი და მე-2 თავები და მოისმინეთ ვიდეო კურსის 1-ლი გაკვეთილი.

G 1. *„შეუპოვარი“* – ძლიერი სიტყვაა. ის გვიხატავს დაჟინებულობის, მოთმინების, გამძლეობის, ამტანობის და უკომპრომისო უდრეკი სიმტკიცის სურათს. როდესაც ეს სიტყვები გესმის, რა წარმოსახვას იძლევა შენი გონება?

დაასახელე პიროვნებები, რომელთა ცხოვრებაშიც დანახულმა შეუპოვარმა შემართებამ უკეთესი გახადა შენი ცხოვრება. როგორ მოახერხეს მათ ასეთი გავლენა მოეხდინათ შენზე და როგორ აღგძრეს ამ ადამიანების ქმედებებმა სხვების დასახმარებლად?

გახსოვდეს

ღმერთი შენს მხარესაა. ყველაზე მეტად მას სურს რწმენით ცხოვრებაში შენი წარმატება. მან საოცარი ცხოვრება მოგიმზადა და წინასწარ ჭვრეტს იმ დიდებულ დასასრულს, რომელშიც რწმენის მემკვიდრეობას, მნიშვნელობას და სხვებისთვის მისაბაძ კვალს დატოვებ. მაგრამ ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუპოვარი მორწმუნე იქნები.

შეუპოვარი

მოცემული სიტყვა აღწერს უდრეკ, ურყევ და გაბედულ დამოკიდებულებას ანდა პოზიციას. სხვა სიტყვებით, შეუპოვარი ადამიანი – არის ის, რომელიც არ დათმობს, რომლის შეკავებაც შეუძლებელია. უკან დახევა ნიშნავს გახდე რბილი, დასუსტდე, მიჰყვე სხვის ნებას და დანებდე. აი, სიტყვა „შეუპოვარის“ რამდენიმე მნიშვნელობა: მოუდრეკელი, ურყევი, მტკიცე, დაჟინებული, ჯიუტი. სხვა აღწერილობა გულისხმობს შემდეგს: მუდმივი, გამძლე, მიზანდასახული, ერთგული, მტკიცე.

G 2. ნავში მყოფი კაცის შესახებ ხილვა სამი სახის ადამიანს წარმოგვიდგენს: მორწმუნეს, ურწმუნოს და ცდუნებულს (მოტყუებულს):

- ურწმუნო უბრალოდ მიჰყვება დინებას, ვერ აცნობიერებს რა, რომ მხოლოდ თავისი „მინდა, მინდა, მინდას“ შესაბამისად მოქმედებს;

- მორწმუნე განუწყვეტლივ უნდა ილტვოდეს წინ, იბრძოდეს რწმენისთვის, რათა ღვთის სასუფეველი გაავრცელოს თავის გარშემო;
- ცდუნებული (მოტყუებული) „მინდა, მინდა, მინდა“-ზე დაფუძნებულ მოტივებს „ქრისტიანული სახის“ და წმინდა წერილის არასწორად გამოყენების უკან მალავს.

შენი აზრით ამ სამიდან, რომელი ტიპის ადამიანს ჰგავხარ?

3. თუ შენ გახასიათებს დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება, დაფიქრდი და გაიხსენე წარსულის ის მომენტები, როცა დანებდი და ხელი ჩაიქნიე. რა გარემოებებს და ვითარებებს ხედავ? ილოცე და სთხოვე ღმერთს, რომ დაგანახოს მთავარი მიზეზები, თუ რატომ გაგიჩნდა დანებების, დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვების სურვილი.

გზის მაჩვენებელი

„საზრუნავი, შეუჩერებელი აქტივობები, მუდმივი მოუცლელობა, ხმაური, საქმის დასრულების ბოლო ვადები და მოთხოვნები, ყოველდღიური განრიგი, პერიოდულად დანაშაულის გრძნობა, მარცხი და უაზრობის შეგრძნება დაბომბვის მსგავს დარტყმებს და შემოტევებს ახორციელებს ჩვენს მიმართ. ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებაა თეთრი დროშა ავაფრიალოთ და ვთქვათ: „ვნებდები! გემორჩილები!“. გაქცევის და დანებების გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, სახიფათო უკიდურესობას წარმოადგენს. ცუდი არაფერია იმაში, როდესაც თავს დაღლილად გრძნობ, მაგრამ სრულიად მიუღებელია შუა ბრძოლის დროს ფრონტის ხაზის მიტოვება“.

- ჩარლზ სვინდალი

„გამომცადე, უფალო, და შეიცან გული ჩემი; შემამოწმე და შეიცან აზრები ჩემი. ნახე, ბოროტების გზაზე ხომ არ ვდგავარ, [მიმითითე ყველაფერზე, რაც შენ გამწუხრებს] და წამიძეხი მარადიულ გზაზე!“

-ფსალმუნები 138:23,-24 (ინგ. ვერსია NLT)

4. რწმენაში სიძლიერე ძალას გვაძლევს შეუპოვარი ცხოვრებისთვის და ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შესაცვლელად. რას აკეთებ ამჟამად იმისათვის, რომ რწმენაში გაძლიერდე და უფრო მეტად ირწმუნო ის, რასაც უფალი ამბობს? როგორ შეგიძლია ამის ხშირად გაკეთება?

„კაცის სული იტანს თავის სატკივარს, მაგრამ შემუსრვილ სულს ვინ გადაიტანს?“

-იგავები 18:14 (ინგ. ვერსია AMP)

G 5. ღმერთი თავის სიტყვაში ძლიერ განაცხადს აკეთებს: „...უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით“ (რომ. 5:17). გჯერა? რას ნიშნავს იმეფებენ სიცოცხლეში?

გზის მაჩვენებელი

„ღმერთის გეგმა ჩვენს ცხოვრებაში არის ის, რომ ვიმეფოთ როგორც მეფეებმა: ვმართოთ გარემოებები, სიღარიბე, ავადმყოფობები და ყველაფერი ის, რაც ხელს გვიშლის. ჩვენ ვმეფობთ იმიტომ, რომ ძალაუფლება გვაქვს მოცემული. მომავალ ცხოვრებაში? არა, ამ ცხოვრებაში“.

კენეთ ჰეიგინი

G 6. წაიკითხეთ დაბ.1:28; ფსალმ. 115:16; და რომ. 11:29. როდესაც სიტუაცია რთულდება, დგება გასაჭირი, აუტანელი მდგომარეობა და სიცოცხლესაც კი შეიძლება საფრთხე დაემუქროს. სასოწარკვეთილებაში მყოფი ბევრი ადამიანი ხშირად აცხადებს, რომ „ყველაფერს ღმერთი აკონტროლებს“. ღმერთის სიტყვიდან გამომდინარე, რას ფიქრობ ასეთ პასუხზე?

„და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად. და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ ღმერთმა: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე, და ყოველ ცხოველზე, რომელიც კი მიწაზე დაცოცავს“. ***თქვენ გაყენებთ მათზე პარტონად.***

-დაბადება 1:27-28(ინგ. ვერსია TEV)

G 7. ედემის ბაღში ადამის და ევას მიერ დაშვებულმა შეცდომამ დიდი პრობლემა წარმოშვა, მაგრამ ღმერთს ჯერ კიდევ დროის ათვლამდე ჰქონდა ამ პრობლემის გამოსასწორებელი გეგმა შემუშავებული, რაც მისი ძის იესოს დაბადებაში, სიკვდილში და მკვდრეთით ღდგომაში მდგომარეობდა. საკუთარი სიტყვებით მოკლედ აღწერე, რა გავლენა იქონია ადამიანის ავტორიტეტზე, რომელიც მას დედამიწაზე გააჩნდა, ედემის ბაღში მომხდარმა ფაქტმა:

ბაღში: ადამისა და ევას ურჩობა

ქრისტეს აღდგომა

გახსოვდეს

იესო ქალწულისგან იშვა, რის გამოც იგი 100% კაცი იყო. მისი მამა იყო სულიწმიდა, რის გამოც იგი 100% ღმერთი იყო. ამიტომ მასზე ცოდვის წყევლა არ ვრცელდებოდა. ფილ. 2:7 ამბობს: „როცა დრო მოვიდა, წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა!“.

8. რატომ დაიბადა იესო ადამიანის სხეულ-ში, როგორც „ძე კაცისა“ და ებრ.2:17-18-ის მიხედვით რა კურთხევა მივიღეთ, როცა ის „ერთი ჩვენგანი გახდა“?

„ამიტომ იგი ყველაფერში უნდა დამსგავსებოდა ძმებს, რათა ყოფილიყო მოწყალე და ერთგული მღვდელმთავარი ღვთის წინაშე ხალხის ცოდვების შესაწყნარებლად. ვინაიდან, როგორც თვითონ [თა-ვისი ადამიანურობით] იტანჯა და გამოიცადა, ისე შეუძლია [მყისიერად] დაეხმაროს (გაათავისუფლოს, დახმარება გაუწიოს) განსაცდელში მყოფთ და დაღლილთ [რომლებიც ამის გამო განსაცდელების წინაშე დგანან]“.

-ებრაელთა 2:17-18 (ინგ. ვერსია AMP)

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ებრაელთა 4:15-16;

9. რეალურად რას ფიქრობ, როდესაც გე-სმის სიტყვა ქრისტე? ყურადღებით წა-იკითხე ქვემოთ მოცემული მუხლები და განმარტე, რას გეუბნებიან ისინი „ქრის-ტეს“ შესახებ. როგორც მორწმუნე, ვინ ხარ შენ მასთან მიმართებაში?

გზის მაჩვენებელი

ეკლესია - ეს ქრისტეს სხეულია, ქრისტე კი - ეკლესიის თავი. მშობლებსა და შვილეს ბატონებსა და მონებს და ცოლ-ქმარს შორისაც კი ურთიერთობები რთულდება, მაგრამ ფიზიკურად ადამიანის თავი და სხეული განუყოფელია; ისინი მუდამ ერთად იქნებიან. ამის მსგავსად ქრისტე და ეკლესია არასოდეს დაშორდებიან ერთმანეთს. ეს ერთი განუყოფელი სხეულია.

ვოჩმან ნი

„ვინაიდან ჩვენ ერთ სხეულში მრავალი ასო გვაქვს, მაგრამ ყველა ასოს როდი აქვს ერთი და იგივე საქმე. ასევე ჩვენ, მრავალნი ერთ სხეულად ვართ ქრისტეში, ხოლო ერთიმეორისათვის - ასონი“.

- რომაელთა 12:4-5 (ინგ. ვერსია CEV)

„ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოებია?“

- 1 კორინთელთა 6:15 (ინგ. ვერსია NLT

„თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე და აუცილებელი - მისი ასოები“.

-1 კორინთელთა 12:27 (ინგ. ვერსია NLT)

„სიცოცხლის წყარო, ქრისტე, რომლიც გვაერთებს ერთ მთელი სხეულად, რომელიც სახსრებითა და კავშირებით შენივთებული და შეერთებული, იზრდება ღვთისმიერი ზრდით“

-კოლასელთა 2:19 (ინგ. ვერსია The Message)

10. გარდა იმისა, რომ ქრისტე ერთი ჩვენგანი გახდა, ჩვენ მასთან ერთნი გავხდით. ყოვლადძლიერმა ღმერთმა ღვთიური თესლი ჩანერგა ჩვენში მაღლიდან შობის მეშვეობით და ჩვენ ქრისტეში ახალი ქმნილებანი გავხდით. გამოყავი დრო იმისათვის, რომ ქვემოთ მოყვანილ მუხლებს ჩაუღრმავდე და აღწერო, თუ რას ნიშნავს შენთვის ქრისტესთან ერთად ყოფნის პატივი.

გახსოვდეს

ჩვენ ქრისტეს სხეული ვართ! თითოეული ჩვენგანი ამ სხეულის ამა თუ იმ ნაწილს წარმოვადგენთ. ქრისტე თავია, ხოლო ჩვენ სხეულის დანარჩენი ნაწილები; მარტივი საკითხია! როდესაც ახალ აღთქმაში კითხულობ: „ქრისტე“, მასში საკუთარი თავიც უნდა დაინახო, და არა მხოლოდ ის, რომელიც ჯვარზე მოკვდა. ჩვენ ქრისტეში ვართ. ჩვენ ვართ ქრისტე! ჩვენ მისი სხეული ვართ! ჩვენ ერთნი ვართ მასთან.

„ვინაიდან, რაკი ყველანი მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით. უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში. და თუ ქრისტესნი ხართ, მაშ, აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი“

-გალატელთა 3:27-29 (ინგ. ვერსია NIV)

„ისე, როგორც მისმა ღვთიურმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი ცოდნით და დიდებულებით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში. რომელთა მიერაც მოგვენიჭა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გახდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი და ამ სოფელში განერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ გახრწნილებას“

-2 პეტრე 1:3-4 (ინგ. ვერსია NLT)

„ყოველი, ვინც ღვთისგან არის შობილი (დაბადებული), [შეგნებულად, გამიზნულად] არ სჩადის ცოდვას, ვინაიდან მისი თესლი იმყოფება მასში [ცხოვრების მისმიერი სტანდარტი, ღვთიური მარცვალი] და არ ძალუძს შეცოდება, ვინაიდან ღვთისგან არის შობილი (დაბადებული)“

-1 იოანე 3:9 (ინგ. ვერსია AMP)

დამატებითი მუხლები ჯგუფის ლიდერისთვის: იოან.3:3-8; 15-21; 2კორ. 5:17,21; 1პეტ. 1:23.

გზის მაჩვენებელი

„როგორც ქმარი და ცოლი არიან ერთნი, ასეა იესო მათთან, რომელნიც რწმენით არიან მასთან შეკავშირებულნი – ისინი ერთნი არიან საქორწინო კავშირით, რომელიც არასოდეს დაირღვევა. მეტიც, მორწმუნეები წარმოადგენენ ქრისტეს სხეულის წევრებს და ამიტომ ერთნი არიან მასთან სიყვარულის მარადიული ცოცხალი კავშირის მეშვეობით“. ღმერთმა მოგვიწოდა ამ კავშირში, ამ ურთიერთობაში, ამ პარტნიორობაში... რადგან ქრისტესთან ერთნი ვართ, ჩვენ მისი ბუნების და მისი მარადიული სიცოცხლის თანაზიარნი გავხდით. ჩვენი მომავალი ჩვენს უფალთანაა გადაჯაჭვული და ვიდრე ის დგას, შეუძლებელია ჩვენი დაღუპვა.“

ჩარლზ სპერჯენი.

მთელი კვირის

ა მ ო ც ა ნ ა

დაისახე მიზანი ამ სწავლების განმავლობაში. შეარჩიე ყოველდღიური ან ყოველკვირეული მიზანი შენი სულიერი ცხოვრებისთვის, ჯანმრთელობისთვის, ურთიერთობებისთვის, ფინანსებისთვის ან სხვა ისეთი სფეროსთვის, რომელიც შენთვის გამოწვევას წარმოადგენს. მნიშვნელობა არ აქვს ამ მიზნის მიღწევას მარტო, ოჯახთან ერთად თუ მეგობრებთან ერთად გადაწყვეტ. გადაწყვიტე, რომ ასე მოიქცევი მომდევნო თორმეტი კვირის განმავლობაში.

პირადად ჩემი გამოწვევა „შეუპოვართან“ დაკავშირებით:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: განსაზღვრე, რა იქნება ჯგუფის თითოეული წევრის მიზანი.

დღე 1 ფინიშის ხაზის გადაკვეთა

„კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვვლე ასპარეზი, ერთგული დავრჩი“
-2 ტიმოთე 4:7(ინგ. ვერსია Nგთ)

დიდი განსხვავება არსებობს დაწყებასა და დამთავრებას შორის. როდესაც რაიმეს ვიწყებთ თავს ვგრძნობთ მხნედ, შემართებულები და ენერგიულები ვართ, მზად ვართ ნებისმიერ სირთულეს შევეჭიდოთ. როდესაც დასასრულს ვუახლოვდებით, ემოციურად და ფიზიკურად გამოცარიელებულები ვართ. თუკი ვინმემ იცის ეს რას ნიშნავს, პავლე მოციქული ერთ-ერთი მათგანია. თუმცა დასასრული მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად ყველა სირთულისა, პავლემ თქვა:

„მაგრამ **ეს ყველაფერი არად მიღირს**, არც საკუთარი სიცოცხლეა ჩემთვის ძვირფასი, ოღონდ კი იმ ჩემს სარბიელსა და მსახურებას დავასრულებდე, რომელიც [რომელიც მომენდო] უფალ იესოსგან მივიღე, რათა დავამოწმო კეთილი უწყება) ღვთის მადლის სახარება (განუსაზღვრელი მადლი, სულიერი კურთხევა და წყალობა)“

-საქმე 20:24 (ინგ. ვერსია AMP)

„ძლიერად დასრულება იესოსთვისაც მნიშვნელოვანი იყო. მან თქვა, „ჩემი საჭმელია – ვქმნა ჩემი მომავლინებელის ნება და აღვასრულო მისი საქმე“ (იოან. 4:34). ჯვარზე ასვლამდე, ის ლოცულობდა: „მე განვადიდე შენი სახელი დედამიწაზე. აღვასრულე საქმე, რომელიც შენ მომეცი“ (იოან. 17:4). როდესაც ის ჯვარზე გააკრეს და მისი საქმე აღსრულებული იყო, მან შესძახა: „აღსრულდა“ (იოან. 19:30).

რა შეგიძლია პავლეს და ჩვენი უფლის იესოს ცხოვრებიდან აიღო და შენს ცხოვრებაში გამოიყენო?

რა ეპიტაფია იქნებოდა შენი ცხოვრების ზუსტი ამსახველი, თუკი მას ახლა დააწერდნენ შენი საფლავის ქვას? თუ ეს წარწერა არ მოგწონს მა-შინ, რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში?

წაიკითხე ებრ.12:1-3; როგორ დაგეხმარება სარბიელის კარგად დასრულებაში საუკუნო საზღაურზე გამუდმებული ფიქრი? რა შეიძლია გამოგადგეს ამ მუხლებიდან იმისათვის, რომ ფინიშის ხაზი გადაკვეთო?

შემდგომი შესწავლისათვის...
1 კორინთელთა 9:24-27;
1 ტიმოთე 6:11-12;
ეკლესიასტე 7:8;

დღე 2 რწმენის გამოცდა

„საკუთარი თავი გამოსცადეთ, ხართ კი რწმენაში. საკუთარი თავი გამოარკვიეთ, რეგულარულად შეამოწმეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე? გამოსცადეთ. თუ გამოცდის გავლას ვერ შეძლებთ, შეეცადეთ რამე გააკეთოთ ამის გამოსასწორებლად.“

-2 კორინთელთა 3:15 (ინგ. ვერსია The message)

თუ შეუპოვრად დადიხარ ღმერთის გზაზე, მაშინ, ღმერთის ძალა და თანდასწრება აშკარა იქნება შენს ცხოვრებაში. საუკეთესო გზა იმის დასადასტურებლად, რომ ქრისტეში იზრდები და არ ტკეპნით ერთ ადგილს – არის ის, რომ გამოიკვლიო რა ნაყოფები გაქვს ცხოვრებაში. ნამდვილი მტკიცებულება იმისი, რომ ქრისტე მკვიდრობს შენში და ვლინდება შენი ცხოვრებით, მისი ხასიათის გამოვლენაში მდგომარეობს.

ყურადღებით წაიკითხეთ გალ. 5:19-23 და ეფეს. 5:8-9. ამ მუხლებში ხორცისა და სულის ნაყოფებია აღწერილი. რა ნაყოფებს ხედავ საკუთარ ცხოვრებაში?

_____

_____

_____

_____

_____

იოან.15:1-8-ში მოცემული იესოს სიტყვების თანახმად, რა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას იმისათვის, რომ მისი ხასიათის შესაბამისი ნაყოფი მოიტანო? რას გეუბნება ეს პირადად შენ?

_____

_____

_____

_____

გეუბნება სულიწმიდა შეცვალო შენი ცხოვრება? თუ დიახ, კონკრეტულად რა?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

შემდგომი შესწავლისათვის...

ფსალმუნი 1;
ფსალმუნი 91:12-15;
იერემია 17:7-8;
მათე 13:23;
მარკოზი 4:20;
ლუკა 8:15.

დღე 3 მოიკრიბე მთელი ძალ-ღონე

„აბა, გამართეთ დაშვებული ხელები და მოკვეთილი მუხლები! მოასწორეთ გზები თქვენს ფერხთათვის. ...გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანმა ზურგი არ აქციოს ღვთის მადლს.“

-ებრაელთა (ინგ. ვერსია 12:12-15 TEV)

ღმერთის მადლისთვის ზურგის შექცევა უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ადამიანი დანებდა და უკვე აღარ იზრდება ღმერთთან ურთიერთობაში.

გაჩერდი და დაფიქრდი. რა არის შენს ცხოვრებაში ორი მთავარი საკითხი მოცემულ მომენტში, რაც გაიძულებს დანებდე, რაც გღლის და გაუძლურებს, რაც სიხარულს და ძალას გართმევს? ეს ფინანსური წნეხია? ჯანმრთელობის პრობლემა? რთული ურთიერთობები? შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ღმერთის სიტყვას შეუძლია გარდაქმნას შენი ცხოვრება. ის მოგცემს ძალას ნებისმიერ სირთულესთან გასამკლავებლად.

გამოიყენე ბიბლიის ლექსიკონი, რათა მოძებნო ის თემები, რომელშიც ბრძოლებს გადიხარ – ან საკვანძო სიტყვა ჩაწერე ისეთ საძიებო ინტერნეტ საიტებზე როგორიცაა www.biblegateway.com. გამოიკვლიე მუხლები, რომლებსაც ბიბლიის სხვადასხვა თარგმანებში მოძებნი. ამოწერე და ჩაუღრმავდი სულ მცირე ორ მუხლს, რომელიც შენს გულს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს და გამხნევებს, რომ გზა განაგრძო.

_____ მღლის და მაიძულებს დავნებდე, მაგრამ ღმერთი მეუბნება...

_____

_____

_____

_____

_____

_____ მღლის და მაიძულებს დავნებდე, მაგრამ ღმერთი მეუბნება...

_____

_____

_____

_____

შემდგომი შესწავლისათვის...

რამდენიმე მარტივი თემა:

ფინანსური უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა და სიჯანსაღე	აღდგენილი ურთიერთობები
2 კორინთელთა 9:8-12; მალაქია 3:10; იგავები 3:9-10; ლუკა 6:38; ფილიპელთა 4:19;	ესაია 53:5; 1 პეტრე 2:24; ფსალმუნი 106:20; გამოსვლა 23:25-26; იგავები 4:20-22;	ფსალმუნი 132:1-3; ეფესელთა 4:2-3; 1 კორინთელთა 1:10; რომაელთა 12:18-21; 1 პეტრე 3:8-11.

დღე 4 მტერი დამარცხებულია

„ამ მიზნისთვის გამოჩნდა ძე ღვთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმეები“
-1 იოანე 3:8 (ინგ. ვერსია NKJV)

ჯვარზე ქრისტეს გამარჯვება ულევ კურთხევას გვანიჭებს. ერთი რამ, რაც არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ არის ის, რომ მტერი დამარცხებულია. იესოს სიკვდილით და მკვრდეთით აღდგომით ეშმაკი და მისი ყველა ბოროტი მოკავშირე სამარცხვინოდ დამარცხდნენ. მტერი დამარცხებულია – ეს უკვე მომხდარი ფაქტია. ეს არაა მოვლენა, რომელსაც ველით; ეს უკვე აღსრულდა. ჩვენ გამარჯვებული პოზიციიდან ვიბრძვით და არა იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ.

მახარებელი და მწერალი თ.ლ. ოსბორნი, მსოფლიოში ცნობილი ღმერთის განმკურნებელი ძალით ამბობდა:

„იესოს ტრიუმფი, ჩვენი ტრიუმფი იყო. მისი გამარჯვება – ჩვენი გამარჯვება. მას საკუთარი თავისთვის არაფერი გაუკეთებია – ყველაფერი ჩვენთვის მოიმოქმედა. მან ჩვენს გამო დაამარცხა სატანა. ჩვენს გამო შემუსრა ბოროტის ძალა. ჩვენს გამო დაანგრია მისი საქმეები.

...როდესაც იესო მკვდრეთით აღდგა, საუკუნოდ დამარცხებული ეშმაკი უკან მოიტოვა. სატანას შეხედე, როგორც სამარადჟამოდ დამარცხებულ მტერს. იფიქრე სატანაზე, ვისზეც იესოს და შენც იესოს სახელით, გაქვს საუკუნო უფლობა და ძალაუფლება“.

გამონახე დრო ამ მუხლებში ჩაწერილი ჭეშმარიტების გასააზრებლად:

კოლ. 2:14-15; ებრ. 2:14-15; და 1იოან. 5:18; გამოცხ. 12:11;
წაიკითხე ეს მუხლები ბიბლიის სხვადასხვა თარგმანში და გაიაზრე მათში გადმოცემული აზრი.

რა დაემართა მტერს იესოს აღსრულებული ღვაწლის შედეგად? კიდევ რას გვიჩვენებს უფალი ამ მუხლებში?

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: იოან.12:31-32; 16:33; გალატ. 3:13; კოლ. 1:13-14.

იცი რა, რომ მტერი დამარცხებულია, გამხნევებს ეს ფაქტი? მომავალთან დაკავშირებით იცვლება შენი შეხედულება?

_____

_____

_____

შემდგომი შესწავლისათვის...
ქრისტეს გამარჯვებამ ცოდვის ძალაუფლებაც გაანადგურა. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მუხლები:
რომ. 6:2-8; 8:1-3; გალატ. 2:20; 5:54; კოლ. 3:3; 1პეტ. 2:24.

დღე 5 რა გწამს?

„მაშინ შეეხო მათ თვალებს და უთხრა: „რაც გწამთ, ის მოგეგებათ!“
-მათე 9:29 (ინგ. ვერსია GW)

ბიბლია სავსეა საოცარი აღთქმებით, მაგრამ თუ ამ აღთქმებს რწმენით არ მივიღებთ გულში, ფურცელზე დაწერილ ცარიელ სიტყვებად დარჩება. ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ იმ დონეს ავცდეთ რა დონეზეც გვწამს. შეჩერდით და დაუკვირდით ამ სიტყვებს:

ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ იმ დონეს ავცდეთ რა დონეზეც გვწამს. სწორედ ეს პრინციპია გადმოცემული იგავ. 23:7-ში: „რადგან როგორც ის ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი“. ისეთები ვართ, როგორიც ჩვენი ფიქრებია.

მწერალი და პასტორი მარკ ბატერსონი გვთავაზობს ახალ შეხედულებას რწმენის ძალასთან დაკავშირებით და გვასწავლის, თუ რა არის საჭირო რწმენის ჩამოყალიბებისათვის. იგი წერს...

„სწავლების ნახევარი – სწავლაა, მეორე ნახევარი კი – უსწავლელობა. ... რწმენა ეს არის ჩვენი უსარგებლო ზრუნვის და უმისამართო დაჯერებულობის უსწავლელობა, რომელიც გვატყვევებს. ეს გაცილებით კომპლექსური საკითხია, ვიდრე მხოლოდ მოდიფიცირებული ქმედება. რწმენა სინეპტოგენიზს მოიცავს. რწმენა ადამიანის ტვინის სტრუქტურის განახლებაა. ნეიროლოგიური ენით თუ ვიტყვით, ეს არის ის, რასაც ვაკეთებთ, როცა წმინდა წერილს ვსწავლობთ. პირდაპირი გაგებით, ჩვენ ვანახლებთ და ვაძლიერებთ ჩვენს გონებას, ვტვირთავთ რა მასში ქრისტეს გონებას.

როგორც კომპიუტერის მყარ მეხსიერებას სჭირდება დეფრაგმენტაცია ოპერაციების ოპტიმალური სისწრაფით შესრულებისათვის, ასევე სჭირდება იგი ჩვენს გონებასაც. როგორ ვახდენთ ჩვენი რწმენის დეფრაგმენტაციას? როგორ ვანახლებთ ჩვენს გონებას? როგორ ამოვიყვანოთ საკუთარი თავი იმ გონებრივი ორმოდან, რომელშიც თავად ჩავიგდეთ თავი? გონების განახლების ერთადერთ საშუალებას მასში წმინდა წერილის ჩატვირთვა წარმოადგენს“.

მაშ, ასე რა გწამს? გჯერა, რომ შენ ხარ ქრისტე დედამიწაზე? გჯერა, რომ მასთან ერთი ხარ? გჯერა, რომ მისი ღვთიური ბუნების მოზიარე ხარ – რომ მისი ზებუნებრივი დნმ შენი სულის ქსოვილშია ჩანერგილი? გჯერა, რომ მტერი დამარცხებულია და ქრისტეს მეშვეობით ფლობ ძალაუფლებას ამ სიცოცხლეში მეფობისათვის? შენი რწმენისამებრ მოგეცემა!

ამ გაკვეთილში წარმოდგენილი ჭეშმარიტებიდან, რომელი წარმოადგენს გამოწვევას შენთვის ყველაზე მეტად? რატომ?

ილოცე და ეს საკითხები მიანდე ღმერთს. სთხოვე მადლი, რათა ირწმუნო, რომ მისი სიტყვა ჭეშმარიტებაა.

ყურადღებით წაიკითხე რომ.10:17; 12:2; ებრ. 4:12; და კოლ. 3:16. ამ მუხლებიდან გამომდინარე, რა შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე კარგ საშუალებად შენი რწმენის გასაძლიერებლად?

შემდგომი შესწავლისათვის...
მათ. 21:18-22;
მარკ. 11:20-25;
იოან. 6:28-29;
ებრ. 11:1, 6;
რომ. 10:10-11;

დღე 6 არაფერია ღმერთისთვის შეუძლებელი!

„მე ვარ უფალი! არაფერია ჩემთვის რთული“

-დაბადება 18:14 (ინგ. ვერსია CEV)

მორწმუნე შეუპოვარი უნდა იყოს, რათა შეძლოს იხილოს შეუძლებლის შესაძლებლობა. როდესაც მთელი გულით და შემართებით უფალზე ვართ დაიმედებულნი და მინდობილნი, და არ ვეყრდნობით საკუთარ ხორცს, ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, როდესაც სასწაულის ხილვა შესაძლებელი ხდება.

ევანგელისტ **ბილი გრაჰამის ქალიშვილმა**, ანნა გრაჰამ ლოტცმა თქვა: „როდესაც რთულ სიტუაციაში ვიმყოფებით, საჭიროა საკუთარ თავზე დაიმედება გვერდზე გადავდოთ და მთლიანად უფალს მივენდოთ“. ამ სახელმძღვანელოს შესწავლით და ღმერთზე დაიმედებით, ისწავლი, თუ როგორ გაუმკლავდე წინააღმდეგობებს, რომელიც შენს ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება და იხილავ შეუძლებლის შესაძლებლობას.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მუხლები, სადაც ღმერთის ძლიერი აღთქმებია მოცემული.

„გადახედა მათ იესომ და უთხრა: „კაცთაგან ეს შეუძლებელია, ღვთისაგან კი ყოველივე შესაძლებელია“

-მათე 19:26 (ინგ. ვერსია NIV)

„იესომ უთხრა მას: „თუ კი რამე შეგიძლიაო? მორწმუნისათვის ყველაფერი შესაძლებელია“

-მარკოზი 9:23 (ინგ. ვერსია NLT)

„შეხედა მათ იესომ და თქვა: „ადამიანურად თუ ვიტყვით, ეს შეუძლებელია. მაგრამ არა ღვთისათვის, რადგან ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია“

-მარკოზი 10:27 (ინგ. ვერსია NLT)

„ვინაიდან ღმერთთან არასოდეს არაფერია შეუძლებელი და ღმერთისაგან წამოსული არცერთი სიტყვა არ იქნება ძალის გარეშე და ყოველი მათგანი აღსრულდება“.

-ლუკა 1:37 (ინგ. ვერსია AMP)

რა ხდება შენს სულში, როდესაც ამ მუხლებზე ფიქრობ?

_____

_____

რა გინდა რომ შესრულდეს – გწამს რა, რომ ეს ღმერთის ნებაა – მაგრამ ფიქრობ ანდა გრძნობ, რომ ეს შეუძლებელია?

_____

_____

_____

ლოცვა

მამაო, არაფერი მინდა მსურდეს, შენს გარდა! ვინანიებ, რომ წუთისოფლის დინებას მივყვებოდი. მომეცი ძალა არ მოვუსმინო მტრის ხმას და ჩემს სხეულს. ამ სახელმძღვანელოს შესწავლის განმავლობაში გახადე ჩემი გული შეუპოვარი, სული კი მხნე და მიზანმიმართული, რათა ვერაფერმა შემიშალოს ხელი იმ დავალების შესრულებაში, რომელიც შენ დამაკისრე. შექმენი ჩემში უდრეკი სული, გამხადე რწმენაში ძლიერი და შენი მორჩილი. გთხოვ იესოს სახელით, ამინ.

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

ქრისტიანული ცხოვრება სპორტულ სარბიელს ჰგავს. ეს სპრინტი კი არ არის, არამედ გრძელი დისტანციის მარათონი. იმისათვის, რომ ღმერთის მიერ ჩვენს წინ დადებული გზა წარმატებით გავასრულოთ, შეუპოვარი სული უნდა განვავითაროთ ჩვენში – ისეთი, რომელიც არასოდეს ნებდება და მტკიცედ დგას ბოლომდე. როგორ ვიცხოვროთ შეუპოვრად და ვიმეფოთ სიცოცხლეში მტრის წინააღმდეგობების მიუხედავად?

ღმერთის უხვი მადლის მეშვეობით, რომელიც ქრისტეშია ხელმისაწვდომი.

(1) Charles R. Swindoll, Growing Strong in the Seasons of Life (Portland, OR: Multnomah Press, 1983) p. 135. (2) Kenneth E. Hagin, The Believer's Authority (Tulsa, OK: RHEMA Bible Church, 2007) p. 39. (3) Watchman Nee, Spiritual Authority (New York, NY: Christian Fellowship Publishers, Inc., 1972) pp. 76-77. (4) Charles Spurgeon, All of Grace (New Kensington, PA: Whitaker House, 1981) pp. 162-163. (5) T.L. Osborn, Healing the Sick (Tulsa OK: Harrison House Inc., 1992) p. 111. (6) Mark Batterson, In a Pit with a Lion on a Snowy Day (Colorado Springs, CO: Multnomah Books, 2006) pp. 44-46. (7) Fast Break, Five-Minute Devotions to Start Your Day (Parable, 2007) Day 66.

შენიშვნები

შენიშვნები

„რომელნიც უხვად მიიღებენ
მადლს და სიმართლის ნიჭს,
იმეფებენ სიცოცხლეში
ერთის, იესო ქრისტეს
მეშვეობით“

-რომაელთა 5:17
(ინგ. ვერსია TEV)

თავი 2

ძალის წყარო

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-2 და მე-3 თავები და მოისმინეთ ვიდეო კურსის მე-2 გაკვეთილი.

განუზომელი • უსაზღვრო • აღმატებული

განუზომელი ნიშნავს იმას, რომ „შეუძლებელია გაზომო; უზარმაზარია; აღემატება გაზომის უნარს“. უსაზღვრო მიუთითებს „საზღვრების ან ზღუდეების უქონლობაზე; შეუზღუდავია“. აღმატებული მიუთითებს, რომ „სხვებზე მეტია; ხარისხით უმჯობესია; გამორჩეულად კარგია“. სინონიმებს შორის არის, უსასრულო, ძლიერი, უსაზღვრო, შეუზღუდავი. ყველა ეს სიტყვა ღმერთის ძალას – მის მადლს აღწერს, რომელიც მოქმედებს შენში და შენთვის (იხ. ეფეს.1:19).

1. შენთვის, როგორც ღმერთის მორწმუნისთვის, მისი ძალა ყოველთვის ხელმისაწვდომია. მადლი არის ძალა; შენში მცხოვრები სულიწმიდა ამ ძალის წყაროა. შეგიძლია გაიხსენო დრო, როდესაც ღმერთის აღმატებული ძალა დაეშვა შენზე? აღწერე რა მოხდა ამ დროს. მოცემულ მომენტში, რა სიტუაციისთვის გჭირდება ღმერთის განუზომელი სიდიადის განცდა? როგორ აძლიერებს შენს რწმენას წარსული გამარჯვებების გახსენება?

ღმერთის ძალა ნამდვილად დაეშვა, როდესაც...

_____

_____

_____

_____

მოცემულ მომენტში ღმერთის უსაზღვრო ძალა მჭირდება...

_____

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: ფსალმუნი 76:11-15.

გახსოვდეს

ჩვენ ქრისტეს ნაწილი ვართ. ამიტომაც, ზუსტად იგივე ძალა გვაქვს, რაც მას! „როგორც ის [იესო] არის ამ წუთისოფელში, ისევე ვართ ჩვენც“ (1 იოანე 4:17). დაე, ამ სიტყვებმა მოიცვას თქვენი გულები.

G 2. ქრისტესთან ერთად ყოფნის ერთ-ერთი ასპ-ექტი მის სიკვდილსა და აღდგომაში გაიგივებაა. პავლე გამუდმებით საუბრობს ამ პრინციპზე ახალ აღთქმაში. ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოყვანილი მუხლები და აღწერე, თუ რას ამბობენ ისინი იმის შესახებ, რომ ქრისტე და შენ ერთნი ხართ.

„ამიტომ თქვენი ძველი, ცოდვისმოყვარე ბუნება, დამარხულია მასთან ერთად სიკვდილში ნათ-ლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, თქვენც იაროთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან თუ დაენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე იქნებით მის აღდგომისას. რადგან იცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა თქვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ იყოთ ცოდვის მონები. ვინაიდან ვინც მოკვდა, ცოდვისაგან თავისუფალია. თქვენც ასევე შერაცხეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღვთისათვის ცოცხლებად ქრისტეში“

-რომაელთა 6:4-7, 11 (ინგ. ვერსია TLB)

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: გალატელთა 5:24-25; კოლასელთა 2:11-14, 3:3.

გახსოვდეს

ჩვენ ქრისტეს სხეული ვართ. მას შემდეგ, რაც მისით შევიმოსეთ, ჩვენი ისტორია შეიცვალა. მასთან ერთად მოვკვდით და აღვსდექით, და როგორც სრულიად ახალი ქმნილებები, მის მსგავსად ვცოცხლობთ! „როგორც ის არის, ისე ვართ ამ წუთისოფელში“. ჩვენ ქრისტეში ვართ. ჩვენ ქრისტე ვართ! ჩვენ ერთნი ვართ მასთან!

„ჯვარცმული ვარ ქრისტესთან [მასში მე თანაზიარი გავხდი ჯვარცმისა]; მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე (მესია) ცოცხლობს ჩემში. ახლა, რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ (მისდამი სრული ნდობა მაქვს) ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი გადასცა ჩემთვის“

-გალატელთა 2:20 (ინგ. ვერსია AMP)

G 3. გარდა იმისა, რომ ქრისტესთან ერთად ჯვა-რს ვეცვით, მასთან ერთად აღვდექით კიდეც და ზეცაში დავსხედით. ყურადღებით წაი-კითხეთ იესოს სიტყვები მათეს და ლუკას სახარებებში, ასევე პავლეს მეშვეობით გადმოცემული ღმერთის სიტყვა, რომელიც ეფესელთა მიმართ წერილშია მოცემული. ამ მუხლებიდან გამომდინარე, როგორ აღწერ შენს, როგორც მორწმუნის ავტორიტეტს? ისეთი რამე თუ დაინახე, რაც უწინ არ შეგიმჩნევია?

„მთელი ძალაუფლება გადმომეცა მე ზეცაში და დედამიწაზე, ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა მე თქვენთანავარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე“

-მათე 28:18-20 (ინგ. ვერსია NKJV)

„შეხედეთ! გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას [ფიზიკური და გონებრივ ძალას და უნარს] გველთა და მორიელთა დასათრგუნავად, და მტრის ყოველი ძალისა. თქვენ კი არაფერი გევნებათ“.

-ლუკა 10:19 (ინგ. ვერსია AMP)

„და თანააღგვადგინა და ცათა შინა [ჩვენი არსების ღირსებით] თანადაგვსხა [მასთან ერთობლივი სამეფო ტახტი] ქრისტე იესოში“

-ეფესელთა 2:6 (ინგ. ვერსია AMP)

„რომლითაც მან იმოქმედა ქრისტეში, მკვდრეთით აღადგინა რა იგი და თავის მარჯვნივ დასვა ზეცაში. ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალაზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე [ტიტულზე, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს] მაღლა, რაც კი იწოდება არა მარტო ამ საუკუნეში, არამედ მომავალშიც“

-ეფესელთა 1:20:21(ინგ. ვერსია AMP)

_____

_____

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: მარკ. 6:7; ლუკ. 9:1-6.

ავტორიტეტი

ავტორიტეტი ეს არის ძალა, ან უფლება, რომელიც საშუალებას გაძლევს დაბრკოლების და შეზღუდვის გარეშე აკეთო კონკრეტული საქმე. იგი დაფუძნებულია განსაზღვრულ, შემუშავებულ კანონზე – ესაა ღვთიური, სამოქალაქო ან მორალური. უზენაესი ავტორიტეტი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის (რომ. 13:1), ამიტომ ყოველგვარი ადამიანური ავტორიტეტი მისგან გამომდინარეობს.

ღმერთის ავტორიტეტი უპირობოა და აბსოლუტური (ფსალმ. 2; 28:10; იგავ. 21:30; ესაია 40). მისი ავტორიტეტიდან მომდინარეობს მთავრობების (იოან.19:10-11; რომ. 13:1), მშობლების (ეფეს. 6:1-4), უფროსების (ეფეს. 6:5-9), ეკლესიის უხუცესების (ებრ. 13:7,17) და სხვა სახის ძალაუფლების მქონე პოზიციები.

რადგანაც იესო არის ღმერთი, მისი ავტორიტეტი არა მხოლოდ მამისგან მოდის, არამედ თავადაც ფლობს. მის ძალას არ გააჩნია ზღუდეები და იგი ჩვენთვის, მისი მოწაფეებისთვის, მოცემული დავალების საფუძველს წარმოადგენს (მარკ. 6:7; მათ 28:18-20).

გახსოვდეს

ცხოვრებაში ჩვენ უნდა გვქონდეს ძალაუფლება ყველანაირ წინააღმდეგობასა და უღმერთოებაზე. ჩვენ ვართ ისინი, რომლებმაც უნდა მართონ დედამიწა. თუკი იქ, სადაც ჩვენ ვართ, არასწორად ვითარდება მოვლენები და არასწორი მდგომარეობაა, ამის მიზეზი არის ის, რომ ჩვენ მოვიკოჭლებთ ჩვენთვის მოცემულ ძალაუფლებაში.

4. აბა დაფიქრდი. რამ შეიძლება გაიძულოს უარი თქვა შენთვის მოცემულ ძალაუფლებაზე (G) სახლში, სამსახურში, საზოგადოებაში? მოცემულ მომენტში თუ დგახარ ასეთი გამოწვევის წინაშე? თუკი ასეა, მაშინ როგორ შეუძლია ღმერთის მადლს შენი გაძლიერება ამ საკითხებთან გასამკლავებლად?

5. სიცოცხლეში მეფობისათვის ღმერთის მადლის მიერ მონიჭებული ძალა გვჭირდება. უპირველეს ყოვლისა ღმერთის მადლი – ესაა ღმერთის დაუმსახურებელი წყალობა, რომელიც გვაძლევს ცოდვების პატიებას და ხსნას. შეჩერდი და გულწრფელად უპასუხე ამ მნიშვნელოვან კითხვას:

როგორ მივიღე გადარჩენა, როგორ გავხდი მისაღები, გამართლებული და სიყვარულის ღირსი ღმერთთან ურთიერთობებში?

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: ეფეს. 1:7; 2:4-5; 8-9; საქმ. 15:11; რომ. 11:5-6; ტიტ. 2:11.

გზის მაჩვენებელი

„ღმერთის ძალა შენი ძალა და სიხარულია; და მხოლოდ მასში დარჩენით შეგიძლია იცხოვრო თავისუფალი ცხოვრებით. მაშ, იყავი ძლიერი ამ მადლში; მისგან მიიღე სიხარული; ფრთხილად იყავი, სხვა წყაროს არ მიმართო განახლების, ნუგეშისა და სიწმინდისათვის. ...ამ მადლის მისაღებად გამუდმებით ქრისტესკენ და მისი სისრულისკენ უნდა ილტვოდე“.

ფ. ჰორათიუს ბონარი

მადლი

ბერძნულ ენაზე, დედანში, სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება მადლის მნიშვნელობით, ჟღერს შემდეგნაირად: „charis“ (ქარის). ზოგადად მადლი „დაუმსახურებელ სიკეთეს, საჩუქარს, სარგებელს და პატივს“ ნიშნავს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მადლს თანაბრადვე აქვს „ღვთიური ძალის“ მნიშვნელობაც. ცნობილი მკვლევარი, დოქტორი ჯეიმს სთრონგი, რომელმაც 35 წლის განმავლობაში ბიბლიური სიტყვების ლექსიკონზე იმუშავა, ამბობდა, რომ მადლი ეს არის „ღვთიური გავლენა გულზე და მისი წარმოჩენა ცხოვრებაში“. უმთავრესად კი მადლი არის ღმერთის უსასყიდლო ძალა, რომელიც გვაძლევს უნარს ავმაღლდეთ ჩვენს ბუნებრივ შესაძლებლობებზე.

G 6. ღმერთის მადლი არა მხოლოდ გადარჩენას გვაძლევს, არამედ თვით ქრისტეს სისავსის მოზიარეს გვხდის. მისი ღვთაებრივი ბუნება ჩვენში მისი საოცარი სულის მოქმედების მიერ ინერგება და ვითარდება. გამოყავი დრო, რათა ქვემოთ მოცემულ ძლიერ მუხლებს ჩაუღრმავდე და აღწერო, თუ რას ნიშნავს მისი მადლის სისავსის მიღება.

„მისი სისავსიდან (სიუხვიდან) მივიღეთ [ყველას ერგო წილი და ყველა უზრუნველყოფილ იქნა] ყველამ მადლი მადლისა წილ“

-იოანე 1:16 (ინგ. ვერსია AMP)

„თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია, სისავსე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეში [რამეთუ ამ სხეულში [ქრისტეს სხეულში]“

-ეფესელთა 1:23(ინგ. ვერსია AMP)

„ვინაიდან მის [ქრისტეს] სხეულში დამკვიდრებულია ხორციელად ღვთაების [ღმერთის] (რომელიც ღვთიური ბუნების სრული გამოხატულებაა) მთელი სისავსე. და თქვენ სავსენი ხართ მასში, [ქრისტეში თქვენც აღვსილი ხართ ღმერთით – მამით, ძით და სულიწმიდით – და აღწევთ სრულყოფილ სულიერ მდგომარეობას]. ვინც ყოველი მთავრობისა და ხელმწიფების [ანგელოზთა ყოველგვარი ძალაუფლებისა და ძალისა] თავია“

-კოლასელთა 2:9-10(ინგ. ვერსია AMP)

{ფრჩხილებში მოყვანილი სიტყვები მოცემულია უკეთ გაგებისათვის}

ქრისტეს სისავსის მიღება ნიშნავს...

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

G 7. რომ. 5:2 ამბობს, რომ ღმერთის მადლთან რწმენით გვაქვს მისადგომელი, რომელშიც ვდგავართ. ყურადღებით ნაიკითხეთ წმინდა წერილში გადმოცემული ეს აღთქმები და დაადგინეთ, თუ როგორ ვიღებთ ღმერთის მადლს. რისგან უნდა დავიცვათ თავი, რომ არ მოვწყდეთ ამ მადლს?

„მაგრამ მით უფრო მეტ მადლსაც იძლევა (სულიწმიდის მეტ ძალას, რათა წინ აღუდგეს ბოროტ გულისთქმას და სხვა უმართლობას).

გზის მაჩვენებელი

„ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე ქრისტეს სისავსისგან იღებს. საუკეთესო და დიდ წმინდანებს მის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, ყველაზე სუსტები მისით ცოცხლობენ. ეს გამორიცხავს ტრაბახს, რამეთუ ჩვენ არაფერი გვაქვს ისეთი, რაც არ მიგვიღია; გვათავისუფლებს შიშისგან, რომ მეტი არაფერი გვინდა, გარდა იმისა, რასაც მივიღებთ. ყველაფერი, რაც მიგვიღია ქრისტეს მიერ, ერთ სიტყვაშია თავმოყრილი – მადლი; ესაა დიდებული საჩუქარი, უხვი და შეუფასებელი“

მეთიუ ჰენრი

ამიტომ ამბობს: „ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“ -იაკობი 4:6 (ინგ. ვერსია AMP)

„ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს [რომელთაც მის მისაღებად საკმარისი თავმდაბლობა აქვთ] კი მადლს ანიჭებს [განუწყვეტლივად] “

-1 პეტრე 5:5 (ინგ. ვერსია NIV)

„მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღვთისა და ჩვენი უფლის იესოს ცოდნით. ისე როგორც მისმა ღვთიურმა ძალამ [მადლმა] მოგვანიჭა *ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება,* მისი ცოდნით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში“

-2 პეტრე 1:2-3 (ინგ. ვერსია NLT)

გზის მაჩვენებელი

„ლოცვა ეს არის სავარჯიშო ღმერთის მადლთან დასაახლოებლად. ნუ იტყვი – გავუძლებ და მერე წავალ და ვილოცებ. ახლავე ილოცე; საჭიროებისთანავე დაუახლოვდი ღმერთის მადლს. ლოცვა ყველაზე პრაქტიკული რამაა, ის ღმერთთან ურთიერთობისათვის საჭირო რეფლექსის გამოვლინებაა. ლოცვა ეს არის...ისეთი რამ, რაც ღმერთის მადლთან გვაახლოებს.“
ოსვალდ ჩამბერსი

8. ღმერთის ძლიერი მადლი ძალის მომცემი უსაზღვრო, შეუზღუდავი წყაროა. ის იმ კონკრეტული საჭიროების უზრუნველმყოფ ფორმას იღებს, რომელიც ჩვენ გვჭირდება. როგორც მთავარი გასაღები, რომელიც ღმერთის კურთხევების ყველა კარს აღებს, მათ შორის სიბრძნის, განკურნების, მიმართულების, შემოქმედებითობის და სასწაულებრივი ძალის. შეჩერდი და დაფიქრდი: როგორც შენი ასევე შენი ოჯახის რა საჭიროების უზრუნველსაყოფად გინდა ღმერთის მადლი?

ღმერთის მადლი მჭირდება...

1. _____

2. _____

3. _____

ჩემს მეუღლეს/შვილებს ღმერთის მადლი სჭირდება...

1. _____

_____

2. _____

_____

3. _____

_____

უფლის წინაშე მდუმარედ მყოფმა სთხოვე მას მადლი ამ კონკრეტულ სფეროებზე გასამარჯვებლად. ეძებე მის სიტყვაში, რათა იპოვო ის აღთქმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საჭიროებებს. იფიქრე და ილოცე მის აღთქმებზე. შემდეგ დაუკვირდი როგორ უპასუხებს ის შენს ლოცვებს. გააკეთე ჩანაწერები იმის შესახებ რაც მოხდება, რათა შემდგომ გაიხსენო და სხვებსაც გაუზიარო.

„აი რა მინდა გააკეთო: იპოვეთ წყნარი ადგილი, რათა ღმერთის წინაშე ხელოვნურად და ნაძალადევად დგომა არ გამოგივიდეთ. რაც შეიძლება წრფელად და უბრალოდ მიდით მასთან. ამ შემთხვევაში ყურადღების ცენტრში ღმერთი იქნება და შენ დაიწყებ მისი მადლის შეგრძნებას. მსოფლიო სავსეა ეგრეთ წოდებული ლოცვის მეომრებით, რომლებსაც ლოცვისა არაფერი გაეგებათ. მათ მრავლად აქვთ სხვადასხვა პროგრამები, ფორმულები, რჩევები, შემუშავებული ტექნიკა იმისათვის, რომ ღმერთისგან მიიღო ის, რასაც სთხოვ. ნუ დაუჯერებ ამ უგუნურებას. შენ მამასთან გაქვს საქმე, და მან შენზე უკეთ იცის რა გჭირდება. ასეთი მოსიყვარულე მამის წინაშე შენ შეგიძლია ძალიან უბრალოდ ილოცო“

-მათე 6:6-8 (ინგ. ვერსია The Message)

G 9. ღმერთის მადლის გამოვლინება კარგად შეიძლება დავინახოთ სტეფანეს, პავლეს და ანტიოქიის ეკლესიის ცხოვრებაში (იხ. საქმ. 6:8; 11:22-23; 19:11). ღმერთის მადლის მოქმედების რა გარეგნული გამოვლინებები არსებობს შენს ცხოვრებაში? სთხოვე შენს ახლობელ ადამიანებს გაგიზიარონ, რას ხედავენ ისინი.

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: 1 პეტრე 4:10-11;

10. აფრიკის ერთ-ერთ ტომს ძვირფასი საჩუქარი გადაეცა, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს ის, რადგანაც არ იცოდნენ მისი დანიშნულება. მადლის მთავარი დანიშნულებაა გაძლიერება – უნარი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გასცდე ბუნებრივ შესაძლებლობას. ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ, რა განსხვავებას ხედავ ღმერთის მადლთან დაკავშირებით, რა შეხედულება გქონდა სწავლის დაწყებამდე და რას ფიქრობ ახლა სწავლის

ლოცვა

დასრულების შემდეგ? რა ჭეშმარიტება (ჭეშმარიტებები) გამოიყენა სულიწმიდამ იმისათვის, რომ მადლის მნიშვნელობა უფრო რეალურად წარმოეჩინა?

მამაო, გთხოვ ქრისტე დამკვიდრდეს (იცხოვროს, გული საცხოვრებლად გაიხადოს) ჩემს გულში რწმენის მეშვეობით! დაე, ღრმად ფესვგადგმული ვიყო შენს სიყვარულში, რათა მქონდეს ძალა, რომ ჩავწვდე ყველა წმინდანთან ერთად [ღმერთის რჩეულ ხალხთან განვიცადო ეს სიყვარული] რა არის სიგრძე და სიგანე და სიღრმე [მისი].

დაე, გავიგო [პრაქტიკულად, საკუთარი გამოცდილებით] ქრისტეს სიყვარული, რომელიც ყოველგვარ ცოდნას [განცდის გარეშე] აღემატება. დაე, ავივსო [მთელი არსებით] შენი მთელი სისავსით [რათა მივაღწიო შენი ღვთაებრივი თანდასწრების სისავსეს და გავხდე თვით ღმერთით სავსე სხეული]!
იესოს სახელით, ამინ.

ეფესელთა 3:17-19-ზე დაფუძნებული პირადი ლოცვა

მთელი კვირის
ა მ ო ც ა ნ ა

იმისათვის, რომ კარგად შევითვისოთ ახალი გამოცხადება, საჭიროა იგი სხვას ვასწავლოთ. გაიხსენეთ ერთი ან ორი პიროვნება, რომლებიც იცით რომ ვერ ახერხებენ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში საკუთარი ძალით მეფობას. დაპატიჟეთ ისინი ყავაზე, სავაჭროდ ერთად წადით, ან სახლში სადილზე მიიწვიეთ და გაუზიარეთ ის, რაც ღმერთის მადლის შესახებ ისწავლეთ მსგავს სიტუაციებთან გასამკლავებლად.

დღე 1 მთელი ზეცა შენს მხარესაა!

„ვინ არიან ანგელოზები? ისინი არიან მომსახურე სულები, გამოგზავნილი ხსნის მიმღებთა სამსახურად“

-ებრაელთა 1:14 (ინგ. ვერსია GW)

ჩვენ, როგორც მორწმუნეები, მადლით ვართ დახსნილნი, რათა ვიმეფოთ ამ ცხოვრებაში – რათა ვიხილოთ ღვთის სასუფეველი დედამიწაზე, ისევე გაცხადებული, როგორც ზეცაშია. ღმერთმა იესო თავის წარმომადგენლად გამოგზავნა, ხოლო იესო ჩვენ გვაგზავნის, როგორც თავის წარმომადგენლებს. რიკ რენერი, ბრწყინვალე ხუცესი და ბერძნული ენის მცოდნე, ამ პრინციპს კარგად წარმოაჩენს. ის ამბობს:

„იცით თუ არა, რომ თქვენ მაღალი დონის, შთამბეჭდავი და გავლენის მქონე საქმე გავალიათ ღმერთის სასუფეველში? ეს სიმართლეა! თქვენ იმდენად მნიშვნელოვანი ხართ ღმერთის სასუფევლისათვის, რომ მთელი ზეცა თქვენს მხარესაა, თქვენს გასამაგრებლად, თქვენს დასაცავად, უზრუნველსაყოფად და დასახმარებლად და თავის ძალებს რწმენით გადადგმული ნაბიჯებისკენ მიმართავს! მოკლედ რომ ვთქვათ, ზეცა ელოდება, რომ თქვენს დასახმარებლად ამოქმედდეს. რატომ? იმიტომ, რომ შენ ქრისტეს ელჩი ხარ ამ წუთისოფელში!“

შენ იესო ქრისტეს ელჩი ხარ! მისი მადლით ხარ აღჭურვილი და ზურგს მისი ანგელოზები გიმაგრებენ, რათა დედამიწაზე შექმნილი პრობლემებისათვის გამოსავალი მოგივლინონ.

შეჩერდი და იფიქრე. რა სახით გსურს იხილო საკუთარი თავი და ღმერთის ხალხი ცხოვრებაში გამეფებული?

მსოფლიოში არსებული რა სახის უსამართლობა – განსაკუთრებით შენი გავლენის სფეროში – გაღიზიანებს და გაბრაზებს ყველაზე მეტად?

იცი რა, რომ შენ ფლობ ამ სიტუაციის შესაცვლელად საჭირო ძალას და (მადლი) რას მოიმოქმედებ?

---

*„რამეთუ თავის ანგელოზებს უბრძანა, **თან გახლდნენ** და **დაგიცვან** და **დაგიფარონ** ყველა შენს გზაზე [მორჩილებისა და მსახურების გზაზე]. ხელში აყვანილს გატარებენ, რომ ფეხი არ წამოჰკრა ქვაზე“*

-ფსალმუნი 91:11-12 (ინგ. ვერსია AMP)

შემდგომი შესწავლისათვის ...

ღმერთის ანგელოზები საოცარი გზებით ეხმარებოდნენ ღვთის ერს. აი, რამდენიმე მაგალითი:

ისრაელი: გამოსვ. 23:20-23; ელია: 3 მეფ. 19:3-8; დანიელი: დან. 6:16-23; პეტრე: საქმ. 12:5-11.

დღე 2 მიმზიდველი ხარ?

„იმიტომ, რომ ღმერთმა [თითონ პირადად] ქრისტეში შეირიგა სოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა. ამგვარად, ჩვენ ელჩები ვართ ქრისტესთვის, და ვითომც თავად ღმერთი **შეგაგონებდეთ** ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: [ამჟამად მოცემული] შეურიგდით ღმერთს“

-2 კორინთელთა 5:19-20 (ინგ. ვერსია AMP)

იესო ქრისტეში რწმენის მეშვეობით – რწმენის, რომ ის უცოდველი იყო, რომ ის ჩვენი ცოდვების საფასურის გადახდის გამო მოკვდა და გამარჯვებული აღდგა მკვდრეთით, ჩვენ ღმერთს შევურიგდით. ჩვენ ახალი დასაწყისი მოგვეცა და ღმერთთან სწორ ურთიერთობაში ვიმყოფებით. ჩვენი ახალი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ღმერთმა დავალება მოგვცა, რომ სხვებს მასთან შერიგებაში დავეხმაროთ. მას სურს, რომ ამ ცხოვრებაში ისე ვიმეფოთ, როგორც მისმა ელჩებმა.

ვინ არის ელჩი?

როგორც ახალი აღთქმის პერიოდში, დღესაც სიტყვა „ელჩს“ იგივე მნიშვნელობა აქვს. ელჩი არის:

- ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც ენიჭება უფლება თავისი წარმომგზავნელის სახელით ილაპარაკოს;
- ძალაუფლების მქონე მაუწყებელი, რომელსაც შესწევს ძალა გადაწყვეტილებების მისაღებად და წარმოადგენს იმ ქვეყანას ან მთავრობას, ან მეფეს, რომლის წარმომადგენელიც არის;
- მაღალი რანგის უცხოურ მთავრობასთან ან მეფესთან აკრედიტებული დიპლომატი.

შენ, როგორც ქრისტეს ელჩი, დედამიწაზე მისი კანონიერი წარმომადგენელი ხარ, რომლის მეშვეობით ღმერთი ქვეყნიერებაზე მცხოვრებ ადამიანებს მიმართავს, რათა მასთან ურთიერთობები აღადგინოს.

წარმოიდგინე, რომ ღმერთთან ურთიერთობაში არ ხარ, მაგრამ იცნობ ადამიანს, რომელიც შენს მსგავსად ცხოვრობს და იქცევა. მიგიზიდავს ეს ადამიანი ქრისტესთან? რატომ არა?

_____

_____

დაფიქრდი! სთხოვე ახლო მეგობარს, რომ მან გითხრას, რას ხედავს შენში ისეთს, რომელიც მიიზიდავს ან არ მიიზიდავს მას ქრისტესთან.

რა ცვლილებებს შეიტანდი შენს გარშემო მყოფი ადამიანების ღმერთისკენ მოწოდების საქმეში?

_____

_____

_____

შემდგომი შესწავლისათვის ...
მათ. 5:13-16;
1 პეტრ. 2:9-17;
ლუკ. 6:35.

დღე 3 როგორ ხედავ საკუთარ თავს?

„მაშასადამე, ის, ვინც [დამყნობილი] ქრისტეშია (მესია), ის ახალი ქმნილებაა (მთლიანად ახალი ქმნილება). ძველი [უწინდელი მორალური და სულიერი მდგომარეობა] გადავიდა და ახლა ყოველივე ახალია!“

-2 კორინთელთა 5:17 (ინგ. ვერსია AMP)

იმისათვის, რომ ცხოვრებაში წარმატებით იმეფო, მაშინ უნდა ისწავლო ღმერთის ისეთად დანახვა, როგორიც ის არის და საკუთარი თავის ქრისტეს განუყოფელ ნაწილად აღქმა. შენ მასთან ერთი ხარ და მისი მადლის სასწაულებრივ ძალას იზიარებ. სწორედ ამიტომ ამბობდა პავლე დიდი მონდომებით: *„და გაანათლოს თქვენი გულის თვალები, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის* (ეფეს. 1:18). ღმერთს სურს, რომ გულის თვალები აგიხილოთ...

„[რათა იცოდეთ და გაიგოთ] და რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, რომელთაც საქმით გვწამს მისი ძალის ძლიერება, რომლითაც მან იმოქმედა ქრისტეში, მკვდრეთით აღადგინა რა იგი და თავის [საკუთარი] მარჯვნივ დასვა ზეცაში [ადგილებში] „ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალაზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე [ტიტულზე, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს] მაღლა, რაც კი იწოდება არა მარტო ამ საუკუნეში, არამედ მომავალშიც. „და ყოველივე დაუმორჩილა მის ფერხთა ქვეშ და დაადგინა იგი ყველაფერზე – თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია, სისავსე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეში“

-ეფესელთა 1:19-23 (ინგ. ვერსია AMP)

გახსოვდეს

გახსოვდეს, შენ ქრისტეს ნაწილი ხარ. თავი სხეულისგან ცალკე არ არსებობს. ჩვენ ყველანი ერთად ვსხედვართ ზეცაში მეფობის და ძალაუფლების ადგილას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ისეთ ადგილას ვართ, რომელიც ყველანაირ მიწიურ ძალაზე ამაღლებულია. ფაქტობრივად, ყველაზე მაღლა ვართ. არ არსებობს არცერთი დემონური სული, დაცემული ანგელოზი, და თუნდაც თავად სატანაც კი, რომელსაც რაიმე სახის ძალაუფლება გააჩნია ჩვენზე. ჩვენი მეფობა უზენაესია.

რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ შენ ზეციური მმართველობის ადგილას ზიხარ?

_____

_____

_____

_____

გჯერა, რომ ეს ყველაფერი შენ გეხება? კიდევ რას გიჩვენებს ღმერთი?

_____

_____

_____

_____

დღე 4 შენ ღმერთის შვილი ხარ!

„ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა (გვიჩვენა, გვიბოძა) მამამ, რათა გვეწოდოს [მოგვეცეს უფლება] და ვიყოთ ღვთის შვილნი!„

-1 იოანე 3:1 (ინგ. ვერსია AMP)

მადლით ვართ გადარჩენილი! ღმერთმა მეფობის სამფლობელოდან და-გვიხსნა და შეგვიყვანა თავისი ძის სამეფოში, რომელმაც თავისუფლება მოგვიპოვა და ცოდვები გვაპატია“ (კოლ. 1:13-14). ქება მის სახელს! მაგრამ ღმერთმა მხოლოდ თავის მსახურებად არ დაგვნიშნა. მან გვიშვილა და იესოს თანამემკვიდრენი გაგვხადა. ყველაფერი – ყველაფერი, რაც იესოსია, ჩვენიც არის. ეფესელთა 1:3 ამბობს: „რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით ცათა შინა“. რა საოცარი აღთქმაა!

იფიქრეთ ქვემოთ მოყვანილ მუხლებში გადმოცემულ გზავნილზე:

„ვინც მიიღო და ირწმუნა იგი, მისცა ხელმწიფება ღმერთის შვილად გახდომისა“

-იოანე 1:12-13 (ინგ. ვერსია NLT)

„რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან. ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშით იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: „აბბა მამაო.“ სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ“.

-რომაელთა 8:14-16 (ინგ. ვერსია NLT)

„მოავლინა ღმერთმა თავისი ძე (იესო), რომელმაც ჩვენთვის, რჯულის მონობაში მყოფ- თათვის თავისუფლება მოიტანა, რათა მივიღეთ, როგორც საკუთარი შვილები. ...ღმერთმა თავისი ძის სული წარმოგზავნა თქვენს გულებში, და ახლა მას შეგიძლია ძვირფასი მამა უწოდო. ახლა მონა აღარ ხარ, არამედ ღმერთის შვილი. და რადგანაც მისი შვილი ხარ, რაც მას გააჩნია, ყველაფერი შენია“.

-გალატელთა 4:5-7 (ინგ. ვერსია NLT)

რას გიცხადებს ღმერთი თავის ძედ/ასულად ყოფნის შესახებ?

წაიკითხე ეფესელთა 5:1-2; რას გეუბნება ეს მუხლი ღმერთის შვილად ყოფნის შესახებ?

წაიკითხე 2 პეტრე 1:3-4; აღწერე კავშირი, რომელიც ღმერთის ღვთაებრივი ბუნების ფლობას (ქრისტეს სისავსე) და მის შვილად, იესოს თანამემკვიდრედ ყოფნას შორის არსებობს.

დაკავშირებული ადგილები: გალატელთა 3:26; ეფესელთა 3:6;

დღე 5 შეჩერდი!

„რვა დღის შემდეგ პეტრე, იოანე და იაკობი წაიყვანა თან და მთაზე ავიდა სალოცავად. და როცა ლოცულობდა, მისი სახის იერი შეიცვალა და მისი სამოსელი თეთრად მოქათქათე შეიქმნა“

-ლუკა 9:28-29 (ინგ. ვერსია NLT)

მთები, უდაბნოები, ბაღები და სანაპიროები – ეს არის ოთხი სახის ადგილი, სადაც იესო ხშირად ჩერდებოდა და მამასთან მოზიარეობაში იმყოფებოდა განმარტოებული. რა ხდებოდა ამ დროს? იესო იცვლებოდა. მართალია მამასთან მის ყოველ მოზიარეობას ისეთი გარეგნული გამოხატულება არ ჰქონდა, როგორიც ფერისცვალების დროს, მაგრამ მისი ყოველი მოზიარეობა მამასთან, სულს საშუალებას აძლევდა აღევსო, განეახლებინა და სწორ მიმართულებაზე დაეყენებინა ძე. ამის მეშვეობით შეეძლო მას ემეფა ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ იესო ღმერთის ძე იყო, მამასთან ერთობის შენარჩუნება მის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა დედამიწაზე. რადგანაც ის მასთან დროს ატარებდა, იგი გამუდმებით ძალით იყო აღვსილი და მამის ნების მორჩილებაში რჩებოდა.

რა განსაკუთრებული რამ შეგიძლია გააკეთო იმისათვის, რომ გაზარდო დრო, რომელსაც მამასთან მოზიარეობაში ატარებ?

ყურადღებით წაიკითხე თითოეული მუხლი და გაარკვიე თუ რა ხდებოდა, ყოველთვის მას შემდეგ, რაც იესო მამას დაუთმობდა დროს. შენი აზრით, რა როლს თამაშობდა ეს იმაში, რომ შედეგი ყოველთვის სასწაულებრივი იყო?

მარკ. 6:45-51

ლუკ. 6:12-16

მათ. 26:36-46; ლუკ. 22:39-54; მათ. 14:22-36; მარკ. 6:45-56;

შემდგომი შესწავლისათვის ...
მარკ. 1:35; 6:31-32;
ლუკ. 5:16; იოან 18:1-2

დღე 6 საუკეთესო ჯერ წინ არის!

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ. რასაც ითხოვთ ჩემი სახელით გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში. თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ“

-იოანე 14:12-14 (ინგ. ვერსია NLT)

დედამიწაზე ყოფნისას იესო მეფობდა ცხოვრებაში. ის ზეციერი მამის ზუსტი მსგავსება იყო, და მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მამასთან ჰქონდა ნანახი (იხ. ებრ. 1:3; იოან. 5:19). სახარებებში ოცდაათზე მეტი სასწაულია ჩაწერილი, რომელიც იესოს ხელმა მოიმოქმედა, მაგრამ მან გაცილებით მეტი გააკეთა. ყველაფერი რომ დაწერილიყო ...მე ვერ წარმომიდგენია, რომ დედამიწა შეძლებდა იმ წიგნების დატევას“ (იოან. 21:25). აი, რამდენიმე ადგილი, სადაც აღწერილია იესოს საქმეები:

იესო მეფობდა ცხოვრებაში...	**თავად იხილეთ ადგილები**
ძალაუფლება ჰქონდა ამინდზე. მან შერისხა ქარიშხალი	მათ. 8:23-27; მარკ. 4:35-41;
გაამრავლა საკვები ჯერ 5000, შემდეგ 4000 ადამიანისათვის.	მათ. 14:13-21; 15:32-38; მარკ. 6:35-44; ლუკ; 9:12-17; იოან; 6:5-13;
მკვდრებს აღადგენდა	მარკ. 5:35-43; ლუკ. 7:11-15; იოან; 11:41-44;

იესომ თქვა, რომ უფრო დიდ საქმეებს გააკეთებ. რატომ უნდა ღმერთს, რომ უფრო დიდი საქმეები გააკეთოთ?

დაასახელე ღმერთის ძალისმიერი „უფრო დიდი საქმეები“ ან გამოვლინებები, რომლის უშუალო მოწმე თავად ხარ. თავად თუ ყოფილხარ ჭურჭელი, რომ-ლის მეშვეობითაც ღმერთს უმოქმედია? რა გავლენა მოახდინა ამან შენს და იმ ადამიანთა რწმენაზე, რომლებმაც იხილეს ეს გამოვლინებები?

ყურადღებით წაიკითხე იოან 6:28-29; 15:1-8; და 1 იოან. 5:14-15. რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში იმისათვის, რომ უფრო დიდი საქმეების კეთება შეძლო? რა სახის გამოწვევას ხედავ ამ მუხლებში?

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

შენთვის, როგორ მორწმუნისთვის, ღმერთის მადლის შეუზღუდავი მარაგი ხელმისაწვდომია. შენ ღმერთის შვილი ხარ და მოცემული გაქვს ძალა იმისათვის, რომ ცხოვრების ყველა სფეროში იმეფო. მადლი ქრისტეს სისავსით გავსებს – მისი ღვთაებრივი ბუნებით. მადლის მეშვეობით მტრის ყოველ ძალაზე გაქვს ავტორიტეტი და უნარი, რომ შენს ბუნებრივ შესაძლებლობებზე ამაღლდე. მადლის მიღება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეიძლება გულმოდრეკილი ლოცვის მეშვეობით.

შენიშვნები

(1) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (2) Adapted from The New Unger's Bible Dictionary, Merrill F. Unger (Chicago, IL: Moody Press, 1988). (3) Adapted from Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 666. (4) Adapted from Strong's Exhaustive Concordance of the Bible, James Strong, LL.D., S.T.D. (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 1990). (5) Standing Firm, 365 Devotions to Strengthen Your Faith, compiled by Patti M. Hummel (St. San Luis Obispo, CA: Parable) p. 360. (6) The Matthew Henry Study Bible, KJV; A. Kenneth Abraham, General Editor (World Bible Publishers, Inc., 1994) note appearing with John 1:16. (7) Oswald Chambers, My Utmost for His Highest (Uhrichsville, OH: Barbour Publishing, Inc., MCMXCVII) p. 178. (8) Rick Renner, Sparkling Gems from the Greek (Tulsa, OK: Teach All Nations,
2003) p. 55. (9) Ibid (adapted).

„თქვენ კი რჩეული მოდგმა
ხართ, სამეფო სამღვდელოება,
წმინდა ერი, წილხვედრილი
ხალხი, რათა გამოაცხადოთ
მისი სათნოებანი, ვინც
სიბნელიდან თავისი
საკვირველი ნათლისკენ
მოგიხმოთ“

-1 პეტრე 2:9

(ინგ. ვერსია AMP)

თავი 3

გამორჩეული

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-4 და მე-5 თავები და მოისმინეთ ვიდეო კურსის მე-3 გაკვეთილი..

1. რა სასწაულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა იესო! წმინდა წერილი ამბობს, რომ ღმერთის მადლი იყო მასზე, რომელიც ძალას აძლევდა მას, რათა ცხოვრების ყველა სფეროში გამორჩეული ყოფილიყო. დაასახელეთ სამი სფერო, რომელშიც იესო გამორჩეულად ცხოვრობდა. ამ სამიდან, რომელია შენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა? რატომ?

გახსოვდეს

„ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, ისევე უნდა მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“ (1 იოან. 2:6). როგორ მოვიქცეთ იესოს მსგავსად? ღმერთის მადლით. მადლი უფრო მეტია, ვიდრე ცოდვების მისატევებელი საშუალება; ის გვაძლევს ძალას იესოს მსგავსად ვიაროთ, რამეთუ მისი მეშვეობით იესოს ბუნებას ვფლობთ.

3 სფერო, რომელშიც იესო გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა:

1. _____

_____

2. _____

_____

3. _____

_____

ყველაზე დიდი გამოწვევა ჩემთვის არის...

_____

_____

_____

_____

G 2. თუკი წმინდად ცხოვრებას საკუთარი ძალებით შევეცდებით, ორი სახის აზროვნებიდან ერთ-ერთი ჩამოგვიყალიბდება: ან თვალთმაქცი მეკანონე გავხდებით (ვილაპარაკებთ ერთს და გავაკეთებთ მეორეს) ან გავაგრძელებთ ჩვენს მოდუნებულ ცხოვრების სტილს, დავიჯერებთ რა არაბიბლიურ აზრს, რომ „მადლი ყველა იმ ცოდვას ფარავს, რომლის ჩადენასაც კვლავაც ვაგრძელებ“. იზიარებ თუ არა რომელიმე მათგანს? თუ დიახ, მაშინ აქედან დახსნის რა გზებს ხედავთ ამ გაკვეთილში?

გზის მაჩვენებელი

„მთავარი გასაღები მადლით ცხოვრებისათვის არა უბრალოდ მონდომება და საკუთარი ძალით მცდელობაა, არამედ ქრისტესთან დაახლოება. სწორედ აქ არის ძალა. ...იესო ქრისტეს სურს, საკუთარი ცხოვრება შენი მეშვეობით წარმოაჩინოს და შენი სუნთქვის აპარატი იყოს. სულიერად მის გარეშე სუნთქვას ვერ შეძლებ და ეს არც მე არ შემიძლია. მისი მადლი ჩვენს ფილტვებში არსებული ჟანგბადია, რომლის მეშვეობითაც სულიერი სიცოცხლე ხდება შესაძლებელი. როდესაც საკუთარ თავს ქრისტეს მივანდობთ, ის სიცოცხლის მომნიჭებელი, საოცარი მადლის ნიჭით აღგვავსებს“

ტონი ევანსი

გახსოვდეს

სიწმინდე ჩვენი სხეულის დამახასიათებელ საქმეს არ წარმოადგენს – ის ღმერთის მადლის ნაყოფია. მადლი ღმერთის ძალის მომნიჭებელი თანდასწრებაა ჩვენს ცხოვრებაში, რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ის, რის გაკეთებასაც სხვაგვარად საკუთარი ძალით ვერ შევძლებდით. ის გვანიჭებს უნარს განვიწმინდოთ ყველაფრისგან, რაც ჩვენს სხეულსა და სულს აუწმინდურებს, რათა სრულიად განწმედილებმა ვიცხოვროთ. ეს არის ღმერთისათვის მისაღები მსახურების საშუალება.

„ამიტომ ჩვენ, შეუძრავ სასუფეველს რომ ვღებულობთ, **ვიქონიოთ მადლი,** რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს, მოწიწებითა და მოშიშებით.

-ებრაელთა 12:28 (ინგ. ვერსია NKJV)

G

3. თუკი ღმერთის მადლის მოპოვებას „საკუთარი სიკეთით“ შევეცდებით, ან ღირსეულ მიზნებს დავისახავთ მის მოსაპოვებლად, მაშინ მადლს ვამცირებთ და საქმეების დონემდე დაგვყავს. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სხვადასხვა აქტივობების ჩამონათვალი. ოდესმე თუ გიცდიათ ამ ჩამონათვალიდან, რომელიმეს მეშვეობით მოგეპოვებინათ ღმერთის მადლი?

წმინდა წერილის განსაზღვრული
რაოდენობით კითხვა;
ხანგრძლივი ლოცვა;
მარხვა;
სხვების მიმართ მოთმინების გამოვლენა;
მსახურებაში მონაწილეობის მიღება;
გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარება;
მეათედის და შესაწირავის გაღება;
სახარების გაზიარება;
ეკლესიაში სიარული;
ამა თუ იმ ცოდვისაგან თავის შეკავება;
სწორი სიტყვებით საუბარი და
სხვა. _____

რა გიშლიდა ხელს ღმერთის უსასყიდლო საჩუქრის, მადლის უკეთ გაგებაში?

ღმერთის წინაშე მოიტანე სირთულე და განსაცდელი რომლის წინაშეც დგახარ. გახსოვდეს, რომ მადლი ღმერთის ძალაა. ის არის კურთხევის წყარო, რომელიც მოიცავს სიბრძნეს, მიმართულებას, შემოქმედებითობას, ცხებულებას და სასწაულებრივ ძალას. ზემოთ ჩამოთვლილის მეშვეობით ვერ მიიღებ მადლს. მადლის მიღება რწმენით და მოდრეკილი გულით არის შესაძლებელი.

G 4. ღმერთის მადლის მეშვეობით იესოც აკმაყოფილებდა კაცობრიობის საჭიროებებს. კურნავდა ავადმყოფებს, თვალს უხელდა ბრმებს, ყრუებს სმენას უბრუნებდა, კოჭლებს სიარულის უნარს, მშიერთათვის საკვებს ამრავლებდა, ეშმაკეულებს ათავისუფლებდა, მკვდრებსაც კი აღადგენდა. ყურადღებით წაიკითხეთ ეს მუხლები.

„მოუწოდა თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ხელმწიფება არაწმიდა სულებზე, რომ განედევნათ ისინი და განეკურნათ ყოველგვარი სენი და ყოველგვარი უძლურება“

-მათე 10:1 (ინგ. ვერსია AMP)

„ეს სასწაულები იქნება მორწმუნეთა თანმხლები: ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან, ახალი ენებით ილაპარაკებენ. ხელში გველებს აიყვანენ და, თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან, არ ავნებთ. ავადმყოფებს ხელებს დაასხამენ და განიკურნებიან ისინი“

-მარკოზი 16:17-18 (ინგ. ვერსია GW)

„მოციქულთა ხელით მრავალი ნიშანი და სასწაული ხდებოდა ხალხში. ...სულ უფრო და უფრო ემატებოდნენ უფალს მორწმუნეები, მრავალი მამაკაცი და დედაკაცი. ისე რომ, ავადმყოფები ქუჩაში გამოჰყავდათ და საკაცეებზე და საწოლებზე აწვენდნენ, რომ ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაფენოდა რომელიმე მათგანს. ბევრი მოდიოდნენ იერუსალიმის გარშემო ქალაქებიდან, მოჰყავდათ სნეულები და უწმიდური სულებით შეპყრობილნი, და ყველანი იკურნებოდნენ“

-საქმეები 5:12, 14-16 (ინგ. ვერსია CEV)

რას გაჩვენებს უფალი ამ მუხლებიდან? შენ, როგორც ქრისტეს ნაწილს, რა შეგიძლია გააკეთო სხვათა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ლუკ. 4:38-41; საქმ. 28:1-6;

*„ჭეშმარიტად ვრწმუნდები, რომ ღმერთი **პიროვნებათა მიმართ მიკერძოებული** არ არის“*

-საქმეები 10:34 (ინგ. ვერსია AMP)

5. სიბრძნე გჭირდება? ღმერთის მადლის სისავსეს შეუძლია უზრუნველგყოს სიბრძნით. გაიაზრე ქვემოთ მოყვანილი მუხლები. რას გეუბნება ღმერთი სიბრძნის, გონიერების, წვდომის,
გამჭრიახობის და შემოქმედებითობის შესახებ? რა სიტუაციისათვის

გახსოვდეს

იესოს ცხოვრებაში არსებულმა ღმერთის მადლმა მას საშუალება მისცა შეეცვალა ის საზოგადოება, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა. ახლა კი ის გვეუბნება: „როგორც მამამ გამომაგზავნა, ასევე გაგზავნით თქვენ“ (იოან. 20:21). ჩვენ უნდა შევცვალოთ საზოგადოება, რომელშიც ვიმყოფებით, ისევე, როგორც ამას იესო აკეთებდა: ღმერთის უსასყიდლო საჩუქრის, მადლის მეშვეობით!

გჭირდება პასუხი მოცემულ მომენტში? შეჩერდი და ილოცე, რომ ღმერთმა გაგინათოს გონება, რათა გამოსავალი იპოვო. დაწერე რას გეუბნება იგი.

„ხოლო ღმერთი უჩვეულო სასწაულებს ახდენდა პავლეს ხელით. ისე რომ, ავადმყოფებს მისი სხეულიდან აღებულ ხელსახოცებსა თუ წელ-საკრავებს ადებდნენ და ბოლო ეღებოდა მათ სნეულებებს, და ავი სულები გამოდიოდნენ მათგან“

-საქმეები 19:11-12 (ინგ. ვერსია NIV)

დიახ, თუკი უკეთესი გამჭრიახობა გსურს და გონებას მოუხმობ, საზრიანობას მისცემ შენს ხმას; თუ მოძებნი მას, როგორც ვერცხლს და მონახავ მას, როგორც საუნჯეს, მაშინ გაიგებ უფლის შიშსა და უფლის შეცნობას ჰპოვებ რადგან უფალი იძლევა სიბრძნეს, მისგანაა ცოდნა და გონიერება. შეუნახავს მოსაზრებულობას პატიოსანთ, ის ფარია უბიწოდ მავალთათვის, რათა დაიცვას სიმართლის გზები და წმიდათა ბილიკებს გაუფრთხილდეს. მაშინ გაიგებ სამართლიანობას და სამართალს და პატიოსნებას – სიკეთის ყველა ბილიკს. როდესაც შევა სიბრძნე შენს გულში და ცოდნა ეამება შენს სულს“.

-იგავები 2:3-10 (ინგ. ვერსია TLB)

„ღმერთმა ქრისტეში დაფარა სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი“

-კოლასელთა 2:3 (ინგ. ვერსია GW)

„თუკი სიბრძნე გჭირდება - თუკი გინდა იცოდე, რისი გაკეთება სურს ღმერთს შენგან - სთხოვე მას და ის დიდი სიხარულით გეტყვის ამას. მაგრამ როდესაც სთხოვ, დარწმუნებული იყავი იმაში, რომ მართლა დაელოდო მის პასუხს“

-იაკობი 1:5-6 (ინგ. ვერსია Nგთ)

რთული სიტუაცია, რომელშიც ახლა ვიმყოფები, არის...

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: დან. 2:21; მათ. 7:14; ლუკ. 21:15; იოან 8:31-32.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი, რომელსაც ღმერთი მიჩვენებს, არის...

არსებული სიტუაციიდან საჭირო გამოსავალი შესაძლოა დღესვე არ გამოჩნდეს, მაგრამ აუცილებლად გამოჩნდება. როცა ღმერთისგან მიიღებ გამოცხადებას, ჩაიწერე და მადლობა უთხარი უფალს.

გამორჩეული

„განსხვავებული ნიშნებით ან მახასიათებლებით ცნობილი, გამორჩეული; სხვებზე აღმატებული, არაჩვეულებრივი თვისებების მქონე“. ადამიანი შესაძლოა გამორჩეული იყოს, როგორც ქცევებში, ასევე მოქმედებებსა და დამოკიდებულებებში. საინტერესოა, რომ მთავარი მნიშვნელობა, ფუძე, რომელიც სიტყვა „გამორჩეულს“ აქვს „ბასრი მახვილით განგმირვას, გარღვევას, გაჭრით, გახვრეტით ნიშნის დადებას ნიშნავს“. სწორედ ეს მთავარი მნიშვნელობაა, რომლიდანაც მომდინარეობს ზმნა „მიბმა“(მიმაგრება, მიკვრა). როდესაც ამ მნიშვნელობას საკუთარ თავთან მიმართებაში განვიხილავთ, შემდეგი კითხვა უნდა დავსვათ: ვცხოვრობთ ისე, რომ სხვა ადამიანების ცხოვრებაში ჩვენი შეჭრით, მათ სურვილი ეძლევათ ღმერთთან მივიდნენ?

გზის მაჩვენებელი

„სიბრძნე ეს არის უნარი იმისა, რომ საკითხები ღმერთის გადმოსახედიდან დაინახო. ...არასოდეს უგულებელყო ის ფაქტი, რომ ღმერთი მთლიანობაში ხედავს შენს ცხოვრებას. მან იცის შენი შინაგანი და ფიზიკური მდგომარეობა. იცის შენი აზრები, გრძნობები, ფიზიკური აღნაგობა, შენი წარსული, აწმყო და მომავალი. იცის შენი თანდაყოლილი ნიჭები, შენი განცდები, შენი სულიერი ნიჭები. ღმერთი მთლიანად გხედავს თუ ვინ ხარ, რა მოწოდება გაქვს და რა მდგომარეობაში იმყოფები ახლა. რაც მეტად უყურებ შენს ცხოვრებას ღმერთის გადმოსახედიდან, უფრო ძლიერდება შენში სწორი გზის განსაზღვრის უნარი“

ჩარლზ სტენლი

G 6. გამორჩეულად ყოფნა ნიშნავს არაჩვეულებრივ ცხოვრებას, რომელიც სხვებზე წარუშლელ კვალს ტოვებს. ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოყვანილი მუხლები და მათში გამორჩეულად ცხოვრების დადებითი გავლენა აღმოაჩინე. რა პრაქტიკული საშუალებებით შეგიძლია მოუწოდო საკუთარ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომ გამორჩეული ცხოვრებით იცხოვრონ?

„ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს მორალურ მხარეს და კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია“

მათე 5:16 (ინგ. ვერსია AMP)

„კარგად მოიქეცით ახლობლებში, რათა რაშიც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები და შემოგიერთდნენ სიხარულში, როდესაც ის დაბრუნდება.

1 პეტრე 2:12 (ინგ. ვერსია The Message)

„ყველაფერში გამოიჩინე თავი კეთილ საქმეთა მაგალითად: მოძღვრებაში — შეურყვნელობა, სიდინჯე. სიტყვა ნათელი, უკიცხველი, რათა მოწინააღმდეგეს შერცხვეს და ცუდი ვერაფერი თქვას ჩვენზე. მონები [*თანამშრომლები*] თავიანთ პატრონებს დაემორჩილონ ყველაფერში, აამონ, სიტყვას ნუ შეუბრუნებენ, არაფერი მოიპარონ, არამედ გამოიჩინონ სრული ერთგულება, რათა ყველაფრით შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის დიდება“

-ტიტე 2:7-10 TLB)

ფრჩხილებში წარმოდგენილი სიტყვები მოცემულია უკეთ გასაგებად

გამორჩეული ცხოვრების დადებითი გავლენა შეიცავს ...

_____

_____

საშუალებები, რომლითაც შემიძლია სხვებს მოვუწოდი გამორჩეული ცხოვრებისკენ, შეიცავს...

_____

_____

„მოვიფიქროთ გზები, რომელთა მეშვეობითაც ერთმანეთს სიყვარულისა და კეთილი საქმეებისათვის წავახალისებთ“

-ებრაელთა 10:24 (ინგ. ვერსია NLT)

პერსონაჟის დახასიათება

დანიელი

ცხოვრების წლები: დაახლ. 620-535 ჩვ.წ.აღ.-მდე
საქმიანობა: წინასწარმეტყველი და მთავრობის წარმომადგენელი
საქმიანობის ადგილი: ბაბილონის და მიდია სპარსეთის სასამართლოები
თანამედროვეები: ეზეკიელი, იერემია და აბაკუმი
სიტყვები, რომელიც აღწერს დანიელს: მიძღვნილი, ერთგული, უკომპრომისო, გამორჩეული, ბრწყინვალე, სანდო, შეუპოვარი.

დანიელი, რომლის სახელიც ნიშნავს „ღმერთია ჩემი მსაჯული“, პატივდებულ ებრაულ ოჯახში დაიბადა (იხ. დან. 1:3). ჩვ. წ. აღ-ით 605 წელს, როდესაც 15-16 წლისა იყო, ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმზე გაილაშქრა და დანიელი ტყვედ იქნა წაყვანილი ბაბილონში. ბაბილონური ტრადიციის, სამ წლიანი განათლების მიღების შემდეგ (იხ. დან. 1:4,5), მას ოთხ წარმართ მეფესთან მსახურება მოუხდა: ნაბუქოდონოსორი და ბაბილონელი ბელშეცარი, დარიოსი და მიდია სპარსეთის კიროსი.

დანიელის ცხოვრება არ იყო ისეთი, როგორსაც თავად გეგმავდა. თუმცა ის ბოლომდე ერთგული დარჩა ღმერთის და 70 წლის მანძილზე დიდება მოჰქონდა უფლის სახელისათვის. ის არის ერთადერთი ცნობილი წინასწარმეტყველი, რომელიც ექსკლუზიურად უცხო მიწაზე მოღვაწეობდა. იმავდროულად ის ჩართული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის იყო მახარებელი დამპყრობლებისთვის. მას ვერ იტანდნენ ბაბილონელი და მიდია სპარსეთის ბრძენები, უსამართლოდ ეპყრობოდნენ და ასაკში შესული, ლომების ხაროში ჩააგდეს. მაგრამ ღმერთმა თავისი ერთგულებით იხსნა იგი და ღვთიური სიბრძნე უბოძა, მომავლის განჭვრეტისა და სიზმრების განმარტების ნიჭი. იგი შეუპოვარი იყო ღვთის გზაზე და კაცთა შორის მეტად გამორჩეული.

რა შეგიძლია ისწავლო დანიელისგან? თავად წაიკითხე მისი წიგნი. ისწავლე, თუ როგორ გამოარჩევდა იგი საკუთარ თავს და როგორ შეეძლო უღმერთო წუთისოფელში ღვთისმოშიშად დარჩენა.

„ეს კაცი, დანიელი სხვა მთავრებზე და სატრაპებზე მეტად გამოირჩა, რადგან მასში საკვირველი სული იყო“

-დანიელი 6:3;

G 7. შეჩერდი და საკუთარ თავს ჰკითხე, *ვარ თუ არა დანიელივით გამორჩეული? ვაძლევ თუ არა ღმერთის საკვირველ სულს სრულად იმოქმედოს ჩემგან? რა სახით გამოარჩევს ღმერთის მადლი ჩემი სიბრძნის, ნაყოფიერების, შემოქმედობითობის და ა.შ. დონეს? სად შემიძლია უფრო მეტად გამოვარჩიო საკუთარი თავი?* ილოცე და ღმერთს სთხოვე თავისი შეხედულება დაგანახოს. დაწერე რასაც ის გიჩვენებს.

ღმერთის მადლი შემდეგ სფეროებში გამომარჩევს...

სფეროები, რომელშიც შემიძლია მეტად გამოვირჩეოდე, შემდეგია:

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: მოუწოდე სტუდენტებს, რომ ეს კითხვები მათთვის საყვარელ და ახლობელ ადამიანებს დაუსვან. მეგობრის აზრი ხშირად გვეხმარება დავინახოთ ის, რასაც სხვაგვარად ვერ დავინახავდით.

8. არის თუ არა შენს ცხოვრებაში სფერო, რომელშიც გრძნობ, რომ საკმაო კვალიფიკაცია არ გაგაჩნია, თუმცა იცი, რომ სწორედ ამ სფეროში გაქვს ღმერთისგან მოწოდება? რა არის ეს სფერო და როგორ დაგეხმარება ეს გაკვეთილი იმაში, რომ ერწმუნო ღმერთის მადლს ძალის მონიჭებაში?

გახსოვდეს

შენ ვინც ხარ იმიტომ არ ხარ, რომ შენმა მშობლებმა გაგაჩინეს, ან იმიტომ, რომ ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნი, ან ესა თუ ის სასწავლებელი დაამთავრე. შენ ვინც ხარ, **ღმერთის მადლით ხარ.**

G 9. იყავი თუ არა იმ 98%-ს შორის, რომელთაც არ იცოდნენ, რომ ღმერთის მადლი მის ძალას წარმოადგენს? ამ სწავლების რა ნაწილი (ნაწილები) იყო შენთვის აღმოჩენა და რა დაგეხმარა იმაში, რომ მადლის შესახებ უფრო მეტი გაგეგო? რა ნაბიჯის (ნაბიჯების) გადადგმისკენ გიბიძგებს სულიწმიდა?

ჭეშმარიტებები, რომელიც მადლის უკეთ დანახვაში დამეხმარა, შემდეგია:

მოქმედებები, რომლისკენაც სულიწმიდა მიბიძგებს, შემდეგია...

10. მცირე დრო გამოყავით იმისათვის, რომ ამ კვირის გაკვეთილის უმთავრესი პრინციპები გაიხსენოთ. შემდეგ კი საკუთარი სიტყვებით, მოკლედ აღწერეთ, თუ როგორ გაძლიერებს ღმერთი იმისათვის, რომ გამორჩეულად იცხოვრო.

მადლი უნარს მაძლევს გამორჩეულად ვიცხოვრო...

_____

_____

_____

იცნობ ვინმეს, რომელიც გაძლიერდებოდა ამ ჭეშმარიტების ცოდნით? გამონახე დრო და გაუზიარე მას.

ამ თემის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ჯონ ბევირის სასწავლო პროგრამა: „ექსტრაორდინალური ცხოვრება“.

გზის მაჩვენებელი

„ყოვლადძლიერო ღმერთო, რომელმაც შეგვქმენი შენს ხატად; გვიბოძე შენი მადლი, რათა უშიშრად აღვუდგეთ წინ ეშმაკს და არ დავნებდეთ წინააღმდეგობებს; და მოწიწებით გამოვიყენოთ შენს მიერ ბოძებული თავისუფლება, დაგვეხმარე შევინაჩუნოთ სამართლიანობა შენს ხალხში და ერებში, შენი სახელის განსადიდებლად“.

უილიამ უილბერფორსი

მთელი კვირის ამოცანა

იპოვე საჭიროება, რომლის მოგვარებაც შეგიძლია. შესაძლოა შენს გარშემო ვინმეს ფინანსური სირთულე აქვს და შენ შეგიძლია კომუნალური გადასახადი დაუფარო, ან პროდუქტი უყიდო. შეგიძლია მარტოხელა დედას ბავშვის მოვლაში დაეხმარო, რათა მან მცირე დროით მაინც მოდუნდეს და დაისვენოს. შეგიძლია კოლეჯის დასაოჯახებელი სტუდენტები სახლში სადილზე ან საღამოს სათამაშოდ დაპატიჟო. სთხოვე სულიწმიდას თვალები აგიხილოს, რათა დაინახო შენს გარშემო არსებული საჭიროებები და მიგითითოს, თუ როგორ გამოეხმაურო მათ.

დღე 1 გაიზარდე მადლში

*„არამედ **აღიზარდეთ მადლში** (დაუმსახურებელ სიკეთეში, სულიერ ძალაში) ჩვენი უფლისა და მაცხოვრის (მესიის) იესო ქრისტეს მადლით და ცოდნით. მისია [მისი იყოს] დიდება (პატივი, ბრწყინვალება) აწ და საუკუნო დღის მიმართ. ამინ (ასე იყოს)“*

-2 პეტრე 3:18 (ინგ. ვერსია AMP);

ღმერთის მადლი იძლევა ძალას სიცოცხლისათვის. მსგავსად ჩვენს ფილტვებში არსებული ჰაერისა და ჩვენს ვენებში არსებული სისხლისა, იგი სიცოცხლეს ანიჭებს ჩვენი არსების ყოველ ნაწილს. მოციქულ პეტრეს მეშვეობით ღმერთი მიგვითითებს, რომ მადლში გავიზარდოთ. სიტყვა ზრდა დროზე მიუთითებს, ხოლო დრო – პროცესზე. ნამდვილად, მადლში ზრდა პროცესია, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება, რომელსაც ღმერთი აკვირდება და სულიწმიდა მართავს.

მადლში ზრდა ქრისტეში სიმწიფეა. სწორედ ასეთი სახით ცხოვრებაა, რომლისკენაც ღმერთი თავის ყველა შვილს მოუწოდებს (იხ. რომ. 8:29-30). სწორედ ამას გულისხმობდა პავლე როდესაც ამბობდა, რომ ჩვენ ვიზრდებით „რწმენიდან რწმენაში“ და „დიდებიდან დიდებაში“ (იხ. რომ. 1:17; 2 კორ. 3;18). ნაბიჯ-ნაბიჯ, დღითი დღე ვსწავლობთ, როგორ ვითხოვოთ, როგორ მივიღოთ და როგორ გამოვიყენოთ ღმერთის მადლი.

„ახლა კი, ძმებო, მიგანდობთ უფალს და მისი მადლის სიტყვას, რომელსაც შეუძლია აგაშენოთ და მოგცეთ [თქვენი კანონიერი] სამკვიდრებელი ყველა განწმედილთან (რომელიც სულის მიერ შეცვლილნი, განწმედილები არიან)“

- საქმე 20:32 (ინგ. ვერსია AMP)

რა წარმოადგენს მადლის წყაროს? რას აკეთებს იგი და რა შეგიძლია გააკეთო იმისათვის, რომ მასში გაიზარდო?

ეფესელთა 4:11-16-ის მიხედვით, კიდევ რა მოგცა ღმერთმა სულიერი ზრდისათვის? რას გეუბნება ეს ადგილი?

წაიკითხე ებრაელთა 12:14-15; რა საერთოა ამ ორ მუხლს შორის, და რა კავშირი აქვს ამას ღმერთის მადლის ნაკლებობასთან?

დაკავშირებული მუხლები: ეფესელთა 4:30-32; 1კორინთელთა 1:10;

გზის მაჩვენებელი

„ახალ აღთქმაში მადლი 155-ჯერ არის ნახსენები; 130-ჯერ პავლეს კალამს ეკუთვნის. ეს სიტყვა იწყებს, ამთავრებს და მთავარ საკითხს წარმოადგენს მის ყველა წერილში. ეს სიტყვა განსაზღვრავს პავლეს სწავლებასა და იმედებს. მადლი არის ის ბრწყინვალე იდეალი, რომლითაც იგი ზომავს როგორც საკუთარ, ასევე შენს ცხოვრებას“. დევიდ ჯერემაია

დღე 2 მადლი გაძლევს ძალას იყო წმიდა

*„და ჩვენ, როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ, რომ ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლყ ...**განვიწმიდოთ** ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან, და ვიყოთ მთლიანად წმიდა“*

-2 კორინთელთა 6:1; 7:1 (ინგ. ვერსია TEV)

უმთავრესი კურთხევა, რომელსაც ძალის მომნიჭებელი მადლი გვაძლევს, არის იესოს მსგავსად წმინდა ცხოვრების უნარი. მართალია მისი სისხლი გვწმენდს ყველა ცოდვისგან, ჩვენ მაინც მოწოდებულნი ვართ ვითანამშრომლოთ სულიწმიდასთან და საკუთარი თავი განვიწმიდოთ ყველაფრისგან, რაც ჩვენს სხეულსა და სულს (ჩვენს გონებას, ნებას და ემოციებს) ბილწავს. ეს ეხება იმ დამოკიდებულებებსა და ქმედებებს, რომელიც ღმერთის სიტყვასთან შესაბამისობაში არ მოდის. როგორ მოვახერხებთ ამას? ღმერთის მადლით. მადლი ფუჭად მიღებული აღმოჩნდება, თუკი მას საკუთარი თავების განსაწმედად არ გამოვიყენებთ.

რას მიიჩნევს ღმერთი უწმიდურებად და სიბინძურედ?
წაიკითხეთ ეფესელთა 5:3; იაკობი 1:19-21; 3:5-10; 1 პეტრე 2;1; 2 კორინთელთა 6:14-7:1;

წაიკითხეთ მათე 15:10-11, 18; საიდან მომდინარეობს უწმიდურება? როგორ შეგიძლია მათგან თავის დაცვა?

რა მოგვცა ღმერთმა განსაწმენდ საშუალებად? როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი?
წაიკითხე ფსალმუნი 118:9,11; იოანე 15:3; 17:17; ეფესელთა 5:25-26; იაკობი 1:21-25; 1 პეტრე 1;22, 2:2, კოლასელთა 3:16;

კიდევ ვინ იღებს მონაწილეობას განწმენდის პროცესში? როგორი უნდა იყოს ჩვენი რეაქცია?
წაიკითხეთ ფილიპელთა 1:6; 2:12-13; 1 თესალონიკელთა 5:23-24; რომაელთა 6:19,22;

არის შენს ცხოვრებაში რაიმე უწმიდურება, რომელზეც სულიწმიდა მიგითითებს? ეს შესაძლოა იყოს დამოკიდებულება, მოქმედება, ურთიერთობა, აზროვნების ან საუბრის სტილი. როგორ შეგიძლია მასთან ითანამშრომლო და განიწმიდო საკუთარი თავი?

შემდგომი შესწავლისათვის ...
ესაია 1:16; იერემია 4:14; იაკობი 4:8; 1 იოანე 3:3; 2 ტიმოთე 2:20-23.

დღე 3 მადლი უნარს გაძლევს იკაშკაშო

„ადექი ჩემო ხალხო! დაე შენი სინათლე დაინახოს ყველა ხალხმა!. რადგან აჰა, ბნელი დაფარავს დედამიწას და ბურუსი – ხალხებს; შენზე კი გაბრწყინდება ნათელი და მისი დიდება შენზე გამოჩნდება. და ივლიან ხალხები შენს სინათლეზე და მეფენი – შენი ამობრწყინების ნათელზე“

-ესაია 60:1-3 (ინგ. ვერსია TLB)

„ღმერთმა თქვა: „მე ვუბრძანებ ნათელს, რომ ანათოს! და სინათლემ იწყო ნათება“ (დაბ. 1:3). ეს იყო მისი სურვილი დასწაყისში და მას კვლავაც გააჩნია ამის სურვილი. იესომ თქვა:

„თქვენ აქ ხართ, რათა იყოთ სოფლის ნათელი. ღმერთი საიდუმლოდ შესანახი რამ არ არის. ჩვენ ყველა უნდა გვხედავდეს. მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება. სანთლად რომ შემექმენით, ხომ ფიქრობთ, რომ ვედროს ქვეშ არ დაგფარავდით? არამედ სასანთლეზე დაგდებდით. ახლა კი აი ამ მთის წვერზე დაგაყენეთ, სასანთლეზე — **ანათეთ**! სახლი ღია დატოვეთ; თქვენი ცხოვრებით სიუხვე გაეცით. როდესაც სხვების მიმართ გახსნილები იქნებით, ეს აღძრავს სხვა ადამიანებს, რომ გაეხსნან ღმერთს, გულუხვ ზეციერ მამას“

-მათე 5:14-16 (ინგ. ვერსია The Message)

დაუფიქრდით იესოს ნათქვამ სიტყვებს და ესაია 60:1-3-ში გადმოცემულ ღმერთის ნათელ მოწოდებას. რას გეუბნება უფალი იმ ფაქტზე, რომ შენ მისი ნათელი ხარ?

_____

_____

წარმოიდგინეთ, რომ შუაგული ზამთარია, შუქები ყველგან გაითიშა და ეს მდგომარეობა რამდენიმე დღეს გრძელდება. ღამეები საკმაოდ გრძელია და თან ისეთი სიბ-ნელეა, რომ თითს ცხვირთან ვერ მიიტან. წარ-მოიდგინე, როგორ გაგიხარდება, უეცრად შუქი რომ მოვიდეს. როგორ გეხმარება ეს იმაში, რომ მეტი თანაგრძნობა გქონდეს მათ მიმართ, რომელნიც სულიერ სიბნელეში იმყოფებიან? როგორ შეცვლის ეს შენს ქცევას მაღაზიაში, სამეზობლოში, ოჯახში და ა.შ?

_____

_____

_____

გახსოვდეს

თითოეული ჩვენგანი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის ვართ მოწოდებული. მიუხედავად იმისა, სად ვიმყოფებით, ჩვენ მეთაურობა და ხელმძღვანელობა უნდა გამოვამჟღავნოთ. ჩვენმა შემოქმედებითობამ უნდა შთააგონოს და აიყოლიოს საზოგადოება ყოველმხრივ. იქ სადაც მორწმუნეები არიან ჩართულები, ადგილი უნდა ჰქონდეს დიდ შემოქმედებითობას, პროდუქტიულობას, სიმშვიდეს, მრძნობიარეობას და რეალურობას. ღმერთის მადლის მეშვეობით ჩვენ ვხდებით ნათელი ბნელ წუთისოფელში.

რა იწვევს ჩვენში ღმერთის დიდების ნათებას?
წაიკითხეთ ფსალმუნი 33:6; 2 კორინთელთა 3:18; 4:6; ფილიპელთა 2:14-15; ესაია 58:10;

_____

_____

_____

დაკავშირებული მუხლები: ეკლესიასტე 8:1; ფსალმუნი 18:9; 118:105; 130; 2 პეტრე 1:19.

დღე 4 შენ მისზნისთვის ხარ შექმნილი!

„თითოეულ პიროვნებას ისეთი საქმე მიეცა, რომელიც წარმოაჩენს თუ ვინ არის ღმერთი: ამ საქმეში ჩართული ყველა ადამიანი სიკეთეს იღებს მისგან“

-1 კორინთელთა 12:7 (ინგ. ვერსია The Message)

შენი თითის ანაბეჭდები და ხმა, თვალის ფერი, კბილების წყობა – ყველაფერი ერთ რამეზე მიუთითებს: ეს შენი ერთი მხარეა. ღმერთმა ასევე მოგცა ნიჭები და უნარი, რომელიც შენი არსების ნაწილია. შენ ამ დედამიწაზე ისეთი დავალების შესრულება გაქვს მოცემული, რომელიც სხვას არ აქვს. ღმერთი და სხვა ადამიანებიც შენზე იმედს ამყარებენ.

გჯერა თუ არა, შენი ცხოვრების ყოველი დღე ჯერ კიდევ მაშინ დაიწერა სანამ დაიბადებოდი! მანამ, სანამ მასმედია და ინტერნეტი შეიქმნებოდა; მანამ, სანამ დედამიწის საფუძვლები შეიქმნებოდა – ღმერთი სათითაოდ წერდა შენს ყოველ დღეს. ნახეთ რას ამბობს მისი სიტყვა:

„რადგან შენ დაბადე თირკმელნი ჩემნი, ჩემი შინაგანი ნაწილები, შენ გამომძერწე დედაჩემის წიაღში. გადიდებ, რადგან საოცრებით შემქმენი; საკვირველია საქმენი შენნი, და ჩემმა სულმა იცის ეს სავსებით. არ დაფარულა ჩემი ძვლები შენგან, როცა ჩავისახე იდუმალებაში, შევნივთდი ქვესკნელში. ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილია დღენი მომავლისა ჩემისა, როცა ჯერ არ იყო არც ერთი მათგანი. ხოლო ჩემთვის რაოდენ მრავლისმთქმელია ზრახვანი შენნი, ღმერთო! რაოდენ დიდია რიცხვი მათი! დავთვალო, ქვიშაზე უმრავლესია; გავიღვიძებ და, ისევ შენთან ვარ!“

-ფსალმუნი 138:13-18 (ინგ. ვერსია NLT)

გჯერა, რომ ღმერთი ყურადღებით არის შენს მიმართ და კარგი გეგმა აქვს შენი ცხოვრებისათვის? გჯერა, რომ მისი აზრები შენს შესახებ ძვირფასი და ულევია? რას გეუბნება იგი ამ მუხლებიდან?

გაარკვიე რა ნიჭები და ტალანტები გაგაჩნია. რა გამოგდის ყველაზე კარგად? სხვები რას ფიქრობენ, რა საქმეში ხარ კარგი? რისი გაკეთება მოგწონს? შეგიძლია მათ შორის კავშირი დაინახო? ეს პასუხები კარგად დაგანახებს შენს მოწოდებას.

მე მომწონს და კარგად გამომდის:

სხვა ადამიანები ამბობენ, რომ კარგი ვარ:

ამ პასუხებიდან გამომდინარე, ვგრძნობ, რომ ჩემი მოწოდება არის:

შემდგომი შესწავლისათვის ...
იერემია 1:5; ესაია 49:1; ეფესელთა2:10; იერემია 29:11; რომაელთა 12:4-8

დღე 5 შენ სტრატეგიულ ადგილას ხარ დაყენებული

„მაშ, ვიდრე საშუალება გვაქვს, სიკეთე ვაკეთოთ ყველას მიმართ და უფრო მეტად კი მათთვის, ვინც ჩვენიანია რწმენით“

-გალატელთა 6:10 (ინგ. ვერსია NLT);

ღმერთს ყველგან ჰყავს თავისი ხალხი. შემთხვევით არ ხარ იმ ადგილზე, რომელზეც ხარ – შენ სტრატეგიულ ადგილას იმყოფები. უფლის ნებაა, რომ იმ ადგილას მეფობდე, სადაც ხარ დაყენებული, რათა წარმოაჩინო სასუფევლის ნიშან-თვისებები და ღმერთს დიდება მოუტანო. როგორც ქრისტეს ნაწილს, შენ გაქვს ძალა აკეთო სიკეთე, გაექცე ბოროტებას და იმედს აძლევდე შენს ირგვლივ მყოფთ საკვირველი გზებით.

რატომ მოგვცა ღმერთმა მადლი? რატომ გვაძლევს ცხებულებას, სიბრძნეს, შემოქმედებითობას და თავისი სულის მკვდრეთით აღმდგენელ ძალას? ეს მხოლოდ ჩვენი და ჩვენი ოჯახების სასიკეთოდ არ არის. მან თავისი მადლის ძალა იმიტომ მოგვანიჭა, რომ, ერთგვარ მარაგს წარმოვადგენდეთ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანებისათვის – მათთვის, რომლებთანაც უკვე დაკავშირებულნი ვართ და მათთვისაც, რომელთანაც მომავალში ჩვენი გავლენის სფეროებში გვექნება შეხება.

გადახედე შენს განვლილ ცხოვრებას. ვინ იყო ის ადამიანი, რომელიც ღმერთმა შენს გადასარჩენად გამოიყენა? სად იქნებოდი დღეს ის ადამიანი შენთან რომ არ მოსულიყო?

შენ რეზერვუარი ხარ, რომელიც მხოლოდ იღებს კურთხევას, თუ მილსადენი, რომლის მეშვეობითაც ღმერთს შეუძლია იდინოს?

ილოცე და სთხოვე ღმერთს, ისეთი გული მოგცეს, რომელიც მგრძნობიარეა და სურს სხვებს დაეხმაროს.

მოცემულ დროში, შენი გავლენის სფეროში ვისთვის ხარ კურთხევა? თუ არსებობს პიროვნება, ოჯახი, საზოგადოება ან ჯგუფი, რომელთა მიმართაც გრძნობ, რომ ღმერთი დახმარებისთვის მოგიწოდებს? როგორ?

ღმერთს სურს განსაკუთრებით ვზრუნავდეთ ქვრივებზე, ობლებზე და ღარიბებზე.

წაიკითხეთ
ფსალმუნი 67:6; 145:5-9; იგავები 15:25; იერემია 49:11; იაკობი 1:27;

რა უნდა ღმერთს რომ ამ ადამიანებისათვის გავაკეთოთ? როგორ ვიკურთხებით ჩვენ?
ფსალმუნი 40:1-3; 81:3-4; ესაია 1;17; იერემია 22:3; იგავები 19:17; 21:13; 28:27;

რომელ ოჯახს, პიროვნებას ან ორგანიზაციას გაუწევ დახმარებას ამ დავალების შესასრულებლად?

დღე 6 შენ გამარჯვებისთვის ხარ დადგენილი!

„და გაგხდის შენ უფალი თავად და არა კუდად, და სულ მაღლა იქნები და ძირს არ იქნები, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის, მცნებებს, რომელთაც გიბრძანებ დღეს დასაცავად და შესასრულებლად“

-2 რჯული 28:13 (ინგ. ვერსია Nგთ)

ცხოვრებაში ღმერთის მადლის მეშვეობით მეფობა, არსებული სტატუსკვოსგან გათავისუფლებას გულისხმობს. შენი არსებობის მიზანი ყოველკვირას გადასახადების გადახდა, ბანკში ფულის დაგროვება და შემდეგ პენსიაში გასვლა არ არის. შენ ლიდერი ხარ შენი გავლენის სფეროში. შენ ზეცა ჩამოგაქვს მიწაზე.

რომელია შენი რეგულარული მოღვაწეობის სფერო?

მაგალითები: მედიცინა, განათლება, პოლიტიკა, მშენებლობა, მასმედია, ბიზნესი, მსახურება და სხვა.

აღწერე როგორია სიცოცხლეში მეფობა შენს საქმეში. როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ სხვებს?

უმთავრესი პირობა, რომელიც ღმერთმა „თავად ყოფნისათვის“ მოგვცა, მისი მცნებების მორჩილებაა. წაიკითხეთ საულის დაცემის ისტორია 1 მეფეთა 15 თავში. რისი სწავლა და ცხოვრებაში გამოყენება შეგიძლია საულის მაგალითიდან? რა წარმოადგენს მორჩილებას ღმერთის თვალში?

მორჩილებას კურთხევები მოაქვს! აღმოაჩინე კურთხევები შემდეგ მუხლებში.
მათე 12:50; იოანე 14:23; 15:9-11; 2 რჯული 28:1-14; იესო ნავეს ძე 1:7-8; 3 მეფეთა 3:14; ესაია 1:19;

მიმართე ღმერთს და სთხოვე გიჩვენოს თუკი არის ისეთი რამ, რისი გაკეთებაც მან დაგავალა და შენ ნაწილობრივ ან საერთოდაც არ გააკეთე. დაწერე რასაც დაგანახებს. თუ აუცილებელია, სთხოვე, რომ გაპატიოს დაუმორჩილებლობა და მოგცეს მადლი, რათა მის დავალებას სრულიად დაემორჩილო.

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

მადლი, ღმერთის მიერ ძალის მონიჭებაა, რაც გვეხმარება იესოს მსგავსად გამორჩეულები ვიყოთ. საზოგადოების შეცვლისათვის საჭირო მადლი, სიწმინდე და უნარი, სწორედ მადლით არის შესაძლებელი. სადაც არ უნდა წახვიდე, რაც არ უნდა გააკეთო, ღმერთს სურს, რომ მის ხასიათს წარმოაჩენდე და დიდება მოგქონდეს მისთვის.

შენიშვნები

(1) Tony Evans, Free at Last (Chicago, IL: Moody Publications, 2001) pp. 97, 99. (2) Charles Stanley, Walking Wisely (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 2002) pp. 18, 42. (3) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (4) Adapted from: the Life Application Bible copyright © 1988, 1989, 1990, 1991 Tyndale House Publishers, Inc. Wheaton, IL 60189. All Rights reserved. (New International Version edition, pp. 1473-1475). New International Version edition is published jointly by Tyndale House Publishers, Inc. and Zondervan Publishing House. Also adapted from The Word In Life™ Study Bible copyright © 1993, 1996 by Thomas Nelson, Inc. Used by Permission (New King James Version, pp. 1444-1452). (5) Standing Firm, 365 Devotions to Strengthen Your Faith, compiled by Patti M. Hummel (St. San Luis Obispo, CA: Parable) p. 226. (6) David Jeremiah, Captured by Grace (Nashville, TN: Thomas Nelson, Inc., 2006) p. 13.

„მიუგო იესომ და უთხრა, „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს ...ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში“

-იოანე 3:3-5
(ინგ. ვერსია NLT)

4 თავი

იხილე ან შედი

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-6 თავი და მოისმინეთ ვიდეო კურსის მე-4 გაკვეთილი.

1. თუკი გსურს სიცოცხლეში იმეფო, მაშინ საჭიროა გესმოდეს რა არის ღვთის სასუფეველი. დაუფიქრდით იესოს და პავლეს მიერ ნათქვამ სიტყვებს. სად მდებარეობს ღმერთის სასუფეველი და რისგან შედგება ის? რისგან არ შედგება?

„ჰკითხეს მას ფარისევლებმა, „როდის მოვა ღვთის სასუფეველი? მიუგო და უთხრა მათ: „ღვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ. არც იტყვიან აგერ [აქ არისო] ან აი [იქ არისო], ვინაიდან, აჰა, თვითონ თქვენშია [თქვენს გულებშია] თქვენს შორისაა [გარემოგიცავთ] ღვთის სასუფეველი“

-ლუკა 17:20-21 (ინგ. ვერსია AMP)

„ვინაიდან ღვთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში“

-რომაელთა 14:17 (ინგ. ვერსია CEV)

„ღმერთის სასუფეველი მხოლოდ ბევრი საუბარი არ არის; ეს არის ღმერთის ძალით ცხოვრება“

-1კორინთელთა 4:20 (ინგ. ვერსია Nგთ)

გახსოვდეს

იესო ბევრს საუბრობს ღმერთის სასუფევლის შესახებ. ახალ აღთქმაში ის 100-ჯერ არის ნახსენები. ღვთის სასუფეველი ბევრ ადამიანს ზეცად წარმოუდგენია; მაგრამ სინამდვილეში, როდესაც იესო სასუფეველზე საუბრობს ის ღმერთის მმართველობას გულისხმობს. ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით – ჩვენ უნდა გავავრცელოთ მისი სასუფეველი და დედამიწაზე მისი ცხოვრების გზა უნდა ვაუწყოთ.

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: იოანე 18:36;

ღმერთის სასუფეველი

სახარებებში ყველაზე ხშირად „ღვთის სასუფევლის“ მნიშვნელობით გამოიყენება ბერძნული სიტყვები: „basileia tou Theos“ (ბასილეია თოუ თეოს). „Theos“(თეოს) ნიშნავს „ღმერთი“, „basileia“(ბასილეია) – „მეფობა,

მმართველობა, მეფური ძალაუფლება“. „basileia“(ბასილეია) წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს „ბაზა“ ან „ფუნდამენტი“. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „basileia tou Theos“-ს (ბასილეია თოუ თეოს) ყველაზე კარგი თარგმანია „ღმერთის იმპერიული მმართველობა“ ან „ღმერთის დომინირება“. მე მომწონს სიტყვა იმპერიული. მისი ერთ-ერთი განმარტებაა „უზენაესი ძალაუფლების მქონე“.

ცხოვრებისეული გაკვეთილები ღმერთის სასუფევლიდან

ღვთის სასუფეველი ჰგავს...	ცხოვრებისეული გაკვეთილი	აღმოაჩინე
ბატონი, რომელსაც სურდა მსახურთათვის ანგარიშის გასწორება	პატიება	მათ. 18:21-35;
მთესველი, რომელიც თესავდა	ღმერთი ამრავლებს	მარკოზი 4:26-29
მდოგვის მარცვალი	ნურასოდეს დაამცირებ ღმერთის ძალას	მათ.13:31-32; მარკ.4:30-32; ლუკ.13:18-19;
კაცი, რომელმაც კეთილი თესლი დათესა თავის მინდორში.	არსებობენ ჭეშმარიტი და ცრუ მორწმუნეები; ღმერთი განსჯის ვინ ვინ არის.	მათ. 13:24-30, 36-43;
საფუარი, რომელიც ქალმა სამ საწყაო ფქვილში დაფარა.	ღმერთის ძალას დიდი უნარი აქვს, შორს მიმავალი შედეგებით.	მათ; 13:33; ლუკ. 13:20-21;
განძი, რომელიც კაცმა მინდორში იპოვა.	ღმერთის სასუფევლის ფასი, შეუდარებელია	მათ 13:44;
ვაჭარი, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებდა	ღმერთია მთავარი მსაჯული	მათ 13:47-50;
სახლის პატრონი, რომელსაც თავისი საუნჯიდან გამოაქვს ძველი და ახალი	იესოს „ახალი“ სწავლება დაკავშირებულია ძველ აღთქმასთან და გამყარებულია მისით	მათ. 13:52;
მიწის მეპატრონის მიერ ვენახში მუშების დაქირავება.	ყველანი მადლით გადარჩნენ.	მათ 20:1-16;
მეფე, რომელმაც დიდი წვეულება მოაწყო.	ღმერთს ძალიან უნდა, რომ ყველანი მასთან იყვნენ ზეცაში.	მათ 22:1-14; ლუკ. 14:15-24;
ათი ქალწული, რომლებიც ლამპრებით წავიდნენ სიძესთან შესახვედრად.	ყოველთვის მზად იყავი ქრისტესთან შესახვედრად.	მათ 25:1-13;
კაცი, რომელმაც ტალანტები მისცა თავის მონებს.	ღმერთი თითოეულ ჩვენგანს იმ ნიჭს გვაძლევს, რომლის გამოყენებაც იცის, რომ შეგვიძლია და ამ ნიჭისგან მოგებას ელის.	მათ. 25:14-30;

2. როდესაც წმინდა წერილში ღმერთის სასუფეველი შეგხვდება ეს ფრაზა ჩაანაცვლე ბერძნული მნიშვნელობით: ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა. ეს უფრო ნათელი და გასაგები აზრია. შეჩერდი და დაუკვირდი ამ საოცარ სიტყვებს.

„მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს [უზენაესი, ძლიერი მმართველობა] შენი“

-ლუკა 11:2 (ინგ. ვერსია NKJV)

„ნეტარნი ხართ გლახაკნი, ვინაიდან თქვენია [ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა]“

-ლუკა 6:20 (ინგ. ვერსია NLT)

„დაინახა იესომ, გაწყრა და უთხრა მათ: „გამოუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგათნაირებისაა [ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა]. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღვთის სასუფეველს [ღმერთის უზენაეს, ძლიერ მმართველობას], ვერ შევა შიგ“

-მარკოზი 10:14-15 (ინგ. ვერსია NLT)

„ეძიეთ [ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა] და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ“

-ლუკა 12:31(ინგ. ვერსია NLT)

რას გიჩვენებს უფალი ღმერთის სასუფევლის – მისი უზენაესი, ძლიერი მმართველობის – შესახებ?

„უთხრა მას იესომ, „ზეციდან შობის გარეშე, ვერ იხილავ ღმერთის სასუფეველს. ...სიმართლე ის არის, რომ წყლისა და სულისგან შობის გარეშე, არავის შეუძლია ღმერთის ხილვა“

-იოანე 3:3-5;

3. მორწმუნეები, რომლებიც უბრალოდ ეძებენ ღმერთის სასუფეველს, თვითმფრინავის მგზავრებს ჰგვანან, ხოლო, ის მორწმუნეები, რომლებიც შედიან სასუფეველში – პილოტებს. აღწერეთ რა განსხვავებაა „მგზავრ“ ქრისტიანებსა და „პილოტ“ ქრისტიანებს შორის? რა უპირატესობა გააჩნიათ პილოტებს? შენ რომელი მათგანი ხარ?

გზის მაჩვენებელი

„მოვიდეს სუფევა შენი. იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.“ ეს სიტყვები მარტივად იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი, ლოცვის ადამიანი არ არის დაინტერესებული საკუთარი სამეფოს მშენებლობით. მისთვის მთავარია ღმერთის სასუფეველი და მისი ნება. ...ჩვენ უნდა ვეკითხებოდეთ მას: „მამაო, რა გინდა, რომ გავაკეთო? რა გსურს რომ მოხდეს დედამიწაზე?“. ღმერთს მოსწონს, როდესაც შენ გახარებს ის, რაც მას ახარებს. ის გაკურთხებს დედამიწაზე, მისი საქმის აღსრულების გზაზე“.
დრ. მაილს მონრო

მგზავრი ქრისტიანები	პილოტი ქრისტიანები

იხილე ან შედი

ბერძნულ ენაზე სიტყვა „ხილვა“ მე-3 მუხლში არის „eido“(ეიდო). მისი ძირითადი მნიშვნელობებია: „დანახვა, აღქმა, ახსნა, გაგება“. იესო გვეუბნება, რომ ყველას, ვინც ზეციდან არის ნაშობი, შეუძლია იხილოს, აღიქვას, იცოდეს და განმარტოს ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობა – ღვთის სასუფეველი.

ბერძნულ ენაზე სიტყვა „შესვლა“, გულისხმობს სასუფეველში შესვლას. ბერძნულ ენაზე სიტყვა „შესვლა“ ნიშნავს „eiserchomai“ (ეისერქომაი). მისი ძირითადი მნიშვნელობებია: „ადექი და შედი“, „ადექი და შედი შიგნით“. იესო ამ ორ ფრაზაში მდგომარეობიდან („ცოდნა“) გადადის მოქმედებაზე („ადექი და შედი“). ხედავთ განსხვავებას?

G 4. იესო ამბობს, რომ თითქმის შეუძლებელია მდიდრის სასუფეველში – ღმერთის უზენაეს, ძლიერ მმართველობაში შესვლა (იხ. მათ. 19:24). ხოლო, რომელნიც ღარიბები და გლახაკნი არიან, თავისუფლად შედიან მასში (იხ. ლუკ. 6:20). განმარტეთ რას გულისხმობს იესო მდიდარსა და ღარიბში. როგორია მათი აზროვნება და ვისზე არიან ისინი მინდობილები?

მდიდრები...

ღარიბები...

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: იხილეთ წიგნის „შეუპვარის“ გვერდი 81.

5. იმისათვის, რომ ღმერთის სასუფევლის ხილვიდან, მასში შესვლაზე გადავიდეთ, საჭიროა მრავალი სირთულე გავიაროთ (იხ. საქმ. 14:22). მაგრამ ღმერთს არ სურს, რომ ჩვენ დავმწუხრდეთ, არამედ - მხნედ ვიყოთ!

ჩაუკვირდით ამ ძლიერი აღთქმების გზავნილებს...

*„უთხრა მას იესომ, „ზეციდან შობის გარეშე, ვერასოდეს **იხილავ** ღმერთის სასუფეველს. ...სიმართლე ის არის, რომ წყლისა და სულისგან შობის გარეშე, არავის შეუძლია სასუფეველში **შესვლა**“*

-იოანე 3:3-5(ინგ. ვერსია NLT)

„ეს იმიტომ გითხარით, რომ [სრულყოფილი] მშვიდობა გქონდეთ ჩემში. ქვეყნიერებაზე გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე ქვეყნიერებას. **[წავართვი ყველანაირი ძალა, რომლითაც შეეძლო შენთვის ზიანის მოყენება და შენი დამონება.]**“

-იოანე 16:33 (ინგ. ვერსია AMP)

„ნუ გეშინიათ, რადგან გამოგისყიდეთ, მოგიწოდეთ თქვენი სახელით, ჩემი ხართ თქვენ. როდესაც გაივლით წყლებში, მე თქვენთანა ვარ, და — მდინარეებში, ვერ წაგლეკავენ. როდესაც ცეცხლში გაივლით არ დაიწვებით და ალი არ დაგწვავთ. რადგან მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი, ისრაელის წმიდა, თქვენი მხსნელი“.

-ესაია 43:1-3 (ინგ. ვერსია **NLT)**

„ვინაიდან [ღმერთმა] თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ. [მთელი დარწმუნებულობით!] ამიტომ გამხნევებულნი ვამბობთ: უფალია ჩემი შემწე, არ მეშინია: [არ შევშინდები, არ შევძრწუნდები]. რას მიზამს მე კაცი?“

-ებრაელთა 13:5-6 (ინგ. ვერსია AMP)

როგორ გამხნევებს ღმერთის ეს აღთქმები და როგორ გაძლიერებს, როდესაც ცხოვრებისეული განსაცდელების წინაშე დგახარ?

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: ფსალმუნი 27:6-9; 36:23-24; 39-40; იგავები 2:8; ესაია 41:10-14, 54:10; 2 ტიმოთე 4:18.

ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ

სიტყვა „განსაცდელი“ განიმარტება, როგორც „წინააღმდეგობის, სირთულის მდგომარეობა“. ბერძნულად ის ასე გამოითქმის: „thlipsis“(თლიპსის). ბიბლიის ენციკლოპედია „thlipsis“(თლიპსი) ასე განმარტავს: „დიდი ემოციური და სულიერი სტრესი, რომელიც შინაგანი ან გარეგანი ზეწოლის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. ბიბლიაში ეს სიტყვა ორმოცდათხუთმეტჯერ არის გამოყენებული, აქედან ორმოცდაცამეტჯერ გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით“. ზეწოლა შეიძლება მოდიოდეს მტრებისგან, რთული გარემოებებიდან, არასწორი გადაწყვეტილებებიდან ან მოშურნეობის დაკარგვიდან.

ჯეიმს სთრონგი „thlipsis“(თლიპსი) შემდეგნაირად განმარტავს: „ზეწოლა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით): ნაღველი, მწუხარება, ტვირთი, დევნა, განსაცდელი, სირთულე“. ვ.ი. ვაინი ასე განმარტავს: „ნეისმიერი რამ, რაც სულსა და სამშვინველს ამძიმებს“.

გზის მაჩვენებელი

„თუკი მამა ჩვენს ცხოვრებაში უშვებს განსაცდელს, მაშინ ეს არის საუკეთესო რამ, რაც შესაძლოა დაგვემართოს, და ეს მადლიერებით უნდა მივიღოთ. განსაცდელი, როგორც ასეთი, შესაძლოა სისხლისა და ხორცისთვის რთული რამ იყოს. მე იმას არ ვამბობ, რომ ჩვენ მოგვწონს როდესაც ვიტანჯებით. მაგრამ ჩვენ განსაცდელებშიც მისი ნება უნდა ვარჩიოთ, რადგან ის ყოველთვის კარგია ჩვენს მიმართ, მიუხედავად იმისა, ჭირში ვართ თუ ლხინში. ჩვენი განსაცდელები შეიძლება ჩვენი ეტლები აღმოჩნდეს...რომლებიც ნანატრ გამარჯვებამდე მიგვიყვანენ.“

-ჰანნა უიტელ სმიტი

6. ჩვენ მოგვიწევს განსაცდელებთან შეჯახება, მაგრამ ღმერთი არასოდეს შეგვიყვანს ისეთ ქარიშხალში, რომლის დასაძლევად საჭირო ძალას არ მოგვცემს. აღწერე ის ქარიშხალი, რომელშიც ახლა იმყოფები. რადგანაც ვიცით, თუ რისი გადატანა მოუხდა იესოს, რას ელი ქარიშხლიდან წარმატებით გამოსვლის შემდეგ?

„დაბრუნდა იესო [უდაბნოდან] სულის ძალით გალილეაში და მისი ამბავი მოედო მთელ არემარეს“
-ლუკა 4:14 (ინგ. ვერსია NKJV)

„ვინაიდან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ!“
-რომაელთა 8:18 (ინგ. ვერსია AMP)

„ნეტარია კაცი, რომელმაც დაითმინა განსაცდელი, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, ღმერთმა რომ აღუთქვა თავის მოყვარულთ“
-იაკობი 1:12 (ინგ. ვერსია NIV)

„ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა, [რომელიც იძლევა ყოველგვარ კურთხევასა და სიკეთეს] რომელმაც მოგვიწოდა თავისი [საკუთარი] სამუდამო დიდებისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგამყარებთ“.
-1 პეტრე 5:10(ინგ. ვერსია AMP)

{ფრჩხილებში მოცემული დახრილი სიტყვები, უკეთ გაგებისათვის არის მოცემული.}

ქარიშხალი, რომელშიც ახლა ვიმყოფები, არის...

_____

_____

ღმერთის სიტყვიდან გამომდინარე, მე ველი...

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: იხ. წიგნის „შეუპოვარის“ გვერდები 88-92 გვ.

G 7. განსაცდელი ტანჯვას იწვევს, მაგრამ, თუკი იესოსთან ერთად ვიტანჯებით, მაშინ დიდებასაც მასთან ერთად მივიღებთ და მისი აღდგომის ძალასაც გავიზიარებთ. საკუთარი სიტყვებით, მოკლედ აღწერეთ ორი სახის ტანჯვა: ერთი წუთისოფლის გამო, ხოლო მეორე – სიმართლის გამო. შენი ცხოვრების რომელ სფეროში გიწევს ან მოგიწევს სიმართლის გამო ტანჯვა?

წუთისოფლის გამო ტანჯვა

სიმართლის გამო ტანჯვა

„განგადიდებდი გულის სიწრფელით, რომ მასწავლიდი [განწმედილი გამოცდილებით] სამართალს შენი სიმართლისა [შენს გადაწყვეტილებებს და სასჯელს, მიმართულს კონკრეტული აზრისა და ქცევის მიმართ]“

-ფსალმუნი 118:7(ინგ. ვერსია AMP)

გზის მაჩვენებელი

„ტანჯვის აღსაწერად, პავლე ბერძნულ სიტყვა „თლიფსის“ იყენებს და ეს ყურძნიდან წვენის გამოსაწურად საჭირო წნეხს ნიშნავს. ჩვენ, რა თქმა უნდა, საკუთარი თავისთვის ხიფათს არ ვეძებთ, მაგრამ მას სასიკეთოდ ვიყენებთ. რთული დრო საწვავია, რომელიც ჩვენს შეცვლას იწვევს. ისინი გვაძლიერებენ, უფრო გვაკეთილშობილებენ, სიბრძნეს გვანიჭებენ და ღირსად გვხდიან ღმერთს მუდმივად მზარდი შესაძლებლობებით ვემსახუროთ“

- დევიდ იერემია

8. ყოველი განსაცდელი ღმერთის ხელში არსებული განწმედილი გამოცდილებაა. თუკი მას სათანადოდ მოვეპყრობით, იგი გაგვაძლიერებს ცხოვრებაში მეფობისთვის იმგვარად, რომ ჩვენ ვერც კი ვიოცნებებდით. გაიხსენე რომელიმე განსაცდელი – რომელიც დიდხანს გრძელდებოდა და ძალიან რთული იყო – რომლის გადატანაც შეძელი. როგორ დაგამსგავსა ამან ქრისტეს უფრო მეტად და როგორ შეგაძლებინა სხვებისათვის უკეთესი მსახურება?

გახსოვდეს

ღმერთი არ არის განსაცდელების (თლიპსისის) შემოქმედი. მან იცის, რომ ჩვენ ისეთ ქვეყნიერებაზე ვცხოვრობთ, რომელიც მის საწინააღმდეგო გზაზე დგას, და თუკი ჩვენ გვსურს, რომ გამარჯვებულები ვიყოთ და სიცოცხლეში ვმეფობდეთ, მაშინ მოგვიწევს ბოროტი ძალების წინააღმდეგობებთან შეჯახება. ამიტომაც ღმერთი ისეთ სფეროებში გვწვრთნის, რომელშიც იცის, რომ გამკლავებას შევძლებთ და ამით ის გვაძლიერებს მომდევნო უფრო დიდი ბრძოლებისათვის.

უფალი გამათავისუფლებს მე ეშმაკის ყოველი შემოტევისაგან და უსაფრთხოდ შემიყვანს თავის ზეციურ სასუფეველში. ყოველი დიდება მას უკუნითი უკუნისამდე! ამინ.

-2 ტიმოთე 4:18 (ინგ. ვერსია NLT)

G 9. ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ განსაცდელსა და ტანჯვას, ღმერთის გადმოსახედიდან შევხედოთ. ამ გაკვეთილის დასასრულს დაინახე თუ არა განსაცდელების მნიშვნელობა განსხვავებულად და უფრო ნათლად? რომელია ის ყველაზე გამამხნევებელი ჭეშმარიტება, რომელიც აქედან გაიგე? გამოყავი დრო, რათა მადლობა შესწირო უფალს და ნასწავლი სხვებსაც გაუზიარო.

გზის მაჩვენებელი

„ჩვენი ცხოვრება ტანჯვისგან სრულიად თავისუფალი არასოდეს იქნება. ამიტომაც ნუ შეგეშინდება მისი. ტანჯვები, თუკი მათ გამოიყენებ, შენთვის მოცემული ბრწყინვალე საშუალებაა სიყვარულისთვის. ...უბრალოდ ტანჯვა გამოუსადეგარი რამაა, მაგრამ თუკი იგი ქრისტეს ვნებებთან ერთად არის გაზიარებული, მაშინ ბრწყინვალე საჩუქარი და სიყვარულის ნიშანია. ქრისტეს ტანჯვა დიდი საჩუქარია, სიყვარულის უდიდესი საჩუქარი, რადგან მისი ტანჯვების გამო ცოდვები გვეპატია“

- დედა ტერეზა

მთელი კვირის

ამოცანა

ამ კვირაში გამონახე დრო ერთი ან ორი სახარების წასაკითხად და სადაც შეგხვდება ფრაზა ღმერთის სასუფეველი, ჩაანაცვლე ღმერთის უზენაესი, ძლიერი მმართველობით. იფიქრე ასეთ მუხლებზე და სთხოვე გაზარდოს შენი გამოცხადება იმ ძალაუფლებაზე, რომელიც აწმყო დროში გაქვს მოცემული და რომელიც შენშია. ქვემოთ ჩაწერე ის, რასაც ღმერთი დაგანახებს.

დღე 1 აღივსეთ სულიწმიდით

„აღივსეთ [წმიდა] სულით“

-ეფესელთა 5:18 (ინგ. ვერსია AMP)

რა დიდი კურთხევაა სულიწმიდა! ის არის მადლის სული, რომელიც ჩვენი ცხოვრებისათვის საჭირო მადლს და ძალას გვანიჭებს. ორმოცდამეათე დღეს, ის პირველად დასახლდა ადამიანში. ეს გარდამოსვლა, რომელიც იოველის მიერ იქნა ნაწინასწარმეტყველები, იყო ერთგვარი ნიშანი იმისა, რომ ღმერთის სამეფო სრულიად დაიპყრობდა დედამიწას (იხ. იოველი 2:28-29).

ღვთიური ჩარევის ამ ახალ განზომილებაში, იესოს მოწაფეები ღმერთის უზენაეს, ძლიერ მმართველობაში შესვლისა და მისი გავრცელებისათვის საჭირო ძალით აღივსნენ. ის, რაც მოწაფეებმა მაშინ განიცადეს, იგივე შეგვიძლია განვიცადოთ დღეს. ჩვენ ვიხილავთ ღმერთის მომავალ სასუფეველს „არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულით, ამბობს ცაბაოთ უფალი!“ (ზაქ. 4:6). სწორედ ამიტომ სურს ღმერთს, რომ ყოველდღე აღვივსოთ სულიწმიდით.

თუკი ჭიქა წყლით არის სავსე, მაშინ მასში სხვა რამის ადგილი აღარ არის. თუკი ჩვენ ღმერთის სულით არ ვართ აღვსილნი, მაშინ უფლისთვის აღარ გვექნება ადგილი. დაუფიქრდი რა აზრებით არის შენი გონება მოცული, რა სათხოვრებით არის შენი ლოცვები გაჯერებული და რა მოქმედებებით არის შენი ყოველი დღე სავსე. რითი ხარ სავსე? სხვადასხვა რამეების ნაზავით? სთხოვე ღმერთს დაგანახოს რა არის შენს გულში.

_____

_____

_____

წაიკითხე იოანე 14:16-17,26; და 16:12-25 და საქმეთა წიგნის 4:23-33; თუკი სულიწმიდით ხარ აღვსილი, რა სახით ელი ღმერთის მადლის წარმოჩინებას შენს ცხოვრებაში?

_____

_____

_____

წაიკითხეთ ესაია 40:28-31; საქმ. 1:4-5,8; და ფსალმუნი 22; 1-3,5; რა სახის პრინციპები შეგიძლია დაინახო და გამოიყენო შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იმისათვის, რომ ღმერთის სულით აღვსილი დარჩე?

_____

_____

გზის მაჩვენებელი

„ღმერთის მადლი, რომელიც საულს ჰქონდა მიცემული, შენთვისაც ხელმისწავდომია. იგივე სულიწმიდა, რომელიც მან მიიღო, შენც შეგიძლია მიიღო. ნუ დაკმაყოფილდები იმაზე ნაკლებს, ვიდრე ნათლობაა, რომელიც მოწაფეებმა ორმოცდამეათე დღეს მიიღეს. შემდეგ კი განაგრძე ცხოვრება, რომელიც გამუდმებით ღმერთის სულის მიერ იკურთხებოდა“.
სმით ვიგლზვორთი

შემდომი სწავლებისათვის...
ეფეს. 3:14-19;
კოლ. 1:9-13;

დღე 2 შეიმოსეთ ღმერთის სიტყვით

„უფლის ***სიტყვამ*** უხვად ***იცხოვროს*** თქვენში სული სიბრძნით. ასწავლეთ და შთააგონეთ ერთმანეთი ფსალმუნით, სადიდებლით და სასულიერო საგალობლებით, და უგალობეთ ღმერთს თქვენს გულებში მადლიერებით“

-კოლასელთა 3:16 (ინგ. ვერსია GW)

ყველაზე კარგი რამ, რაც განსაცდელის დროს შეგიძლია გააკეთო არის ის, რომ ღმერთის სიტყვაში ჩაიძირო. სულიწმიდის ხელში სხვა ვერაფერი იძლევა უფრო მეტ ძალას. ჯონის სიდედრმა ეს დამოკიდებულება მას შემდეგ განავითარა, რაც კიბოს სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს. მან ზურგი აქცია უარყოფით ინფორმაციას და დამარცხების ყოველ მღრღნელ აზრს და მათ წმინდა წერილის ჭეშმარიტება დაუპირისპირა. ასეთ ძლიერ თლიპსისთან ღმერთის სიტყვით ბრძოლის მეშვეობით, მან სიცოცხლის გვირგვინი მიიღო და ახლა იგი მეფობს, იმ სფეროში, რომელზეც იქნა დადგენილი. რაოდენ დიდი დამოწმებაა ღმერთის ძლიერი მადლის შესახებ!

რატომ არის ღმერთის სიტყვა უფრო ფასეული, ვიდრე კაცთათვის ცნობილი სხვა ნებისმიერი ინფორმაცია?
წაიკითხეთ ფსალმუნი 118:89; ესაია 40:8; მათე 24:35; 1 პეტრე 1:25; 2 ტიმოთე 3:16-17; 2 პეტრე 1:20-21;

რა გავლენას იქონიებს მისი ძალა შენს ცხოვრებაზე?
წაიკითხეთ ებრაელთა 4:12; იაკობი 1:21; იოანე 8:31-32; იერემია 23:29; იგავები 4:20-22; ფსალმუნი 18:7-11; 106:20;

რა სამოქმედო გეგმა გაქვს შემუშავებული საკუთარი თავის ღმერთის სიტყვაში ჩასაძირად? ილოცე და სთხოვე ღმერთს პრაქტიკული მეთოდი იმისათვის, რომ მიიღო ის ყველა ვიტამინი, რომელიც მის მარადიულ ჭეშმარიტებას გააჩნია. მან იცის, რომ დროში შეზღუდული ხარ და ისეთ რამეს დაგანახებს, რაც შენს მდგომარეობაში მყოფისთვის საუკეთესო იქნება. დაწერე რასაც ის შენს გულს ეტყვის.

იფიქრე ამ საშუალებებზე: სულიერი ლიტერატურა, სწავლებები, ინტერნეტში არსებული რესურსები, სხვადასხვა გაკვეთილები და მუსიკა.

დღე 3 გონივრულად შეარჩიე მეგობრები

„თანა ზიარი ვარ ყოველთა მოშიშთა შენთა, და ვინც იცავენ შენს მცნებებს“

- ფსალმუნი 118:63 (ინგ. ვერსია CEV)

კიდევ ერთი, ცხოვრების შემცვლელი ჩვევა, რომელიც შეგიძლია განავითარო, არის ის, რომ გონიერი იყო მეგობრების არჩევისას. ძველი ნათქვამია: მიჩვენე შენი მეგობრები და გიჩვენებ შენს მომავალს. ახლო მეგობრების წრეს დიდი გავლენა აქვთ იმაზე, თუ როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება. კარგი სამეგობრო გვიბიძგებს სიკეთის ქმნისკენ და ღმერთისკენ, ხოლო ცუდი წრე ქრისტეს გვაშორებს და არასწორ გზაზე გვაყენებს. თუკი ღმერთისათვის შეუპოვრად სიცოცხლე გვსურს, მაშინ უნდა დავფიქრდეთ თუ ვისთან ერთად ვატარებთ ჩვენს განკარგულებაში მოცემული დროის მეტ ნაწილს.

წაიკითხეთ ფსალმუნი 1:1; იგავები 4:14-15; 22:24-25; 24:1-2; 1კორინთელთა 5:11; 15:33; 2 კორინთელთა 6:14-18; იგავები 13:20; 17:17; 27:5-6,17; ეკლესიასტე 4:9-10; მალაქია 3:16-17;

ჩვენ ღმერთის სიტყვა უნდა მივუტანოთ და გავლენა მოვახდინოთ დაკარგულ და ცოდვასთან დათმობაზე წასულ ადამიანებზე. როგორ შეგიძლია შეარჩიო მეგობრები ისე, რომ ამავდროულად შეძლო მარილი და სინათლე იყო ცდუნებული და ღმერთისგან დაშორებული ადამიანებისთვის?

---

*„თქვენ აქ სინათლე ხართ, რათა ღვთის ფერები შემატოთ სოფელს. ღმერთი დასამალი საიდუმლოება არ არის. ყველასათვის დასანახი უნდა გავხადოთ იგი, როგორც მთის წვერზე მყოფი ქალაქი...თქვენ დაგადგინეთ როგორც ნათელი, რათა **იბრწყინოთ**. სახლი ღია გქონდეთ; უხვნი იყავით თქვენი ცხოვრებით. როდესაც სხვების მიმართ გახსნილები ხართ, ეს მათ უბიძგებს თავადაც გახსნილი იყვნენ ღმერთის წინაშე, ამ გულუხვი ზეციური მამის წინაშე“*

-მათე 5:14-16 (ინგ. ვერსია The message)

შენს ცხოვრებაში ვინ გამხნევებს ღმერთის გზაზე, ვისი სიტყვის გჯერა და ვინ გეხმარება ქრისტეში ზრდაში?

მადლობა შესწირე ღმერთს ამ ადამიანებისთვის, ილოცე მათთვის და ეცადე მათთან მეტი მოზიარეობა გქონდეს.

დრო გამოყავი „ნამდვილი მეგობრის“ თვისებების აღსაწერად. როგორ გეხმარებიან ისინი შეუპოვრად ცხოვრებაში? რას ამბობენ და რას აკეთებენ? სთხოვე ღმერთს მადლი, რათა შენც ასეთი მეგობარი იყო სხვებისთვის. როგორ შეგიძლია ასეთი მეგობარი გახდე შენი გავლენის სფეროში მყოფი ადამიანებისთვის?

დღე 4 გახსოვდეს რა გააკეთა იესომ შენთვის

იფიქრეთ იმაზე [იესოზე], ვინც მოითმინა ესოდენი სიძულვილი ცოდვილთაგან [შეუდარეთ მისი განსაცდელები თქვენსას], რათა თქვენ არ გატეხილიყავით სულდაძაბუნებულნი“

-ებრაელთა 12:3 (ინგ. ვერსია AMP)
[ფრჩხილებში წარმოდგენილი სიტყვები მოცემულია უკეთ გაგებისთვის]

იესო შეუპოვარი ცხოვრებით ცხოვრობდა. ის უძლებდა და ითმენდა განსაცდელებს, ისევე როგორც ჩვენ გვიწევს ამის კეთება, და იგი მათ ღმერთის მადლით ამარცხებდა. იმის გახსენება, თუ რისი გადატანა მოუწია მას ჩვენს გამო, კარგი წამალია ჩვენი სულისა და გულის სიფხიზლისათვის. ებრაელთა 12:2-3 ამბობს:

„შევხედოთ რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს, რომელმაც მისთვის შეთავაზებული სიხარულის ნაცვლად დაითმინა ჯვარი, უგულებელყო სირცხვილი და ღვთის ტახტის მარჯვნივ დაჯდა. იფიქრეთ იმაზე ვინც მოითმინა ესოდენი სიძულვილი ცოდვილთაგან, რათა თქვენ არ გატეხილიყავით სულდაძაბუნებულნი“.

გამონახე დრო, რათა ერთ-ერთი სახარებიდან, იესოს ცხოვრების ბოლო, სიკვდილამდე დარჩენილი რამდენიმე საათის შესახებ წაიკითხო. ეს ადგილები შეგიძლია ნახო: მათე 26:57-75; 27:1-50; მარკ. 14:53-72; 15:1-37; ლუკ. 22:54-71; 23:1-46; იოან. 18:12-40; 19:1-30;

რა სახის მსახურება გაგიწია პირადად შენ იესოს ტანჯვამ და მსხვერპლმა?

_____

_____

როგორ გეხმარება იესოს ისტორიის გახსენება ღმერთის გზაზე წინსვლაში?

_____

_____

_____

კიდევ რის შესახებ გელაპარაკება სულიწმიდა? აღგძრავს თუ არა იმისათვის, რომ რაიმე ცვლილება შეიტანო შენს დამოკიდებულებასა ან პერსპექტივაში? თუ დიახ, რა ცვლილებებია ეს?

_____

_____

_____

_____

_____

შემდგომის სწავლებისათვის...
ტანჯული მსახური:
ესაია 53:1-12;
ამაღლებული ცათა შინა:
ფილიპელთა 2:5-11.

დღე 5 დაე, განსაცდელმა ცვლილება მოიტანოს

*„**გარდავისახებით** იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“*
- 2 კორინთელთა 3:18 (ინგ. ვერსია NIV)

ღმერთის სიტყვა ამბობს, „სულიწმიდით აღვსილი იესო, უდაბნოში იქნა წაყვანილი სულის მიერ“ (ლუკა 4:1). სულიწმიდა ჩვენც წაგვიყვანს უდაბნოში. ჩვენ გავივლით გამოცდის დროს, როდესაც გვეჩვენება, რომ ველარ ვიზრდებით და ყველაფერი გამომშრალია.

როდესაც ეს გამოცდა დასრულდა, წმინდა წერილი ამბობს, რომ იესო „დაბრუნდა სულის ძალით“ (ლუკა 4:14). დაუკვირდით – იგი სულიწმიდით აღვსილი წავიდა გამოცდისთვის და უკან სულის ძალით დაბრუნდა. განსაცდელში შესვლასა და გამოცდის შუაში გარდასახვა მოხდა.

2 კორინთელთა 3:18-ში ნახსენები სიტყვა გარდასახვა ბერძნულად ასე ჟღერს: მეტამორფო. ეს არი ორი ნაწილისაგან შემდგარი სიტყვა: მეტა და მორფო. მეტას გარდასახვის მნიშვნელობა გააჩნია, ხოლო მორფო ბერძნულად ადამიანის გარეგნულ სახეს გამოხატავს. ერთად აღებული ეს სიტყვები „ადამიანის გარეგნულ გარდასახვას, ფერისცვალებას“ ნიშნავს.

ყურადღებით წაიკითხეთ ლუკა 4:1-14; (თუ შესაძლებელია ბიბლიის სხვა ვერსიაშიც).

რა სახის შეტევა განახორციელა სატანამ უდაბნოში მყოფ იესოზე? შენ როგორ გიტევს იგი?

_____

_____

_____

როგორი იყო იესოს პასუხი? რა მაგალითის აღება შეგიძლია მისგან შენს ცხოვრებაში გამოსაყენებლად?

_____

_____

ერთი და იგივე განსაცდელში ხარ და წარმატებას ვერ აღწევ? სთხოვე უფალს გიჩვენოს, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ შენს ცხოვრებაში ის ცვლილებები მოხდეს, რაც მას სურს. დაწერე რას გეუბნება უფალი.

_____

_____

_____

*„[რამეთუ ჩემი მიზანია] ...შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა და მის ტანჯვებში თანაზიარება, და მის სიკვდილს **ვემსგავსო გამუდმებით** [სულით მის მსგავსებაში თანაბრად]“*

-ფილიპელთა 3:10 (ინგ. ვერსია AMP)

დღე 6 იცოდე, რომ ღმერთი შენკენ არის!

ამაზე [ყველაფერზე] რაღა ვთქვათ? თუ ღმერთი ჩვენსკენ არის [რომელსაც შეუძლია], ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ [ვინ იქნება ჩვენი მტერი თუ ღმერთი ჩვენს მხარეზეა?]

-რომაელთა 8:31(ინგ. ვერსია AMP)

ღმერთი ჩვენკენ არის! რა ჭეშმარიტი ნათქვამია – ნათქვამი, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. მაქს ლუკადო დაგვეხმარება ამ ჭეშმარიტების უკეთ გაგებაში:

„ყურადღებით წაიკითხე ფრაზა: „ღმერთი ჩვენკენ არის“. გთხოვ, პაუზა გააკეთე და მერე განაგრძე. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ხმამაღლა. (ბოდიშს ვუხდი თქვენს გვერდზე მჯდომ პიროვნებას) ღმერთი ჩვენკენ არის. ეს ფრაზა ოთხჯერ გაიმეორეთ, ამჯერად თითოეულ სიტყვას კარგად დაუკვირდით. (მიდით, ძალიან არ გეჩქარებათ)“

ღმერთი ჩვენკენ არის! ღმერთი ჩვენკენ არის! ღმერთი ჩვენკენ არის! ღმერთი ჩვენკენ არის!

ღმერთი თქვენკენ არის. შეიძლება მშობლებმა დაგივიწყეს, შესაძლოა მასწავლებლებმა უგულებელგყვეს, შეიძლება დედმამიშვილებს რცხვენიათ შენი; მაგრამ შენი ლოცვების სიღრმეში არის ის, ვინც ზღვარი დაუდო ოკეანეს – ღმერთი!

ღმერთი არის შენკენ. კი არ იყო შენკენ, ანდა შეიძლება იყოს შენკენ, არამედ ღმერთი არის შენკენ! ის შენთვის არის დღეს, ამ საათს, ამ წუთას. ახლა, როდესაც ამ წინადადებას კითხულობ. არ გჭირდება რიგში დგომა ან ხვალ მოსვლა. ის შენთან არის. იგი ისე ახლოა შენთან ამ წამს, რომ მეტი სიახლოვე შეუძლებელია. მისი შენდამი ერთგულება იმის მიხედვით არ იზრდება უკეთესი ხარ თუ უარესი. ის შენკენ არის!“

ღმერთი შენკენ არის! ახლა, რას ეუბნება შენს გულს ეს სამი სიტყვა?

_____

ვინ ან რა არის ახლა შენს წინააღმდეგ? ცოდნა იმისა, რომ ღმერთი შენკენ არის, რამდენად გეხმარება არსებულ სიტუაციაში იმედიანად იყო?

_____

_____

ნელ-ნელა წაიკითხე დავითის სიტყვები ფსალმუნის 17:1-19 მუხლები – როდესაც ღმერთმა იგი მტრებისგან იხსნა. რა საერთო შეგიძლია დაინახო მასთან? როგორ ღმერთს წარმოგვიდგენს დავითის სიტყვები? როგორ გამხნევებს ეს მუხლები?

_____

_____

_____

შემდგომი შესწავლისათვის...
ფსალმუნი 3:3-8; 19:6-7; 26:1-5; 117:6-7; ესაია 41:10-14; ებრაელთა 13;5-6.

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

ღმერთის სასუფეველი ფიზიკურ ადგილს არ წარმოადგენს, არამედ მისი ძალისა და ხასიათის გამოვლინებას. ღმერთს სურს, არა მხოლოდ ვიხილოთ მისი სასუფეველი, არამედ შევიდეთ კიდეც მასში. მას სურს აღვდგეთ და პრაქტიკულად შევიდეთ მის უზენაეს, ძლიერ მმართველობაში. ასე ვიქცევით განსაცდელების დროს. თუკი სწორად მივუდგებით, განსაცდელი ქრისტეს სახებად გარდაგვსახავს და სიცოცხლეში მეფობის ახალ დონეზე აგვიყვანს.

შენიშვნები

(1) Adapted from Strong's Exhaustive Concordance of the Bible, James Strong, LL.D., S.T.D. (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 1990). (2) Adapted from Relentless, John Bevere (Colorado Springs, CO: WaterBrook Press, 2011) p. 64. (3) Dr. Miles Munroe, Understanding the Purpose and Power of Prayer (New Kensington, PA: Whitaker House, 2002) p. 120. (4) See note 1. (5) Ibid. (6) Adapted from Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 291. (7) Adapted from Relentless, John Bevere (Colorado Springs, CO: WaterBrook Press, 2011) p. 69. (8) Hannah Whitall Smith, The Christian's Secret of a Happy Life (Gainesville, FL: Bridge-Logos, 1998) p. 127. (9) David Jeremiah, Captured by Grace (Nashville, TN: Thomas Nelson, Inc., 2006) p. 90. (10) Mother Teresa, No Greater Love (Novato, CA: New World Library, 1997, 2001) pp. 136-137. (11) Smith Wigglesworth, Faith That Prevails (Springfi eld, MO: Gospel Publishing House, 1938, 1966) p. 36. (12) Adapted from Sparkling Gems from the Greek, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003) p. 644. (13) Max Lucado, In the Grip of Grace (Dallas, TX: Word Publishing, 1996) pp. 173-174.

„ქურდი მხოლოდ იმისათვის
მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას
და მოსპოს. მე იმისათვის
მოვედი, რომ სიცოცხლე
ჰქონდეთ მათ და უხვად
ჰქონდეთ“

-იოანე 10:10

(ინგ. ვერსია NLT)

5 თავი

ვინ დგას სირთულეების მიღმა?

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-7 თავი და მოისმინეთ
ვიდეო კურსის მე-5 გაკვეთილი

G 1. ჩვენთვის, მორწმუნეებისათვის, მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ სულიერ ომში ჩართული სულიერი მეომრები ვართ. ჩვენ აუცილებელ მომზადებას გავდივართ და სათანადო აღჭურვილობა გაგვაჩნია, რომელიც გვაძლიერებს და გვიცავს. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მუხლები. რა სიბრძნეს გაჩვენებს უფალი ამ ადგილებიდან, რომელიც დაგეხმარება იმაში, რომ უკეთესი ჯარისკაცი იყო?

„ვინაიდან, თუმცა ხორცში დავდივართ, ხორციელად არ ვიბრძვით. ვინაიდან ჩვენი საბ-რძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“

-2კორინთელთა 10:3-4 (ინგ. ვერსია NLT)

„შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი [მძიმედ აღჭურვილი ჯარისკაცის საჭურველი, რომელსაც ღმერთი იძლევა], რათა შეძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის [ყველა] მზაკვრობას. რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“

-ეფესელთა 6:11-12 (ინგ. ვერსია AMP & The Message)

„იტანჯე ჩემთან ერთად, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა. არც ერთი მეომარი არ შეიბორკება ცხოვრებისეული საქმეებით, რათა აამოს მხედართმთავარს“

-2 ტიმოთე 2:3-4 (ინგ. ვერსია TLB)

გზის მაჩვენებელი

„ყოველმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ მისი ბრძოლა არ არის ფიზიკური, ხორციელი და ბუნებრივი. ... შენი ბრძოლა სულიერ სამყაროში სიბნელის ძალების წინააღმდეგ არის მიმართული... ეს სასტიკი ბრძოლა მთელს ფრონტზეა გაშლილი უხილავი და საშინელი მტრის წინააღმდეგ. ეკლესიამ უნდა შეძლოს დომინირება მოახდინოს ამ ძალებზე, რათა ამ თაობის მრავალი წარმომადგენელი ქრისტესთან მიიყვანოს.“

- ლესტერ სამრალი

გახსოვდეს ...

თუ ქრისტეში ხარ, მაშინ ნამდვილად ჯარისკაცი ხარ, რამეთუ ქრისტეს თესლია შენს სულში ჩადებული. ქრისტე ყველაზე დიდი მეომარია ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე. თუ ქრისტე მეომარია, მაშინ შენც მეომარი ხარ.

„გარბიან უკეთურნი, დევნით კი არავინ დევნის, ხოლო მართალნი ლომის ბოკვერივით უსაფრთხოდ არიან“

-იგავები 28:1 (ინგ. ვერსია NKJV)

G 2. ღმერთს სურს, რომ რწმენის კეთილი ბრძოლით ვიბრძოლოთ და ჩავეჭიდოთ საუკუნო სიცოცხლეს, რომლისკენაც მან მოგვიწოდა (იხ. 1 ტიმ. 6:12). ღმერთს არ სურს ლაჩრობა გამოვიჩინოთ და ბრძოლიდან გავიქცეთ, არამედ მას უნდა, რომ გმირობა გამოვიჩინოთ, გაბედულად ვიდგეთ და გავიმარჯვოთ ბრძოლაში

დაუფიქრდი ღმერთის მოცემულ ამ აღთქმებს:

„მაგრამ, ვმადლობ ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში“
-2 კორინთელთა 2:14 (ინგ. ვერსია GW)

„მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით“
-რომაელთა 8:37 (ინგ. ვერსია NLT)

„ვინაიდან, ყოველი ღვთისგან შობილი სძლევს სოფელს. და ეს არის ძლევა, სოფლის მძლეველი, ჩვენი რწმენა“

-1 იოანე 5:4 (ინგ. ვერსია GW)

„ყოველი იარაღი, დამზადებული შენს წინააღმდეგ, გაცუდდება; და ყოველ ენას, რომელიც შენს წინააღმდეგ წარსდგება სამსჯავროზე, შენ დაადანაშაულებ. ეს [მშვიდობა, სიმართლე, უსაფრთხოება, გამარჯვება წინააღმდეგობაზე] არის ხვედრი უფლის მსახურთა [მათი, რომლებშიც უფლის ნამდვილი მსახურია შობილი] და მათი გამართლება ჩემგან არის!“ - ამბობს უფალი“

-ესაია 54:17AMP (ინგ. ვერსია AMP)

გზის მაჩვენებელი

„როგორც ქრისტეს ჯარის ნაწილი, შენ სულიერ სამყაროში არსებობ. ყოველი შენი თანამებრძოლი მეფის შვილია. ზოგიერთი, შენს მსგავსად, ბრძოლის შუაგულში იმყოფება და ყოველი მხრიდან ცდუნებებითა და განსაცდელით არის გარემოცული. სხვები კი მრავალ განსაცდელ გადატანილნი რწმენის სარბიელგავლილნი, უკვე ზეცის კედელთან დგანან როგორც გამარჯვებულნი. ისინი იქიდან დაგყურებენ და გამხნევებენ თავიანთ, დედამიწაზე დარჩენილ მეგობრებს, რომ თქვენც მათ კვალს მიჰყვეთ. ისინი მოგიწოდებენ: ბოლომდე იბრძოლეთ, სიკვდილს არ შეუშინდეთ და ეს ქალაქი უკვე თქვენია, ისევე როგორც ის ახლა ჩვენია!“
- უილიამ გარნალი

რომელი თემა მეორდება ზემოთ მოყვანილ მუხლებში? როგორ ეხება ეს მუხლები შენს გულს?

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ლუკ. 10:19

„ამიტომ, ჩვენც, როცა ირგვლივ მოწმეთა ღრუბელი გვაქვს, ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი“

-ებრაელთა 12:1(ინგ. ვერსია CEV)

3. იესომ მოწაფეებს უთხრა ნავში ჩამსხდარიყვნენ და მეორე ნაპირზე გადასულიყვნენ – და არა ნახევარ მანძილზე გაეცურათ და შემდეგ ქარიშხლის გამო ჩაძირულიყვნენ. მათ მისი სიტყვა ჰქონდათ, რომ ის შეაძლებინებდა ამას. როდესაც რაიმე საქმეზე უფლის სიტყვა გაქვს მოცემული, ეს ნიშნავს, რომ საქმე გაკეთებული იქნება. გაქვს შენ ღმერთის სიტყვა რომელიმე საქმეზე, თუმცა ჯერ არ დაგიწყია? თუ ასეა, რა საქმეა ეს და რა გიშლის ხელს მის დაწყებაში?

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ლუკ. 4:1-4; მათ. 14:25-32.

„არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით“

-2 რჯული 8:3 (ინგ. ვერსია AMP)

4. ვეჯახები რა და ვებრძვი რა ცხოვრებისეულ ქარიშხლებს, თქვენ დიდ გამარჯვებას აღწევთ. გაიხსენეთ თქვენს ცხოვრებაში არსებული განსაცდელები. შეიძინეთ სიბრძნე, რომელიც დღეს გეხმარებათ ცხოვრებაში? ვის ცხოვრებაზე იქო-ნიეთ დადებითი გავლენა? როგორ დაეხმარე მათ?

სიბრძნე, რომელიც ღმერთმა მაშინ მომანიჭა, როცა ჩემს ცხოვრებაში რთული პერიოდი იდგა:

_____

_____

_____

_____

_____

გახსოვდეს ...

ღმერთი არასოდეს შეგიყვანს ისეთ ქარიშხალში, რომელზე გასამარჯვებელ საჭირო ძალასაც – მადლს – არ მოგცემს. საუკუნოდ ჩაიმარხე გულში ეს ჭეშმარიტი სიტყვები, რადგან ისინი ძალას მოგანიჭებენ, როდესაც განსაცდელის წინაშე დადგები.

ხალხი, რომელთაც დავეხმარე იმის წყალობით, რომ რთულ პერიოდში შეუპოვრად ვიდექი:

_____

_____

_____

_____

„რა მშვენიერი ღმერთი გვყავს მამა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ყოველი წყალობის სათავე და ყოველი ნუგეშის ღმერთი. ჩვენი ნუგეშისმცემელი ჩვენს ყოველგვარ გასაჭირში, რომ ჩვენც შევძლოთ ნუგეშისცემა ყოველგვარ გასაჭირში მყოფთათვის იმავე ნუგეშით, რომლითაც გვანუგეშებს ღმერთი“

- 2 კორინთელთა 1:3-4 (ინგ. ვერსია TLB)

G 5. ღმერთი არ არის შენს წინაშე მდგარი სირთულეების (თჰლიპსისის) შემოქმედი, არამედ სატანა და დემონური ძალები. რატომაა აუცილებელი შენთვის ამისი ცოდნა? რა მოხდება, თუკი ამ ყველაფრის უკან ღმერთი დგას?

გზის მაჩვენებელი

„მნიშვნელობა არ აქვს რა სირთულე, ეშმაკის რა განზრახვა ან მსჯავრდადება გადაგვეღობება გზაზე, ყოველივე, რასაც სატანა ჩვენს დასანგრევად გამოიყენებს, უკვე ღმერთის სიყვარულით არის ძლეული და ჩვენივე სრულყოფისათვის გამოყენებული. თუკი ერთგულად ვეძიებთ უფალს, მაშინ სირთულეები იმ საწვავად გადაიქცევა, რომელიც ჩვენს გულებს ღმერთისთვის აანთებს.“

- ფრანცის ფრენგიპენი

6. იმის დანახვა, თუ ვის მიერ იყო განსაცდელები G გამოწვეული, მრავალი მორწმუნისათვის დაბრკოლების ქვად იქცა. გამოყავი დრო და იფიქრე იაკობ 1:13-17. რა დახმარებას გიწევს ეს მუხლები იმაში, რომ იცოდე, რომ ღმერთი არ არის შენს წინაშე არსებული სირთულეების ავტორი? საიდან მომდინარეობს ცოდვის ჩადენის სურვილი?

„ნურავინ იტყვის განსაცდელში: ღვთისგან ვიცდებიო. რადგან ღმერთი არ იცდება ბოროტით და არც არავის ცდის. არამედ ყოველი იცდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას. მერე გულისთქმა [სურვილი] ჩასახავს და შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს. ნუ შეცდებით ჩემო საყვარელო ძმებო. ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა“

-იაკობი 1:13-17 (ინგ. ვერსია The message)
[ფრჩხილებში მოცემული სიტყვებიო უკეთ გასაგებადაა მოცემული]

„ქურდი მხოლოდ იმისათვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე იმისათვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად (სავსე, სანამ არ გადმოდინდება)ჰქონდეთ“

-იოანე 10:10 (ინგ. ვერსია AMP)

7. მსჯავრდადება და სირცხვილი, ეს არის ორი მთავარი იარაღი, რომელსაც მტერი იყენებს იმისათვის, რომ ღვთის სასუფეველი არ გავავრცელოთ. მადლობა ღმერთს, იესომ არა მხოლოდ ცოდვისგან გაგვათავისუფლა, არამედ მისი თანმხლები მსჯავრდადებისა და სირცხვილისგანაც. რა მნიშვნელოვანი აზრები შეგვიძლია დავინახოთ, ქვემოთ მოყვანილ ჭეშმარიტებებში და როგორ შეგიძლია მათი გამოყენება მტრის წინააღმდეგ?

„რადგან წერილი ამბობს,: „არცერთი მისი მორწმუნე არ შერცხვება“

-რომაელთა 10:11 (ინგ. ვერსია NIV)

„ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი [ერთდროს]. მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმინდა გახდით (ცოდვისათვის გაღებული სრულყოფილი მსხვერპლით განიწმიდეთ და გათავისუფლდით ცოდვის მიერ გამოწვეული ბრალისგან), მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღვთის სულით“.

-1კორინთელთა 6:11 (ინგ. ვერსია AMP)

„ხოლო თუ [ნამდვილად] ნათელში დავდივართ, როგორც ის [თავად] არის ნათელში, მაშინ [ნამდვილი, შეუბღალავი] მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმედს (გვაშორებს) ყოველგვარი ცოდვისაგან“

-1იოანე 1:7 (ინგ. ვერსია AMP)

გახსოვდეს

დღესავით ნათელია: ნებისმიერი განსაცდელის მიღმა, რომელიც მკვლელობის, მოპარვის და განადგურების კატეგორიას ეკუთვნის, მტერი დგას – ის არის მისი ავტორი. მეორეს მხრივ, ღმერთის ნებაა თქვენი სიცოცხლე იყოს სრული. როდესაც განსაცდელში, ზეწოლაში ან რაიმე სირთულეში გიწევთ ყოფნა, ფილტრისთვის გამოიყენეთ იოანე 10:10, რათა დაინახოთ ღმერთია მისი ავტორი, თუ ეშმაკი.

ბრალი – სირცხვილი – მსჯავრდადება

ბრალის მნიშვნელობა ყველაზე კარგად შემდეგი სიტყვებით განისაზღვრება: „დანაშაული, სიბოროტე, ან ვალი“. სიტყვა რომლიდანაც ის მომდინარეობს არის „გადახდა.“ ბრალი მაშინ ედება ადამიანს, როდესაც იგი გაცნობიერებულად არღვევს კანონს და ამის გამო ეს პიროვნება კანონის მიმართ მოვალე ხდება. ***სირცხვილი*** - არის „მტკივნეული შეგრძნება, რომელიც ბრალის გააზრებით არის გამოწვეული; ეს არის მოქმედება, რომელსაც უხერხულობის შეგრძნება მოაქვს და სახის აწითლებას იწვევს“. ***მსჯავრდადება*** მსჯავრის დადების აქტს წარმოადგენს, რომელიც „დადანაშაულების ან ბრალდების წარმოთქმას“ ნიშნავს; სასჯელის მისჯას; გულისხმობს სრულ უარყოფას.

ვინ გაამტყუნებს ღვთის რჩეულებს? ღმერთი გამმართლებელი. ვინ დასდებს მსჯავრს? ქრისტე იესო, რომელიც მოკვდა და, მეტიც, რომელიც აღდგა მკვდრეთით, ღვთის მარჯვნივ არის და ის შუამდგომლობს ჩვენთვის“

- რომაელთა 8:33-34 (ინგ. ვერსია TLB)

8. ჩვენ თავისუფლები ვართ არა მხოლოდ ბრალისა და სირცხვილისგან, ასევე მსჯავრდადებისგან. დაასახელე სამი მთავარი სფერო, რომელშიც ეშმაკი ცდილობს მსჯავრდადება გაგრძნობინოს.

_____

_____

_____

შემდგომში, როდესაც ეშმაკი შეეცდება ბრალი დაგდოს უკვე მონანიებული ცოდვების გამო, ღმერთის სიტყვით მიმართე მას. დაუფიქრდი ქვემოთ მოცემულ მუხლებში ჩაწერილ ჭერშმარიტებებს და მათი მეშვეობით მიმართე მტერს!

„ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, როლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად. რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან“

- რომაელთა 8:1-2 (ინგ. ვერსია NKJV)

„რადგან იმისათვის კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ჩემს ცხოვრებაში, რომ განვეკითხე (მსჯავრი დაედო, უგულებელვყავი, დავესაჯე), არამედ გადავრჩენილიყავი მის მიერ. რადგან მწამს მისი [ვენდობი, მჯერა მისი] და არ განვიკითხები [მე, ვისაც მისი მწამს, არასოდეს წარვსდგები სამსჯავროზე; რადგან ჩემზე არ არის მსჯავრდადება – სასჯელს არ ვექვემდებარები]“

- იოანე 3:17-18 (ინგ. ვერსია AMP)
{განპიროვნებულია მნიშვნელობის უკეთ გასაგებად}

გახსოვდეს

გაითავისეთ ეს ახლა: შენ მოგეტევა ქრისტე იესოში. არ არსებობს შენს მიერ ჩადენილი ცოდვა, რომელიც ქრისტეს სისხლის მიერ არ არის გაწმენდილი! თუ შენ იგრძნობ სირცვილს, ბრალს ან მსჯავრდადებას იმის გამო, რაც წარსულში გაგიკეთებია და რაზეც ღმერთს უკვე სთხოვე პატიება, იცოდე, რომ ამის უკან ღმერთი არ დგას.

9. ავადმყოფობა ღმერთისგან არ არის, ჯან-მრთელობა კი მისგან მომდინარეობს. წაიკითხე მათ.15:21-28; და მარკ.10:46-52-ში მოცემული ბარტემეოსისა და ქანაანელი ქალის ისტორია. რისი სწავლა შეიძლება მათი შეუპოვარი საქციელიდან და რას გამოიყენებ საკუთარ ცხოვრებაში?

_____

_____

_____

10. ღმერთს ყველაზე მეტად სურს, რომ შენ,

როგორც მისი შვილი, წარმატებული და ჯანმრთელი იყო (იხ. 3 იოანე 1;2;). ის არ დგას ავადმყოფობისა და ფინანსური სირთულეების მიღმა, მაგრამ იყენებს მათ, რათა უფრო მაღალო საფეხურზე აგვიყვანოს.

ბიბლია გამუდმებით გამარჯვებულებს გვიწოდებს. გამარჯვება ნიშნავს „კონფლიქტის უკეთესად გამკლავებას; დაძლევას (განსაცდელების, სირთულეების და ა.შ.); გამარჯვებულად ყოფნას“. როგორ დააკავშირებდი გამარჯვებულის შეხედულებებს მსჯავრდადებასთან, ჯანმრთელობასთან ან ფინანსებთან მიმართებაში?

მსჯავრდადება

ჯანმრთელობა

ფინანსები

გახსოვდეს

დაიმახსოვრე, ნებისმიერ წინააღმდეგობას, რომელიც ქურდობის, სიკვდილის და განადგურების კატეგორიას ეკუთვნის, არაფერი აქვს ღმერთთან საერთო. ის სატანის ძალებისგან მომდინარეობს, რომელსაც სურს დაგამარცხოს და იმედი დაგაკარგვინოს. ჩვენ გვმართებს, რომ მას შეუპოვრად ვებრძოლოთ, რათა ვიხილოთ ღმერთის სასუფევლის მოსვლა დედამიწაზე, როგორც ეს ზეცაშია.

მთელი კვირის ამოცანა

დაადგინე სირთულის ის სფერო, რომლის მიმართაც არ იცი, რა არის ღმერთის ნება. შეისწავლე წერილები, რათა გაიგო რა აღთქმები და გამოცხადებები აქვს ღმერთს ამ კონკრეტულ საკითხთთან დაკავშირებით. დაწერე ან დაბეჭდე ეს მუხლები და კარგად დასანახ ადგილზე გააკარი. ხმამაღლა წარმოთქვი ისინი, როდესაც სირთულეების წინაშე დადგები.

დღე 1 იცოდე, შენ ღმერთს უყვარხარ

„მაგრამ წყალობით მდიდარმა ღმერთმა თავისი დიდი სიყვარულით, რომლითაც ჩვენ შეგვიყვარა, ჩვენ, დანაშაულთა გამო მკვდრები, გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად (მადლითა ხართ დახსნილნი!)“

-ეფესელთა 2:4-5 (ინგ. ვერსია NLT)

უმეტესობა ჩვენგანმა ვიცით, რომ იოანე 3:16; ამბობს: „რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი“ მაგრამ იცით, რომ მისი სიყვარული საუკუნოა? იერემია 31:3-ში ღმერთი ამბობს: „საუკუნო სიყვარულით შეგიყვარე, ისრაელ, ამის გამო მიგიზიდე წყალობით“. ღმერთის სიყვარული მარადიულია – ისეთი ძლიერი და დიადი, რომ დასაწყისი და დასასრული არ გააჩნია!

როგორ გაიგებ, რომ ღმერთს უყვარხარ? ერწმუნე მის სიტყვებს. ნუ აჰყვები შენს გრძნობებს და მტრის ხმას. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მუხლები:

„ხოლო იმედი არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ. ვინაიდან ქრისტე, როცა ჯერ კიდევ უძლურნი ვიყავით [ძალა არ შეგვწევდა საკუთარ თავს დავხმარებოდით], განწესებულ ჟამს მოკვდა უკეთურთათვის. ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის, ხოლო კეთილთათვის, შესაძლოა, ვინმემ კიდევ გაბედოს სიკვდილი. მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე (მესია, ცხებული) მოკვდა ჩვენთვის, **როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით**“

-რომაელთა 5:5-8 (ინგ. ვერსია AMP)

„ვინაიდან ოდესღაც ჩვენც ვიყავით უმეცარნი, ურჩნი, გზააბნეულნი, სხვადსხვა გულისთქმათა და განცხრომათა მონები, ვცხოვრობდით ღვარძლით და შურით, ვიყავით საძულველნი და ერთიმეორის მოძულენი. ხოლო როცა **გაცხადდა** ჩვენი მაცხოვარი ღმერთის **სახიერება და კაცთმოყვარეობა**, მან გვიხსნა არა მართალი საქმეების გამო, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ, არამედ თავისი წყალობით, ხელახლა შობის განბანითა და სულიწმიდის მიერ განახლებით, რომელიც უხვად მოგვეფინა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ, რათა მისი მადლით გამართლებულები, გავხდეთ საუკუნო სიცოცხლის მემკვიდრენი, რისი იმედიც გვაქვს“

-ტიტე 3:3-7 (ინგ. ვერსია NLT)

წაიკითხეთ რომაელთა 8. როგორ გიყურებს ღმერთი, როდესაც არ ემორჩილები, ან როდესაც რწმენაში მოისუსტებ?

შეჩერდი და გაიაზრე ღმერთის შენდამი დიდი სიყვარული. შემდეგ კი დაწერე ერთი აბზაცი, განადიდე იმის გამო, რაც მან შენთვის გააკეთა.

დღე 2 იცოდე, ვინ არის შენი მტერი

„რათა სატანამ ზიანი არ მოგვაყენოს, ვინაიდან ჩვენთვის უცნობი არ არის მისი ზრახვები“

-2 კორინთელთა 2:11 (ინგ. ვერსია NLT)

როდესაც ჯარისკაცი ომში მიდის, ის ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ ვის ებრძვის. რაც მეტად იცის ამ ჯარისკაცმა მტრის საბრძოლო სტრატეგია, მით მეტად პროფესიონალია თავის საქმეში. იგივე ითქმის ჩვენზე, როგორც მორწმუნეებზე. როგორ გავიგებთ სატანის ხრიკების შესახებ? იმ ფილტრის მეშვეობით, რომელიც იესომ იოანეს 10:10-ში მოგვცა: „ქურდი იმისათვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე კი იმისათვის მოვედი რომ უხვი და კმაყოფილების მომცემი სიცოცხლე მოგცეთ“. რიკ რენერი ამ მუხლებში გადმოცემულ რამდენიმე სიტყვას უფრო დეტალურად განიხილავს.

> სიტყვა ქურდის ბერძნული ექვივალენტია კლეპტო, რაც „მოპარვას“ ნიშნავს. ის წარმოგვიდგენს ბანდიტის ან ჯიბის ქურდის სახეს, რომელიც მოხერხებულად ძარცვავს, თითქმის შეუმჩნეველია. იესოს ამ სიტყვის მეშვეობით სურს დაგვანახოს, რომ ეშმაკი ცბიერია და ადამიანს ისე გააცურებს და მოატყუებს, რომ ეს უკანასკნელი ვერც კი მიხვდება რა მოხდა.
>
> სიტყვა მოკვლის ბერძნული ექვივალენტია „თუო“, მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „სამსხვერპლოზე ცხოველის მსხვერპლად მიყვანა - იგულისხმება ძვირფასი მსხვერპლი“. ამ სიტყვას მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ამ სიტყვის გამოყენებით იესოს სურდა ეთქვა, რომ თუ მტერმა ყველაფერი არ მოგვპარა და არ გაგვშორდა, მაშინ ის შეეცდება დაგვარწმუნოს მსხვერპლად გავიღოთ ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს.
>
> მესამე სიტყვა, რომელსაც იესო მტრის მიზნის მიღწევის აღსაწერად იყენებს - განადგურებაა. განადგურების ბერძნული ექვივალენტია სიტყვა - „აპლიუმი“ და ნიშნავს რაღაცას რაც „გაპარტახებულია, დანგრეულია, ნაგვად ქცეულია და მომსპარია“. აქ იესო გვეუბნება, რომ თუ სატანა ვერ შეძლებს რამე მოგვაროს, ან მსხვერპლად გაგვაღებინოს ის, რაც ჩვენთვის ძვირფასია და მშვიდობას გვანიჭებს, მაშინ შეეცდება მის დანგრევასა და მთლიანად მოსპობას.
>
> შეცდომას ნუ დაუშვებთ, თუ მტერს არ შეაჩერებთ, ის მთლიანად გაგვძარცვავს, მსხვერპლად გაგვაღებინებს ყველაფერ ძვირფასს, რაც ღმერთს ჩვენთვის მოუცია და მთლიანად გაანადგურებს ჩვენს ცხოვრებას.

რას გიცხადებს სულიწმიდა შენი მტრის და იმ შეტევების შესახებ, რომლებსაც იგი შენი ცხოვრების მიმართ ახორციელებს?

წაიკითხე იოანე 8:44; სატანის რა მოქმედებაზე საუბრობს იგი და როგორ აღვიჭურვოთ მისგან თავის დასაცავად?

დღე 3 მიჰყევი ღმერთის მითითებებს

„შვილო უფლისგან წვრთნას ნუ უგულებელყოფ და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ. რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი; სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს“

-ებრაელთა 12:5,6 (ინგ. ვერსია The Message)

დისციპლინა ეს ღვთიური ბმულია სურვილსა და მიზანს შორის — ეს არის ხიდი, რომელსაც იქ მივყავართ, სადაც გვინდა რომ მივიდეთ. ჯეიმს დობსონმა თქვა: „თუ ვინმე შეეცდება გამოიძიოს რა დგას ფეხბურთის გუნდის ჩემპიონობის, ბრწყინვალე ორკესტრის ან წარმატებული ბიზნესის მიღმა, დაინახავს რომ ამ ყველაფრის მნიშვნელოვანი ნაწილი დისციპლინაა“.

საინტერესოა, რომ ღმერთისმიერი წვრთნაც და მტრის მსჯავრდადება, ორივე მტკივნეული და არასასიამოვნოა. თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. მსჯავრდადება გამოსავალს არ გვაძლევს. ის ბრალში და სირცხვილში გვამყოფებს. ამისგან განსხვავებით, ღმერთის მითითებები გამოსავალს გვაძლევენ და ამ გამოსავალს მონანიება ჰქვია. ის სიყვარულით მიგვითითებს და აღადგენს ჩვენს ურთიერთობებს და გვზრდის ქრისტეს მსგავსებაში.

ებრაელთა 12:10-11-ის მიხედვით, რა კურთხევები მოჰყვება ღმერთისმიერ წვრთნას, თუკი მას არ უგულებელვყოფთ?

რას ადარებენ იესო და მალაქია ღმერთისმიერ წვრთნას? როგორ უნდა ვითანამშრომლოთ მასთან?
წაიკითხეთ იოან. 15:1-8; მალაქ. 3:1-4;

ასევე იხ. ზაქ. 13:8-9;

ჩვენი მიზანია ღვთის მადლის დახმარებით არ შევცოდოთ. მაგრამ თუ შევცოდავთ, მალევე უნდა მივხედოთ ამას. წაიკითხეთ 1 იოანე 1;9; ფსალ. 31:1-6; და იგავები 28:13; საკუთარი სიტყვებით აღწერეთ როგორი გამოვლინება აქვს ჭეშმარიტ მონანიებას.

იმ შემთხვევაში თუ მოინანიებ, რაში უნდა იყო დარწმუნებული, რომ ღმერთი აუცილებლად გაა-კეთებს? როგორ გამხნევებს ეს?
Read Psalm 103:2-3, 12 • 1 John 1:9; 2:1-2 • 1 Peter 2:24 • Colossians 2:13-15

შემდგომი შესწავლისათვის...
2 რჯ. 8:5; იობ.5:17; ფსალმ. 93:12-13; 118:67; იგავ. 3;11-12; საქმ. 3:19;ა

დღე 4 განავითარე ჯანსაღი სინდისი

*„სისხლი ქრისტესი, რომელმაც საუკუნო სულით შესწირა ღმერთს თავისი უბიწო თავი, **განწმედს ჩვენს სინდისს** მკვდარი საქმეებისგან ცოცხალი ღვთის სამსახურისთვის“*

-ებრაელთა 9:14 (ინგ. ვერსია GW)

როდესაც საუბარია ცოდვასა და სინდისზე, მაშინ ჩვენს წინაშე ორი არჩევანია: ან ცოდვის გააზრება, ან სიმართლის გააზრება. ცოდვის გააზრებაა, საკუთარი თავის დანახვა, როგორც „უბრალოდ მადლით დახსნილი ცოდვილის“, რომელიც გრძნობს თავის ბრალეულობას და მარცხს. ეს არის მდგომარეობა, რომელშიც წარმოიშობა ბრალეულობა, სირცხვილი და მსჯავრდადება.

მეორეს მხრივ კი, სიმართლის გააზრების მეშვეობით, ჩვენი აზრები ქრისტეს გამარჯვებაზეა ორიენტირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ღმერთის წინაშე სწორ პოზიციაზე ვდგავართ. ვაანალიზებთ, რომ ცოდვის ძალა სრულიად დამსხვრეულია ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული ღვაწლით, და მისი მადლი ძალას გაძლევს ცოდვისგან თავისუფალმა იარო. როდესაც გაცნობიერებული გვაქვს სიმართლის შეგნება, ჩვენ სწორ ადგილას ვიმყოფებით იმისათვის, რომ მადლის ძალაში გავიზარდოთ.

ასეთი ცდა ჩაატარე. არ იფიქრო გველებზე. ყველა სურათი დაივიწყე, რომელშიც ყალყზე დამდგარი თავდასასხმელად გამზადებული კობრა გინახავს. გონებიდან ამოიგდე უზარმაზარი ბოას და ჩხრიალა გველებით სავსე ორმოები, ნუ იფიქრებ მათ სრიალა სხეულზე. გამოგივიდა? არა. პირიქით, უფრო მეტად დაიწყე მათზე ფიქრი, ხომ? იმიტომ რომ გველების შესახებ გაიაზრე.

რა ხდება, როდესაც წარსულის ცოდვებსა და სისუსტეებზე ამახვილებ ყურადღებას? ვინ გახსენებს ამას (იხ. გამოცხ. 12:10; ზაქ. 3:1-2)? რა უნდა მოუხერხო ამას?

_____

_____

ყურადღება გაამახვილე და ხმამაღლა აღიარე ქრისტეში შენი ვინაობა! წაიკითხე ქვემოთ მოცემული თითოეული მუხლი და მოკლედ დაწერე პირადი განაცხადი იმის შესახებ, რომ ქრისტეში სიმართლეში დგახარ.

ფილიპელთა 3:9; მე ქრისტეში ვარ, და ჩემი სიმართლე ღმერთისგან მოდის რწმენის მეშვეობით.

2 კორინთელთა 5:21; _____

რომაელთა 6:6-7; _____

_____

რომაელთა 8:1-2; _____

_____

_____

დაკავშირებული მუხლები: 1 კორინთელთა 1:30; 2 კორინთელთა 5:17; გალატელთა 3:13; ეფესელთა 1:17; კოლასელთა 1:13-14

შემდგომი შესწავლისათვის...
საქმე 24:16; 1 კორინთელთა 8:7-13; 1 ტიმოთე 1:5, 18-19; 4:1-2; ტიტე 1:15-16; ებრაელთა 9:14; 10:19-22; 1პეტრე 3:15-16.

დღე 5 ღმერთი კურნავს

*„თუ გსურს, შეგიძლია ჩემი განწმედა," უთხრა მან... იესომ ხელი გაიწოდა და შეეხო მას: „**მსურს**, განიწმიდე!"*

- მარკოზი 1:40-41 (ინგ. ვერსია NLT)

მთელს ახალ აღთქმაში უამრავი ხალხი მოდის იესოსთან და მის მოწაფეებთან განკურნების მისაღებად. მათგან არცერთი არ გაუბრუნებიათ უარით. საღვთო წერილი ამბობს, რომ იესოსთან მოჰყავდათ ყველა უძლური და ის კურნავდა მათ თავიანთი ავადმყოფობებისგან (მათე 4:24).

რადგანაც იესო მამის ზუსტი ხატებაა (კოლასელთა 1:15; ებრაელთა 1:3), ის აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მამის ნებაა (იოანე 5:19-20), და ის იგივეა გუშინ დღეს და უკუნისამდე (ებრაელთა 13:8), რას გეუბნება ეს მამის სურვილზე შენს განკურნებასთან დაკავშირებით?

განკურნება, ისევე როგორც პატიება, გამოსყიდვის შემადგენელი ნაწილია. ნელა და გამოკვეთილად წაიკითხე ეს საოცარი, განპიროვნებული აღთქმები.

„ის ყველა ჩემს **ცოდვას** მპატიობს და კურნავს ჩემს ყველა დაავადებას"
- ფსალმუნი 102:2-3 (ინგ. ვერსია NLT)

„ჭეშმარიტად მან იტვირთა ჩემი სნეულებანი **(ავადმყოფობები, სისუსტეები და ტკივილები)** და... მისი ჭრილობებით მე განვიკურნე"
- ესაია 53:4-5 (ინგ. ვერსია AMP)

„მან პირადად იტვირთა ჩემი ცოდვები თავისი [საკუთარი] სხეულით ხეზე [ვითარცა სამსხვერპლოზე მოიტანა თავისი თავი]... მისი ჭრილობებით მე განვიკურნე"
- 1 პეტრე 2:24 (ინგ. ვერსია AMP)

რას გელაპარაკება სულიწმიდა ამ მუხლებიდან?

გიჭირს დაიჯერო, რომ ესა თუ ის ადამიანი განიკურნება? რა არის ის, რაც შენს რწმენას ყველაზე ძალიან აბრკოლებს? რატომ არის საჭირო, რომ შენი რწმენა მის სიტყვაზე დაფუძნდეს და არა იმაზე, რასაც განიცდი და გრძნობ?

შემდგომი შესწავლისათვის...

განკურნება (ზოგადად)
გამოსვლა 15:26, 23:25-26
ფსალმუნი 106:19-20
იგავები 4:20-22, 3 იოანე 1:2

იესო კურნავდა ყველა მასთან მოსულს
მათე 4:23-24; 8:16-17; 12:15
მათე 14:35-36
მარკოზი 3:7-12;
ლუკა 4:40; 6:19

მოციქულები კურნავდნენ
საქმეები 3:1-10; 5:12-16; 9:32-42
საქმეები 14:8-10; 19:11-12
საქმე 28:7-9

დღე 6 ირწმუნე, რომ ღმერთის ნება გამოაჩენს

„ხოლო ღმერთს ძალუძს გაგამდიდროთ ყოველგვარი მადლით, რათა თქვენ, ყველაფერში მუდამ ყოველივეს საკმარისად მქონენი, მდიდარნი იყოთ ყოველ კეთილ საქმეში“

- 2 კორინთელთა 9:8 (ინგ. ვერსია NLT)

ღმერთის მადლია ფინანსური უზრუნველყოფაც. როდესაც ჩვენ ღმერთს ერთგულად ვაძლევთ დროს, ჩვენს ნიჭებს, ქონებას, ის ერთგულებით მოგვცემს იმას, რაც გვჭირდება. იგი უზრუნველგვყოფს თავისი უსაზღვრო სიმდიდრეებით და არა იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად კარგად მიდის საქმე მსოფლიო ბაზარზე, ან რამდენად კარგი მდგომარეობაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, ან რა რაოდენობის თანხა გვაქვს დანაზოგი.

ჩაუფიქრდი რას ამბობენ ქვემოთ მოყვანილ მუხლებში გადმოცემული აღთქმები.

„ხოლო ჩემი ღმერთი აღავსებს (პირთამდე გაავსებს) თქვენს ყოველ საჭიროებას, თავისი სიუხვისამებრ, დიდებით ქრისტე იესოში“

- ფილიპელთა (ინგ. ვერსია 4:19AMP)

„განიცადეთ და ნახეთ, რომ კარგია უფალი; ნეტარება მას, ვინც მასზეა მინდობილი (ვინც ეძიებს და ითხოვს) [საჭიროებიდან გამომდინარე, და სიტყვის ძალაუფლებით]. მოიშიშეთ უფლისა წმინდანნო მისნო, რადგან არა აქვთ შეჭირვება მოშიშთა მისთა“

- ფსალმუნი 33:9-10 (ინგ. ვერსია AMP)

„ყმაწვილი ვიყავი, კიდეც მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული, და მისი მოდგმა – პურზე ხელგაწვდილი“

- ფსალმუნი 36:25 (ინგ. ვერსია TLB)

„სიკეთეს არ დაუჭერს უბიწოდ მოარულთ“

- ფსალმუნი 83:12

„ხოლო ღმერთს ძალუძს გაგამდიდროთ ყოველგვარი მადლით (ყოველგვარი სიკეთით და მიწიერი კურთხევით), რათა თქვენ, ყველაფერში მუდამ ყოველივეს საკმარისად მქონენი, [საკმარისის ქონა იმისათვის, რომ დახმარება აღარ ითხოვონ და და აყვავდნენ სიუხვეში ყოველი კეთილი საქმისა და ქველმოქმედებისათვის] მდიდარნი იყოთ ყოველ კეთილ საქმეში“

- 2 კორინთელთა (ინგ. ვერსია 9:8 AMP)

რას გეუბნება ღმერთი ამ მუხლებში? როგორ ანთებენ/აძლიერებენ ისინი შენს რწმენას?

ყურადღებით წაიკითხეთ ლუკა 6:38, ეკლესიასტე 11:1, იგავები 11:25, და მალაქია 3:10-12. ღმერთის უზრუნველყოფის მიღების შესახებ რა მნიშვნელოვანი პრინციპები შეგიძლიათ დაინახოთ ამ მუხლებში?

შემდგომი შესწავლისათვის...
2 რჯული 8:18, 28:12; ფსალმუნი 102:5; ეფესელთა 3:20; ებრაელთა 13:5; 1 ტიმოთე 6:10

დაუფიქრდით 2 კორინთელთა 9:8-12 და საკუთარი სიტყვებით აღწერეთ რას ნიშნავს წარმატება და როგორ მოაქვს მას ღმერთის დიდება.

გაკვეთილის მოკლე შეჯამება

ჩვენ სულიერ ომში მყოფი სულიერი ჯარისკაცები ვართ. რწმენით კეთილი ბრძოლის დროს, ჩვენ მრავალ სირთულეს წავაწყდებით. ღმერთი არ არის წყარო, შემოქმედი და ინიციატორი შენს წინაშე არსებული განსაცდელებისა, არამედ სატანა და მისი დემონური ძალები. ღმერთის მადლის შემწეობით, ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ყველა იმ სირთულეს და წინააღმდეგობას, რომელიც ღმერთისაგან ჩვენთვის მობარებულის მოპარვას, მოკვლას ან მოსპობას აპირებს.

(1) Dr. Lester Sumrall, Faith Can Change Your World (South Bend, IN: Sumrall Publishing, 1999) p. 187. (2) John Eldredge, Wild at Heart (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 2001) p. 156. (3) Francis Frangipane, The Shelter of the Most High (Lake Mary, FL: Charisma House, A Strang Company, 2008) p. 156. (4) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (5) overcome. Dictionary.com. Collins English Dictionary - Complete & Unabridged 10th Edition. HarperCollins Publishers. http://dictionary.reference.com/browse/overcome(accessed: July 14, 2011). (6) Adapted from Sparkling Gems from the Greek, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003) pp. 547-548. (7) Fast Break, Five-Minute Devotions to Start Your Day (St. San Luis Obispo, CA: Parable, 2007) Day 272. (8)Adapted from Vine's Complete Expository Dictionary of Old and New Testament Words, W.E. Vine (Nashville, TN: Thomas Nelson Publishing, 1996). (9) The Quotable Lewis, Wayne Martindale and Jerry Root, Editors (Carol Stream, IL: Tyndale House Publishers, Inc. 1990) p 407.

შენიშვნები

„რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც **აღიჭურვეთ** იმაზე აზრით, ვინაიდან, ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა“

-1 პეტრე 4:1
(ინგ. ვერსია NKJV)

თავი 6

აღიჭურვეთ

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-8 თავი და მოისმინეთ
ვიდეო კურსის მე-6 გაკვეთილი

G 1. ის განსაკუთრებული ტანჯვა, რაც იესომ მიიღო, ხალხისაგან უსამართლო მოპყრობა იყო. ჩვენდა სასიხარულოდ, მან პირადი მაგალითი დაგვიტოვა იმისა, თუ როგორ მოვიქცეთ, როდესაც მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდებით. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მუხლები. რა შეგიძლია ისწავლო ისეთი, რაც საკუთარ ცხოვრებაში სირთულეებთან ბრძოლაში გამოგადგება?

„მაშინ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს: „ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი [უგულებელყოს, დაივიწყოსთავისი თავი და საკუთარი ინტერესები], აიღოს თავისი ჯვარი და მომდიოს მე [ერთგულად მოყვეს ჩემს მაგალითს და თუ საჭირო იქნება სიკვდილზეც წავიდეს]. ვინაიდან ვისაც სურს თავისი სული [დროებითი სიცოცხლე] გადაარჩინოს, ის დაღუპავს [დაკარგავს მარადიულ სიცოცხლეს] მას. ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს სულს [თავის კომფორტსა და უსაფრთხოებას აქ], ის მოიპოვებს მას“

-მათე 16:24-25 (ინგ. ვერსია AMP)

გახსოვდეს...

ბევრი მორწმუნე აღჭურვილი არ არის. როდესაც მოულოდნელი სირთულეები (თლიპსისი) გამოჩნდება, ისინი დაუცველნი აღმოჩნდებიან და გაოცებისა და შოკის მდგომარეობაში ვარდებიან. ამიტომ ნაცვლად მოქმედებისა, მხოლოდ რეაქციას იჩენენ. სულიწმიდით შთაგონებული პეტრე შეგვაგონებს აღვიჭურვოთ, რათა ისევე ვიტანჯოთ, როგორც ქრისტე იტანჯა.

„რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგეს რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს“

-1 პეტრე 2:22-23 (ინგ. ვერსია NLT)

„შევიწროვებული იყო და წამებული, მაგრამ არ გაუხსნია თავისი ბაგე, როგორც კრავი, დასაკლავად რომ მიჰყავთ, და როგორც ცხვარი, მის მპარსველთა წინაშე რომ დუმს“

-ესაია 53:7 (ინგ. ვერსია GW)

„ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ და ლანძღვას ლანძღვის წილ. პირიქით, აკურთხეთ, რადგან ამისათვის ხართ მოწოდებულნი, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ.რადგან, ვისაც სიცოცხლე უყვარს და კეთილი დღეების ხილვა, შეიკავოს ენა ბოროტისაგან და მისიბაგეები ნუ იტყვიან ზაკვას. ერიდოს ბოროტს, სიკეთე აკეთოს, ეძიებდეს მშვიდობას და მისკენ ისწრაფ ოდეს“

-1 პეტრე 3:9-11 (ინგ. ვერსია NLT)

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: მათე 11:28-30, ებრაელთა 12:2.

„ასეთი სიცოცხლისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ იტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვეთ“

-1 პეტრე 2:21 (ინგ. ვერსიაThe message)

G 2. ღვთის სიტყვა ნათლად და მარტივად გვეუბნება, რომ თუ ღვთისმოსავი ცხოვრებით ვიცხოვრებთ, აუცილებლად შეგვხვდება განსაცდელები. მაგრამ თუ ადამიანი თავს ქრისტიანს უწოდებს და ისევე ცხოვრობს, როგორც დანარჩენი ქვეყნიერება, მას არ ექნება შევიწროება. რატომ ხდება ასე? რატომ არ ეწინააღმდეგება სატანა ასეთ ადამიანს? თუ განსაცდელს გადიხარ რა შეგიძლია თქვა გაბედულად?

გზის მაჩვენებელი

„ღმერთმა, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა შენი განსაცდელი, სათანადოდაც აღგჭურვა მასთან გასამკლავებლად, არა ტკივილის, არამედ სირცხვილის გარეშე.
- ქ.ს.ლუისი

ოთხი პრინციპი, რომლითაც უნდა აღიჭურვო:
1. განსაცდელები გარდაუვალია.
2. განსაცდელები, რომელიც გხვდება, ახალი არაა.
3. ბრძოლა არასოდეს უნდა დათმო.
4. ღმერთის მადლი საკმარისია იმისთვის, რომ მოიგო ბრძოლა, რომელშიც ჩართული ხარ.

3. ისევე, როგორც კომერციული თვითმფრინავების პილოტები გადიან რეგულარულ წვრთნას სიმულატორში, ღმერთიც გვწვრთნის იმ გამოცდების საშუალებით, რომელსაც ის უშვებს ჩვენს ცხოვრებაში. ყურადღებით დაუკვირდი 1 კორინთელთა 10:13. რა მნიშვნელოვანი აზრი შეგიძლია გამოიტანო ამ მშვენიერი აღთქმიდან?

„თქვენს ცხოვრებაში არსებული განსაცდელები არაფრით გამოირჩევიან იმ განსაცდელებიდან, რომლებიც გადააქვთ სხვებს. ღმერთი ერთგულია, ის არ დაუშვებს დაგძლიოთ განსაცდელებმა, არ დაუშვებს ისინი თქვენს ძალებს აღემატებოდნენ. როდესაც იცდებით, ის გიჩვენებთ გამოსავალ გზას, რათა შეძლოდ ბოლომდე გაუძლოთ“ (ინგ. ვერსია NLT)

„არცერთი განსაცდელი ანდა საცდური, რომელიც თავს დაგატყდათ, არ სცდება იმ ჩარჩოებს, რაც სხვებმა გადაიტანეს. ის, რაც უნდა გახსოვდეთ არის, რომ ღმერთი არასოდეს გიღალატებთ, იგი არასოდეს დაუშვებს იმას, რომ იმაზე მეტად დაიტანჯოთ ვიდრე ამის ძალა შეგწევთ; იგი ყოველთვის დაგეხმარებათ მის გადატანაში“ (ინგ. ვერსია The Message)

„არ არსებოს ისეთი განსაცდელი, თქვენს მიერ გადატანილი, რაც უჩვეულო რამ იქნებოდა ადამიანებისთვის. ღმერთი, რომელიც ერთგულად ასრულებს თავის დანაპირებს, არ დაუშვებს, რომ იმაზე მეტად გამოიცადოთ, ვიდრე წინააღმდეგობის გაწევის უნარი შეგწევთ. მაგრამ როდესაც განსაცდელში იქნებით, იგი ასევე მოგცემთ უნარს განთავისუფლდეთ მისგან“ (ინგ. ვერსია GW).

„ვინაიდან იცის ღმერთმა, როგორ იხსნას განსაცდელისაგან ღვთისმოსავნი, ხოლო უკეთურნი შემოინახოს განკითხვის დღისათვის დასასჯელად“.

-2 პეტრე 2:9

G 4. ოდესმე ასეთი რამე თუ ჩაუჩურჩულებია შენთვის მტერს? არავინ იცის რა მდგომარეობაში იმყოფები. არავის აქვს ისეთი სირთულე, როგორიც შენ. შენ ძალიან ცუდ დღეში ხარ. თუკი ასეა, მაშინ ისევ გადახედე 1 კორინთელთა 10:13 ქვემოთ მოყვანილ ადგილებთან ერთად.

„წინაღუდექით მას მტკიცე რწმენით და იცოდეთ, რომ მსგავსი სატანჯველი თქვენს საძმოსაც ხვდება სოფელში“

-1 პეტრე 5:9 (ინგ. ვერსია NLT)

გახსოვდეს...

ეშმაკს თავისუფალი მოსადგომელი არ გააჩნია შენთან. მისი თავდასხმები ღმერთის ნებართვის გარეშე არ ხდება. შენი ზეციერი მამა არასოდეს მოინდომებს შენთვის განსაცდელებს, მაგრამ ზოგჯერ ის დაუშვებს, იმისათვის, რომ მტერს დარტყმები მიაყენო და ღმერთს მოუტანო დიდება მისი სასუფევლისათვის ტერიტორიის დაპყრობით.

„რაც იყო, ისევ იქნება, და რაც ხდებოდა, ისევ მოხდება: არაფერი არ არის ახალი მზის ქვეშ“

-ეკლესიასტე 1:9 (ინგ. ვერსია NLT)

„რათა არავინ შემდრკალიყო ამ გასაჭირში, ვინაიდან, თვითონ იცით, რომ ჩვენ საამისოდ ვართ დადგენილნი. რადგან ახლა ვცოცხლობთ, რაკიღა მტკიცედ დგახართ უფალში“

-1 თესალონიკელთა 3:7-8 (ინგ. ვერსია NLT)

როგორ გაძლიერებს იმის ცოდნა, რომ სხვა მორწმუნეებიც გადიან მსგავს სირთულეებს?

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: გაიხსენეთ იესოს მიერ ნათქვამი გამამხნევებელი სიტყვები იოანე 8:44.

G 5. წარმოიდგინეთ, რომ ეს-ესაა შენი თანამშრომელი უფალთან მიიყვანე – ადამიანი, რომლისთვისაც დიდი ხანია ლოცულობდი. რატომ არის მნიშვნელოვანი მან იცოდეს, რომ როგორც ქრისტეს მიმდევრებს, განსაცდელები შეემთხვევათ? კიდევ რისი თქმა შეგიძლია მის გასამხნევებლად და იმისათვის, რომ მას გაწონასწორებული მოლოდინები და შეხედულებები ჰქონდეს ქრისტეში ცხოვრებაზე?

გზის მაჩვენებელი

ქრისტიანის ცხოვრებაში არსებული განსაცდელები, ეს ღმერთის მადლის აღსრულებაა. ამით ღმერთი ცდილობს ისეთი ადამიანები გაგვხადოს, როგორი განზრახვაც ჰქონდა. მოქანდაკის მსგავსად, ისიც უფორმო მარმარილოს ნაჭრისგან იწყებს. მაგრამ მას უკვე აქვს წარმოდგენილი ის, თუ როგორი იქნება ამ ქანდაკების საბოლოო სახე. ის ამტვრევს, აჭრის, თლის და აპრიალებს მანამ, სანამ ერთ დღეს არ მიიღებს იმას, რაც სურდა. მოცემულ მომენტში ჩვენი ქანდაკება, რომელზეც ღმერთი მუშაობს ჯერ არ არის დასრულებული. ღმერთს ჯერ არ დაუმთავრებია ჩვენთან მუშაობა“
- ბილი გრემი.

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: გადახედეთ მთესველის იგავს მარკოზი 4:14-20 და მათე 13:18-23

6. კიდევ ერთი, აღჭურვისათვის საჭირო პრინციპია ის, რომ არ უნდა დავთმოთ. ქრისტეში აღმატებული ძალა და ავტორიტეტი მოგვეცა და ჩვენ ღმერთთან ვიმყოფებით, სატანაზე და მის ყველა დაცემულ ანგელოზზე მაღლა.

„ნახეთ! მოგეცით მე ძალა და ავტორიტეტი ქვეწარმავლებზე და მორიელებზე, და [ფიზიკური და გონებრივი ძალა და უნარი] მტრის ყველა ძალაზე [რომელსაც ის ფლობს]; და არაფერი გევნებათ თქვენ“
-ლუკა 10:19 (ინგ. ვერსია AMP)

„თქვენ ღვთისგან ხართ [მას ეკუთვნით], პატარა შვილებო, და [უკვე] სძლიეთ მათ. რადგან ის, ვინც თქვენშია, მეტია (ძლიერია) იმაზე, ვინც სოფელშია“
-1 იოანე 4:4 (ინგ. ვერსია AMP)

„მინდა იცოდეთ რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, მის მიმდევრებში, რომელთაც საქმით გვწამს მისი ძალის ძლიერება. ეს არის იგივე დიდებული ძალა, რომლითაც მან იესო ქრისტე მკვდრეთით აღადგინა და თავის მარჯვნივ დასვა ზეცაში. და ყოველივე დაუმორჩილა მის ფერხთა ქვეშ და დაადგინა იგი ყველაფერზე - თავად ეკლესიისა“
-ეფესელთა 1:19-22 (ინგ. ვერსია CVE)

„ყოველი იარაღი, დამზადებული შენს წინააღმდეგ, გაცუდდება; და ყოველ ენას, რომელიც შენს წინააღმდეგ წარდგება სამსჯავროზე, შენ დაადანაშაულებ. ეს არის ხვედრი უფლის მსახურთა და მათი გამართლება ჩემგან არის!" - ამბობს უფალი"

-ესაია 54:17

როგორ აღგჭურვავს და გაძლიერებს ეს ჭეშმარიტებები მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში?

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: 2 კორინთელთა 2:14; 1 იოანე 5:4.

7. მტრისგან წამოსული ყოველგვარი წინააღმდეგობა, კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ორი რამ მოხდეს. დაუკვირდით პეტრეს და იაკობის ამ სიტყვებს, რომელიც ამ ორი სახის კურთხევას ეხება.

„საყვარელნო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ დაგმართოდეთ. არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას. თუ გაგლანძღავენ ქრისტეს სახელისათვის, ნეტარნი ხართ, რადგან სული დიდებისა, სული ღვთისა თქვენზე ივანებს. მათით იგმობა, თქვენით კი იდიდება. ხოლო თუ ვინმე იტანჯება, როგორც ქრისტიანი, ნუ შერცხვება, არამედ ადიდოს ღმერთი ამის გამო. ამიტომ ტანჯულებმაც ღვთის ნებისამებრ, თავიანთი სულები მიანდონ ჭეშმარიტ გამჩენს სიკეთის ქმნაში"

-1 პეტრე 4:12-14, 16, 19 (ინგ. ვერსია NLT)

„ყოველივე სასიხარულო საჩუქრად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც მრავალნაირ განსაცდელში ცვივდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას შობს. მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ სრულქმნილნი, წუნდაუდებელნი და ყოველმხრივ უნაკლონი"

-იაკობი 1:2-4 (ინგ. ვერსია The Message)

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ...

იესომ პატივი მოგვანიჭა, რომ მის მიერ აღსრულებული საქმის შესახებ მთელი დედამიწისთვის გვეუწყებინა. ეშმაკი გააფთრებით გვებრძვის, რაც ტანჯვას იწვევს, მაგრამ ეს გამარჯვებული ტანჯვაა. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სირთულე რომელიც ჩვენს წინაშე დგას, სხვასაც შემთხვევია და დაუმარცხებია კიდეც.

გზის მაჩვენებელი

„რა შედეგი მოჰყვება გამუდმებულ განსაცდელებს? ... პავლე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიუხედავად იმისა, რა სახის შევიწროება შეხვდებოდა, ეს ხელს შეუწყობდა მას, რომ მეტად დამსგავსებოდა ქრისტეს. წუთისოფლისგან ჩვენს მიმართ გამოსროლილ ნებისმიერ განსაცდელს, უფალი თავის სადიდებლად და ჩვენი საუკუნო სიხარულისთვის გამოიყენებს“ - დევიდ იერემია

G 8. პავლეს ღმერთის სასუფევლის შესახებ გამოცხადება მიეცა, რაც სხვისთვის მიუღწეველ რამეს წარმოადგენდა. მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად მას ეკალი მიეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომელიც სტანჯავდა მას. ყურადღებით წაიკითხეთ 2 კორ 11:23-12:10. ამ ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე...

რად მიიჩნევს პავლე მის სხეულში არსებულ ეკალს? (ყურადღება მიაქციეთ 11:23-33.)

_____

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: სხვა ადგილები, რომლებშიც ეკალია გამოყენებული არის, რიცხვნი 33:55; იესო ნავეს ძე 23:13; მსაჯულნი 2:1-3.

საიდან წარმოიშვა ეს ეკალი? ვისგან არ მომდინარეობდა იგი? (მიმოიხილეთ იაკობი 1:13, 16-17.)

_____

_____

სისუსტე და უძლურება

ეს ორი სიტყვა 2 კორინთელთა 12:9 ში გვხვდება და ორივე ბერძნული სიტყვა „ასთენიიდან“ მომდინარეობს. სახარებებში ეს სიტყვები მეტწილად ფიზიკური ავადმყოფობების აღსანიშნავად გამოიყენება. თუმცაღა პავლე მოციქულის წერილებში, 2 კორინთელთა წერილის ჩათვლით, ეს სიტყვა „ადამიანური ბუნების სისუსტეს“ აღწერს, განსაკუთრებით ადამიანურ უუნარობას აიტანოს „განსაცდელები და სირთულეები.“ სხვა ადგილები, სადაც სიტყვა ასთენიაა გამოყენებული, არის რომაელთა 6:19, 8:26, 15:1 და ებრაელთა 4:15.

9. პავლეს ლოცვაზე ქრისტეს პასუხი წარმოადგენს მეოთხე პრინციპს, რომლითაც ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ: ღმერთის მადლი საკმარისზე მეტია ნებისმიერი ბრძოლის მოსაგებად. შენც განიცდი ისეთ შემოტევას, როგორსაც პავლე მოციქული განიცდიდა? სთხოვე უფალს, რომ მოგაშოროს, მაგრამ ის არ გაშორებს? მოკლედ აღწერე რასთან გიხდება ბრძოლა, შემდეგ კი ილოცე და უფალს სთხოვე მადლი, რათა გაუძლო და არსებული სიტუაცია მისი გადასახედიდან დაინახო.

_____

_____

_____

10. როდესაც უფალმა პავლეს უპასუხა, მის სულში პარადიგმის ცვლილება მოხდა. ღმერთის მადლმა, ძირეულად შეცვალა განსაცდელებსა და სირთულეებზე მისი შეხედულება ამ ცხოვრებაში. ნაცვლად იმისა, რომ ღმერთისთვის ეთხოვა მათი მოშორება, მან მიიღო ისინი, რათა ღმერთისთვის უფრო მეტი დიდება მოეტანა.

„რადგან მე, შენი უფალი ღმერთი, შენი მარჯვენის დამჭერი გეუბნები: "ნუ გეშინია, მე შეგეწევი. აჰა, მე შენ დაგდე ახალ, დაკბილულ მჭრელ კევრად; შენ გალეწავ მთებს და გააცამტვერებ, ბორცვებს ბზესავით გახდი. დაანიავებ და ქარი მიმოაბნევს მათ და ქარიშხალი მიმოფანტავს, შენ კი გაიხარებ უფალში, ისრაელის წმიდით იამაყებ"

-ესაია 43:13. 15,16 (ინგ. ვერსია AMP)

„უფალი ღმერთია ჩემი ძალა. ირმის ფეხებს შემაბამს [რათა შიშში კი არ ვიდგე, არამედ ვიარო] და ჩემს გორაკებს მომატარებს [სულიერად]"

-აბაკუმი 3:19 (ინგ. ვერსია AMP)

„უმწიკვლოა გზა ღვთისა, ხალასია სიტყვა უფლისა; ფარია იგი ყველასათვის, ვინც მას მიენდობა. რადგან ვინ არის ღმერთი, გარდა უფლისა? ანდა ვინ არის ბურჯი, გარდა ჩვენი ღმერთისა? ღმერთი მიმატებს ძალას და სწორ გზას მაძლევს. ჩემს წვიეებს ირმისას ამსგავსებს და ჩემს სიმაღლეებზე მაყენებს. *ის ასწავლის ჩემს ხელებს ომს*, რათა შეძლონ ბრინჯაოს მშვილდი მოზიდონ"

-ფსალმუნი 17:31-34 (ინგ. ვერსია AMP)

რას გეუბნება უფალი თავის სურვილზე – გაგაძლიეროს და შეგცვალოს?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გზის მაჩვენებელი

„ცხოვრების სავალ გზაზე, რომელიღაც წერტილში, რომელიმე ადამიანთან ან რაიმე პრობლემასთან გადაკვეთა გვიხდება. ამ დროს სვლას ვანელებთ და ვჩერდებით, ვცდილობთ სიარული განვაგრძოთ, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოა. ბოლოს კი დახმარებისთვის ღმერთს ვევედრებით. ასე იყო პავლეს შემთხვევაშიც. ...გვსმენია რა ეკლების შესახებ, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ. ღმერთს ურჩევნია დროდადრო შეფერხებები გვქონდეს, ვიდრე არასწორ გზაზე მივდიოდეთ შეუჩერებლად. და სწორედ ეკალი სჭირდება ხოლმე უფალს ამისათვის. მას ძალიან ვუყვარვართ და ამიტომაც არ გვათავისუფლებს ეკლისგან."
- მაქს ლუკადო

გზის მაჩვენებელი

„ცხოვრების ყველა სირთულე არ არის აუტანელი. მაგრამ ასე იმიტომ გვეჩვენება, რომ მათ ან რწმენით ვიღებთ, ან ურწმუნოებით. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს ზეციერ მამას უსაზღვრო სიყვარული გააჩნია ჩვენს მიმართ, და განსაცდელებსაც ჩვენდა სასიკეთოდ უშვებს."
- ძმა ლაურენსი

გეჯავრება სირთულეები? გაფრთხობს რთულ სიტუაციაში მტერთან ბრძოლის შესახებ გაფიქრება? მაშინ პარადიგმის ცვლილება გჭირდება. პავლეს მსგავსად, ღმერთის მადლი გჭირდება, რათა სირთულეები არა დაბრკოლებებად, არამედ მოცემულ საშუალებებად დაინახო. ღმერთს შეუძლია შეგაძლებინოს ეს ზებუნებრივად, თავისი სულიწმიდის ძალით. ილოცე და სთხოვე ეს მას.

ლოცვა ახალი ხედვისათვის

მამაო, მადლობა იმ ჭეშმარიტებებისათვის, რომელსაც ამ განყოფილებაში მასწავლი. მინდა რომ აღჭურვილი ვიყო, რათა გავუმკლავდე მტრის შემოტევებს და მინდა გამარჯვებული ვიყო შენს სადიდებლად. დამეხმარე, უფალო შენს მიერ ჩემს ცხოვრებაში დაშვებული განსაცდელები და სირთულეები შენთვის დიდების მოსატან საშუალებებად დავინახო და არა დაბრკოლებებად. შენი მადლი მესაჭიროება. მინდა, პავლეს მსგავსად, მეც მომცე პარადიგმის ცვლილება. გამაძლიერე და შემცვალე როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად. მადლობა რომ გიყვარვარ და სულგრძელი ხარ ჩემს მიმართ. იესოს სახელით, ამინ.

მთელი კვირის ამოცანა

ამ კვირაში პირადად ილოცე ვინმესთვის და ასევე სთხოვე ვინმეს, რომ შენთვისაც პირადად ილოცოს. გაამხნევე შენს გარშემო მყოფნი და უთხარი, რომ ისინი მარტონი არ არიან და რომ მათ შეუძლიათ გაიმარჯვონ. ასევე დაიმდაბლე თავი, რათა თავადაც მიიღო მსგავსი გამხნევება იმ მორწმუნეებისგან, რომელიც შენს გარშემო არიან. თქვენ ერთად შეგიძლიათ აღაშენოთ ისეთი თემი, რომელსაც გაბედულება ექნება იმ ძალაუფლებაში, რომელიც მათ ღმერთმა უბოძა.

გახსოვდეს...

განსაცდელებს დაბრკოლებად ნუ დაინახავ – არამედ საშუალებებად. ჩვენ მაშინ ვართ აღჭურვილნი, როდესაც გულში და გონებაში იმედი გვაქვს ბრძოლის დაწყებაამდე, ბრძოლის შუაშიც და ბრძოლის დასრულებისას. ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა უკვე მოგებულია, და ჩვენ გვაქვს ზეცის ძალაუფლება, რომელიც ზურგს გვიმაგრებს.

დღე 1 შემოირტყი ჭეშმარიტების სარტყელი

„მაშ, იდექით მყარად! ჭეშმარიტებით შემოისარტყლეთ წელი, როგორც ქამრით“
- ეფესელთა *6:14* (ინგ. ვერსია GW)

ჩვენთვის მოცემული საჭურვლის უპირველესი და ყველაზე მთავარი ნაწილი ჭეშმარიტების სარტყელია – წმინდა წერილის ჭეშმარიტი მოძღვრება. ეს არის ღმერთის დაწერილი სიტყვა, საძირკველი, რომელზეც დგას ჩვენი გადარჩენა და იმ ახალი ცხოვრების ყოველი ასპექტი, რომელსაც ქრისტეში ვაშენებთ.

რომაული, წელის სარტყელი არ იყო მიმზიდველი და გარეგნულადაც ვერ შეამჩნევდით, თუმცა ის ჯარისკაცის აღჭურვილობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა, რომელზეც დამოკიდებული იყო დანარჩენი აღჭურვილობის თავის ადგილზე განთავსება. მახვილი ამ ქამარზე იყო ჩამოკიდებული. ფარიც ამ ქამარზე იყო მიმაგრებული და ჯავშანიც მასზე დაკავშირებული, რათა ემოძრავა. ის ასევე ფარავდა კაცის რეპროდუქციულ სისტემას და დაზიანებისგან იცავდა მას.

შენი ბიბლია სწორედ ამ რომაულ ქამარს ჰგავს. შესაძლებელია ერთი შეხედვით ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ მას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. იმისათვის რომ ნაყოფები მოუტანო ღმერთს, საჭიროა გამუდმებით მის სიტყვასთან კავშირი გქონდეს. ის გიცავს სულიერი უნაყოფობისგან. ქამრის მსგავსად ჭეშმარიტების სარტყლის შემოკვრა, ყოველდღიურად მის სიტყვაში აქტიურად ყოფნას გულისხმობს. ჭეშმარიტებით შემოსვა ნიშნავს ღმერთის სიტყვის კითხვას, სწავლას, დაზეპირებას და მასზე ფიქრს. სწორედ ეს სიტყვა გეხმარება აღიჭურვო და ეს აღჭურვილობა ეფექტურად გამოიყენო.

შენი სარტყელი განუყოფლად არის დაკავშირებული შენს

სიმართლის ჯავშანთან .....წაიკითხე ფსალმუნი 118:40
მშვიდობის ფეხსაცმელი .....წაიკითხე კოლასელთა 3:15-16
ხსნის ჩაჩქანი.....წაიკითხე 2 ტიმოთე 3:15-16
რწმენის ფარი.....რომაელთა 10:17
სულის მახვილი.....წაიკითხე ებრაელთა 4:12

ჭეშმარიტების შესახებ ამ ახალი შეხედულებებიდან, რამდენად ძვირფასად აღიქვავ ღმერთის სიტყვას?

ყოფილა ისე, რომ დღეების, კვირების ან თვეების მანძილზე ღმერთის სიტყვისთვის დრო არ დაგითმია? რა გავლენა იქონია ამან შენს დამოკიდებულებაზე, ემოციებზე და აზროვნებაზე?

თუკი ამჩნევ, რომ შემცირდა შენი სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, კეთილგანწყობა და თვითკონტროლი, დაუკვირდი რამდენ დროს უთმობ ღმერთის სიტყვას. რაზე მიგითითებს სულიწმინდა იმისათვის, რომ ჭეშმარიტების სარტყელი მჭიდროდ შემოირტყა?

დღე 2 შემოისარტყლეთ სიმართლის ჯავშანი

„მაშ, იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და **სიმართლის** ჯავშნით შემოსილები“ -ეფესელთა 6:14(ინგ. ვერსია NIV)

სიმართლის ჯავშანი იმ საჭურვლის შემდგომი ნაწილია, რომელიც გვითხრეს, რომ ვატაროთ. ეს არის ის სიმართლე, რომელიც ქრისტეში მოგვეცა. (2 კორინთელთა 5:21)

სიმართლე უფრთხილდება და იცავს ჩვენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებს – განსაკუთრებით ჩვენს გულებს. გული ჩვენს ემოციებსა და გრძნობებს წარმოადგენს. თუკი ჩვენ ღმერთის წინაშე თავს მიღებულად ან გამართლებულად არ ჩავთვლით, მაშინ მტერს წარმატებულად ვერ შევებრძოლებით.

რომაელი ჯარისკაცის ჯავშანი, მის საბრძოლო აღჭურვილობას შორის ყველაზე კაშკაშა ნაწილს წარმოადგენდა. ის წესისამებრ თითბერისგან მზადდებოდა, იწყებოდა კისრის ზედა ნაწილიდან და მუხლებს სწვდებოდა, ფარავდა როგორც წინა, ასევე უკანა მხარეს. ჯავშანი ხშირად მეტალის ხაზოვანი ნაწილებით იყო გაკეთებული, რომელიც თევზის ქერცლის ფორმას ქმნიდა. მძიმე იყო და 18 კილოგრამამდე იწონიდა. რაც ხშირად ხმარობდა ჯარისკაცი ამ ჯავშანს, ის მეტ ბრწყინვალებას იძენდა. როცა რკინა რკინაზე სრიალებდა მზის სინათლეზე საოცარი სიკაშკაშე წარმოიქმნებოდა, რომელიც მტერს აბრმავებდა. წარმოიდგინეთ რა სანახავი იქნებოდა ჯარისკაცთა მთელი ლეგიონი.

რა ახალ აზრებს გაწვდის უფალი სიმართლის ჯავშნის შესახებ?

_____

_____

რა გავლენას იქონიებს სიმართლის დამოკიდებულების მქონე დამოკიდებულება შენს საბრძოლო უნარზე?

_____

_____

რა მოხდება, თუკი არ გეცოდინება, რომ შენ ღმერთის სამართლიანობა ხარ ქრისტეში? როგორ შემოგიტევს სატანა? რა გავლენას იქონიებს ეს შენს ლოცვებზე?

_____

_____

რწმენით შეიმოსე სიმართლის ჯავშანი! ქრისტეში შენ გამართლებული ხარ. შეხედე საკუთარ თავს ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული ღვაწლის გადმოსახედიდან.

შემდომი შესწავლისათვის...

ესაია 59:17, 61:10; 1 კორინთელთა 1:30; რომაელთა 5:16-21, 10:4; ფილიპელთა 3:9

დღე 3 ჩაიცვი მშვიდობის ფეხსაცმელი

„და ფეხშემოსილნი მზადყოფნაში მშვიდობის სახარებლად“

-ეფესელთა 6:15 (ინგ. ვერსია CEV)

შემდგომი ნაბიჯია სიმართლის ფეხსაცმლით ფეხის შემოსვა. მნიშვნელობა არ აქვს რამდენად ძლიერი იყო ჯარისკაცი, რამდენად კარგად ხმარობდა მახვილს, ფეხსაცმლის გარეშე, ის ბრძოლაში მარცხისთვის იყო განწირული.

რომაელი ჯარისკაცის ფეხსაცმელი ორი ნაწილისგან შედგებოდა: თვითონ ფეხსაცმელის და მეტალის ხუფისგან, რომელიც მუხლიდან ტერფის წვერამდე იცავდა ფეხს. ფეხსაცმლის შიგნით გამძლე ტყავი იყო ჩაფენილი; გარედან კი თითბერით იყო დაფარული, ხოლო ძირზე კი მახვილი წვეტები ჰქონდა, რომელთა სიგრძე ერთიდან შვიდ სანტიმეტრამდე იყო, რისი მეშვეობითაც მეომარი მყარად იდგა მიწაზე. ეს ფეხსაცმელი ძალიან მყარად იყო ჯასრისკაცის ფეხზე მორგებული.

ზემოთ აღწერილი სურათი რამდენად გეხმარება ღმერთის მშვიდობის საჭიროების უკეთ დანახვაში?

რას სწავლობ მეტალის ხუფის ფუნქციისგან? მახვილი წვეტებისგან?

რა სახით ცდილობდა მტერი შენი მშვიდობის მოპარვას, მოკვლას და განადგურებას?

„„მშვიდობას გიტოვებთ თქვენ; ჩემს [საკუთარ] მშვუდობას გაძლევთ. არა ისე, როგორც სოფელი იძლევა. ნუ სეწუხდება თქვენი გულები, და ნურც შეშინდება. [ნუ დართავთ ნებას საკუთარ თავს, რომ არასწორ სიტყვებს აჰყვეს და შეწუხდეს; და ნებას ნუ მისცემთ თქვენს თავს, რომ შეშინდეს და აფორიაქდეს და მოსცენება დაკარგოს.]“

-იოანე 14:27 (ინგ. ვერსია AMP)

„არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“

-ფილიპელთა 4:6-7 (ინგ. ვერსია NLT)

„სრულყოფილ სიმშვიდეში დაიცავ მათ, ვინც შენზე არიან მონდობილნი, რომელთა აზრები შენზეა მოპყრობილი“

- ესაია 26:3 (ინგ. ვერსია NLT)

დღე 4 აიღე რწმენის ფარი

„და ყოველივე ამასთან ერთად აიღეთ **რწმენის** ფარი, რომლითაც შეძლებთ ბოროტის გავარვარებული ისრების ჩაქრობას“

-ეფესელთა 6:16 (ინგ. ვერსია CEV)

საჭურვლის, რომლითაც ღმერთი გვეუბნება აღვიჭურვოთ, მეოთხე ნაწილს რწმენის ფარი წარმოადგენს. როგორც უწინ აღინიშნა, ფარი, როდესაც ის არ გამოიყენებოდა, ჯარისკაცის ქამრის პატარა საკიდზე იყო მიმაგრებული. ამით დავინახეთ ის, რომ ჩვენი რწმენა ღმერთის სიტყვასთან არის გაერთიანებული და მისგან განუყოფელია. თუკი პიროვნება ღმერთის სიტყვით არ იკვებება, მას ვერ ექნება რწმენა.

ბერძნულად ფარის აღმნიშვნელი სიტყვაა *თურეოს*, რომელიც გამოიყენებოდა ფართო და მაღალი კარების აღსაწერად. ამ ფარს კარების ზომა ქონდა და მთლიანად ფარავდა კაცს. ყოველი პიროვნება, რომელიც რომაულ ჯარში მიდიოდა, უნდა გაზომილიყო სიმაღლეში, რათა მისი ფარი მის სიმაღლესთან შესაბამისობაში ყოფილიყო, რომ მთლიანად დაეფარა იგი.

უმრავლეს შემთხვევაში ფარი დამზადებული იყო ცხოველის ექვსი პირი ტყავისაგან, რომელიც ხეზე იყო გადაკრული. ის ძალიან გამძლე და შეიძლება ითქვას შეუვალი იყო. ჯარისკაცი ყოველდილით ზეთს სცხებდა ფარზე გადაკრულ ტყავს და ღრმად შეაზელდა, რათა ტყავი არ გამომხმარიყო და დრეკადობაც შეენარჩუნებინა. ზეთის გარეშე ტყავი გამაგრდებოდა, ფორმას დაკარგავდა და ზეწოლის შედეგად დაიმსხვრეოდა – შუაგულ ბრძოლისას ჯარისკაცს ველარ დაიცავდა. ბრძოლის დაწყებამდე, ჯარისკაცი ასევე წყალში ჩაალბობდა თავის ფარს, სანამ ის ბოლომდე არ გაიჟღინთებოდა. როდესაც ასეთ ფარს მტრის ცეცხლმოკიდებული ისარი მოხვდებოდა, წყალი ცეცხლს ჩააქრობდა..

რას გასწავლის ღმერთი რომაელი ჯარისკაცის ფარის აგებულებით რწმენის შესახებ?

წაიკითხეთ რომაელთა 12:3. როგორ აირეკლავს შენს რწმენას, ჯარისკაცისათვის ზომის აღება თავისი ფარის დასამზადებლად?

წაიკითხეთ 1 მეფეთა 16:13, იუდა 29, და ეფესელთა 5:26. რა კავშირია ჯარისკაცის მიერ თავისი ფარის მოვლასა – წყლის და ზეთის გამოყენება – და შენს რწმენას შორის?

შეგიძლია დაინახო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რწმენის ფარის აღება? რა მოხდება თუკი მას არ აიღებ ან არ მოუვლი? წაიკითხე 1 ტიმოთე 1:18-19 და ებრაელთა 11:6.

შემდგომი შესწავლისათვის...

რას იღებ რწმენის მეშვეობით?

რომაელთა 1:17; 3:21-22, 28; 5:1-2;

გალატელთა 3:11, 14, 26;

ეფესელთა 3:12; 2 კორინთელთა 5:7

დღე 5 აიღეთ ხსნის ჩაჩქანი

*„აიღეთ **ხსნის** ჩაჩქანი რომელიც არის ღვთის სიტყვა“*

-ეფესელთა 6:17 (ინგ. ვერსია NLT)

თავის დასაცავად, ღმერთი ხსნის ჩაჩქანს გვაძლევს. ჩვენი აზრები ჩვენს ცხოვრებას აკონტროლებენ, პირდაპირ განსაზღვრავენ ჩვენს ქმედებებს. ამიტომაც აზრები დაცული უნდა იყოს.

ჯარისკაცის ბრინჯაოს ჩაჩქანი შემკობილი იყო კაშკაშა ფერის ბუმბულებით ან ცხენის ძუით, რისი მეშვეობითაც ჯარისკაცი ადვილად შესამჩნევი იყო. მასზე ამოტვიფრული იყო სხვადასხვა ორნამენტები და თავს წარბებიდან კისრის ბოლოს ჩათვლით ფარავდა. მეტალის ორი, მოზრდილი გაერთიანებული ნაჭერი იცავდა კისერს და ყურებს. ჩაჩქანი იმდენად ძლიერი და მძიმე იყო, რომ საბრძოლო ნაჯახსაც კი არ შეეძლო მისი გარღვევა. ჩაჩქანის გარეშე დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ მებრძოლი თავს დაკარგავდა.

თქვენი აზრით, რას ნიშნავს, „ჩაჩქანის „მოხსნა“? რატომ არის იგი საშიში?

დაუფიქრდით ამ მუხლებში **გადმოცემულ აზრს.**

„ამიტომ შემოისარტყლეთ თქვენი გონების წელნი, იფხიზლეთ (იფრთხილეთ, მორალური სიფხიზლე იქონიეთ) და იესო ქრისტეს გამოცხადებაში თქვენთვის მოსანიჭებელი მადლის სრული იმედი იქონიეთ“

-1პეტრე 1:13 (ინგ. ვერსია AMP)

„მომართეთ თქვენი გონება იმაზე, რომ ზეციერზე (ამაღლებულ საკითხებზე) იფიქროთ და არა მიწიერზე“

-კოლასელთა 3:2 (ინგ. ვერსია AMP)

„განახლდით თქვენი გონების სულით [იქონიეთ განახლებული გონებრივი და მენტალური დამოკიდებულება], და შეიმოსეთ ახალი (განახლებული) კაცი, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, სიმართლითა და ჭეშმარიტების სიწმიდით“

-ეფესელთა 4:23-24 (ინგ. ვერსია AMP)

რას გეუბნება უფალი შენი გადარჩენის შესახებ ცოდნის გაძლიერებით?

შემდგომი შესწავლისათვის...
რას ამბობს წერილები გადარჩენის შესახებ? იფიქრეთ ქვემოთ მოყვანილ მუხლებში გადმოცემულ ჭეშმარიტებაზე.
ფსალმუნი 26:1, 36:39; ესაია 12:2; საქმე 4:12, 13:26; რომაელთა 1:16, 10:9-10, 13; 1 კორინთელთა 15:1-2; 2 ტიმოთე 3:15-17; იაკობი 1:21; ეფესელთა 2:8-9

დღე 6 აიღეთ სულის მახვილი

„აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის **ღვთის სიტყვა**“
-ეფესელთა 6:17 (ინგ. ვერსია NLT)

დამთხვევა არ არის ის, რომ ჩვენს არსენალში ღმერთის სიტყვა ორჯერ არის წარმოდგენილი. „სიტყვის“ ბერძნული ექვივალენტი, რომელიც ამ მუხლში არის გამოყენებული, განსხვავდება იმ სიტყვისაგან, რომელიც ქამართან მიმართებაშია ნახსენები. ეს არის სიტყვა რემა და აღწერს ისეთ რამეს, რაც გასაგებად, განსაზღვრულად და ნათლად არის ნათქვამი. სულიწმიდა აქცევს ამა თუ იმ მუხლს რემად ჩვენს გულებში, როდესაც ზებუნებრივი ჩარევით დაგველაპარაკება. ეს არის განსაკუთრებული, ძლიერი და ცხოვრების შემცვლელი სიტყვა, რომელსაც კონკრეტული მიზანი გააჩნია. და ისევ, რემა „მახვილი“ ქამარზეა მიმაგრებული. არ არსებობს რემა, დაწერილი სიტყვის გარეშე.

იმ ხუთი სახეობის მახვილიდან, რომელსაც რომაელი ჯარისკაცი იყენებდა, ღმერთმა ერთი ამოირჩია, რათა სულის მახვილი განემარტა ჩვენთვის. ეს იყო მიახლოებით 48 სანტიმეტრი სიგრძის და ორლესული; ორივე მხარე სამართებლივით ბასრი იყო. როდესაც მტრის შინაგანიდან უკან გამოიღებდა მას ჯარისკაცი, იგი იგრიხებოდა, რის გამოც მოწინააღმდეგის შიგნეულობა გარეთ გამოდიოდა. ნახსენები მახვილებიდან, ეს კონკრეტული მახვილი ყველაზე მომაკვდინებელი იყო.

როდესაც რთულ სიტუაციაში იმყოფებოდი, მოგცა სულიწმიდამ გულში რაღაც ისეთი რამაც გამოსავალი მისცა შენს მდგომარეობას? აღგჭურვა ამან იმ რთულ სიტუაციასთან გასამკლავებლად, რომელშიც იმყოფებოდი?

_____

_____

_____

როდესაც სულიწმიდა სიტყვა რემას მეშვეობით ელაპარაკება ჩვენს გულებს, ღირს მისი დამახსოვრება. შეჩერდი და დაფიქრდი. რომელია ის სამი რემა სიტყვა, რომელიც შენი ცხოვრების სანიშნად იქცა? რა გავლენას ახდენს ეს სიტყვები შენზე და შენს გარშემო მყოფებზე?

_____

_____

_____

_____

ბევრი მორწმუნე კითხულობს სიტყვას; ზოგიერთი სწავლობს მას. მაგრამ სიტყვის სრული ძალა მანამ არ გამოვლინდება, სანამ იგი წარმოთქმული არ იქნება. როდესაც მტრის წინააღმდეგ დაილაპარაკებ მას, შენ მას სულის მახვილით სასიკვდილო ჭრილობას აყენებ. წაიკითხე გამოცხადება 1:16, 2:16; იერემია 23:28-29; ებრაელთა 4:12; და იგავები 18:21. რას გიჩვენებს

სულიწმიდა იმ ძალის შესახებ, რომელიც მაშინ თავისუფლდება, როდესაც სიტყვას ამბობ?

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

იესო ადამიანების მხრიდან უსამართლოდ მოპყრობის გამო იტანჯებოდა და ჩვენც მოგვიწევს ასეთი ტანჯვის გავლა. ამიტომ გვმართებს დავიმახსოვროთ, აღვიჭურვოთ. (1) განსაცდელები გარდაუვალია, (2) სირთულეები რომელიც გვხვდება სხვა მორწმუნეებსაც ხვდებათ და (3) არ უნდა დავმარცდეთ ბრძოლაში, რადგან (4) შენს ცხოვრებაში არსებული მადლი იმაზე გაცილებით მეტია, რაც შენს ცხოვრებაში არსებულ სიტუაციასთან გასამკლავებლად გჭირდება. ამიტომ შეიმოსე ღმერთის სრული საჭურვლით და განსაცდელებს ისე შეხედე, როგორც ქრისტეში ზრდისათვის და ღმერთის განდიდებისათვის მოცემულ საშუალებად.

გზის მაჩვენებელი

„ნუ დააკნინებ ღმერთის სიტყვის შესწავლის, გააზრების და მისი ლოცვის მნიშვნელობას. შესწავლა, გააზრება და ლოცვა ათავისუფლებს სიტყვას იმისათვის, რომ ის შენი შინაგანი არსების ნაწილი გახდეს. როდესაც ღმერთის სიტყვის ჭეშმარიტება შენს გულში ფესვს გაიდგამს და შენს გონებას განმანახლებელ ძალას მიანიჭებს, შენ აღმოჩნდები ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შენს მიერ წარმოთქმულ ღმერთის სიტყვას უზარმაზარი სულიერი ძალა ექნება. სიტყვის ასეთი აღიარება ნამდვილად არის მსგავსი ორლესული მახვილის მიერ პირდაპირ მტრის გულში მიყენებული ჭრილობისა.“

- რიკ რენერი

(1) The Quotable Lewis, Wayne Martindale and Jerry Root, editors (Carol Stream, IL: Tyndale House Publishers, Inc.1990) p. 587. (2) Billy Graham, Hope for the Troubled Heart (Nashville, TN: Thomas Nelson, 1991) pp. 79-80. (3) David Jeremiah, Captured by Grace (Nashville, TN: Thomas Nelson, 2006) p. 91. (4) Adapted from Strong's Exhaustive Concordance of the Bible, James Strong, LL.D., S.T.D. (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 1990). (5) Adapted from Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 80. (6) Max Lucado, In the Grip of Grace (Dallas, TX: Word Publishing, 1996) pp. 132, 137. (7) Brother Lawrence, The Practice of the Presence of God (New Kensington, PA: Whitaker House, 1982) p. 55. (8) See note 4. (9) Adapted from Dressed to Kill, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2007) pp. 262, 276. (10) Ibid., pp. 292-294. (11) Ibid., pp. 313-315; 321-322. (12) Ibid., p. 343. (13) Ibid., p. 347. (14) Ibid., pp. 348-351. (15) Ibid., pp. 374-376. (16) Ibid., pp. 406-407. (17) Ibid., pp. 404-406. (18) Ibid., exact quote, p. 421.

შენიშვნები

შენიშვნები

*„ამიტომ, შენ, ჩემო შვილო, **იყავ ძლიერი მადლში**, რომელიც ქრისტე იესოშია“*

-2 ტიმოთე 2:1
(ინგ. ვერსია GNT)

თავი 7

მადლის საჭურველი

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-9 და მე-10 თავები მოისმინეთ ვიდეო კურსის მე-6 გაკვეთილი

G 1. მადლი არის საკვირველი! ეს არის ღმერთის ძალა, რომელიც უნარს იძლევა ქრისტეს მსგავსად ვიცხოვროთ და განვავრცოთ ღმერთის სასუფეველი. ღმერთის მადლის მისაღებად ერთმანეთისადმი მორჩილებაა საჭირო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ და ერთი მისიის ქვეშ გავერთიანდეთ. მორჩილება ღმერთიდან იწყება და შემდეგ სხვებზე ვრცელდება. გადახედე შენს ურთიერთობებს მეუღლესთან, თანამშრომლებთან, ეკლესიის ლიდერებთან, ეკლესიის წევრებთან და ა.შ.

ვისადმი მორჩილება გიადვილდება? რატომ? რა ნაყოფს იძლევა ეს მორჩილება?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გახსოვდეს...

სათანადოდ აღჭურვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ გაგვაჩნდეს იმ იარაღების გამოყენების ძალა, რომელიც ქრისტეში გაგვაჩნია. პავლე გვეუბნება, „იარაღი, რომლითაც ვიბრძვით, ამქვეყნიური არ არის. ჩვენს ხელთ არსებულ იარაღს ღვთიური ძალა გააჩნია სიმაგრეთა დასანგრევად“ (2 კორ. 10:4). რა არის ის „ღვთიური ძალა“ რომელიც სიმაგრეებს ანგრევს? სხვა არაფერი, თუ არა ღმერთის საკვირველი მადლი!

ვისადმი მორჩილება გიჭირს? რატომ? რა ნაყოფს იძლევა ეს მორჩილება?

_____

_____

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: იაკობი 4:7, ეფესელთა 5:21-24, ებრაელთა 13:17, 1 პეტრე 5:5, რომაელთა 13:1-2.

მორჩილება

ბერძნული სიტყვა, რომელიც მორჩილებას გამოხატავს არის „ჰუპო-ტასსო.“ ეს უფრო მეტად არის სამხედრო ტერმინი და გულისხმობს „დაქვე-მდებარებაში ყოფნას“ (ჰუპო ნიშნავს „ქვეშ“; ტასსო კი „მოწესრიგებას“). როდესაც ვემორჩილებით, ჩვენ ვიწესრიგებთ თავს ან სხვა ადამიანის ავტორიტეტის ქვეშ შევდივართ, ვემორჩილებით მათ მითითებებს. საინტერესოა, რომ ვებსტერი მორჩილებას განმარტავს, როგორც „ვინმეს დაქვემდებარებაში და მისი ძალის ქვეშ ყოფნას ბუზღუნის გარეშე“. მორჩილება თავმდაბლობის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს და ძლიერი იარაღია მტრის წინააღმდეგ.

„ასევე, ახალგაზრდებო, დაემორჩილეთ ხუცესთ. დაემორჩილეთ ერთმანეთს, შეიმოსეთ თავმდაბლობა, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი ***მადლს*** *ანიჭებს. მაშ, დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე“*

-1 პეტრე 5:5-6 (ინგ. ვერსია NLT)

2. ერთმანეთისადმი მორჩილების ძალა ღმერთის მადლშია, მადლს კი საკუთარი თავის თავმდაბლობით შემოსვის მეშვეობით ვიღებთ. დაუფიქრდით თუ როგორ იცმევთ ტანისამოსს ყოველდღე. ეს მიზანმიმართულ მოქმედებას მოითხოვს; იგი ავტომატურად არ ხდება. იფიქრეთ ქვემოთ მოყვანილ მუხლებზე და მოკლედ აღწერეთ რას ნიშნავს თავმდაბლობით შემოსვა.

„არამედ შეიმოსეთ უფალი ქრისტე და ხორცზე ზრუნვას გულისთქმად ნუ გაიხდით“

-რომაელთა 13:14 (ინგ. ვერსია CEV)

„მე ჯვარცმული ვარ ქრისტესთან ერთად: მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ *ქრისტე ცოცხლობს ჩემში.* ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი გადასცა ჩემთვის“

-გალატელთა 2:20 (ინგ. ვერსია TLB)

.....

„მისი მცნებების დამცველი [ვინც ემორჩილება მის ბრძანებებს და მიჰყვება მის გეგმას, ცხოვრობს მასში და] რჩება მასში, ის კი მასში. [ის ნებას რთავს ქრისტეს, რომ მისთვის იგი სახლი გახდეს და ასევე თავად არიან სახლი ქრისტესთვის.] ის რომ ჩვენში [ნამდვილად] რჩება, გავიგებთ სულით, რომელიც მან მოგვცა“

-1იოანე 3:24 (ინგ. ვერსია AMP)

თავმდაბლობა

წმინდა წერილში თავმდაბლობა „საკუთარ თავზე თავმდაბლურ შეხე-დულებას გულისხმობს; შეგრძნებას, რომ პიროვნება არის პატარა მცირე, გონებით დამდაბლებული.“ ვებსტერის ლექსიკონი ამბობს, რომ თავმდაბლობა არის „სიამაყისა და ამპარტავნობისგან თავისუფლება;

მორჩილების აქტი.“ ნამდვილი თავმდაბლობა ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენს სურვილებზე, გრძნობებზე და აზრებზე მეტად ღმერთის სიტყვას ვენდობით და ვემორჩილებით.

3. თავდაბლობა - ეს ღმერთის მადლის მთავარი პირობაა. ეს არ არის თვისება, რომელსაც ბუნებრივად ვფლობთ ანდა მისი დამოუკიდებლად განვითარება შეგვიძლია. ეს ღმეთის მადლის ატრიბუტია, რომელსაც ქრისტე გვანიჭებს როცა მისი სული მკვიდრდება ჩვენში და მასთან ერთად ცხოვრებას ვსწავლობთ.

დაუკვირდით იესოს მიერ და მის შესახებ ნათქვამ სიტყვებს:

„მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. [გაგიადვილებთ, თავისუფლებას მოგანიჭებთ და განვაახლებ თქვენს სულს] იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი [მოკრძალებული] და *თავმდაბალი* [დამდაბლებული] ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი ადვილია (გამოსადეგია, კარგია არ არის სასტიკი, მძიმე, ბასრი არამედ სასიამოვნო, კეთილი და სასიამოვნო) და ჩემი ტვირთი მსუბუქი“

-მათე 11:28-30 (ინგ. ვერსია AMP)

„იესომ, იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთიდან გამოვიდა და ღმერთთან მიდის, წამოდგა სერობიდან, გადაიძრო ზედა სამოსელი, აიღო ტილო და წელზე შემოირტყა. მერე ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფერხთბანა და იმ ტილოთი შემშრალება, წელზე რომ ერტყა“

-იოანე 13:3-5 (ინგ. ვერსია CEV)

გახსოვდეს...

ნამდვილი თავმდაბლობა მთლიანად ღმერთზე მორჩილება და დამოკიდებულებაა. ის არის პირველი, ხოლო დანარჩენები მეორენი, ხოლო ჩვენი თავი – მესამე ყველა საკითხში. თავმდაბლობას არაფერი აქვს საერთო სისუსტესთან, მოკრძალებულ საუბართან ან საკუთარი თავის დაკნინებასთან. ის მთლიანად დაკავშირებულია გაბედულ ცხოვრებასთან, შეუპოვრობასთან, ღმერთის უსასყიდლო მადლიდან გამომდინარე ძალასთან.

„თქვენც ისეთივე დამოკიდებულება, მიზანი და [თავმდაბლური] გონება გქონდეთ, როგორიც ქრისტეს აქვს. [დაე ის იყოს მაგალითი თქვენი თავმდაბლობისათვის] რომელიც ღვთის ხატება იყო და, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას, არამედ წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა. დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე. ამიტომ ღმერთმაც აღამაღლა იგი და მიანიჭა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი“

-ფილიპელთა 2:5-9 (ინგ. ვერსია NLT)

ამ მუხლებიდან გამომდინარე, თავმდაბლობის რა სურათი წარმოჩინდება შენს გულში?

_____

_____

გზის მაჩვენებელი

„აი რაში მდგომარეობს ნამდვილი თავმდაბლობის ფესვი და ბუნება. ...ჩვენ იესოსგან უნდა ავიღოთ მაგალითი. ის გვასწავლის საიდან იღებს სათავეს ნამდვილი თავმდაბლობა და საიდან იძენს იგი ძალას: იმის ცოდნიდან, რომ ღმერთი ამოქმედებს ყოველივეს ყოველივეში, და რომ ჩვენი როლი მისადმი სრულ მორჩილებასა და ნდობაში მდგომარეობს – სრული თანხმობით, რომ მისგან დამოუკიდებლად არაფერი ვიქნებით და არაფერს გავაკეთებთ. ეს არის ცხოვრება, რომლის გამოსაცხადებლად და მოსაცემად მოვიდა ქრისტე... სწორედ ჩვენში მყოფი ქრისტეა, რომელიც ჩვენში თავმდაბლობით და სიმშვიდით იქნება დამკვიდრებული ამ ცხოვრებაში.
- ენდრიუ მიურეი

„მჯერა, რომ ღმერთს სურს რეალურად დაგვანახოს თავმდაბლობის ეს მთელი იდეალი, როდესაც ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ადამიანურ უსუსურობას და უკმარისობას, რათა იმედი ადამიანურ გეგმებსა და ენერგიაზე არ დავამყაროთ, არამედ ყველაფერში გამუდმებით ღმერთს ვუმზერდეთ თავისი აზრის, ხმის, ძალის და უზრუნველყოფის მოლოდინში.“
- სმით ვიგლსვორთი

4. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა ფასი გააჩნია ნამდვილ თავმდაბლობას. დრო დაუთმე მისი მნიშვნელობის ყურადღებით წაკითხვას. ცხოვრების რომელ სფეროში გიჭირს რომ თავი დაიმდაბლო ღვთის წინაშე და მიენდო მას? ხშირად ნდობის ნაკლებობის ფესვს შიში წარმოადგენს. ილოცე და ღმერთს სთხოვე დაგანახოს თუ რისი და რატომ გეშინია. შემდეგ ეს საკითხი მას მიანდე.

სფეროები, რომელშიც ღმერთზე მინდობა მიჭირს, არის...

_____

_____

_____

ღმერთი მიჩვენებს, რომ მე ვწუხვარ და მეშინია ...

_____

_____

_____

„შერცხვნენ და გაწბილდნენ, ვინც ჩემს სულს ეძებენ; უკუიქცნენ და სირცხვილნაჭამნი დარჩნენ ჩემზე სიავის მოფიქრალნი. შეიქმნენ ვითარცა მტვერი ქარის წინაშე, და უფლის ანგელოზმა უკუაგდოს ისინი“

-ფსალმუნი 34:4-5 (ინგ. ვერსია CEV)

5. სიამაყე თავმდაბლობის ანტონიმია და მისგან
G არავინ არის დაცული – მათ შორის არც ღმერთთან ახლოს მყოფები. ლუციფერი ღმერთთან ახლოს იყო და მის წინაშე მსახურობდა როგორც ძლიერი ანგელოზი. მაგრამ როდესაც მის გულში სიამაყემ შეაღწია, ღმერთმა განდევნა იგი.

ჩაუღრმავდით ამ მუხლებს:

„ექვსი რამ სძულს უფალს და შვიდი რამ ეზიზღება: ზვიადი თვალები, ამაყი მზერა [რომელიც საკუთარ თავს იმაღლებს და სხვებს ამცირებს] მატყუარა ენა, ხელები, უდანაშაულო სისხლის დამღვრელნი“

-იგავები 6:16-17 (ინგ. ვერსია AMP)

„შერისხე ამპარტავანნი, წყეულნი, რომელთაც გადაუხვიეს შენი მცნებებიდან“

-ფსალმუნი 118:21 (ინგ. ვერსია NKJV)

„გული - ბოროტი განზრახვების განმზრახველი, ფეხნი - სწრაფად მორბენალნი ბოროტებისაკენ, ცრუ მოწმე, მზაკვრობის წარმომთქმელი და განხეთქილების დამთესავი ძმათა შორის“

-იგავები 16:18-19 (ინგ. ვერსია NKJV)

„მხოლოდ ამპარტავნობისაგან წარმოიშვება განხეთქილება, მრჩეველთ კი სიბრძნე აქვთ“

-იგავები 13:10 (ინგ. ვერსია NIV)

„როდესაც მოვა მათი ამპარტავნობა და დამცირებაც მოეწევათ, თავმდაბალთ (რომლებიც დამდაბლებულები არიან, რომლებიც განსაცდელებისგან გამოიწვრთნენ) კი სიბრძნე ახლავს“

-იგავები 11:2 (ინგ. ვერსია AMP)

რას გიჩვენებს ღმერთი სიამაყის შესახებ, მის მიზეზზე, წარმომშობზე და როგორ შეიძლება მისგან თავის არიდება?

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ლუციფერის დაცემა მოცემულია ესაიას 14:12-17-სა და ეზეკიელის 28:11-19-ში

სიამაყე

სიტყვა ამაყი ნიშნავს „საკუთარი თავის სხვებზე მაღლა დაყენებას; სხვის ღირსებაზე ამპარტავნულ შეხედულებას; სხვების მიმართ უპატივცემულოდ მოპყრობას. სიამაყის სინონიმებს შორის არის პატივმოყვარეობა, თვითკმაყოფილება და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა. სიამაყე მჟღავნდება ქედმაღლობაში, უხეშობასა და მოუთმენლობაში.

G 6. წმინდა წერილი სიამაყეს ურწმუნოებასთან, ხოლო თავმდაბლობას რწმენასთან აკავშირებს. შეჩერდი და ჩაუკვირდი ამ სიტყვების მნიშვნელობას. რას იტყვი სიამაყისა და რწმენის ნაკლებობის და თავმდაბლობისა და რწმენის შესახებ ღმერთში?

სიამაყესა და ურწმუნოებას შორის კავშირი შემდეგია...

_____

_____

_____

თავმდაბლობას და რწმენას შორის კავშირი შემდეგია...

_____

_____

გახსოვდეს...

სიამაყე ძალიან მაცდურია. ეს არის სიბნელის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც ადამიანებს ხელს უშლის კარგად გასრულებაში. ამაყი ადამიანები დაბრმავებულები არიან, რადგან ვერ ხედავენ მტრის პოზიციებს. როდესაც ჩვენს შეხედულებებს ღმერთისაზე მაღლა ვაყენებთ, ჩვენ სიამაყეში შევდივართ, ვკარგავთ დაცვას და ჩვენი ზურგი დაუცველი ხდება.

გზის მაჩვენებელი

„არსებობს ერთი მანკიერება, რომლისგანაც მთელს მსოფლიოში არავინ არის თავისუფალი; და რაც ყველას სძულს, როდესაც ისინი მას სხვაში ხედავენ; და რის გამოც ძნელად თუ ვინმე, გარდა ქრისტიანისა, დასდებს ბრალს საკუთარ თავს. ეს უდიდესი მანკიერება არის სიამაყე. ღალატი, მრისხანება, სიბრაზე, ალკოჰოლიზმი და მსგავსი სხვა რამ უმნიშვნელოა მასთან შედარებით: სწორედ სიამაყის გამო იქცა ბოროტი ბოროტად; სიამაყე ყველა მანკიერებაზე უარესია: ის არის გონების სრულიად ღვთის საწინააღმდეგო მდგომარეობა. ... სანამ სიამაყეში იცხოვრებ, ვერ შეიცნობ ღმერთს. ამაყი კაცი ყოველთვის ზემოდან დასცქერის სხვებს; და რა თქმა უნდა მანამ, სანამ ძირს იყურები, ვერ შეძლებ დაინახო ის, რაც შენს მაღლაა.“

- ქ.ს ლუისი.

G 7. წაიკითხეთ ისრაელიანების მიერ აღქმული მიწის დაზვერვის ამბავი რიცხვთა 13:27 და 14:6-9. რაზე გაამახვილეს ყურადღება ათმა მზვერავმა და რაზე გათვალეს თავიანთი გამარჯვება და რატომ იყო ეს სიამაყე? მათგან განსხვავებით რაზე დადეს თავიანთი იმედი იესო ნავეს ძემ და ქალებმა და რა იყო მათი გამარჯვების იმედი? რატომ იყო მათი დამოკიდებულება თავმდაბლური და რწმენით აღვსილი? რას გეუბნება ეს შენ?

ათი მზვერავის მზერა მიპყრობილი იყო და გამარჯვების იმედს ამყარებდნენ...

ქალებმა და იესო ნავეს ძემ თავიანთი მზერა მიაპყრეს და გამარჯვების იმედი დადეს...

მოცემული მაგალითი, რომელშიც სიამაყე და ურწმუნოება ერთმანეთს უპირისპირდება, მეუბნება, რომ...

„არის გზა, რომელიც სწორი გონია კაცს, მაგრამ ამ გზის ბოლო სიკვდილია“

-იგავები 14:12 (ინგ. ვერსია NIV)

8. ჩვენ ყოველთვის ან ღმერთს ვენდობით ან კაცს. კაცზე ნდობა ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე და შესაძლებლობებზე ვამყარებთ იმედს. ყურადღებით წაიკითხეთ ეს მუხლები და აღმოაჩინეთ ის კურთხევები, რომელიც ღმერთზე მინდობას მოჰყვება, და წყევლა, რომელიც კაცზე მინდობას მოსდევს. შენს ცხოვრებაში რომელი მათგანი უფრო ხშირადაა?

გახსოვდეს...

თავმდაბლობით შემოსვა ნიშნავს, რომ არა საკუთარი, არამედ ღმერთის საჭურვლით ვიყოთ შემოსილნი. რწმენა ნამდვილ თავმდაბლობას მოითხოვს, რადგან, როდესაც თავმდაბალი ხარ, შენ ღმერთის უნარზე (მადლზე) ხარ მინდობილი და არა საკუთარ შესაძლებლობებზე.

„ამბობს უფალი: „წყეულია კაცი, რომელიც ადამიანზეა დანდობილი და ხორცისგან მოიცემს ძალას, უფალს კი შორდება მისი გული. და იქნება შიშველივით ტრამალზე, ვერ იხილავს სიკეთის მოსვლას და იცხოვრებს გადაბუგულ უდაბნოში, მარილოვან ქვეყანაში, და ვერ დასახლდება. კურთხეულია კაცი, რომელიც უფალზეა დანდობილი, უფალი იქნება მისი დასაყრდენი. და იქნება, როგორც ხე დარგული წყალთან, და ნაკადულთან გაუშვებს თავის ფესვებს, და არ შეშინდება, როცა პაპანება დადგება, და იქნება მისი ფოთლები ამწვანებული, და გვალვიან წელიწადში არ შეწუხდება და არ შეწყვეტს ნაყოფის გამოღებას“

-იერემია 17:5-8 (ინგ. ვერსია CEV)

„დაენდე უფალს მთელი შენი გულით და შენს გონებას ნუ დაეყრდნობი. ყველა „შენს გზაზე შეიცანი იგი და ის გაასწორებს შენს ბილიკებს. ნუ იქნები ბრძენი შენს თვალში, გეშინოდეს უფლის და უკუიქეც ბოროტებისაგან. კურნება იქნება ეს შენი სხეულისთვის და გამაგრილებელი შენი ძვლებისა“

-იგავები 3:5-8 (ინგ. ვერსია NIV)

ღმერთზე თავმდაბლობით მინდობიდან მომდინარე კურთხევებია...

ადამიანზე უგუნურებით მინდობიდან მომდინარე წყევლაა (მათ შორის ის კურთხევები, რომელიც მე არ მაქვს) ...

გზის მაჩვენებელი

„ისე არაფერი აშორებს პიროვნებას ეშმაკის წვდომისაგან, როგორც თავმდაბლობა“
- ჯონათან ედვარდსი

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: იგავები 28:26, ფსალმუნი 145:3-10.

„ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან - სულიერზე. რადგან ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები - სიცოცხლე და მშვიდობა. იმიტომ, რომ ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა, ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია. ამიტომ მათ, რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუძთ აამონ ღმერთს“

-რომაელთა 8:5-8 (ინგ. ვერსია The Message)

9. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის შენი შეხედულებები სხვების შეხედულებებზე? როდესაც საქმე ეხება ფინანსებს, ჯანმრთელობას, მსახურებას, პოლიტიკას და ა.შ., ვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა – შენ, შენს მეგობრებს, შენს ოჯახს თუ ღმერთს? როცა ვინმე რჩევას გეკითხება, რას ეუბნები მათ – საკუთარ აზრს, თუ ღმერთის სიტყვას? რა სახის გამოწვევის წინაშე გაყენებს ეს განყოფილება?

*„შეიმოსეთ, ყოველმათქგვენგანმა თავმდაბლობა [როგორც სამოსი მსახურისა, რათა არ შემოგეძარცვოთ, სიამაყისა და ამპარტავნობის გარეშე]. დაემორჩილეთ ერთმანეთს, **რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება** (მკვეხარას, უხეშს, ბაქიას) —[ეწინააღმდეგება, ამარცხებს მათ] , თავმდაბლებს კი (სიკეთეს, კურთხევას) მადლს ანიჭებს“*

-1 პეტრე 5:5 (ინგ. ვერსია AMP)

10. წმინდა წერილი ამბობს, რომ ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება. იმყოფები ისეთ სიტუაციაში, რომელშიც აგურის კედელს შეეჯახე? წინ წასვლა გინდა, მაგრამ ვერ მიდიხარ? თუ ასეა, დაიმდაბლე თავი ღვთის წინაშე და ილოცე. სთხოვე შენი საკუთარი გულის მდგომარეობა დაგანახოს მოცემულ სიტუაციაში. თუკი ის სიამაყის დამოკიდებულებას დაგანახებს, შესაძლოა ეს წინააღმდეგობა თავად ღმერთისგან მომდინარეობდეს. მოინანიე და სთხოვე მას სიბრძნე და მადლი, რომ ამ მდგომარეობას თავმდაბლობით მიუდგე. დაწერე ნებისმიერი რამ, რასაც ის გამოგიცხადებს.

უბრალო ლოცვა

მამაო გთხოვ მაპატიო სიამაყეში სიარული. მაპატიე სხვების მიმართ უხეშობა და მოუთმენლობა. მადლობა შენი წყალობისა და პატიებისთვის, და თავმდაბლობის უკეთ დანახვისთვის. გთხოვ, განაგრძო ჩემი გაგების მასშტაბები და ამ ძვირფასი სათნოების განვითარება ჩემში. დამეხმარე, ყოველდღე ვთქვა, რომ „მე“ აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცხოვრობს ჩემში შენი სულის ძალით. მომეცი ძალა დავემორჩილო მათ, ვისთანაც მაქვს ურთიერთობები. დამეხმარე სრულად მოგენდო და არ ვიყო საკუთარ აზრებზე დამოკიდებული. არ მინდა ყალბი ვიყო; მინდა ნამდვილი ვიყო. მიყვარხარ მამა, იესოს სახელით, ამინ.

მთელი კვირის
ა მ ო ც ა ნ ა

ჩვენ ყველას გვინახავს სასწაულები ჩვენს ცხოვრებაში, რომელთაგან ყველაზე დიდი სასწაული ცოდვისა და სიკვდილისაგან გათავისუფლებაა. როდესაც გვახსოვს ღმერთის გამათავისუფლებელი ღვაწლი, ეს უნარს გვაძლევს დავმდაბლდეთ და რთულ სიტუაციებში მთლიანად ღმერთის მადლზე ვიყოთ მინდობილები. ამ კვირაში, სულ ცოტა სამ სხვადასხვა ადამიანს დაუმოწმე თუ რა გაგიკეთა ღმერთმა. შენი მონათხრობი გაამხნევებს ქრისტიან და-ძმებს და სხვებს, ღმერთისაგან შორს მყოფებს მისკენ მოიზიდავს, და მისი ღვაწლის მუდამ გახსენება გაგაძლიერებს სულში.

დღე 1 თავმდაბლობა ღმერთზე მინდობაა

*„მოვარიდებ შენს წიაღს შენი დიდებით მოქადულებს, რომ აღარ გამედიდურდე ჩემს წმიდა მთა ზე. დავტოვებ შენს წიაღში **თვინიერ** და ბეჩავ ხალხს, რადგან **ისინი უფალ ზე არიან დაიმედებული**.*

-სოფონია 3:11-12 (ინგ. ვერსია NLT)

რწმენა და ნდობა ერთი და იგივე რამაა. რწმენა ღმერთზე მინდობაა. ყველაფერს – ვგულისხმობ ყველაფერს – რასაც ღმერთისგან ვიღებთ, რწმენის მეშვეობით მოდის. თავისი უსაზღვრო სიყვარულის გამო, ღმერთმა გამოგზავნა თავისი ძე, რათა ჩვენს გამო მომკვდარიყო და ჩვენი ცოდვების საფასური გადაეხადა, რათა ჩვენ მამასთან სამარადჟამოდ აღგვედგინა მოზიარეობა და ურთიერთობები. აი ეს არის მოკლედ გადმოცემული სახარება – იოანე 3:16. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შეუფასებელი საჩუქარი მივიღოთ, საჭიროა დავიჯეროთ ის, რასაც უფალი გვეუბნება თავის სიტყვაში. ეს არის მინდობა. ყველაფერი საბოლოოდ ნდობამდე მიდის.

ნდობა

მინდობა ეს არის „რაღაცაში გაბედულების ქონა; დანდობა გონებისა მეგობრობაზე, სიწრფელეზე ან ადამიანის ჯანსაღ პრინციპებზე.“ როდესაც ღმერთს ვენდობით, მის სიტყვასაც ვიღებთ. ნდობის სინონიმებს შორის არის რწმენის ქონა, დაჯერება, მინდობა, დამოკიდებულება, მოლოდინი, იმედი და დარწმუნებულად ყოფნა.

ბიბლია რწმენას განმარტავს კოლასელთა 1:4: „გვესმის თქვენი რწმენა ქრისტე იესოში [ქრისტეზე ხართ დაყრდნობილი მთელი თქვენი ადამიანური პიროვნულობით აბსულუტურ მინდობაში და გაბედულება გაქვთ მის ძალაში, სიბრძნეში და სიკეთეში]...“

ღმერთი ნდობის ღირსია! ოდესმე თუ გისაყვედურია ღმერთისთვის ამა თუ იმ საკითხის გამო და ახლა ხედავ რომ, სინამდვილეში ეს მტრის შემოტევა იყო? დაასახელე საკითხები, რომელშიც ღმერთს მიენდე და მან გიპასუხა. იფიქრე მის ერთგულებაზე.

ისეთი პირადი გამოცდილებები, რომელიც ღმერთის სიტყვასთან არ მოდის თანხმობაში, შესაძლოა დიდ დაბრკოლებად გვექცეს ღმერთის მინდობაში. არის თუ არა ისეთი გამოცდილება შენს ან შენთვის ახლობელი ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც ამრუდებს ღმერთის ჭეშმარიტებას? რა არის ეს და წმინდა წერილის რომელ ადგილებს გამოიყენებ შენი რწმენის გასაძლიერებლად და ამ არასწორი შეხედულების გასაბათილებლად?

გახსოვდეს...

წმინდა წერილში ღმერთის ხელი, ყოველთვის მისი ძალის, ძლიერების და უნარის შესახებ მიუთითებს; ეს მისი საჭურველია. რეალურად თუ ვიტყვით, ჩვენ საკუთარი თავი უნდა დავიმდაბლოთ ღმერთის ძალისა და ძლიერების ქვეშ, ჩვენ (სხვების) ადამიანური აზრებისა და გამოცდილების ნაცვლად ღმერთის სიტყვა დავაყენოთ წინა პლანზე. ღმერთის სიტყვა უნდა ვირწმუნოთ მიუხედავად ჩვენი შეხედულებისა და ნება დავრთოთ მას, გვიკარნახოს რა მოვიმოქმედოთ.

დღე 2 თავმდაბლობა უფლის შიშია

„უფლისადმი თავმდაბლობა და შიში სიმდიდრისკენ, პატივისკენ და ხანგრძლივი სიცოცხლისკენ წარუძღვება“

-იგავები 22:4 (ინგ. ვერსია NLT)

უფლის მოშიშება იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთის გვეშინოდეს. ეს ნიშნავს მისადმი პატივისცემას და მისი არსების დიდი მოშიშებით მიღებას. ღმერთისადმი დიდი პატივისცემის გამოვლინებაა იმის ცოდნა, რომ ის არის ის, რასაც იგი ამბობს და რომ გააკეთებ იმას რასაც ამბობს. როგორც სოლომონი აცხადებდა: „უფლის შიში ბრძნული დარიგებაა და პატივზე წინ არის მორჩილება“ (იგავ. 15:33).

როდესაც უფლის მოშიშება გვაქვს, ჩვენ მის გარდა სხვა ღმერთები არ გვყავს – მას ყველაზე აღმატებული, საპატიო ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში. როდესაც ღმერთის მოშიშება გვაქვს, უწინარესად მის სასუფეველს ვეძიებთ და ჩვენი შემოსავლის პირველნაყოფებს მას ვაძლევთ. სურვილი გვაქვს მოწყალება და პატიება გამოვიჩინოთ სხვათა მიმართ და ღმერთს ვაამოთ მთელი ჩვენი ცხოვრებით. თუ შევცოდავთ, მისგან არ გავრბივართ; ჩვენ მასთან მივდივართ, რათა ჩვენს შორის არსებული საკითხები გამოვასწოროთ. ნამდვილად, ღვთის შიში, სიბრძნის დასაწყისია!

გზის მაჩვენებელი

„ღმერთის შიში განვითარების ერთ-ერთი ფაზა არ არის, რომელიც მოვა და შემდეგ გაივლის. ღმერთის შიში უფლის გზაზე ჩვენი სიარულის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ისეთი გულებიდან მომდინარეობს, რომლებიც ღმერთთან სიახლოვისკენ ისწრაფვიან და სურთ მისი მსგავსები იყვნენ.“
- ნეილ თ. ანდერსონი და რიჩ მილერი

საკუთარი სიტყვებით ახსენით, თუ როგორ არის ღვთის შიში თავმდაბლობასთან დაკავშირებული. როგორ წარმოაჩენს სიამაყე ღმერთის შიშის ნაკლებობას?

_____

_____

დაუფიქრდი ფსალმუნ 33:11-13-ს, 2 რჯულის 10:12-13-სა და იგავების 8:13-ს. როგორ გეხმარება ეს მუხლები ღვთის შიშის უკეთ გაგებაში? როგორ გამდაბლებს და კრძალვით მოშიშებას განიჭებს

ღმერთის დიდებულების გააზრება?

_____

_____

ყურადღებით წაიკითხე ფსალმუნი 103; 146:4-5; და ესაია 40:12; 66:1-2.

შემდგომი შესწავლისათვის...
კურთხევები, რომელიც ღვთის მოშიშებას ახლავს თან
ფსალმუნი 24:12-14, 30:19, 32:18-19, 33:7-10, 102:11-13, 111:11-13, 127:1-4, 144:19
იგავები 10:27, 14:26-2

ამ საკითხზე მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ ჯონის სასწავლო პროგრამა „უფლის შიში“.

დღე 3 თავმდაბლობა - ესაა იცხოვრო სიყვარულში

„და იარეთ სიყვარულში [პატივი ეცით ერთმანეთს და გიხაროდეთ ერთმანეთი], ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ“

- ეფესელთა 5:2 (ინგ. ვერსია AMP)

ჩვენს ზეციერ მამას ყველაზე მეტად ის უხარია, როდესაც მისი შვილები სიყვარულში დადიან. სულის ნაყოფებს შორის, სიყვარული უპირატესია. ქრისტეს მეშვეობით წარმოჩენილი ღმერთის სიყვარული, ნამდვილი თავმდაბლობის გამოვლინებაა. ჯვარცმამდე იესომ გვითხრა „გიყვარდეთ ერთმანეთი“, ოცდაოთხ საათზე ნაკლებ დროში ოთხჯერ. ნათელია, რომ ეს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ყოველი ღვთიური მახასიათებელი ღმერთის სიყვარულიდან მომდინარეობს. სიყვარული გვჭირდება იმისათვის, რომ მომთმენნი, მიმტევებელნი და მშვიდობის მაძიებელნი ვიყოთ. ქრისტეს გარეშე არ არსებობს ხსნა და სამართლიანობა. ეს მაშინ ხდება კარგად გასაგები, როდესაც გავითავისებთ იმას, რომ ღმერთი სიყვარულია. (იხ. 1 იოანე 4:8). ეს უბრალოდ რაიმე საქმე არ არის, რომელსაც ის აკეთებს. ის არის – ის ვინც არის.

როგორია სიყვარული? 1 კორინთელთა 13:4-8 (ინგ. ვერსია AMP) ძლიერ მნიშვნელოვან სურათს წარმოგვიდგენს. ყურადღებით წაიკითხეთ ეს ადგილი:

„სიყვარული ბევრს იტანს, სულგრძელია და კეთილი; სიყვარულს არასოდეს შურს და არასოდეს სურს სხვისი, არ იქადის. არ ჩადის უწესობას (ამპარტავნებას, სიამაყით არ არის აღვსილი); არ არის უხეში (უტაქტო) და არ იქცევა მიუღებლად. სიყვარული (ღმერთის სიყვარული ჩვენში) არ ეძიებს საკუთარ უფლებებს, რადგან ის საკუთარის მაძიებელი არ არის; არ ფორიაქობს, არ მრისხანებს; სიბოროტეს გულში არ ჩაიდებს [არად აგდებს უსამართლობისთვის ტანჯვას]. არ ახარებს უსამართლობა, არამედ ჭეშმარიტება და სამართლიანობა“

რა მხრივ არის სიყვარული და თავმდაბლობა ერთმანეთთან დაკავშირებული? რა მხრივ წარმოადგენს სიყვარული სიამაყის საწინააღმდეგო მხარეს?

ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ და ის გვაძლევს სიყვარულს, რათა გვიყვარდეს სხვა ადამიანები (იხ. რომაელთა 5:5; 1 იოანე 4:19). წაიკითხე 1 თეს. 3:12 და 1იოანე 4:12, 16-17 და აღწერე როგორ იზრდება მისი სიყვარული ჩვენში.

გზის მაჩვენებელი

„სიყვარული ნაყოფია, რომელიც წელიწადის ყოველ დროს მოდის და რომლის მოწყვეტა ყოველ ხელს შეუძლია. ნებისმიერს შეუძლია მისი მოგროვება და მასზე ლიმიტი არ არის დაწესებული“

- დედა ტერეზა

დღე 4 თავმდაბლობა - ესაა მიჰყვე მშვიდობას

*„თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, ყველა ადამიანთან **მშვიდობიანად იცხოვრეთ**“*
- რომაელთა 12:18 (ინგ. ვერსია AMP)

ღმერთმა მოგვცა მშვიდობის ფეხსაცმელი, როგორც ჩვენი საჭურვლის შემადგენელი ნაწილი. ყველგან, სადაც წავალთ, გვმართებს მყარად ვიდგეთ და მშვიდობაში დავდიოდეთ. ღმერთი ამბობს: „ეძიეთ მშვიდობა (ჰარმონია; შიშებისგან არ შეწუხება, მოშურნეობის აგიტაცია და მორალური კონფლიქტები) და გულით ეძიეთ იგი. [თქვენი სურვილი მხოლოდ ღმერთთან, მოყვასთან და საკუთარ თავთან მშვიდობიანი ურთიერთობები ნუ იქნება, არამედ თავად მისდიეთ მათ!]“ (1პეტრე 3:11) მშვიდობას ერთიანობა მოაქვს და ღმერთის ძალას ათავისუფლებს. სიამაყე კი თავის საკუთარს ეძიებს, მხოლოდ საკუთარ თავზე დარდობს, მშვიდობა კი უპირველესად ღმერთისაზე ფიქრობს, შემდეგ სხვებზე და ბოლოს საკუთარ თავზე.

ყურადღებით წაიკითხეთ ეს სიბრძნის შემცველი მუხლები, რომელიც მშვიდობას იუწყებიან.

„ნუ იფიქრებთ, რომ იმაზე უკეთესი ხართ, ვიდრე სინამდვილეში. არამედ იფიქრეთ საღად, იმ რწმენის კვალობაზე, რაც ღმერთმა გიწილადათ თითოეულს“
- რომაელთა 12:3 (ინგ. ვერსია NLT)

„ერთმანეთთან სიამტკბილობაში იცხოვრეთ. ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებას მისდიეთ [ხალხისადმი, საკითხებისადმი]“
- რომაელთა 12:6 (ინგ. ვერსია AMP)

„ამიტომ შეგაგონებთ, მე, პატიმარი უფალში, მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოდებულნი ხართ. სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში. ეცადეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით“
- ეფესელთა 4:1-3 (ინგ. ვერსია CEV)

თავმდაბლობის რა მთავარ პრინციპებს იმეორებს ეს მუხლები?

წაიკითხეთ მათე 6:14-15 და მარკოზის 11:25-26-ში ჩაწერილი იესოს სიტყვები. მშვიდობის შესახებ რა მნიშვნელოვანი პრინციპებია მათში გაცხადებული? როგორ უკავშირდება ეს თავმდაბლობას?

არის ვინმე, ვისთანაც მშვიდობით თანაცხოვრება გიჭირს? უფალთან მიიტანე და ლოცვაში გამო-ათავისუფლე ეს სიტუაცია. სთხოვე მას თუკი რაიმე სახის უპატიებლობაში იმყოფები და ილოცე იმ ადამიანების ცხოვრებისთვის, რომლებთანაც მშვიდობა არ გაქვს. ეს გააკეთე ყოველთვის, როდესაც უარყოფითი ფიქრები და გრძნობები შემოგიტევს. დროთა მანძილზე ისინი გაგშორდება.

შემდგომი შესწავლისათვის...
გამხნევება ერთობაში ცხოვრებისათვის:
1 კორინთელთა 1:10;
2 კორინთელთა 13:11;
ფილიპელთა 1:27; 1 პეტრე 3:8-12

დღე 5 თავმდაბლობა - ესაა იცხოვრო არა საკუთარი თავისთვის, არამედ სხვებისთვის

*„მაშინ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს: ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, **გვერდზე გადადოს თავისი საკუთარი ამბიციები**, აიღოს თავისი ჯვარი და მომდიოს მე“*

-მათე 16:24-25 (ინგ. ვერსია NLT)

თავმდაბლობა საკუთარი თავისთვის არ ცხოვრებას უდრის. იესო ქრისტე ორივეს განსახიერება იყო. ზეცის დატოვების და ისევ იქ დაბრუნებამდე დროის განმავლობაში, მისი მთავარი საზრუნავი ერთი რამ იყო: აღესრულებინა მამის ნება. საღვთო წერილში ხშირად ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „ზეციდან არა ჩემი საკუთარი, არამედ ჩემი წარმომგზავნელის ნების აღსასრულებლად მოვედი“ (იოანე 6:38).

იესოს ერთი დავალება ჰქონდა – მამის ნება აღესრულებინა, თუნდაც ეს სიკვდილის ფასად დაჯდომოდა. დაე, ყოველმა ჩვენგანმა შევძლოთ თავმდაბლურად ცხოვრება და ჩვენი გაკეთებული საქმით ღმერთისათვის დიდების მოტანა.

დაუფიქრდით ამ მუხლებში გადმოცემულ განაცხადს.

„ჩემთავად არაფრის გაკეთება არ შემიძლია [დამოუკიდებლად, საკუთარი ნებით — არამედ ისე, როგორც ღმერთისგან ვისწავლე]. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ, და ჩემეული განკითხვა სამართლიანია (სწორია, მართალია), რადგან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, [სურვილი არ მაქვს ის ვაკეთო, რაც სიამოვნებას მანიჭებს] არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას“

- იოანე 5:30 (ინგ. ვერსია AMP)

საკუთარ თავს დაუსვი ქვემოთ მოყვანილი შეკითხვები და გაეცი წრფელი პასუხი:

რა არის ჩემი ცხოვრების წარმმართველი? რა მაიძულებს ყოველ დილას საწოლიდან წამოდგომას და იმის კეთებას, რასაც ვაკეთებ?

ვცხოვრობ თუ არა საკუთარი თავისთვის? რის საფუძველზე შეიძლება გავამყარო ჩემი პასუხი?

ვახდენ თუ არა სხვებზე საუკუნო მნიშვნელობის გავლენას? თუ ასეა, როგორ? თუ არა, მაშინ რისი გაკეთება შემიძლია, რომ შევცვალო ეს?

დღე 6 თავმდაბლობა მთლიანად ღმერთზე დამოკიდებულებაა

*„მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რადგან **უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ**“*

- იოანე 15:5 (ინგ. ვერსია GW)

ახალშობილი ჩვილი უმწეოა დედის მკლავებში. ის ტირის როდესაც შია, არ ძალუძს საკუთარი თავის გამოკვება. როდესაც გამოცვლა სჭირდება, მაშინაც ტირის. ტირის როდესაც ნუგეში და გათბობა სჭირდება. ეს არის სურათი, რომელიც სრულ დამოკიდებულებას წარმოგვიდგენს. ასე ვართ ჩვენ ღმერთზე დამოკიდებული. მართალია ვიზრდებით და ვსწავლობთ, როგორ განვავრცოთ ღვთის სასუფეველი, მაინც მასზე ვართ დამოკიდებული. რატომ? იმიტომ, რომ თავმდაბლობაში დავრჩეთ.

რამეთუ მასში ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვარსებობთ.
- (ინგ. ვერსია AMP)

დაუკვირდით ამ მუხლებს:

რამეთუ მასში ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვარსებობთ. - (ინგ. ვერსია AMP)

„ვინაიდან წინადაცვეთილობა ჩვენ ვართ - ღვთის მსახურნი სულით, ვადიდებთ ქრისტე იესოს და არ გვეიმედება ხორცი“

- ფილიპელთა 3:3 (ინგ. ვერსია AMP)

„ვინაიდან ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი. ამრიგად, სურვილი არის ჩემში, მაგრამ კეთილის კეთება - არა“

- რომაელთა 7:18 (ინგ. ვერსია AMP)

„სული ცხოველმყოფელია [ის იძლევა სიცოცხლეს], ხოლო ხორცი უსარგებლო [მისგან არანაირი სარგებელი არ არის]. სიტყვები (ჭეშმარიტება), რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა“

- იოანე 6:63 (ინგ. ვერსია AMP)

რა სახის აზრს გაწვდის ღმერთი თავმდაბლობის შესახებ შენს სხეულთან დაკავშირებით? რა სახით მოაქვს ფილიპელთა 4:13 წონასწორობა და გამხნევება?

გზის მაჩვენებელი

„ჩვენი ცხოვრება, ნათქვამია, ვარდებს ჰგავს, რომლებიც ყვავიან და მერე ჭკნებიან; მაშ, სანამ ვარსებობთ ვაკეთოთ სიკეთე და გამოსადეგნი ვიყოთ.“
- ფენი ქროსბი

იმყოფები თუ არა ისეთ სიტუაციაში, რომელიც გახსენებს, რომ შენ მთლიანად ღმერთზე ხარ დამოკიდებული? თუკი ასეა, მაშინ მოკლედ აღწერე, რა სახით არის ეს შენთვის გამოწვევა. შემდეგ დადუმდი უფლის წინაშე. სთხოვე მას, რომ თავისი მადლით გაგაძლიეროს და დაგანახოს დიდება, რომელსაც ის შენში ავითარებს.

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

შენ, როგორც ღმერთის შვილი, ომში ხარ ჩართული. მაგრამ უფალმა თავმდაბლობის იარაღით აღგჭურვა. თავმდაბლობა ამ იარაღის შემადგენელი ნაწილია. ის გეხმარება, რომ შეუპოვრობით იცხოვრო. მაგრამ საკუთარი თავის თავმდაბლობით შემოსვით – ნება დართო ქრისტეს შენი ცხოვრების მეშვეობით იცხოვროს – ისეთ მდგომარეობაში იმყოფები, რომელშიც შეგიძლია ღმერთის მადლის ძალა მიიღო.

შენიშვნები

(1) Adapted from Vine's Complete Expository Dictionary of Old and New Testament Words, W.E. Vine (Nashville, TN: Thomas Nelson Publishing, 1996) p. 606. (2) Adapted from Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 645. (3) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (4) See note 2, p. 614. (5) See note 3. (6) Andrew Murray, Humility (Fort Washington, PA: CLC Publications, 1997) p. 28. (7) Smith Wigglesworth, Faith That Prevails (Springfi eld, MO: Gospel Publishing House, 1966) p. 50. (8) See note 2, p. 641. (9) Quotes by C. S. Lewis (retrieved 8/13/11, http://dailychristianquote.com/dcqpride.html). (10) Christian quotes on Pride and Humility (retrieved 7/23/11, http://dailychristianquote.com/

„ამიტომ ჩვენც, როცა ირგვლივ
მოწმეთა ღრუბელი გვაქვს
[ვინაიდან ჩვენ გარს გვარტყია
რწმენით ცხოვრების მოწმეთა
დიდი ღრუბელი], ჩამოვიცილოთ
ყოველგვარი ტვირთი [რომელიც
აფერხებს ჩვენს წინსვლას]
და დამაბრკოლებელი ცოდვა
[განსაკუთრებით ცოდვა,
რომელიც გვაიძულებს, რომ
წავიბორძიკოთ] და მოთმინებით
გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე
სარბიელი [რომელიც ღმერთმა
განგვისაზღვრა]“

-ებრაელთა 12:1
(ინგ. ვერსია NLT)

8 თავი

ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-9 და მე-11 თავები და მოისმინეთ ვიდეო კურსის მე-8 გაკვეთილი

1. ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება მორბენალთა მარათონს ჰგავს. იმისათვის, რომ დისტანციის დაფარვა მოვახერხოთ, საჭიროა ყოველი ზედმეტი ტვირთი ჩამოვიცილოთ. შეჩერდი და დაფიქრდი. რა დამოკიდებულებები, ურთიერთობები ან აზროვნება გიშლის ხელს ქრისტეში პროგრესის მიღწევაში? რაზე მიგითითებს სულიწმიდა და რა ნაბიჯის გადადგმისაკენ გიბიძგებს?

უსარგებლო ტვირთი, რომელსაც სულიწმიდა მიჩვენებს, არის...

_____

_____

_____

_____

დაფიქრდი: რა გიშლის ხელს, რა გპარავს დროს და რას გადააქვს შენი ყურადღება ღმერთისგან და იმ საქმისგან, რისი გაკეთებაც მან დაგავალა?

გახსოვდეს...

ღმერთის სიტყვაში მრავალგზის დადასტურებული ფაქტია: თუკი აპირებ ბოლომდე დაასრულო შენი, ღმერთის მიერ დაგეგმილი მოგზაურობა, მოგიწევს ყველა შენი საზრუნავი და დარდი უფალს გადასცე. ხშირად მისი გზა წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რასაც უსაფრთხოება და კომფორტი გკარნახობს, თუმცა სწორედ ეს არის გზა თავგადასავლებისა, რწმენისა და საზღაურისა.

სამოქმედო გეგმა, რომლითაც მას სურს ჩამოიცილო ტვირთი არის...

_____

_____

_____

იფიქრე: როგორ მოიშორებ ამას, როგორ შეიმსუბუქებ ტვირთს და როგორ გააძლიერებ შენს სულს იმისათვის, რომ ფინიშის ხაზს მიაღწიო?

2. ღმერთს ასევე სურს, რომ ჩამოიცილოთ ყოველგვარი ცოდვა, რომელიც ძალიან ადვილად გვაბამს მახეში. შეჩერდი და დაფიქრდი. რომელ ცოდვაში (ცოდვებში) ვარდები ადვილად? არის ეს უწმიდური აზრები ან უსარგებლო

გზის მაჩვენებელი

„გვერდზე გადადე ყოველგვარი ზედმეტი ფიქრი საკუთარ სხეულზე, ცხოვრებაზე და წუთისოფელზე. ცხოვრებაზე გადაჭარბებული ფიქრი და ზრუნვა მკვდარი ტვირთია, რომელიც ჩვენს სულს ქვევით ექაჩება, როდესაც ის მაღლა უნდა ისწრაფოდეს, და უკან ითრევს, როდესაც წინ უნდა მიდიოდეს. ეს ზრუნვა ჩვენს მოვალეობებს იმაზე უფრო მეტად ართულებს და აძნელებს, ვიდრე უნდა იყოს“. მეთიუ ჰენრი

ზრუნვა და დარდი? ჭორაობა თუ ადვილად გაღიზიანება? სთხოვე უფალს დაგანახოს რა არის ეს, რატომ ვარდები ამ ცოდვაში ასე ადვილად და როგორ გაიმარჯვო მასზე.

ცოდვა (ცოდვები), რომელშიც ადვილად ვვარდები არის...

_____

_____

მიზეზი თუ რატომ ვარდები ამ ცოდვაში და საშუალება, რომლითაც შემიძლია მისგან თავის დაღწევა, არის...

_____

_____

_____

„მაშ, დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ[დამცირდით, დასწიეთ თქვენი თვითშეფასების ნიშნული], რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე. თქვენი ყველა საზრუნავი [თქვენი ყველა წუხილი, ყველა მღელვარება, თქვენი ყველა პრობლემა, ერთხელ და სამუდამოდ] მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე[მუდმივად, განუწყვეტლივ]“

-1პეტრე 5:6-7 (ინგ.ვერსია „AMP“)

3. ზოგჯერ ზედმეტი ტვირთი, რომელიც გვამძიმებს, ცხოვრების საზრუნავია. სწორედ ეს იწვევს აფორიაქებას, წუხილს, ეჭვს და შიშს. რა გექაჩება ქვევით, რა ახშობს ქრისტეს სიცოცხლეს შენში და რა გპარავს სიხარულს, მოთმინებასა და თვითკონტროლს?

ზედმეტი ტვირთი, რომელიც ქრისტეს სიცოცხლეს ახშობს ჩემში და ქვევით მექაჩება, არის...

_____

_____

ახლა, ხმამაღლა ილოცე, შენი საზრუნავი ქრისტეს მიანდე და მიიღე მისი მშვიდობა. სთხოვე მადლი და მიენდე, რომ ის მიხედავს ყველა შენს წუხილს, რომ შენ მთელი ყურადღება იმ საქმეზე გადაიტანო, რომლის შესასრულებლადაც მან მოგიწოდა. აკეთე ეს მანამ, სანამ არ იგრძნობ, რომ ტვირთი მოგეხსნა.

„მოიშორეთ თქვენი საზრუნავი“

სიტყვა „მოშორება“ ბერძნული სიტყვა epiripto-დან(*ეპირიპტო*) მომდინარეობს, რომელიც epi (*ეპი*) და ripto-გან(*რიპტო*) შედგება. epi ნიშნავს „რაღაცაზე მაღლა, ზემოთ“. ripto კი – „ტყორცნა, სროლა, გადაგდება“ და ის გულისხმობს,

ძლიერად მთელი ძალით მოქმედებას. სეკულარულ ლიტერატურაში ეს ტერმინი გამოიყენება მოგზაურის მიერ საკუთარი მხრებიდან ზედმეტი ტვირთის, ჩანთის, სამოსელის ცხენზე, ვირზე, ან აქლემზე აკიდების გამოსახატავად.

სიტყვა „*საზრუნავი*“ ბერძნულად არის merimna (*მერიმნა*) და „აფორიაქებას“ ნიშნავს. ეს ნიშნავს წუხილს, სირთულეს, ან ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილ რთულ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე „*მოიშორეთ თქვენი საზრუნავი*, ნიშნავს, მოისროლო ყველაფერი ის, რაც შენს აფორიაქებას და დარდს იწვევს, იესოს აჰკიდო მხრებზე სატარებლად“. რატომ? იმიტომ, რომ ის ზრუნავს შენზე!

G 4. იესოს არ სურს, რომ ჩვენ, ყოველდღიურ ოჯახურ პირად საჭიროებებზეც კი ვზრუნავდეთ, მას სურს, რომ მთელი ჩვენი საზრუნავი მას მივანდოთ. საზრუნავის მასზე მინდობა, თავმდაბლობის გამოხატულებაა. ყველაფრის გარკვევა და საკუთარი საჭიროებების თავად ზრუნვა სიამაყეა. ყურადღებით წაიკითხეთ მათე 6:25-34. რას გეუბნება უფალი იმაზე, რომ არ იზრუნოთ?

G 5. ღმერთს შენთვის კონკრეტული „სარბენი მარშრუტი“ აქვს მონიშნული, რომელიც მის მიერ შენს გულში ჩანერგილ მოგიზგიზე სურვილთან არის დაკავშირებული. რას გრძნობ, რის შესასრულებლად გიხმობს უფალი? რით დაგიდასტურა ეს? როგორ თანამშრომლობ მასთან იმისათვის, რომ რეალურად განახორციელო მისი გეგმა?

„მე კი შენზე ვარ დაიმედებული, უფალო, ვთქვი[ვამბობ]: „შენა ხარ ჩემი ღმერთი“. შენს ხელთ არის ჩემი დრო-ჟამი. მიხსენი ჩემთა მტერთა ხელთაგან, და ჩემთა მიმდევართა. უჩვენე შენი ბრწყინვალე სახე შენს მორჩილს, გადამარჩინე შენი[უსაზღვრო სიყვარულით] წყალობით“

-ფსალმუნი 30:15-17 (ინგ.ვერსია NIV)

გზის მაჩვენებელი

„ღმერთის გეგმას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ღამე ვერ დავიძინო იმაზე ფიქრში, თუ *როგორ გადავიხდი გადასახადებს თუ სამსახურს დავკარგავ? რა გავაკეთო, როცა პენსიაზე გავალ და საფონდო ბირჟა ისევ დაღმა სვლას განაგრძობს? როგორ ვუზრუნველყო ჩემი ოჯახი, თუკი ჩემი კომპანია გაკოტრდება?* ან სხვა ნებისმიერი საზრუნავი, რომელიც შეიძლება მქონდეს.

...

ბიბლიაში გამუდმებით ვკითხულობთ კარგად გასაგებ გზავნილს, რომ ღმერთია ის, ვინც ჩვენს საჭიროებებს აგვარებს. არცერთი საჭიროებაა ისე დიდი და პრობლემატური, რომ იესოს მისი უზრუნველყოფა არ შეეძლოს!“

ჩარლზ სტეინლი-

6. როდესაც ღმერთი ჩვენს გულს დაელაპარაკება და შემდეგ ამ ნათქვამის სისრულეში მოყვანა გვიანდება, მაშინ ვცდილობთ, რომ ღმერთს თავისი ნათქვამის დროულად აღსრულებაში დავეხმაროთ. ესეც საზრუნავია, რომელიც მას უნდა მივანდოთ, რადგან ჩვენი დრო მის ხელშია. ცდილობ ღმერთს დაეხმარო დასახულ მიზანს საკუთარი უნარით მიაღწიო? რა პრაქტიკული მაგალითი შეგიძლია ისწავლო აბრაამისა და სარას ცხოვრებიდან შენს ცხოვრებაში გამოსაყენებლად? (იხ. დაბ. 16, 21:8-13 და გალ. 4:22-31)

გზის მაჩვენებელი

„ხორცსაც შეუძლია რელიგიური გახდეს და შეეცადოს *ღმერთს დახმარება გაუწიოს*. აბრაამი და სარა ამის კარგ მაგალითს წარმოადგენდნენ. ისინი წლების მანძილზე ელოდნენ ღმერთის მიერ მათთვის მიცემული აღთქმის აღსრულებას შვილთან დაკავშირებით. ... აბრაამსა და სარას კარგი განზრახვა ჰქონდათ. მაგრამ იცოდეთ, როდესაც ხორცი ცდილობს თუნდაც რაღაც კარგი მოიმოქმედოს, ღმერთი ამის წინააღმდეგია“

ტონი ევანსი

7. მნიშვნელოვანია აკეთო ის, რის საკეთებლადაც გრძნობ, რომ ღმერთმა მოგიწოდა, მაგრამ რომელიმე მსახურებაზე უარი თქვა იმის გამო, რომ ჯერ შესაფერისი დრო და სიტუაცია არ არის, უგუნურებაა. რა შესაძლებლობებს გაძლევს ღმერთი? რომელიმე მათგანში თუ მსახურობ? თუ არა, რატომ? რას ელოდები?

„ქარის მომზირალი ვერ დათესავს დ ღრუბლების დამკვირვებელი ვერ მოიმკის[თუ იდეალური ვითარების მოლოდინში იქნები, ვერაფერს მოიმოქმედებთ, ვერ-აფერს განახორციელებ]“

-ეკლესიასტე 11:4 (ინგ.ვერსია TLB)

გახსოვდეს...

ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში თითოეული ჩვენგანი დგება არჩევნის წინაშე: უსაფრთხოება თუ ბედისწერა. ავირჩევთ კი გზას, რომელიც მიდის მნიშვნელოვან შედეგებამდე. თუ შევეცდებით საკუთარი კეთილდღეობა გავაუმჯობესოდ? თუ აირჩევ თვითგადარჩენის კურსს, მისი ბოლო არ იქნება ღვთიური. შესაძლოა, თქვენ წარმატებას მიაღწიეთ კომფორტის და კეთილდღეობის შექმნაში, მაგრამ საბოლოოდ ქრისტეს სამსჯავროზე აღმოაჩენთ, თუ როგორი სისავსით აღვსილ ცხოვრებაზე თქვით უარი.

8. როდესაც ღმერთის სიტყვის მორჩილებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ, უფალი სასწაულებრივ უზრუნველყოფას იჩენს ჩვენს მიმართ. გაიხსენე სამი სიტუაცია, რომელშიც ღმერთმა იმოქმედა შენს დასახმარებლად. როგორ ახალისებს ამ შემთხვევების გახსენება შენს რწმენას და კრძალვას მატებს შენს გულს?

ღმერთი დამეხმარა

ღმერთი დამეხმარა

ღმერთი დამეხმარა

„სარწმუნოა ღმერთი[საიმედო, ნდობის ღირსი და ამიტომაც არის იგი თავისი დაპირების ერთგული და მისი ნდობა შეიძლება], რომლისგანაც იქენით მოწოდებულნი მის ძესთან, ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან თანაზიარებისათვის[მან მოგიწოდათ მეგობრული ურთიერთობისთვის და მის ძესთან იესო ქრისტესთან, ჩვენს უფალთან თანამშრომლობისთვი]“

-1 კორინთელთა 1:9 (ინგ.ვერსია „AMP“)

9. შეტევა თუ წამოვიდა შენზე მაშინ, როდესაც ღმერთის საქმეს აკეთებდი? აიღე რწმენის ფარი და სულის მახვილი. ილოცე და სთხოვე სულიწმიდას გაგახსენოს კონკრეტული მუხლები (*რემა* სიტყვები), რომელიც მან იმ სიტუაციისთვის გააცოცხლა, რომელშიც ახლა იმყოფები. დაწერე და ხმამაღლა წარმოთქვი ისინი შენი ცხოვრების მიმართ და მტრის წინააღმდეგ.

სულიწმიდის მიერ ჩემთვის ნათქვამი *რემა სიტ-ყვები* შეიცავენ...

10. როდესაც განსაცდელი დგება, ღმერთს არ სურს, რომ პანიკაში ჩავარდე ან წუწუნი დაიწყო. ნეგატიური რეაქციის ნაცვლად დადებითი დამოკიდებულება უნდა რომ შეინარჩუნო და მიზანმიმართულად იმოქმედო, მიენდო ღმერთს, რომ გაიმარჯვებ ამ სიტუაციაზე.

დაუკვირდი ქვემოთ მოცემულ მუხლებს. დაე, ისინი შენი გონების მუდმივი საფიქრალი გახდეს.

გზის მაჩვენებელი

„ღმერთი ერთგულია თავის სიყვარულში. ... ის ერთგულია დასახული მიზნის აღსრულებაში; ის არ იწყებს საქმეს, რომელსაც შუა გზაზე მიატოვებს. იგი ერთგულია ურთიერთობებში. ის, როგორც მამა, ზურგს არ შეაქცევს თავის შვილებს; როგორც მეგობარი, არასოდეს უღალატებს თავის ხალხს; როგორც შემოქმედი, არასოდეს დაივიწყებს თავისი ხელის ნამოქმედარს. ის ერთგულია თავისი სიტყვისა და ყოველი მორწმუნის მიმართ ნათქვამი მისი სიტყვა აღსრულდება“.
ჩარლზ ჰ. სპერჯენი

გზის მაჩვენებელი

„რომაელთა 10:17 გვიჩვენებს, რომ რწმენის საშენი მასალა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ღმერთის სიტყვა: „რწმენა მოსმენისგან მოდის და მოსმენა ღმერთის სიტყვისაგან“. რწმენა განსაკუთრებით *რემას* მოსმენისაგან მოდის. ... თქვენ გულდასმით უნდა შეისწავლოთ ბიბლია – დაბადებიდან გამოცხადებამდე – იმის გამო, რომ სულიწმიდას მიაწოდოთ მასალა, რაზეც უნდა იშრომოს. შემდეგ კი, როდესაც უფალს დაელოდები, სულიწმიდა მის რწმენას გიწილადებს“
დოქ. პოლ იონგი ჩო

„არაფერზე იზრუნოთ[არაფერზე ინერვიულო; ყველაფრისთვის ილოცეთ], მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს[უთხარით ღმერთს რის საჭიროებასაც განიცდით და მადლიერი იყავით იმ ყველაფრისთვის, რაც მან მოიმოქმედა] და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება[თუ ასე მოიქცევით, ღმერთის მშვიდობას გამოსცდით, რომელიც იმაზე მშვენიერია, ვიდრე ამის გაგება ადამიანურ გონებას შეუძლია]დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში[მისი მშვიდობა დაიცავს თქვენს გულს და გონებას მანამ, სანამ ცხოვრობთ იესო ქრისტეში]. აბა ასე, ჩემო ძმებო[ახლა კი ჩემო დებო და ძმებო ნება მომეცით კიდევ ერთი რამ ვთქვა ამ წერილის დასასრულს. კონცენტრირება გაუკეთეთ თქვენ ფიქრებს და იფიქრეთ იმაზე] ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, ყოველივე რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ[იფიქრეთ იმაზე, რაც უპირატესობის და ქების ღირსია“ -ფილიპელთა 4:6-8 (ინგ.ვერსია NLT)

თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და მისი სიმართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ. ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი“ [თქვენი ცხოვრება ღმერთის რეალობით, ღმერთის ინიციატივით, ღმერთის უზრუნველყოფით გარემოიცავით. აღმოაჩენთ, რომ თქვენი ყველა ყოველდღიური ადამიანური საჭიროებები დაკმაყოფილდება. მთელი თქვენი ყურადღება მოახმარეთ იმას, რასაც ღმერთი აკეთებს მოცემულ მომენტში და ნუ ინერვიულებ იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს და რა არ შეიძლება მოხდეს ხვალ. ღმერთი დაგეხმარება სიყვარულით გადაიტანო ნებისმიერი სირთულე, როცა ამის დრო მოვა]

-მათე 6:33-34 (ინგ.ვერსია The Message)

გახსოვდეს...

ჩვენმა ზეციერმა მამამ იცის, რომელი სასწავლო კურსია საუკეთესო თითოეული ჩვენგანისთვის და მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის სირთულეების შემოქმედი, ის უშვებს მათ იმისათვის, რომ ძალა შეგვემატოს, ჩვენს წინ არსებული მიზნის მისაღწევად. თავს ნუ აარიდებ შენს *სასწავლო პროცესს*. განსაცდელები, რომელიც დღეს გხვდება გამზადებენ იმისათვის, რომ ხვალ დიდი საქმეები გააკეთო!

ამ მუხლების საფუძველზე რა ახალი შეხედულებები შეიძლება განავითარო ზრუნვის და შიშის შესახებ?

_____

_____

_____

მთელი კვირის ამოცანა

სულიწმიდამ უკეთესად იცის, როგორ უნდა გაზარდოს რწმენა შენს ცხოვრებაში. მხოლოდ მას ძალუძს მოგცეს ის სწავლება, რომლის მეშვეობითაც მიზანს უსაფრთხოებაზე წინ დააყენებ, რათა შეძლო სასუფევლის ძალაუფლებით აღჭურვილმა იარო. ამ კვირაში, დრო დაუთმე ლოცვას, სთხოვე სულიწმიდას გასწავლოს როგორ მიანდო მას ყველა საზრუნავი. შესაძლოა, გთხოვოს ეკლესიაში შენი შესაწირის რაოდენობა გაზარდო, ან რომელიმე მსახურებაში ჩაერთო, სხვა ქვეყანაში მცხოვრები რომელიმე ბავშვის სპონსორი გახდე ან ვინმეს მოულოდნელი საჩუქარი გაუკეთო. როდესაც ამ ნაბიჯების გადასადგმელად გული განგეწყობა, მაშინ მყარი საფუძველი გექნება იმისათვის, რომ რწმენით იმოქმედო, მიუხედავად არსებული გარემოებებისა.

დღე 1 დაიცავი შენი გული

„ყველაზე მეტად დაიცავი შენი გული [იმიტომ რომ ის გავლენას ახდენს ყველაფერზე, რასაც აკეთებთ], რადგან მისგან არის სიცოცხლის წყაროები“

-იგავები 4:23 (ინგ.ვერსია NLT)

როდესაც ღმერთის სიტყვას მორჩილებით მივყვებით, ხშირად მტრის სამიზნე ვხდებით. ერთ-ერთი თავდასხმა, რომლითაც ხანდახან მტერი გვიტევს – ესაა ღმერთზე გაბრაზება. ხშირად თავად ვსაზღვრავთ *როგორ* და *როდის* იმოქმედოს ღმერთმა. და როდესაც ჩვენი მოლოდინი არ მართლდება, იმედგაცრუებულნი ვრჩებით. „ხანგრძლივი მოლოდინი გულს ქანცავს“ (იგავ. 13:12).

თუ ამ გაბრაზებასა და იმედგაცრუებას არ ჩამოვიშორებთ, მაშინ ის გაღრმავდება და ჭრილობას მიაყენებს ჩვენს სულს. ასეთი რამ მთელი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ კაცს, იოანე ნათლისმცემელს დაემართა. მას უყვარდა ღმერთი და მისთვის ცხოვრობდა, მაგრამ როდესაც ის ციხეში აღმოჩნდა, მისი რწმენა შეირყა.

ყურადღებით წაიკითხეთ მათე 11:2-6. მე-3 მუხლში გადმოცემული იოანეს კითხვა შეადარეთ იოანე 1:29-36-ს. რა შეიძლება გამხდარიყო ასეთი ცვლილების მიზეზი? თავად თუ დაგმართნიათ ასეთი რამ?

_____

_____

_____

იესომ იოანეს უპასუხა, რომ სასწაულები ხდებოდა და ღვთის სასუფეველი ვრცელდებოდა. შემდეგ მან თქვა: „ნეტარია ვინც არ შეცდება ჩემში“ (მათ. 11:6;). რას გეუბნება იესოს ეს სიტყვები?

_____

_____

_____

„ამიტომ ვცდილობ, ყოველთვის უმწიკვლო სინდისით ვიყო ღვთისა და კაცთა წინაშე“[ამიტომაც ვვარჯიშობ და ვწრვთნი საკუთრ თავს……რათა მქონდეს სუფთა სინდისი(ურყევი,უბიწო) წყენის გარეშე ღმერთთის მიმართ]

-საქმეები 24:16 (ინგ.ვერსია „AMP“)

გიჭირს იმის გაგება, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა ესა თუ ის განსაცდელი შენს ცხოვრებაში? გაბრაზებული ხარ მასზე? თუ ასეა ილოცე. უთხარი რასაც გრძნობ. სთხოვე მოგანიჭოს მადლი, რათა მიენდო მას ამ სიტუაციაში და გააგრძელო შეუპოვრობა. დრო დაუთმე მის თანდასწრებაში ყოფნას. მიიღე მისი სიყვარული. ჩაიწერე ნებისმიერი რამ, რასაც ის გეტყვის.

_____

_____

_____

დღე 2 შენ რწმენიდან რწმენაში იზრდები

„ვინაიდან მე არ მრცხვენია[ქრისტეს] სახარებისა, რადგან ღვთის ძალაა იგი [ყველასთვის, ვისაც სწამს] ყოველი მორწმუნის სახსნელად... მასში ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც სწერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით“
-რომაელთა 1:16-17 (ინგ.ვერსია NIKJV)

ღმერთში ზრდა ხანგრძლივი პროცესია და ბავშვის კლასიდან კლასში გადასვლას ჰგავს სკოლაში სწავლის დროს. ხუთი წლის ბავშვს მეათე კლასში არ მიიყვანენ. ის იმ კლასში მივა, რომელი კლასის მასალის დაძლევასაც გაუმკლავდება. ამ კლასის დასრულებისას მას ტესტი ჩაუტარდება. თუ ამ ტესტებს ჩააბარებს, ის შემდგომ დონეზე გადასვლის ნებართვას მიიღებს. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობს პავლე, როცა წერს, რომ ღმერთის სამართლიანობა ჩვენში *რწმენიდან რწმენაში* ვლინდება.

აღსანიშნავია, რომ რწმენაში ჩვენი ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული სახარებასთან. ღმერთის სიტყვა სახელმძღვანელოთა სახელმძღვანელოა და ჩვენი მასწავლებელი სულიწმიდაა. მან ყოველთვის ზუსტად იცის რა გვჭირდება და იცის, თუ როგორ მოგვამზადოს ტესტებისთვის, რაც კარგი საშუალებაა მომდევნო დონეზე გადასასვლელად.

რწმენაში ზრდა, ბოდიბილდინგს ჰგავს. ბოდიბილდინგში მსუბუქი წონის მრავალჯერ აწევა ნაკლები სიდიდის კუნთებს და ნაკლებ ძალას იძლევა. მძიმე წონის მცირე სიხშირით აწევა კი კუნთების ზრდას იწვევს. რას გეუბნება ეს სულიერობაში?

ვინ არის ის ადამიანი, რომელსაც იყენებს ღმერთი შენს ცხოვრებაში იმისათვის, რომ გასწავლოს და სულიერი მხარდაჭერა გაგიწიოს?
რას აკეთებენ ისინი იმისათვის, რომ შეუპოვრად იღვწოდე?

რა სახით შეგაძლებინა სულიწმიდამ მაქსიმალურად გამკლავებოდი რთულ სიტუაციებს? ამის შედეგად როგორ გაიზარდე სულიერად?

სულიწმიდა შენში იმ ძალას ხედავს, რომელსაც თავად ვერ ხედავ. დრო გამოყავი, რათა მადლობა გადაუხადო მას სულგრძელობისათვის, კეთილგანწყობისათვის, განუზომელი სიბრძნისთვის და იმ სულიერი კუნთებისთვის, რომლის გაზრდაშიც ის გეხმარება.

„არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; და სარწმუნო ღმერთი[ღმერთი ასრულებს თავის დანაპირებს], რომელიც არ დაუშვებს რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ ატანა“
-1 კორინთელთა 10:13 (ინგ.ვერსია TEV)

დღე 3 მზერა მიაპყარი იესოს

„შევხედოთ[მზერა მიაპყარით იესოს] რწმენის მიზეზსა და სრულმყოფელს – იესოს[თქვენი რწმენის შემოქმედს], რომელმაც მისთვის შეთავაზებული სიხარულის ნაცვლად დაითმინა ჯვარი, უგულებელყო სირცხვილი და ღვთის ტახტის მარჯვნივ დაჯდა“ -ებრაელთა 12:2 (ინგ.ვერსია NIV)

მას შემდეგ, რაც მითითება მივიღეთ „ჩამოვიცილოთ“ ყოველგვარი ცოდვა და დამაბრკოლებელი სიმძიმე, გვეთქვა, რომ *მზერა იესოს მივაპყროთ*. ეს ბრწყინვალე მითითებაა. იფიქრეთ ამაზე. რა ხდება, როდესაც მზერა პრობლემაზე გადაგაქვს? მართალია, ის იზრდება. საითაც ჩვენი ყურადღება გადადის, ძალა იქით მიედინება.

იგივე ხდება, როდესაც ჩვენი მზერა იესოზეა მიპყრობილი. როდესაც მზერა მასზე გვაქვს გადატანილი; მის სიყვარულზე, სიკეთეზე, თავმდაბლობაზე, სიბრძნეზე, ძალასა და ავტორიტეტზე. იგი იზრდება ჩვენში. სწორედ ეს ამხნევებდა დავითს ფსალმუნი 33:4-ის თანახმად: „ადიდეთ უფალი ჩემთან ერთად და განვადიდოთ მისი სახელი ერთობლივად!“.

რა კავშირია ტვირთის მოშორებასა და იესოზე მზერის გადატანას შორის?

ხელახლა წაიკითხეთ ადგილები: ფსალმ. 33:6; 104:5; 2 კორ. 3:16-18;

წაიკითხეთ რიცხვ. 14:21-38; და იფიქრეთ, თუ რა დაემართათ აღთქმული მიწის დასაზვერად წასულ კაცებს.

რა დაემართა იმ 10 კაცს, რომელთა მზერა საკუთარ შესაძლებლობაზე იყო გადატანილი და არ ენდობოდნენ ღმერთს? (მუხ. 36-37.) რა მემკვიდრეობა მიიღეს მათმა ოჯახებმა? (მუხ. 28-34.)

რა მოუვიდათ ქალებსა და იესო ნავეს ძეს, რომელთა მზერა ღმერთზე იყო მიმართული? რა მოუვიდათ მათ ოჯახებს? (იხ. რიცხვ. 14:38; და იესო ნავეს ძე 14:6-15; 19:49-50)

რა სახის გამოწვევას გთავაზობს ეს მაგალითი და როგორ გელაპარაკება შენ პირადად?

უფლის წინაშე მდუმარეებაში იყავი. სთხოვე მას გიჩვენოს, თუ როგორ მიაპყრო შენი მზერა იესოს.

„ხოლო როცა უფლისაკენ მოიქცევიან, რიდე ეხდებათ[როცა ადამიანი უფლისკენ მოიქცევა, ფარდა იხსნება]. ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში, და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ -2 კორინთელთა 3:16,18 (ინგ.ვერსია NIKJV)

დღე 4 მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის

„მადლიერნი იყავით[ღმერთის] ყველაფრისათვის[მდგომარეობის მიუხედავად იყავით მადლიერნი] , ვინაიდან ეს არის თქვენს მიმართ ღვთის ნება[რომელიც არის] ქრისტე იესოში“ -1 თესალონიკელთა 5:18 (ინგ.ვერსია „AMP“)

ღმერთისადმი მადლიერება ძლიერი რამაა! ეს ისეთი მოქმედება არ არის, რომელსაც წელიწადში ერთხელ ვასრულებთ. ეს არის ისეთი რამ, რასაც *ყოველდღე* ვაკეთებთ. მადლიერება საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ჩვენი საზრუნავი ღმერთს მივცეთ. მადლიერებას ჩვენი ყურადღება იესოზე გადააქვს. იგი ყურადღებას არა პრობლემაზე, არამედ გამოსავალზე გვამახვილებინებს.

მადლობის გამომხატველი ბერძნული სიტყვა, რომელიც ამ სიტყვის ყოველი საჭიროებისას არის გამოყენებული ახალ აღთქმაში, არის *ევქარისტია*. ის მომდინარეობს სიტყვა „*ქარის*“-დან, რაც ბერძნულად **მადლს** ნიშნავს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ უნარი, ყოველ სიტუაციაში მადლიერები ვიყოთ, ღმერთის მადლისმიერი ძალისაგან მომდინარეობს. ეს ღმერთისგან მომდინარე ძალაა და არა ჩვენი ძლიერი ნებისყოფიდან.

წაიკითხეთ ფსალმ. 104; 105; 106; 117; და 135-ის პირველი ორი მუხლი. რას გეუბნება მეფსალმუნის ასეთი გამუდმებული ღაღადი?

როდესაც სხვა ადამიანები შენს მიმართ მადლობას გამოხატავენ, რა გრძნობა გეუფლება? რა გინდა რომ მაშინ ამ ადამიანებს გაუკეთო? რა გრძნობა გეუფლება მაშინ, როდესაც ადამიანები შენს მიმართ უმადურები არიან?

რას ფიქრობს, რას გრძნობს ღმერთი, როდესაც ჩვენ მის მიმართ წრფელ მადლიერებას გამოვხატავთ?

„შედით მის კარიბჭეში [მადლიერებით] ხოტბის შესხმით, მის ეზოებში – ქება-დიდებით; მადლობა შესწირეთ მას[იყავით მადლიერნი და უთხარით მას ამის შესახებ], ადიდეთ სახელი მისი[სიყვარულით]! რადგან კარგია უფალი, საუკუნოა წყალობა[და სიკეთე] მისი; და თაობიდან თაობამდე – ჭეშმარიტება მისი[მისი ერთგულება და ჭეშმარიტება თაობებში ცოცხლობს“ -ფსალმუნი 99:4-5 (ინგ.ვერსია „AMP“)

ჩამოთვალეთ სულ ცოტა 25 საკითხიანი სია, რისთვისაც მადლიერები ხართ მისი. როდესაც ამ ჩამონათვალს გააკეთებთ, აუჩქარებლად გადაიკითხეთ ის, დაუთმეთ დრო ღმერთის მიმართ მადლიერებას.

ეს ბრწყინვალე სავარჯიშოა, რომლის გაკეთებაც კარგია მაშინ, როდესაც საკუთარი თავის და ცხოვრების სხვების ცხოვრებასთან შედარებას დაიწყებ. ჩვენ ნამდვილად გვაქვს ბევრი მიზეზი უფლის მიმართ მადლობის გამოსახატავად.

შემდგომი შესწავლისათვის...
ეფეს. 5:2; ფილ. 4:6; კოლ. 3:15, 17; ებრ. 13:15; 1 ტიმ. 4:4;

დღე 5 უფლის სიხარული შენი ძალაა

„ ნუ სწუხართ, რადგან სიხარული უფლის[სიხარული უფლის – ესაა თქვენი ძალა და საყრდენი (სიმაგრე, ბურჯი) წინაშე სიმტკიცეა თქვენი“

-ნეემია 8:10 (ინგ.ვერსია AMP)

უფლის სიხარული, ქვეყნიერების სიხარული არ არის. ეს არ არის რაღაც ისეთი, რაც გარემოებებზეა დამოკიდებული. უფლის სიხარული, უბრალოდ უფლის სიხარულია. ეს სიტყვა ბერძნულად არის *„ქარა“* და *მადლობის* მსგავსად ისიც *ქარის“*-დან არის წარმოშობილი, რაც ბერძნულად **მადლს** ნიშნავს. სიხარული ღმერთის მადლის ზებუნებრივი ასპექტია, შეურყეველი და უსაზღვრო.

„ვინაიდან ღვთის სასუფეველი საჭმელ სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში“

-რომაელთა 14:17 (ინგ.ვერსია NIV)

იოანეს 15:11-ში იესო ამბობს: „ეს იმიტომ გითხარით, რომ **ჩემი სიხარული** იყოს თქვენში და თქვენი სიხარული სავსე იყოს და სრულყოფილი“. *წაიკითხე* იოანე 15:1-10 და აღნიშნე ის, რაც იესომ თავის მოწაფეებს უთხრა და რაც მის სიხარულს იძლევა.

დაკავშირებული ადგილები: იოანე 16:23-24;

წმინდა წერილის თანახმად, საიდან მომდინარეობს სიხარული და როგორ ვიღებთ მას და როგორ რჩები მისით აღვსილი? *წაიკითხე* ფსალმ. 4:6-7; 16:8-11; რომ. 15:13; და გალ. 5:22.

უფლის სიხარული მოდის...

უფლის სიხარულს ვიღებ...

უფლის სიხარულით აღვსილი ვრჩები, როდესაც მე...

ჩვენ გვეთქვა, რომ მუდამ ვიხაროთ უფალში (იხ. ფილ. 4:4). რა გაძლევს სიხარულის მიზეზს?

დაკავშირებული მუხლები: ფსალმ. 5:12; 36:34; ესაია 61:10; ლუკ. 10:20; 1 პეტ. 4:12-13.

დღე 6 კარგია სიცილი

„მხიარული გული ხელს უწყობს კურნებას[მხიარული გული – ეს ძალიან კარგი წამალია]“
-იგავების 17:22 (ინგ.ვერსია NIV)

სიცილი საუკეთესო წამალია, რომლის მიღებაც ადამიანს შეუძლია. ის უფასოა, არ აქვს უარყოფითი გვერდითი მოვლენები და ის აუმჯობესებს შენს ფიზიკურ, ემოციურ, მენტალურ და სულიერ ჯანმრთელობას. მედიცინის დოქტორი დონ ქოლბერტი, სიცილის ძალის შესახებ ამბობს შემდეგს:

„ერთი მკვლევარის სიტყვების თანახმად, სიცილი „შინაგან რბოლას ჰგავს“. ტანვარჯიშის მსგავსად სიცილი გულის ცემის სიხშირეს ზრდის, სისხლის წნევას მაღლა სწევს, აძლიერებს სუნთქვას და ჟანგბადის მიწოდებას სხეულში. გულიანი სიცილი ავითარებს გულმკერდს, ფილტვებს, გულს, მხრებს, მკლავებს, მუცელს, დიაფრაგმას და ბარძაყებს. ...ათწუთიანი გულიანი სიცილი 30 წუთიან აერობიკის ვარჯიშს უდრის

... სიცილი აძლიერებს იმუნურ სისტემას და ამცირებს სისხლში მავნე სტრესის ჰორმონებს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, სამოცი კაცი უყურებდა ძალიან სასაცილო ვიდეოს. გულიანი სიცილის შემდეგ სტრესის ჰორმონის, კორისტოლის დონე ამ კაცებში 39 პროცენტით შემცირდა და ადრენალინი 70 პროცენტამდე დავიდა. იმავდროულად, „კარგად შეგრძნების“ ჰორმონი ენდორფინი 27 პროცენტით გაიზარდა და ზრდის ჰორმონი (ასევე ცნობილი „ახალგაზრდული ჰორმონის“ სახელით) 87 პროცენტამდე გაიზარდა“.

ღმერთი ეკლესიასტეს 3:4-ში აცხადებს, რომ *არის დრო სიცილისა.* იგავებში ის ამბობს: „მხიარული გული სახეს ახალისებს“ და „გულმხიარულს მუდამ ლხინი აქვს [მიუხედავად ვითარებისა]“ (15:13; 15:15). ნამდვილად, მხიარული გული კარგი წამალია!

ვინ გაცინებს? ვისი იუმორი ან პიროვნულობა ამაღლებს შენს განწყობას?

რა სახის ფილმები, წიგნები და მულტფილმები იწვევენ შენში სიცილს? როგორ შეიძლება იყო დარწმუნებული იმაში, რომ მხიარულების ყოველდღიურ დოზას მიიღებ?

ისწავლე ყოველ დღე სიცილი. ეძიე მართებული საშუალებები იმისათვის, რომ მოეშვა. სიცილი შენს ტვირთს შეამსუბუქებს და გააუმჯობესებს შენს ჯანმრთელობას. ეს არის ექიმის რეცეპტი!

იცოდი, რომ? სიცილი ...
ამცირებს სტრესს, ამცირებს სისხლის წნევას, აძლიერებს იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს ტვინის მოქმედებას, იცავს გულს, იწვევს მყისიერ რელაქსაციას, გაკავშირებს სხვებთან.

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

იმისათვის, რომ შეუპოვრად იცხოვრო, საჭიროა მოიშორო ყოველგვარი დამაბრკოლებელი ტვირთი და ცოდვა. ეს ზედმეტი ტვირთი შეიძლება იყოს დამოკიდებულებები, მოქმედებები ან აზროვნება, ან ცხოვრებისეული საზრუნავი. ღმერთს სურს, რომ შენი საზრუნავი ქრისტეს მიანდო. უნდა რომ მისი მშვიდობით და სიხარულით იყო აღვსილი და არა ფორიაქით, დარდით ან შიშით. ტვირთის ჩამოშორება ერთჯერადი მოვლენა არ არის ცხოვრებაში, არამედ მიმდინარე პროცესი, რომლის აღსრულება ღმერთის მადლით არის შესაძლებელი.

შენიშვნები

(1) The Matthew Henry Study Bible KJV, A. Kenneth Abraham, General Editor (World Bible Publishers, Inc., 1994) p. 2601. (2) Adapted from Sparkling Gems from the Greek, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003) p. 325. (3) Charles Stanley, Finding Peace (Nashville, TN: Thomas Nelson, Inc., 2003) p. 48. (4) Tony Evans, Free at Last (Chicago, IL: Moody Publishers, 2001) p. 104. (5) Charles H. Spurgeon, All of Grace (New Kensington, PA: Whitaker House, 1981) p. 160. (6) Dr. Paul Yonggi Cho, The Fourth Dimension (Plainfi eld, NJ: Logos International, 1979) pp. 91, 113. (7) Adapted from The New Unger's Bible Dictionary, Merrill F. Unger (Chicago, IL: Moody Press, 1988) p. 1271. (8) See note 2, pp. 528-529. (9) The Miraculous Medicine of Laughter, by Don Colbert, M.D. (Enjoying Everyday Life, volume 19, number 11, Nov. 2005: Joyce Meyer Ministries, Inc., Fenton, MO) p. 22. (10) Adapted from The Seven Pillars of Health, Don Colbert, M.D. (Lake Mary, FL: Siloam, A Strang Company, 2007) p. 246.

„მღვიძარენი იყავით, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, როგორც მბდღვინავი ლომი და ეძებს ვინ ჩაყლაპოს. წინაღუდექით მას მტკიცე რწმენით“

-1პეტრე 5:8-9 (ინგ.ვერსია NIKJV)

9 თავი

წინ აღუდექით ეშმაკს

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-12 და მე-13 თავები და მოისმინეთ
ვიდეო კურსის მე-9 გაკვეთილი

„შეწინააღმდეგება“

ბერძნულად სიტყვა „შეწინააღმდეგება“ გამოითქმის, როგორც „*auTistemi*“ (აუტჰისტემი). თაიერი ამ სიტყვის შემდეგ განსაზღვრებას იძლევა: „საწინააღმდეგოდ სვლა, შეწინააღმდეგება“. სტრონგი კი მას განმარტავს, როგორც „პირისპირ დგომა, წინააღმდეგ გამოსვლას“. ჩემს ლექსიკონში კი „*წინ აღუდექი*“ განიმარტება, როგორც „შეჩერება მოქმედებით ან არგუმენტით“. უდაოდ, ეს სიტყვა სასტიკ ბრძოლას, აგრესიულ კონფლიქტს გამოხატავს.

„აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად[აი მოგეცით ძალაუფლება და ძალა ფეხი დაადგათ გველს და მორიელს(ფიზიკური და გონებრივი სიმაგრე და უნარი იმ ძალის დასათრგუნად ვერაფერი მოგაყენებს ზიანს], და მტრის ყოველი ძალისა. თქვენ კი არაფერი გევნებათ“

-ლუკა 10:19 (ინგ.ვერსია AMP)

G 1. მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ღმერთმა მოგვიწოდა და აღგვჭურვა, რათა პირისპირ შევებრძოლოთ მტერს. მან უკვე მოგცა *შენ* მთელი ძალა და ავტორიტეტი იმისათვის, რომ მთელი ძალით შეეწინააღმდეგო სატანას და მის დამქაშებს.

ყურადღებით წაიკითხეთ ეს მუხლები.

გამაგრდით უფლით და მისი ძალის [მიიღეთ ძალა მასთან ურთიერთობის სიმტკიცის შედეგად]. შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურვლით [შეიარაღდით კარგად აღჭურვილი ჯარისკაცის მსგავსად, რომლითაც უზრუნველყობს უფალი], რათა შეძლოთ წინაღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას, რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ [არ ვებრძვით მხოლოდ ფიზიკურ მტერს], არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ. ამიტომ ხელი მოჰკიდეთ ღვთის სრულ საჭურველს, რათა შეძლოთ წინაღდგომა ბოროტ დღეს და ყოვლის მძლევლებმა გასძლოთ [ამიტომ შეიმოსეთ ღმერთის საჭურვლით, რათა შეძლოთ წინ აღუდგეთ და არ დანებდეთ ბოროტ დღეს (საფრთხეებს) და ასევე ამ ყველაფრის შესრულებით (რასაც ითხოვს გადამწყვეტი მომენტი, გავძლოთ (მტკიცედ ვიდგეთ ჩვენს პოზიციებზე“

-ეფესელთა 6:10-13 (ინგ.ვერსია AMP)

იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლით, ჩაეჭიდე საუკუნო სიცოცხლეს, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ, და აღიარე კეთილი აღსარება მრავალი მოწმის წინაშე.
-1 ტიმოთე 6:12 (ინგ.ვერსია NLT)

როგორ აქარწყლებენ ეს მუხლები და ლუკ. 10:19 აზრს იმის შესახებ, რომ უნდა ილოცო და ღმერთს სთხოვო მტერი განდევნოს შენი ცხოვრებიდან?

გახსოვდეს...

გახსოვდეს, რომ მტერს შენი ეშინია. როდესაც ის გიყურებს, იმას არ ხედავს, რასაც შენი მეგობრები ხედავენ; ის ხედავს ქრისტეს. შენ ქრისტეს სხეული ხარ; შენ ღმერთის ცხებული ხარ. შენ იმის ხატად ხარ შექმნილი, რომელმაც გაანადგურა და განაიარაღა ეშმაკი. შენ საფრთხეს წარმოადგენ მტრისთვის!

2. როდესაც სატა თავს ესხმოდა იესოს უდაბნოში, G იგი ღმერთს არ სთხოვდა ეშმაკის შეჩერებას. იესო დაუპირისპირდა მტერს. წაიკითხეთ მათ. 4:11 და მიუთითედ სამი პრინციპი, რომელთა დემონსტრირებაც იესომ მოახდინა, შეეწინააღმდეგა რა მტერს, და რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ ცხოვრებაში.

სამი რამ, რაც იესომ მტრის დასამარცხებლად მოიმოქმედა და რაც მეც უნდა გავაკეთო არის...

გზის მაჩვენებელი

„სულიერი ბრძოლა – ესაა გარჩევის უნარი, მიხვდე როცა (ან როდის) ლაპარაკობს ეშმაკი. მის მშობლიურ ენას სიცრუის ენა წარმოადგენს. შენ სულიერი ბრძოლის ისეთ მდგომარეობას უნდა მიაღწიო, რომ ეშმაკთან ჭეშმარიტების მეშვეობით იბრძოლო... საკუთარი ცხოვრებიდან ეშმაკის განდევნის ყველაზე სწრაფი საშუალება არის ის, რომ უბრალოდ ილაპარაკო ღმერთის ჭეშმარიტი სიტყვა“.

ლერი სტოკსტილი

3. არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი იაკობის G მე-4 თავის მე-6 და მე-7 მუხლებს შორის. ყურადღებით წაიკითხეთ ეს ციტატა და იპოვეთ კავშირი ღმერთისადმი მორჩილებასა და ეშმაკისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს (მადლს) შორის.

მაგრამ მით უფრო მეტ მადლსაც იძლევა[გვაძლევს მეტ და მეტ მადლს, რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ ყველა ასეთ ბოროტ სურვილს]. როგორც წმინდა წერილი ამბობს: „ღმერთი თავმდაბლებს ანიჭებს ძალას(მადლს)“, ამაყებს კი ეწინააღმდეგება. ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან. -იაკობი 4:6-7 (ინგ.ვერსია NLT)

რატომ გვჭირდება თავმდაბლობა მტერთან ბრძოლაში? ხარ ამ თვისებით შემოსილი?

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: დაუფიქრდით იოან.15:5-ში და რომ.7:18-ში მოცემულ იესოს და პავლეს სიტყვებს.

„გაქცევა“

სიტყვა „*გაქცევის*“ ბერძნული ექვივალენტია pheugo (*ფეუგო*). ის ძალიან ჰგავს ინგლისურ სიტვას „*გადახვევნა*“. იგი ნიშნავს „გაქცევას, აორთქლებას, გაუჩინარებას“. ბერძნულ ლიტერატურაში ამ სიტყვას იყენებდნენ იმ პიროვნების მიმართ, რომელიც კანონს დაარღვევდა და მიმალვაში იმყოფებოდა, გაურბოდა მართლმსაჯულებას.

4. არის კონკრეტული სფერო შენს ცხოვრებაში, რომელშიც მტერს დიდი ხანია ებრძვი? თუ ასეა, მარტო არ ხარ. აღწერე ბრძოლა, რომელშიც ამჯამად იმყოფები და ის შემოტევები, რომელსაც მტერი შენს მიმართ იყენებს. კონკრეტულად რაში შეეწინააღმდეგე მას წარმატებით და რამ აიძულა ის გაქცეულიყო?

_____

_____

_____

5. როგორ ცდილობდა სატანა შენს დამარცხებას? ცდილობდა უარყოფითი აზრების, ეჭვის და შიშის შენს გონებაში ჩანერგვას? როგორ? როგორ გამოააშკარავა ამ გაკვეთილმა მისი ტყუილები და როგორ გაზარდა შენი რწმენა იმისათვის, რომ შეუპოვრად შეეწინააღმდეგო მას?

აზრები და გრძნობები, რომლითაც სატანა მიტ-ევდა, შემდეგია:

_____

_____

_____

_____

_____

ამ გაკვეთილმა გამამხნევა და გამაძლიერა შემ-დეგნაირად:

_____

_____

_____

_____

გზის მაჩვენებელი

„მაშინაც კი, თუ დღეს ის გოლიათი, რომლის წინააღმდეგაც იბრძვით, ძალიან ჰგავს იმას, ვინც წარსულში დაამარცხეთ, ნუ წამოეგებით ამ სატყუარას თითქოს ის ბრძოლა არ მოგიგიათ. ღმერთის მადლის ძალით თქვენ გაიმარჯვეთ გოლიათზე. პირველი გოლიათი მკვდარია. სატანამ უბრალოდ პირველი მტრის ნიღაბი მოირგო, იგი იტყუება თქვენს პირველ მტერთან დაკავშირებით, რათა შეარყიოს თქვენი რწმენა და თქვენს ცხოვრებაში ხელების ფათუნის საშუალება მიეცეს.“

ფრანცის ფრანგიპენი-

6. დაასახელე სამი სფერო, რომელშიც სატანა გამუდმებით გიტევს. გამოიყენე ბიბლიის ლექსიკონი და მოძებნე მუხლები, რომლებიც ბრძოლაში დაგეხმარებათ. შესწავლის დროს ჩაიწერე ის მუხლები, რომლებიც გაგახსენდება. ეს არის სულიწმიდისგან მომდინარე rhema (*რემა*) სიტყვები. ჩაიმარხე გულში, იფიქრე მათზე და გააჟღერე ხმამაღლა.

შემოტევის სფერო: _____ ღმერთის სიტყვა მტრის შემოტევის მოსაგერიებლად:

_____

_____

შემოტევის სფერო: _____ ღმერთის სიტყვა მტრის შემოტევის მოსაგერიებლად:

_____

_____

შემოტევის სფერო: _____ ღმერთის სიტყვა მტრის შემოტევის მოსაგერიებლად:

_____

_____

გზის მაჩვენებელი

„ეშმაკზე გაიმარჯვებთ მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთის სიტყვის საფუძველზე იდგებით და მის შესაბამისად იცხოვრებთ. ბიბლია ამბობს (სატანასთან დაკავშირებით): „წინ ალუდექით მტკიცე რწმენით...“ (1პეტ.5:9). თქვენი რწმენის დონე პირდაპირ კავშირშია თქვენს გულში არსებულ ღმერთის სიტყვის ხარისხთან, ე.ი. იმ სიტყვასთან, რომელიც თქვენთვის წარმოადგენს რეალობას და რომლის შესაბამისადაც ცხოვრობთ“

კენეთ ჰეიგინი

სიმტკიცე

1 პეტ. 5:9-ში გამოყენებული სიტყვა „სიმტკიცე“ არის ბერძნული სიტყვა stereos (*სტერეოს*). ის ნიშნავს „მყარი, მტკიცე, ძლიერი, დარწმუნებული“. ეს სიტყვა „*შეუპოვრის*“ სინონიმია. მტრის წინააღმდეგ მტკიცედ მებრძოლი პიროვნება არის რწმენაში უდრეკი, მყარი, ერთგული, მიძღვნილი და სანდო.

7. დაჟინებულობას წინააღმდეგობაში თავისი შედეგი მოაქვს. ეს ნიშნავს შეუპოვარ, *მტკიცე* G *და მოშურნე ცხოვრებას*. ამის ბრწყინვალე მაგალითია მისიონერი, რომელმაც ილოცა და ახალშობილისგან სიკვდილის სული თექვსმეტჯერ განდევნა.

ყურადღებით წაიკითხეთ ეს მუხლები, სადაც ლაპარაკია სიმტკიცის შესახებ.

„ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმანო, იყავით მტკიცენი და შეურყეველნი, მუდამ იუხვეთ უფლის საქმეში, რადგან იცით, რომ ფუჭი არაა თქვენი შრომა უფლის წინაშე[ჩემო ძვირფასო, ძვირფასო მეგობრებო, არ დანებდეთ. იყავით ურყევნი.

„მთლიანად უფლისადმი შრომას მიუძღვეი თავი. დარწმუნებული იყავით, რომ მისთვის გაკეთებული არცერთი საქმე არ იქნება ტყუილად დაკარგული დრო და ძალა]“ -1 კორინთელთა 15:58 (ინგ.ვერსია The Message)

„თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით[მტკიცედ] და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს[მეტად აღარ მისცე ვინმეს იმის უფლება, რომ მონის ბეჭედი დაგასვას]“ -გალატელთა 5:1 (ინგ.ვერსია NLT)

„სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, [ნუ დაიღლებით სიკეთის კეთებით. არ დანებდეთ], რადგან თავის დროზე მოვიმკით [კურთხევის] მოსავალს, თუ არ მოვდუნდებით“ -გალატელთა 6:9 (ინგ.ვერსია NLT)

„ამიტომ შემოისარტყლეთ თქვენი გონების წელნი[იფხიზლეთ გონებით, იყავით წინდახედული, ზნეობრივად ფხიზლად; იქონიე მადლის სრული იმედი, რომელიც მოვა თქვენთან, როცა გაგიცხადდებათ იესო ქრისტე(მესია)]“ -1 პეტრე 1:13 (ინგ.ვერსია AMP)

„რაკი შენ დაიცავი სიტყვა ჩემი მოთმინებისა[მტკიცედ გაუძელით ჩემი მოთმინების გაკვეთილს], მეც დაგიცავ[საიმედოთ] განსაცდელის[შემოწმების] ჟამისაგან, რომელიც მოვა მთელ მსოფლიოზე, რომ გამოსცადოს მიწის მკვიდრნი.აჰა, მოვალ მალე. გეპყრას, რაც გაქვს, რათა არავინ წაგართვას შენი გვირგვინი“ -გამოცხ. 3:10-11 (ინგ.ვერსია AMP)

ამ მუხლების წაკითხვისას რა სურათი წარმოგიდგებათ სიმტკიცის შესახებ? როგორ ფიქრობ, რა არის სიმტკიცის წყარო?

G 8. მტერთან ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით მორწმუნეებს შორის ორი ტიპის შეხედულება არსებობს: ერთი, როდესაც ყველა პრობლემის უკან ეშმაკს ხედავენ, და მეორე, როდესაც იგი უგულებელყოფილია და მიჩნეულია, რომ ადრე თუ გვიან თვითონვე მოგვარდება. რა საფრთხეს მოიცავს თითოეული მათგანი? და როგორ ავირიდოთ ეს საფრთხეები თავიდან?

ყოველი პრობლემის უკან ეშმაკის დანახვას შემდეგი საფრთხე ახლავს...

გახსოვდეს...

ბიბლია არ გვასწავლის, რომ თუ ეშმაკს ერთხელ შევეწინააღმდეგებით, იგი მეორედ აღარ შემოგვიტევს. არა, პირიქით. ის დაჟინებულია და მრავალჯერ ეცდება უკან დაბრუნებას. სწორედ ამის გამო ბევრი მორწმუნე იმედგაცრუებულია და მარცხის შეგრძნება აქვს. ისინი ფიქრობენ: *„მგონი, ამან ვერ იმუშავა ან ის არ გავაკეთე, რაც საჭირო იყო“*. ეს დიდი ტყუილია. ამ ფიქრებს არასოდეს არ უნდა მივცეთ ადგილი.

მტრის უგულებელყოფას და იმის დაჯერებას, რომ ის აღარ მოვა, შემდეგი საფრთხე ახლავს...

„სიფხიზლე“ და „მღვიძარება“

სიტყვა „ფხიზელი“ ბერძნულად არის nepho (*ნეპო*), რაც „მოწამვლისგან თავისუფალს ნიშნავს“, იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც „სერიოზული, მგრძნობიარე და კეთილგონიერი“. სიტყვა „*ფხიზელი*“ (*ნეპო*) ღვინით მთვრალის ანტონიმია. ეს საღ აზრზე ყოფნას ნიშნავს“. თაიერი ამბობს: „ფხიზელი ეს არის მშვიდი და თავშეკავებული, ყურადღებიანი“. სიფხიზლე ნიშნავს, რომ ჩვენ ნათელი გონება გაგვაჩნია და კმაყოფილებას ღმერთის გარდა არავისგან და არაფრისგან ვიღებთ. იესოა ჩვენი პირველი სიყვარული და მოშურნეობა.

სიტყვა „მღვიძარება“ ბერძნულად არის gregoreo (*გრეგორეო*). ეს ნიშნავს „სადარაჯოზე ყოფნას, ფხიზლად ყოფნას, გამუდმებით ყურადღებიანობას“. ჩვენს მსჯელობაში *მღვიძარებას* განვიხილავთ, როგორც „შესაძლო სირთულეებისა და განსაცდელების მიმართ ყურადღებით ყოფნას“. ის აღწერს პიროვნებას, რომელიც ყურადღებით არის, რათა მტერმა თავდასხმა არ განახორციელოს მასზე ან მის ოჯახზე. მღვიძარება კეთილგონიერი მორწმუნის მხრიდან ნებაყოფლობითი შეგნებული ნაბიჯია. ასეთი სახის მდგომარეობა ქრისტეს ყოველ მორწმუნეს უნდა გააჩნდეს. მღვიძარება აღჭურვის პროცესში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

9. მართალია სატანა დამარცხებულია, მაინც არ გვმართებს მის მიმართ ყურადღების მოდუნება. ამიტომ ღმერთი გვეუბნება, რომ გამუდმებით *სიფხიზლეში* ვიყოთ. ეს მხოლოდ ალკოჰოლის მიღებას არ გულისხმობს. ეს ქვეყნიერებისგან სხვადასხვა სახის სიამოვნების მიღებასაც ეხება. შეჩერდი და გადახედე შენს ცხოვრებას. მთვრალი ხომ არ ხარ ქვეყნიერების შემოთავაზებებით? თუ დიახ, კონკრეტულად რა არის ეს და რა ნაბიჯის გადადგმისკენ მოგიწოდებს ღმერთი იმისათვის, რომ შეიცვალოს ეს მდგომარეობა?

დაუფიქრდით ისეთ რამეს, როგორიცაა *ბიზნესი, სპორტი, ჰობი, საჭმელი, ინტერნეტი, ტელევიზია, მუსიკა, კინო, საპირისპირო სქესი, შოპინგი და სხვა.*

მე მთვრალი ვარ:

ღმერთი მთხოვს მოვიმოქმედო შემდეგი რამ:

„მაშ, ნუ იქნებით უგუნურები, არამედ შეიცანით, რა არის ღვთის ნება[რა უნდა უფალს]. ნუ დათვრებით ღვინით[ნუ დალევთ ძალინ ბევრ ღვინოს(რაც მოიცავს მიწიურ სიამოვნებებს)], რომელსაც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით [დიდი რაოდენობით]“
-ეფესელთა 5:17-18 (ინგ.ვერსია The Message)

G 10. *„მღვიძარება“* არ შეიძლება პერიოდულად. ეს არის სულიერი სიფხიზლის მდგომარეობა, რომელსაც ვავითარებთ და ვაგრძელებთ მასში ყოფნას. მღვიძარება გვიცავს, განსაკუთრებით განსაცდელის დროს. იესომ თავის მოწაფეებს უთხრა ეფხიზლათ – *მღვიძარენი* ყოფილიყვნენ – და ელოცათ მასთან ერთად იმ ღამეს, როდესაც უფალი შეიპყრეს. ყურადღებით წაიკითხეთ, რა უთხრა მან მძინარე მოწაფეებს:

„იფხიზლეთ[თქვენ ყველამ უნდა იფხიზლოთ(მიაქციოთ ყურადღება, იყოთ ფრთხილი და აქტიური) და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხორცი კი უძლური“ -მათე 26:41 (ინგ.ვერსია AMP)

„იფხიზლეთ და[იყავით ყურადღებით და] ილოცეთ(მუდმივად), რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხოლო ხორცი უძლური“
-მარკოზი 14:38 (ინგ.ვერსია AMP)

რა კავშირს გიჩვენებს სულიწმიდა მღვიძარედ, სიფხიზლეში ყოფნასა და გამარჯვების მოპოვებას შორის?

_____

_____

_____

_____

გახსოვდეს...

ის, რასაც არ შეეწინააღმდეგები, არ შეიცვლება. შენი მონდომება გათავისუფლდე მონობიდან, უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე მტრის სურვილი, რომლის მიზანსაც შენი განადგურება და დაღუპვა წარმოადგენს. იყავი შეუპოვარი ეშმაკთან ბრძოლაში. აუკრძალე მას შენს ცხოვრებაში ხელის ფათური მკაცრად და უფლის მიერ მონიჭებული ძალაუფლებით.

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: გეთსემანიაში მოწაფეების მიმართ ნათქვამი იესოს სიტყვები გადმოცემულია მათ. 26:36-56; მარკ. 14:32-53; ლუკ. 22:39-53; იოან. 18:1-12.

„ვინაიდან თქვენ ყველანი ნათლის შვილები ხართ და დღის შვილები. არც ღამისანი ვართ ჩვენ და არც ბნელისანი. [ჩვენს წინაშე გახსნილია ზეცა და ვიცით ჩვენი პოზიციები.] ამიტომ ნუ დავიძინებთ, როგორც სხვები, არამედ გვეღვიძოს და ვიფხიზლოთ[ვიცხოვროთ ბრძნულად], ვინაიდან მძინარეებს ღამღამობით სძინავთ და ლოთები ღამით თვრებიან. მაგრამ ჩვენ, რაკი დღის შვილები ვართ [ამის შესაბამისად მოვიქცევით, დღის სინათლეზე გამოდით ფხიზელნი, რწმენით და ხსნის იმედით შემოსილი], ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯარი და ხსნის სასოების მუზარადი“
-1 თესალონიკელთა 5:5-8 (ინგ.ვერსია The Message)

დაგღალეს მტრის თავდასხმებმა? მზად ხარ წინ აღუდგე მას? მზად ხარ ებრძოლო მანამ, სანამ არ გაიქცევა შენგან? მოძებნე მყუდრო ადგილი სახლში ან ბუნებაში და დაიწყე მტერთან ბრძოლა. გამოიყენე სულის მახვილი და მთელი შემართებით მიმართე სატანას. გადაშალე სახელმძღვანელოს ბოლო გვერდზე და იპოვე ის მუხლები, რომლებიც ღმერთმა გააცოცხლა ამ სწავლების დროს. ხმამაღლა წარმოთქვი ისინი მტრის წინააღმდეგ.

ლოცვა მტერთან შეუპოვარი ბრძოლისთვის

მამაო, მადლობა ამ სწავლებისთვის, სადაც საუბარია მტერთან ბრძოლის შესახებ. აღარ მინდა, ჩუმად ვიდგე მის წინაშე. დამეხმარე ღმერთო! შენი ცეცხლი ააგიზგიზე ჩემში – ცეცხლი, რომელიც შენი სულით და სიტყვით ინთება. მომეცი რწმენა – შენი რწმენა, რომ ვხედავდე გარემოებების მიღმა. როდესაც მტერი შემომიტევს ანდა ჩემი გავლენის სფეროში მყოფ ადამიანებს, დაე, შენი წმინდა მრისხანება აენთოს ჩემში და მთელი სიმტკიცით ვილაპარაკო მის წინააღმდეგ. მე აღარ მინდა მხოლოდ ვფიქრობდე შენს სიტყვებზე. მინდა, გაბედულად წარმოვთქვა ისინი. მაპატიე, თუ ოდესმე გავბრაზებულვარ შენზე ან სხვებზე. დამეხმარე, რომ ჩემში არსებულ სიბრაზეს სწორი მიმართულება მივცე. დაე, ჩემი სიტყვები შენი სიტყვები იყოს. დაანგრიე ეშმაკის საქმეები ჩემი მეშვეობით. შენი მადლით მე შეუპოვარი ვარ. მადლობა მამაო, იესოს სახელით, ამინ.

მთელი კვირის
ა მ ო ც ა ნ ა

კვლავ წაიკითხე მე-6 კითხვაში მოცემული ჩამონათვალი. ეს შემოტევები შეიძლება იყოს ყოველდღიური პრობლემები ანდა სირთულეები, რომელთა იგნორირებას ახდენდით უცოდინაროობის გამო ან იმ იმედით, რომ ეშმაკი დაიღლება და თავს დაგანებებთ. მიიღე მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ბოლომდე შეებრძოლო ეშმაკს ამ სფეროებში მთელი კვირის მანძილზე. გახსოვდეს, რომ შენი მზერა იესოზე უნდა იყოს მიპყრობილი: შენ დემონურ ძალებზე კი არ ნადირობ, არამედ ცდილობ მოაგვარო ის საკითხი, რომელიც შენსა და შენი ცხოვრებისთვის განსაზღვრულ ღმერთის გეგმას შორის აღმართულა. იფიქრე იმ მუხლებზე, სადაც ამ სიტუაციისათვის საჭირო ძალაუფლება და აღთქმებია მოცემული. მტკიცე რწმენით შეეწინააღმდეგე ეშმაკს და აღიარე ღმერთის სიტყვის ჭეშმარიტება შენი ცხოვრების მიმართ.

დღე 1 გამოიღვიძე!

„გაიღვიძე და აღსდექი მკვდრეთით, და გაგინათებს შენ ქრისტე. მაშ, ფრთხლად მოიქეცით, დააკვირდი, როგორ ცხოვრობ! იცხოვრე მიზანმიმართულად, ღირსეულად და უშეცდომოდ, არა როგორც უგუნურმა, არამედ როგორც ბრძენმა, რომელიც უფრთხილდება დროს, რამეთუ დღეები მუხთალია. მაშ, ნუ იქნებით უგუნურები, არამედ შეიცანით, რა არის ღვთის ნება. ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულიწმიდით“

-ეფესელთა 5:14-18 (ინგ.ვერსია AMP)

გესმის? ეს იმ ხმას ჰგავს, რომელიც ყოველ დილით გეუბნება: „გაიღვიძე და იმოქმედე“. ახლა ღმერთმა მაღვიძარა ჩართო შენს სულში და გეუბნება ადგე, ჩაიცვა და საქმეს შეუდგე. ღმერთს არ სურს, რომ მის სხეულს ეძინოს. მას უნდა, რომ ფხიზელი და მღვიძარე ვიყოთ და ვმეფობდეთ სიცოცხლეში, ვავრცელებდეთ მის სამეფოს.

როდესაც ყოველ დილით შენი მაღვიძარა ირთვება, შენ დგები, იცვამ და სამსახურში მიდიხარ. როგორ შეადარებ ამას შენს სულიერ ცხოვრებას? წაიკითხე რომ.13:11-14; ეფეს. 6:10-18; და იოან. 9:4.

_____

_____

_____

რატომ არის საშიში ძილი ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ? რა უპირატესობა აქვს მღვიძარებას? წაიკითხეთ მათ. 24:36-51; გამოცხ. 3:2-3; 16:15; და 1 თეს.4:13-18; 5:1-11.

მძინარედ ყოფნას შემდეგი საფრთხეები ახლავს...

_____

_____

_____

მღვიძარედ ყოფნის უპირატესობა...

_____

_____

_____

ამ თემასთან დაკავშირებული ადგილი: ლუკ 12:35-40;

უზენაესის ძე, ღმერთის სულის მაღვიძარა რეკავს და აღვიძებს თავის სხეულს. ნუ დაკარგავ დროს. უკვე გაფრთხილებული ხარ. ბოლო ჟამი მოახლოებულია. ნუ გამორთავ მაღვიძარას. გაიღვიძე, ჩაიცვი და საქმეს შეუდექი!

დღე 2 გაიგე, როგორ მოქმედებს ეშმაკი

„ჩვენ არ გვინდა სატანას მივცეთ შესაძლებლონა მორიგი სიბოროტის ჩასადენად – ვიცნობთ რა მის მზაკვრულ მეთოდებს“

-2 კორინთელთა 2:11 (ინგ.ვერსია The Message)

სიტყვა *„ეშმაკი“* რამდენიმე საყურადღებო ჭეშმარიტებას მოიცავს. თუ ჩასწვდები ამ სიტყვის მნიშვნელობას, მაშინ გაიგებ სატანის მოქმედების ძირითად პრინციპს. მწერალი, პასტორი და ბერძნული ენის მკვლევარი **რიკ რენერი** ასეთ განმარტებას გვთავაზობს:

„სიტყვა „ეშმაკი“ ორი ნაწილისგან შედგება dia (*დია*) და balos (*ბალოს*). სიტყვა dia(*დია*) ნიშნავს „გამჭოლი“, მნიშვნელობით რაიმეს *განგმირვას* ერთი მხრიდან მეორე მხარეს. სიტყვა balos (*ბალოს*) ნიშნავს „სროლას“, იმ მნიშვნელობით, როდესაც პიროვნება ისვრის ბურთს, ქვას ან რამე სხვა საგანს. ამ ორი სიტყვის გაერთიანებით ვიღებთ სიტყვას, რომელიც ნიშნავს *განმეორებით, მრავალჯერ რაღაცის სროლას, კვლავ და კვლავ ჩარტყმას მანამ, სანამ საგანი სრულიად არ გაიხვრიტება, გამჭოლი ნახვრეტი არ გაჩნდება.*
...[მტერი] მოდის, რათა გონებაზე განახორციელოს შეტევა – არა ერთხელ, არამედ მრავალგზის. ...როგორც კი მსხვერპლი წინააღმდეგობის გაწევას შეწყვეტს, ეშმაკი საბოლოო, ძლიერ დარტყმას განახორციელებს და წარმატებით დაიპყრობს მის გონებას“.

გზის მაჩვენებელი

„ყოველმა ქრისტიანმა თვალი უნდა გაუსწოროს გონებაში არსებულ ორი ნაწილისგან შემდგარ პრობლემას. პირველი, უნდა ამოძირკვოს და გაანადგუროს აზროვნების ჩვეული მეთოდი, რომელიც წარმოადგენს მონობას, და შესაძლოა ეს არც კი იცოდა. ამას სხვისი დახმარების გარეშე ვერ მოახერხებს. მეორე, მან ახალი საძირკველი უნდა ეძებოს სულში, ქრისტეს გონებაში. ...ქრისტეს გონება მარადიული სიბრძნისა და თავისუფალი აზრის შადრევანია. მაგრამ ჩვენ უნდა მოვიშოროთ ძველი აზროვნების სტილი და დავფუძნდეთ იესოში. ნება მივცეთ ქრისტეს გონებას აავსოს ჩვენი სააზროვნო პროცესის ყველა სადინარი“.

-ჯონ ლ. და რ. ლორენ სანდფორდები

როგორც კი მტერი პიროვნების გონებას დაიპყრობს, ის მას წმინდა წერილის შესახებ ტყუილებით, ეჭვებით, შიშით, მრისხანებით და ცრუ განმარტებებითაც კი წალეკავს. რატომ? მას ჩვენი გონების გაკონტროლება უნდა იმიტომ, რომ ის, რაც ჩვენს გონებას კვებავს, ავსებს ჩვენი გულის დერეფნებს და ჩვენი ცხოვრების მიმართულებას განსაზღვრავს.

რა გამოცხადებას გაძლევს სულიწმიდა ეშმაკის სახელის მნიშვნელობის შესწავლით?

შეგიძლია გაიხსენო დრო, როდესაც მტერს შეეწინააღმდეგე და ის გაიქცა შენგან?

ეშმაკის მოქმედების ძირითადი პრინციპი – ესაა ეჭვით, ტყუილით და შიშით ადამიანის გონებაზე მუდმივად შეტევები განახორციელოს. ამ ცოდნის საფუძველზე რატომ არის აუცილებელი გონების ღმერთის სიტყვით განახლება?

დღე 3 მიეცი შენს რისხვას სწორი მიმართულება

„განრისხდით, ოღონდ ნუ შესცოდავთ: მზე ნუ ჩავა თქვენს რისხვაზე. ადგილი არ მისცეთ ეშმაკს“ -ეფესელთა 4:26-27 (ინგ.ვერსია NIKJV)

გაბრაზება აუცილებლად ცოდვას არ ნიშნავს. აქ მთავარია ის, თუ რას აკეთებ, როდესაც ბრაზდები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ სულიერ ომში ვიმყოფებით და ხალხის წინააღმდეგ არ ვიბრძვით. ჩვენ ეშმაკს და მის დემონებს ვეომებით. ამ პოზიციის შენარჩუნება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ეს გვიცავს ადამიანებთან ბრძოლისგან და ამავდროულად მტერს არ ვაძლევთ თვალებში ნაცრის შეყრის უფლებას.

სამართლიანი განრისხება მიზანშეწონილია და ის შეიძლება ღმერთის სასუფევლის გავრცელებაშიც კი დაგვეხმაროს. თავად ღმერთი გამოხატავდა ხშირად სამართლიან განრისხებას. იესო ბრაზდებოდა, თუმცა ის არ სცოდავდა. თავისი მსახურების დასაწყისშიც და დასასრულშიც იგი ვიზუალურად წარმოაჩენდა სიბრაზეს, როდესაც ტაძარს წმენდდა (იხ. მათ21:12-13; მარკ.11:15-19; ლუკ. 19:41-46; იოან. 2:13-17). თუ ისეთი რამე გვაბრაზებს, რაც ღმერთსაც აბრაზებს და ამას ღვთის მოსაწონად ვუმკლავდებით, მაშინ სიბრაზე პოზიტიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

რა ანრისხებს ღმერთს წმინდა წერილის მიხედვით? *წაიკითხე* რიცხვ. 11:1-10; 12:1-9; 25:1-3; იესო ნავეს ძე 7:1; მსაჯ. 2:11-14; იგავ. 6:16-19; ებრ. 10:26-27.

ცხადია, ღმერთს არ სურს, რომ ჩვენი მრისხანება ადამიანებისკენ მივმართოთ. წაიკითხეთ ეფეს. 4:26-27, სად და როგორ უნდა გაუმკლავდე სხვების მიმართ მრისხანებას? რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და რა მოხდება მაშინ, თუ სიბრაზეს სათანადოდ არ გამოხატავ?

რაზე ბრაზდები სწრაფად და გამუდმებით? რა ხდება განსაცდელების დროს?

როდესაც შენს ცხოვრებაში თავს იჩენს სირთულეები, ბრაზდები ღმერთზე? თუ დიახ, რატომ? სთხოვე მას შენს გულში არსებული ამის მთავარი მიზეზი გაჩვენოს. ჩაიწერე რასაც გაგიცხადებს და ამ საკითხის მოგვარება მას მიანდე..

როგორ მისცემ შენს მრისხანებას სხვა მიმართულებას – წარმართო მტრის წინააღმდეგ, რომელიც ყოველგვარი უბედურების წყაროს წარმოადგენს?

დღე 4 გამოთავისუფლე ძალა, რომელიც პირდაპირ შენს ცხვირწინაა

„სიკვდილი და სიცოცხლე ენის ხელშია, და მისი მოყვარულნი იგემებენ მის ნაყოფს“
იგავები 18:21 (ინგ.ვერსია NIKJV)

რამდენჯერ გიძებნია რაღაც დიდხანს და აღმოგიჩენია, რომ იქვე ყოფილა? სწორედ მსგავსი რამ ხდება მტერთან ბრძოლის დროსაც. ჩვენს პრობლემებზე პასუხებს მამასთან ურთიერთობაში აღმოვაჩენთ – მისი სიტყვის ძალაში და მისი სულის თანდასწრებაში. ამ ძალის გამოთავისუფლება რეალობაში სიტყვის წარმოთქმით ხდება. მსახური და მწერალი ჩარლზ ქაპსი ამბობს:

„ქრისტეს სხეულმა ღმერთის სიტყვის ძალაუფლებით ცხოვრება უნდა დაიწყოს, რადგან ღმერთის სიტყვა – ეს შემომქმედი ძალაა. შემოქმედ ძალას გული წარმოქმნის, ენა აძლევს ფორმას და ბაგეები წარმოთქვამენ სიტყვის მეშვეობით“.

სატანას უნდა დავეთანხმოთ, რომ მის აზრებს და წარმოვთქვათ ეჭვის, სიკვდილის და შიშის გამომხატველი სიტყვები. ღმერთს სურს დავეთანხმოთ მას და ვაღიაროთ რწმენის, ძალის და სიცოცხლის სიტყვები, რომელთაც შეიცავს წმინდა წერილი და გვიცხადებს სულიწმიდა. როდესაც მის ძლიერ *რემა* სიტყვებს გამოვთქვამთ, ეს მტრის წინააღმდეგ ატომური ბომბივით მოქმედებს.

მტრის შემოტევის დროს რა არის შენი პასუხი? რა სიტყვებს წარმოთქვამენ შენი ბაგეები?

სთხოვე უფალს დაგეხმაროს შენი ბაგის დაცვაში: ფსალმ. 140:3; იგავ. 13, 21:33; ფილ. 2:14; 1 პეტ. 3:10-12.

მტრის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლისათვის საჭიროა წარმოვთქვათ ღმერთის სიტყვა. აკეთებ ამას? თუ არა, რატომ? სთხოვე უფალს გაგიცხადოს რა გიშლის ხელს და რა შეცვლის ამ მდგომარეობას.

„ვინაიდან ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი[ღმერთის ბაგიდან გამოსული არცერთი სიტყვა არ იქნება ძალის გარეშე ანდა არ დარჩება შეუსრულებელი]“
-ლუკა 1:37(ინგ.ვერსია AMP)

ყურადღებით წაიკითხე რომ. 4:17; ეფეს. 5:1; და იერ. 23:28-29. დაუკვირდი ჩვენი ზეციერი მამის ხასიათს, მის სიტყვებს და ჩვენს პასუხებს. რას გვიცხადებს ეს მუხლები ღმერთის სიტყვის წარმოთქმასთან დაკავშირებით?

როდესაც შენზე მტრის თავდასხმა ხორციელდება, უბრალოდ ნუ *წაიკითხავ* უფლის სიტყვას – **წარმოთქვი** იგი. მხოლოდ ნუ იფიქრებ წაკითხულ სიტყვებზე – **წარმოთქვი** ისინი. აქციე ღმერთის სიტყვა იმ ძლიერ გამანადგურებელ იარაღად, როგორადაც სურს ხედავდეს! გამოიყენე ისინი მტერთან საბრძოლველად და ის გაიქცევა შენგან!

დღე 5 ჩვენთვის მთავარი იესოა

„[მომისმინე], ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა გაიმარჯვა, რათა გახსნას წიგნი და მისი შვიდი ბეჭედი“ -გამოცხ.5:5 (ინგ.ვერსია TLB)

ეშმაკი არ არის ლომი. იესო არის ლომი იუდას ტომიდან! იესოს და სატანას შორის არანაირი მსგავსება არ არსებობს. ჩვენთვის მთავარი იესოა!

გახსოვდეს, სატანა და მისი დაცემული ანგელოზები განიარაღებულები არიან. კოლასელთა 2:15; აცხადებს, რომ ღმერთმა „განაიარაღა მთავრობანი და ხელმწიფებანი. სააშკარაოდ შეარცხვინა და ჯვრით იზეიმა მათზე გამარჯვება“. ღმერთმა დაამარცხა მტერი!

მართალია სატანა დამარცხებულია, ის და მისი დამქაშები მაინც იბრძვიან. როგორ შეგიძლია ხორცი შეასხა გამარჯვებას, რომელიც ქრისტემ გოლგოთაზე მოიპოვა? ამის საპასუხოდ გადავხედოთ სამ პრინციპს, რაც შეგაძლებინებს საკუთარი თავი ქვეყნიერებაზე მყოფი მბრძოლვინავი ლომისგან დაიცვა:

1. **კოცონი არ ჩააქრო**. ლომებს ცეცხლის ეშინიათ.

2. **იყავი შენს ჯგუფთან ერთად**. ერთმანეთს არ დაშორდეთ. ცნობილია, რომ ლომები მარტო დარჩენილს ესხმიან თავს.

3. **თუ ლომის წინ აღმოჩნდი, გაჩერდი, მყარად დადექი, არ გაიქცე.** ლომს პირდაპირ თვალებში უყურე, ხელები მაღლა აწიე და რაც შეიძლება ხმამაღლა იღრიალე, იყვირე. თუ გაიქცევი, ლომი დაგიჭერს და ცოცხლად შეგჭამს.

ეს პრინციპები შენს ქრისტიანულ ცხოვრებას და მტერთან წინააღმდეგობას მიუსადაგე.

შენი აზრით, რას ნიშნავს ის, რომ *ცეცხლი არ უნდა ჩააქრო*, როგორ დაგიცავს ეს? გადახედე მათ. 3:11; ლუკ. 12:49; 24:27-32; საქმ. 2:1-4; 4:8-13; და იერ. 20:9.

რა კავშირი აქვს შენთვის, როგორც ქრისტეს ნაწილისთვის, ჯგუფთან ერთად დარჩენას? გადახედე ებრ. 10:25; ეკლ. 4:9-12; საქმ. 4:31-35; და 1 კორ. 12:12-27.

რა სახის დაცვა მოაქვს *მყარად დგომას* და მტრისგან *არ გაქცევას?* გადახედე ეფესელთა 6:13; 1 კორ. 15:58; გალ. 5:1; და 1პეტ. 5:8-9.

დღე 6 დაე, ქრისტე იყოს შენი პირველი სიყვარული

„დაბრუნდი! დაიბრუნე შენი პირველი სიყვარული. არ შეიძლება დროის უქმად ხარჯვა..“

-გამოცხადება 2:5 (ინგ.ვერსია The Message

გახსოვს ის დღე, როდესაც პირველად მიიღე იესო ქრისტე შენს უფლად და მხსნელად? ეს მშვენიერი დღეები იყო. როდესაც პირველად მოისმინე, თუ რა მოიმოქმედა ქრისტემ შენთვის, მადლიერების გრძნობამ აგატირა. მაგრამ მას შემდეგ დრო გავიდა და ცხოვრებისეულმა სირთულეებმა გააუფერულა ეს პირველი სიყვარული. ისეთი აღარ არის, როგორიც იყო.

თუ ეშმაკმა ის წაგართვა, რაც შენთვის საუკეთესო იყო და შენი რწმენისა და ძალის დონე შემცირდა, ალბათ, ეს პირველი სიყვარულის დაკარგვაზე მეტყველებს. შესაძლოა ამ სიყვარულმა უკანა რიგებში გადაინაცვლა და წინა ადგილები ისეთ ვინმეს ან რამეს დაუთმო, როგორიცაა გართობა ან ახალი მეგობარი. გახსოვდეს, რასაც ჭამ ისევ იმის ჭამა გინდება შიმშილის დროს. ეშმაკისთვის მნიშვნელობა არ აქვს რამდენი დრო ან რისი გაკეთება დასჭირდება იმისათვის, რომ უფალთან მოზიარეობას მოგწყვიტოს. მისთვის მთავარია ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

გზის მაჩვენებელი

„ეკლესიაში დარჩენა აუცილებელი არ არის იმისათვის, რომ ღმერთის თანდასწრებაში ვიყოთ. შეგვიძლია ჩვენი გულები იმ საკრებულოდ ვაქციოთ, სადაც ნებისმიერ დროს შეგვიძლია ღმერთთან პირადად საუბარი. ეს შეხვედრები შესაძლებელია იყოს თბილი და სიყვარულით აღვსილი, და ნებისმიერს აქვს ამისი საშუალება. არის რაიმე, რაც ხელს გიშლის ამის დაწყებაში? შესაძლოა უფალი ჩვენგან ელის პირველი ნაბიჯის გადადგმას. ...გამუდმებით შეაგონე საკუთარი თავი წარმოაჩინოს მის მიმართ სიყვარული და ეს მადლის თხოვნით გააკეთე. ნებისმიერ დროს შესთავაზე ღმერთს შენი გული. გააკეთე ეს რწმენით, სიყვარულით და თავმდაბლობით“.

-ძმა ლაურენსი.

გულწრფელად გააანალიზე ქრისტესთან შენი ურთიერთობა. როგორ აღწერ მას: ცეცხლოვანი, საშუალო სიძლიერის ცეცხლი თუ მბჟუტავი კოცონი? სთხოვე ღმერთს ამის მიზეზი გაგიცხადოს..

ქრისტეს და მისი სიტყვის მიმართ ცეცხლის კვლავ აგიზგიზება მონანიებით იწყება. როდესაც იესომ ეფესოს ეკლესიას უსაყვედურა, რომ მათ პირველი სიყვარული დაკარგეს, მან უთხრა: „მოინანიე და აკეთე შენი პირვანდელი საქმეები“ (გამოცხ.2:5). რა ანთებდა უწინ შენს გულს ღმერთის საქმეების საკეთებლად? რა უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ეს ისევ განმეორდეს?

მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის საჭირო ძალა ქრისტეში დარჩენიდან მომდინარეობს. ყურადღებით წაიკითხეთ იოან. 15:1-17-ში მოცემული იესოს სიტყვები. რა ახალ აზრებს განვდის სულიწმიდა უფალთან გადახალისებული ურთიერთობების შესახებ?

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

ჩვენ სულიერ ომში ვიმყოფებით და ღმერთს სურს ფხიზლად და მღვიძარედ ვაკვირდებოდეთ მიმდინარე მოვლენებს. როდესაც მტერი გვიტევს, ღმერთს უნდა, რომ იარაღი, რომლითაც აღგვჭურვა, ავიღოთ და მტკიცედ შევეწინააღმდეგოთ მტერს მანამ, სანამ არ გაიქცევა. უნდა გავხსნათ ბაგე და პირდაპირ მივმართოთ სატანას ღმერთის სიტყვით, შევუტიოთ მას და მის დამქაშებს მანამ, სანამ მის თავდასხმას არ მოვიგერიებთ.

შენიშვნები

(1) Adapted from Strong's Exhaustive Concordance of the Bible, James Strong, LL.D., S.T.D. (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 1990). (2) Adapted from Sparkling Gems from the Greek, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003) p. 942. (3) Delivered from the Lion, audio series by Larry Stockstill, Part 2 - The Truth (Baton Rouge, LA: Bethany World Prayer Center). (4) Adapted from Vine's Complete Expository Dictionary of Old and New Testament Words, W.E. Vine (Nashville, TN: Thomas Nelson Publishing, 1996) p. 242. (5) See note 1. (6) See note 2, p. 943. (7) Christian quotes on Spiritual Warfare (retrieved 8/5/11 from http://dailychristianquote.com/dcqspiritwarfare2.html). (8) Kenneth E. Hagin, The Believer's Authority (Tulsa, OK: Rhema Bible Church, 2007) p. 62. (9) See note 1. (10) Ibid. (11) See note 4, p. 583. (12) Adapted from Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 425. (13) See note 2, p. 652. (14) Ibid., p. 942. (15) John L. Sandford and R. Loren Sandford, The Renewal of the Mind (Tulsa, OK: Victory House Publishers, 1991) pp. 19-20. (16) Charles Capps, God's Creative Power (Tulsa, OK: Harrison House, 1976) p. 8. (17) Delivered from the Lion, audio series by Larry Stockstill, Part 1 – Satan's Weapons (Baton Rouge, LA: Bethany World Prayer Center). (18) Ibid. (19) Adapted from Time's Up Devil, audio message by Perry Stone (Cleveland, TN: Voice of Evangelism, www.perrystone.org). (20) Brother Lawrence, The Practice of the Presence of God (New Kensington, PA: Whitaker House, 1982) pp. 37-38.

„ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს,
წინ აღუდექით ეშმაკს და
გაიქცევა თქვენგან“

-იაკობი 4:7
(ინგ.ვერსია NIV)

თავი 10

წინააღმდეგობის ყველაზე აღმატებული ფორმა

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-14 თავი და მოისმინეთ
ვიდეო კურსის მე-10 გაკვეთილი

G 1. დაექვემდებარო ღმერთს ნიშნავს დაემორჩილო მას, ე.ი. აკეთო ის, რასაც იგი გეუბნება, მიუხედავად იმისა მოგვწონს თუ არა, გვესმის თუ არა. რა კურთხევები მიგიღია წარსულში ღმერთისადმი მორჩილების გამო?

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

გახსოვდეს...

მტერთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი – ესაა **დაემორჩილო ღმერთს**. ეს მუდმივად მის მიმართ მორჩილებას და მასზე მინდობას გულისხმობს. თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ შევძლებთ მისი გზებით, პრინციპებით და აზრებით ცხოვრებას ამ გაუკულმართებულ და გარყვნილ წუთისოფელში. *ღმერთისადმი აბსოლუტური მორჩილება* უმთავრესი პრინციპია მტრის სიმაგრეების დასანგრევად და მისი შემოტევების მოსაგერიებლად, ასევე ძალაუფლებისა და მმართველობის ახალ დონეზე ასასვლელად.

„მორჩილება“

მორჩილება „ზედამხედველის, ან კანონის - პოლიტიკური, მორალური- მოთხოვნებისა და ბრძანებების შესრულებას ნიშნავს; მთავრობის ან სხვა ვინმეს მიმართ დაქვემდებარებას“. მორჩილება ასევე ნიშნავს „იმის არ გაკეთებას, რაც აკრძალულია“. როცა ღმერთს ან მის მიერ დადგენილ ავტორიტეტს ვემორჩილებით „ჩვენ ვექვემდებარებით მას, ვაკეთებთ რასაც ის გვთხოვს და თავს ვიკავეთ აკრძალულისგან“. მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ **შეუპოვარი მორჩილებისათვის საჭირო ძალა ღმერთის მადლიდან მომდინარეობს**.

G 2. ღმერთისადმი მორჩილება გულისხმობს იმ ადამიანებისადმი დამორჩილებას, რომლებიც მან დაგვიყენა სახლში, სამსახურში და მსახურებაში. რა შემთხვევაში არ უნდა დავემორჩილოთ ჩვენს ზემდგომებს? გადახედეთ იესოს მითითებებს და მოციქულთა სიტყვებს ქვემოთ მოცემულ მუხლებში:

„უთხრა მათ: „მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას“
-მარკოზი 16:15

„ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით.ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ“
-მათე 28:19-20(ინგ.ვერსია AMP)

„დაუძახეს [მოციქულებს] და უბრძანეს, ამიერიდან აღარ ელაპარაკათ და აღარ ესწავლებინათ იესოს სახელით. მაგრამ პეტრემ და იოანემ მიუგეს და უთხრეს: „განსაჯეთ, მართებულია განა ღვთის წინაშე, თქვენ უფრო გისმინოთ[თქვენ რომ დაგემორჩილოთ], ვიდრე ღმერთს? ჩვენ არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ ის, რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ“
-საქმეები 4:18-20(ინგ.ვერსია NLT)

გზის მაჩვენებელი

„ღმერთი არის ღმერთი. რადგანაც ის ღმერთია, იგი ღირსია ჩვენი *ნდობის* და *მორჩილების*. მხოლოდ მის წმინდა ნებაში ვპოვებ შვებას; ნებაში, რომელიც უსაზღვროდ აღემატება ჩემს აზრებსა და გაგებას მისი განზრახვების შესახებ“

ელიზაბეთ ელიოტი

3. არის ისეთი რამ, რისი გაკეთებაც ღმერთმა გთხოვა და არ გააკეთე? ისეთი რამ, რაზეც გითხრა არ გაგეკეთებინა და შენ აკეთებ? თავი დაიმდაბლე მის წინაშე და სთხოვე დაგანახოს ის მითითებები, რომლებსაც არ დაემორჩილე. დაწერე რასაც ის გეტყვის და სთხოვე მადლი, რათა შეძლო მისი დავალებების შესრულება.

გახსოვდეს...

სულიერი ზრდა მაშინ არ მოდის, როცა ჩვენს ცხოვრებაში მზე ანათებს, როდესაც ყველა კარგს ლაპარაკობს ჩვენზე და როცა ყველაფერი მშვენივრად მიდის. არა, ჩვენ სულიერად მაშინ ვიზრდებით, როდესაც განსაცდელშიც კი ღმერთის მორჩილებაში ვრჩებით; ვძლიერდებით, როდესაც ღმერთს ვემორჩილებით მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები დაგვცინიან, გვჭორავენ ან ცდილობენ ტკივილი მოგვაყენონ...

4. როდესაც ხელახლა ვიშვებით, ჩვენ სულიერად
G ზრდასრულები არ ვართ, არამედ ჩვილები. როდესაც ქრისტეში ვრჩებით, ღმერთის მადლში ვიზრდებით სულიერად. ფიზიკური ზრდა *დროსთან* არის დაკავშირებული, ხოლო ინტელექტუალური ზრდა სწავლის შედეგია. სულიერი ზრდა კი *ტანჯვისა* და მორჩილების შედეგს წარმოადგენს.

„რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით და [მიზნით(მოთმინებით დაიტანჯო, ვიდრე არ აამო ღმერთს], ვინაიდან, ვინც კი ხორციელად იტანჯა[აქვს რა ქრისტეს გონება[, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა[შეწყვიტა საკუთარი თავისთვის და ქვეყნიერებისთვის ცხოვრება]. რათა ხორცში დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღვთის ნებით“

-1 პეტრე 4:1-2 (ინგ.ვერსია AMP)

„მაშ ასე, იესომ გადაიტანა ყველაფერი, რასაც დღეს თქვენ გადიხართ და ისწავლეთ მის მსგავსად ფიქრი. იფიქრეთ თქვენს ტანჯვებზე, როგორც ძველი ცოდვილ თვისებებზე გამარჯვება,როდესაც ცდილობდით ისე მოიქცეულიყავიღ, როგორც გინდოდა. მაშინ თქვენ დარჩენილ სიცოცხლეს გაატარებთ თავისუფლებაში, რათა ისწრაფვო იმისკენ, რაც ღმერთს სურს გააკეთოს, ნაცვლად იმისა, რომ თქვენმა პირადმა სურვილებმა დაგტანჯოთ“ -(ინგ.ვერსია The Message)

„და თუმცა ძე იყო, მან ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება“

-ებრაელთა 5:8 (ინგ.ვერსია NLT)

„იესო ღმერთის მხოლოდშობილი ძეა, მაგრამ იგი მაინც დაიტანჯა ვიდრე გაიგებდა რას ნიშნავდა ღმერთის მორჩილება“ -(ინგ.ვერსია CEV)

როგორ გეხმარება ეს მუხლები სულიერი ზრდის პრინციპის ნათლად დანახვაში?

„როცა ბავშვი ვიყავი, ბავშვურად ვმსჯელობდი. როცა კაცი გავხდი, ყოველივე ბავშვური მივატოვე“

-1 კორინთელთა 13:11

G 5. ყურადღებით წაიკითხე 1 კორ. 2:15-16; 3:1-3; ეფეს. 4:13-15; ებრ. 5:12-14; 2 თეს. 1:3-4; და იაკ. 3:2. რა ნიშნით ხასიათდება *ხორციელი, უმწიფარი* ქრისტიანი და *სულიერი, ზრდასრული* მორწმუნე? რომელ კატეგორიას ეკუთვნი უფრო მეტად და რის საფუძველზე აკეთებ ამ დასკვნას?

ხორციელი, უმწიფარი ქრისტიანი:

სულიერი, ზრდასრული მორწმუნე:

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ყურადღებით წაიკითხე პეტრეს მიმართ წარმოთქმული იესოს სიტყვები იოანე 21:18-ში.

საკუთარ თავს უფრო მეტად მივაკუთვნებ _____.ამ დასკვნას შემდეგ საფუძველზე ვაკეთებ:

_____

_____

_____

პერსონაჟის დახასიათება
იოსები

ცხოვრების წლები: 110 წელი –1915-1805 ჩვ.წ.აღ-მდე.
პროფესია: მწყემსი, მონა, ციხის ზედამხედველი, ეგვიპტის მეორე პირი, მმართველი.
მსახურების ადგილი: ქანაანი და ეგვიპტე.
ნათესავები: მშობლები: იაკობი და რახელი; პაპა: ისააკი; თერთმეტი ძმა (სახელები იხ. ქვემოთ), ერთი და (დინა); ცოლი: ასენათი; ძეები: ეფრემი და მენაშე.
სიტყვები, რომელიც ახასიათებს იოსებს: ერთგული, უკომპრომისო, მიმტევებელი, მოწყალე, გამჭრიახი, ბრძენი, შეუპოვარი.

იოსების სახელი ნიშნავს „უფალმა შემძინოს“. მოგვიანებით ფარაონმა მას სახელი შეუცვალა და დაარქვა *ცაფნათ ფანეახი*, რაც „საიდუმლოთა გამომცხადებელს ნიშნავს“. ის იაკობის მეთერთმეტე ძე იყო. თერთმეტი ძმა – თითოეული მათგანი იუდას თითოეულ ტომს წარმოადგენდა. დაბადების წიგნის მიხედვით მათი სახელებია: რეუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, დანი, ნაფთალი, გადი, აშერი, ისაქარი, ზებულონი და ბენიამინი. იოსები მამას განსაკუთრებულად უყვარდა, რადგან ის მისი საყვარელი ცოლის, რახელის პირმშო იყო. იაკობს ისე უყვარდა იოსები, რომ მან მისი შვილები, ეფრემი და მენაშე, იშვილა, რათა მის შთამომავლობას, ორმაგი მემკვიდრეობა მიეღო (იხ. 48:1-6).

ურთულეს პერიოდში თავისი შეუპოვარი რწმენისა და მორჩილების გამო, ის დედამიწის ზურგზე ყველაზე გავლენიანი მმართველი გახდა დიდი შიმშილის პერიოდში. მან თავის მამას და ძმებს, არა მხოლოდ უსაფრთხოება უბოძა, არამედ ხელი შეუწყო რომ გამრავლებულიყვნენ. თუმცა ის დაცვა და უზრუნველყოფა, რაც მათ ეგვიპტეში ჰქონდათ, საბოლოოდ ნაწინასწარმეტყველები ბორკილი აღმოჩნდა (იხ. დაბ. 15:13), და დაიწყო ისრაელის ისტორიაში მეორე ყველაზე მთავარი ფაზა: გამოსვლა.

იოსები დაახლოებით 80 წლის მანძილზე მართავდა ეგვიპტეს (იხ. დაბ. 41:46; 50:26). ამის შესახებ წაიკითხე დაბ. 30-50 თავებში. რა შეგიძლია ისწავლო აქედან და საკუთარ ცხოვრებაში გამოიყენო?

6. იოსები ძალიან უყვარდა მამამისს. მას ესიზმრა, რომ მმართველი გახდებოდა. ამის გამო ძმებმა მოიძულეს იგი და მონად გაყიდეს. მრავალი წლის მანძილზე პოტიფარს ემსახურა და შემდეგ საპყრობილეში ჩასვეს იმ დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია. რა მსგავსება შეიძლება დაინახო შენსა და იოსებს შორის უსამართლოდ მოპყრობის კუთხით?

_____

_____

7. პოტიფართან მსახურების დროს იოსებმა აირჩია ღმერთს დამორჩილებოდა და უარი ეთქვა მისი ბატონის შემოთავაზებაზე. შედეგად იგი საპყრობილეში მოათავსეს. ყოფილა შენს ცხოვრებაში შემთხვევა, როდესაც ღმერთს დაემორჩილე და დაგსაჯეს? შემოუტევია ეშმაკს ღმერთის შეურაცმყოფელი აზრებით? ხომ არ ყოვნდები, როდესაც გადაწყვეტილებაა მისაღები ემსახურო თუ არა ღმერთს? ყურადღებით გაიაზრეთ ქვემოთ მოყვანილ მუხლებში გადმოცემული ჭეშმარიტებები.

„რადგან მე ვიცი ის ზრახვები, რაც მე განვიზრახე თქვენზე, - სიტყვა უფლისა, - „ზრახვები მშვიდობაზე [კეთილი და არა ბოროტი] რომ მოგცეთ თქვენ მომავალი და იმედი“

-იერემია 29:11 (ინგ. ვერსია GW)

„ხოლო ჩემთვის რაოდენ მრავლისმთქმელია[ძვირფასია] ზრახვანი შენნი, ღმერთო! რაოდენ დიდია რიცხვი მათი[მათი დათვლა შეუძლებელია]!დავთვალო, ქვიშაზე უმრავლესია; გავიღვიძებ და, ისევ შენთან ვარ!“

-ფსალმუნი 138:17-18 (ინგ.ვერსია NLT)

„მართალია უფალი ყველა თავის გზაზე [და ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, აღბეჭდილია სიყვარულით] და მოწყალეა ყველა თავის საქმეში. ახლოსაა უფალი ყველა მის მლოცველთან [იგი უსმენს ყველას, ვინც გულწრფელად ლოცულობს] ყოველთან, ვინც მას მოუხმობს ჭეშმარიტებით. მის მოშიშთა სურვილს შეასრულებს [ის მისცემს საუკეთესოს მის მოშიშთ] მოისმენს მათს ღაღადს და უშველის მათ [ესმის და იხსნის მათ]. იცავს უფალი ყველა მის მოყვარულს“

-ფსალმუნი 145:17-20 (ინგ.ვერსია The Message)

გზის მაჩვენებელი

„არცერთ განსაცდელში, არცერთ რთულ სიტუაციაში მარტო არ ხარ, უმწეო არ ხარ, მსხვერპლი არ ხარ. შენს წინ აღმართულია უზენაესი ღმერთის ძის გოლგოთის ჯვარი. ისეთი განსაცდელი არ შეგემთხვევა, რომლის გადატანასაც ვერ შეძლებ. განსაცდელის ატანა შესაძლებელია. შეგიძლია იცოდე, რომ იოსებმა იცოდა: „თქვენ ბოროტება განიზრახეთ ჩემთვის, მაგრამ ღმერთმა სიკეთედ მოაქცია იგი, რათა გაეკეთებინა ის, რაც ახლა არის: სიცოცხლე შეენარჩუნებინა უამრავი ხალხისათვის“ (დაბ. 50:20)

კეი არტური

„რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის, და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის!“ - ამბობს უფალი. „რადგან როგორც ცაა მაღალი დედამიწაზე, ისე ჩემი გზებია მაღალი თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები - თქვენს ზრახვებზე“

-ესაია 55:8-9 (ინგ.ვერსია NLT)

„[ო რა დიდებულია ჩვენი ღმერთი! რა დიდია მისი სიბრძნე და ცოდნა და სიმდიდრე!] ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! რა ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები![ჩვენთვის შეუძლებელია გავიგოთ მისი გადაწყვეტილებები და გზები]“

-რომაელთა 11:33 (ინგ.ვერსია NLT)

როგორ გეხმარება ეს მუხლები შექმნილი სიტუაცია სხვა მხრივ დაინახო, უფრო იმედის მომცემად?

_____

_____

იფიქრე ამაზე...

დრ. ვიქტორ ე. ფრანკლი. მას სამი სასტიკი წელიწადი აქვს აუშვიცის და სხვა ნაცისტურ ბანაკებში გატარებული. მან ასეთი რამ დაწერა ჰიტლერის ბანაკებში არსებული ყოფის შესახებ:

„ჩვენ, საკონცენტრაციო ბანაკებში ნამყოფ ხალხს, გვახსოვს რამდენიმე კაცი, რომლებიც შემოვიდოდნენ ხოლმე ქოხებში, ანუგეშებდნენ იქ მყოფებს და თავიანთი პურის ბოლო ლუკმას მათ უყოფდნენ. ისინი ცოტანი იყვნენ, მაგრამ მათი მეშვეობით ერთი რამე იყო ნათელი, *ადამიანს შეიძლება ყველაფერი წაართვან, მაგრამ ვერ შეეხებიან უკანასკნელ ადამიანურ თავისუფლებას – თავად აირჩიოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდეს ნებისმიერი სიტუაციის მიმართ“.*

8. როდესაც იოსებმა პირველად ნახა სიზმარი იმის შესახებ, რომ მმართველი გახდებოდა, მას გააჩნდა ხასიათის *უმწიფარი, ხორციელი* თვისებები, რაც გამოსწორებას საჭიროებდა, რათა ღმერთის გეგმა აღსრულებულიყო. იმყოფები განსაცდელში და გრძნობ, თითქოს შინაგანად კვდები? თუ ასეა, შენი ხასიათის რომელ თვისებას აკვდინებს ღმერთი იმისათვის, რომ თავისი გეგმა განახორციელოს? როგორ შეგიძლია მასთან უკეთესად ითანამშრომლო?

ჩემი ხასიათის უმწიფარი და მოსაკვდინებელი მხარეებია...

_____

_____

მჯერა უკეთ ვითანამშრომლებ ღმერთთან...

_____

_____

_____

იფიქრე ამაზე...

თუ იოსები ძმებზე შურს იძიებდა და დახოცავდა მათ, ნახეთ ვინ ვერ დაიბადებოდნენ:

ლევის თვალსაჩინო შთამომავლები: აარონი, მოსე,
ეზრა და იოანე ნათლისმცემელი;
ბენიამინის თვალსაჩინო შთამომავლები: საული,
ესთერი და პავლე მოციქული;
იუდას თვალსაჩინო წარმომადგენლები: ქალები,
დავითი, სოლომონი და იესო ქრისტე.

როგორი იქნებოდა ცხოვრება ამ ხალხის გარეშე?

ხასიათი

უმრავლესობას მიაჩნია, რომ ხასიათი არის „პიროვნების თვისებათა ერთობლიობა, რომელიც მას სხვებისგან გამოარჩევს – უფრო მეტად კარგ თვისებებს აფასებენ და პატივს სცემენ“. ბერძნულ ენაზე სიტყვა „ხასიათი“ ნიშნავს „დაკაწვრას, ამოჭრას ან ამოტვიფრას“. ქრისტეს ხასიათის ქონა ნიშნავს იმას, რომ იესოს პიროვნება აღბეჭდილია ჩვენში. როდესაც მის თანდასწრებაში ვიმყოფებით და ცხოვრებისეულ სირთულეებს გავდივართ, მისი ხატება ამოიტვიფრება და ამოიჭრება ჩვენს არსებაში.

9. თვალი გადაავლე იმ განსაცდელებს, რომელშიც ღმერთს გაუტარებიხარ. ხასიათის რა უმწიფარი თვისებები მოგაშორა ღმერთმა ამ განსაცდელებში მისადმი მორჩილების შედეგად? რა სახის აზროვნება და ქცევები მოიცილე, რომელიც ერთ დროს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა შენს ცხოვრებაში? როგორ გეხმარება წინსვლაში იმის გახსენება, თუ რა მოიმოქმედა ღმერთმა შენს ცხოვრებაში?

განსაცდელი წარსულში	ღმერთის მიერ მოცილებული უმწიფარი, არაღვთიური აზროვნება და ქცევები	როგორ შემცვალა ღმერთმა, უფრო მეტად გავხდი რა ქრისტეს მსგავსი

ის, რაც ღმერთმა ჩემს ცხოვრებაში მოიმოქმედა, მამხნევებს და მაძლიერებს მტკიცედ ვიარო წინ, რადგან...

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

გახსოვდეს...

განსაცდელს სწორი კუთხიდან უნდა შევხედოთ. ის ღმერთისგან არ მოდის, მაგრამ მას ღმერთი უშვებს და ის სარგებლობას მოგვიტანს თუკი სათანადოდ გავუმკლავდებით. ის მიგიყვანს შენი მმართველობის ადგილამდე. განსაცდელების დროს ღმერთისადმი მორჩილება სრულგყოფს, გაგაძლიერებს და იმ გზაზე დაგაყენებს, რომელიც მიზანთან მიდის.

10. მზად ხარ ამაღლდე იმ სიტუაციაზე, რომელშიც იმყოფები? მაშინ იმის ნაცვლად, რომ ღმერთს ჰკითხო: „რატომ?“ როდესაც საკითხები სწორად ვერ ვითარდება, ჰკითხე: „რა გავაკეთო უფალო?“, ნაცვლად იმისა, რომ ყოველი განსაცდელი უკან დამხევ დაბრკოლებად მიიჩნიო, როგორ შეძლებ მის აღქმას, როგორც *წინსვლის* საშუალებას? ილოცე და უფალს სთხოვე გაგიცხადოს. დაწერე რასაც ის გეტყვის.

გზის მაჩვენებელი

„ყველა გზა უფლისა, წყალობაა და ჭეშმარიტება“ (ფსალმ. 24:10;). ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ ამ მუხლზე, და ვხედავ, რომ ის ჩემს სულს კვებავს. ყველა არ ნიშნავს „ყველა გზას, გარდა იმისა, რომელზეც მე დავდივარ“ ან თითქმის ყველას, გარდა აი ამ რთული და მტკივნეული გზის გამოკლებით“. ყველა უნდა ნიშნავდეს ყველას. ასე, რომ შენი გზა თავისი აუხსნელი მწუხარებითა და ტანჯვით, და ჩემი – თავისი წვეტიანი ქვებით და ეკლებით – ამოუხსნელი იდუმალებით – მისი გზებია, რომელ გზაზეც იგი თავის სიყვარულსა და ერთგულებას გვაჩვენებს. არც მეტი არც ნაკლები“.

ემი კარმაიკლი

მთელი კვირის ამოცანა

გაიხსენე ერთი მნიშვნელოვანი ურთიერთობა, რომლის დათმობაც მოგიწია, შესაძლოა ეს იყო ოჯახის წევრთან მიმართებაში. შესაძლოა ადგილი ქონდა შეურაცხყოფას და საბოტაჟს, რამაც გამოიწვია ამ ურთიერთობის რღვევა. შეეცადე აღადგინო ეს ურთიერთობა. ილოცე და ითხოვე მადლი, რათა გვერდზე გადადო წარსული წყენა და ტკივილი. გაარკვიე რა სურვილი აქვს ღმერთს ამ ურთიერთობების აღდგენასთან დაკავშირებით და სიყვარულით მიუდექი ამ პიროვნებას.

დღე 1 რა წარმოადგენს შენს სიმაგრეებს?

„ვინაიდან, თუმცა ხორცში დავდივართ, ხორციელად არ ვიბრძვით. ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ -2 კორინთელთა 10:3-4 (ინგ.ვერსია NKJV)

ჩვენ სულიერ ომში ვართ. მტრის შემოტევებს მხოლოდ ღმერთის მადლით ჩვენთვის ბოძებული სულიერი იარაღი გაანადგურებს, მათ შორის ჩვენს ცხოვრებაში არსებულ სიმაგრეებსაც. რა წარმოადგენს სიმაგრეებს?

სიმაგრეები

სიტყვა „სიმაგრე“ მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან ochuroma (*ოქურომა*), რაც „რაღაცის უსაფრთხოდ შენახვას“ ნიშნავს. ეს იგივე სიტყვაა, რაც გამოიყენება „ციხის ან ციხესიმაგრის აღსაწერად“. 2კორ. 10:4-ში სიმაგრეები ნიშნავს „ფიქრების ციხესიმაგრეს – არგუმენტებს და აზრებს, რომლითაც მტერი ჩვენს გონებას უტევს“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალი აღთქმის პერიოდში სიტყვა ochuroma (*ოქურომა)* ციხის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. ამიტომ სიმაგრე შეიძლება იყოს აზრების ციხესიმაგრეც და ციხეც – რაც ხელს უშლის ჭეშმარიტებას ჩვენს გონებაში დაიდოს ბინა და სიცრუე გარეთ გამოდევნოს. სიმაგრეები – ესაა აზროვნების სტილი, რაც ისეა გონებაში გამჯდარი, რომ ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს აკონტროლებს.

ყურადღებით წაიკითხეთ სიტყვა „სიმაგრის“ განმარტება. შენი ცხოვრების რომელ სფეროს ეხება ეს განმარტება? სად გაქვს ბუნებრივი მიდრეკილება იმისა, რომ მტერთან შეთანხმებულად გწამდეს, ლაპარაკობდე და მოქმედებდე?

რა სახით გამოიხატებოდა ამ სიმაგრეების, როგორც *ციხესიმაგრის* ფუნქციონირება? გაშორებდა იგი კონკრეტულ ადამიანებს ან საშუალებებს?

რა სახით ვლინდებოდა ამ სიმაგრეების *ციხის* მსგავსად ფუნქციონირება? როგორ გიშლიდნენ ხელს ისინი შენი მიზნის – ცხოვრებაში მეფობის – შესრულებაში?

უფლის მიერ დაშვებული განსაცდელები (*თლიპსისი*) საკმარის ზეწოლას ახდენენ იმ კონკრეტულ ადგილას, სადაც ჩვენს აზროვნებაში არსებული სიმაგრეები უნდა გამოაშკარავდეს. როდესაც ზეწოლა ხდება, შიგნით არსებული, გარეთ გამოდის. როდესაც მთელი ჯოჯოხეთი ჩვენს წინაალმდეგ ჯანყდება, ჩვენი ცხოვრება, აზრები, მოქმედებები და სიტყვები გვიცხადებენ, თუ სად არ შეესაბამება ჩვენი ხასიათი ღმერთის ბუნებას. სირთულეების მეშვეობით ღმერთი მეტად გვამსგავსებს ქრისტეს. იგი გვიცხადებს იმას, რაც უნდა შეიცვალოს ჩვენს ხასიათში, რათა მისი უზენაესი, ძლიერი მმართველობის უფრო მაღალ დონეზე ავიდეთ. აი, ეს არის სირთულეების დადებითი შედეგი.

დღე 2 როგორ აღიმართებიან სიმაგრეები?

„ადგილი არ მისცეთ ეშმაკს“ -ეფესელთა 4:27 (ინგ.ვერსია KJV)

როგორ აღიმართებიან სიმაგრეები? მტრისთვის ადგილის მიცემით. ბერძნული სიტყვა, რომელიც ადგილს გამოხატავს, ნიშნავს „სივრცეს, პოზიციას ან დაპყრობას“. გადატანითი მნიშვნელობით ის წარმოაჩენს „საშუალებას, ძალას ან მოქმედებისათვის ხელსაყრელ შემთხვევას“. ამიტომ, როდესაც ღმერთი ამბობს: *„ადგილი არ მისცეთ მტერს“*, ეს ნიშნავს, რომ „არ მისცე სატანას საშუალება გამოავლინოს თავისი ხასიათი შენს ცხოვრებაში. არ დაუთმო მას არანაირი სივრცე“.

გახსოვდეს...
მთავარი საკითხი ჩვენი რთული მდგომარეობა არ არის, არამედ არასწორი ფიქრები და დამოკიდებულებები, რაც ცდილობს ჩვენს გონებაში დაიდოს ბინა განსაცდელების ჟამს. საჭიროა ვიყოთ შეუპოვარნი ჩვენს რწმენაში და მტკიცედ შევეწინააღმდეგოთ ყოველგვარ ლოგიკას, თუ ის ღმერთის სიტყვას ეწინააღმდეგება.

ყოველთვის, როდესაც მტერს არასწორი, არაღვთიური აზრი მოაქვს, ის ცდილობს ადგილი მოიპოვოს ჩვენს გონებაში. აქ ეჭვი, იქ საზრუნავი, იმ პიროვნების გასამართლება, ამ პიროვნებისადმი შური... თავიდან ფეხის ცერს ისაკუთრებს, შემდეგ ტერფს, ბოლოს კი მთელს სიმაგრეს აშენებს. თუ მის ტყუილებს *ვიღებთ*, ეს ნიშნავს, რომ მას ადგილს ვაძლევთ. იგი ჩვენს გონებაში სიმაგრეებს აღმართავს და ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე გაბატონდება.

ახლა კი იფიქრე: როგორ აზრებს გაწვდის სატანა გამუდმებით შენი გონების და ემოციების წინააღმდეგ?

ეს სიმაგრე არის _____.
სატანას ეს აზრები მოაქვს...

ეს სიმაგრე არის _____. სატანას ეს აზრები მოაქვს...

ეს სიმაგრე არის _____. სატანას ეს აზრები მოაქვს...

დაუკვირდი რა ხდება, როდესაც ეს აზრები მოდის. რა გარემოებების წინაშე გიწევს დადგომა? რას უყურებ, რას უსმენ და რას კითხულობ? ვისთან ერთად ატარებ დროს? სთხოვე ღმერთს გარჩევის უნარი მოგცეს და ასევე გეგმა, რომელიც მომავალში თავის დასაცავად გამოგადგება.

ერთ რამეს უნდა მიხვდე – როდესაც მტრისგან წამოსულ აზრებს არ ეწინააღმდეგები, ეს ნიშნავს, რომ მათზე ავტომატურად აცხადებ თანხმობას. არ არსებობს ნეიტრალური მდგომარეობა. სატანა იმისათვის მოდის, რომ მოკლას, მოიპაროს და გაანადგუროს. მაგრამ ნუ მოუსმენ მას. ღმერთის მადლის მეშვეობით შენ მოგეცა იარაღი, რათა წარმატებით დაამარცხო მტერი! თუკი ხედავ მას და ეწინააღმდეგები – ბრძოლას იგებ!

დღე 3 როგორ დავანგრიოთ სიმაგრეები?

„ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად.იმით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“

-2 კორინთელთა 10:4-5 (ინგ.ვერსია NKJV)

როგორც კი სიმაგრეს შეამჩნევ, მაშინვე მადლის იარაღით დაანგრიე. ვთქვათ, შენს ცხოვრებაში *შიშის* სიმაგრე აღმოაჩინე. პირველ რიგში, მოინანიე, რომ მტერს ადგილი დაუთმე შიშის მეშვეობით. მონანიება აზრის სრულად შეცვლას ნიშნავს. ეს არის არსებულ მდგომარეობაზე ღმერთის შეხედულების მიღება. მონანიების დროს ჩვენი გონება ახლდება ღმერთის სიტყვის მეშვეობით (რომ. 12:2).

შემდეგ, სიტყვით უნდა განაცხადო შიშის სიმაგრის დანგრევა. სიკვდილისა და სიცოცხლის ძალა შენს სიტყვებშია (იგ. 18:21). შეგიძლია თქვა: „იესოს სახელით, ადგილს არ ვაძლევ შიშის სულს (2 ტიმ. 1:7). შიშის სულო გადი ჩემი ცხოვრებიდან! შენ არანაირი ძალაუფლება არ გაგაჩნია ჩემზე. ღმერთმა მე მომცა მთელი ძალაუფლება შენზე (ლუკ. 10:19), და მე ახლა ვიყენებ მას“. ასეთი სახის წინააღმდეგობა შენს ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი სიმაგრის წინააღმდეგ შეგიძლია გამოიყენო.

კორინთელთა მიმართ მეორე წერილი ამბობს, რომ ჩვენ უნდა დავატყვევოთ „ყოველი ***აზრი*** და ***სიმაღლე***, რაც ღმერთის სიტყვას სცდება“. მეფე იაკობის ბიბლიის თარგმანი იყენებს სიტყვას „***წარმოდგენები“***. რა აზრები ცდილობენ შენს ცხოვრებაში ღმერთის სიტყვის ჩანაცვლებას?

დაიმახსოვრე: სიმაგრეები – ეს აზროვნების ციხეა, რომელიც მტრის ტყუილებით არის გამაგრებული. ილოცე და ღმერთს სთხოვე გიჩვენოს ნებისმიერი გავლენა, მოქმედება ან ურთიერთობა, რომელიც შენში არსებული სიმაგრეების გაძლიერებას ახდენს. საჭიროა *ჩამოიცილო* ეს ტვირთი. დაწერე რასაც ღმერთი გაგიცხადებს.

რომელი მუხლები ეხება პირდაპირ იმ სიმაგრეებს რომლებიც შენს ცხოვრებაშია? დაწერე, გულში ჩაიმარხე და წარმოთქვი მტრის წინააღმდეგ.

დღე 4 ალმართე სიმართლის სიმაგრეები

„გამამაგრე შენი სიტყვისამებრ! გზა სიცრუისა განმაშორე, [რომელსაც მივყავართ არსად, მადლი მომცემს შენც ნათელ გამოცხადებას] და შენი რჯულით შემიწყალე!“

-ფსალმუნი 118:28-29(ინგ.ვერსია The Message)

როდესაც აღმოაჩინე შენს ცხოვრებაში არსებული სიმაგრე და ღმერთის სიტყვით დაანგრიე იგი, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა გჭირდება. ახლა შენ უნდა **შეავსო ის ადგილი**, რომელიც უწინ მტერს ეკავა. მათეს 12:43-45-ში იესო ამბობს: „როცა არაწმიდა სული გამოდის ადამიანიდან, დადის ურწყულებში სიმშვიდის საძებნელად და ვერ პოულობს. მერე ამბობს: „დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედი“. როცა მივა, იპოვის მას ცარიელს, დაგვილსა და მოვლილს, მაშინ წავა და მოიყვანს შვიდ სხვა სულს, თავისზე უბოროტესს. შევლენ და დაისადგურებენ იქ. და ამ კაცისთვის უკანასკნელი დღე პირველზე უარესი იქნება“.

ეს ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა ვილოცოთ და ღმერთს ვთხოვოთ ერთ დროს მტრის კუთვნილებაში მყოფ ადგილზე თავისი სიმართლის სიმაგრე ააგოს. ჩვენ მუდმივად ღმერთის თანდასწრებით და მისი სიტყვით უნდა ვიკვებებოდეთ, განსაკუთრებით წმინდა წერილის იმ ადგილებით, რომლებიც ცვლიან არასწორ აზროვნებას, რომლის ტყვეობაშიც ერთდროს ვიმყოფებოდით. ყოველი მუხლი, რომელსაც წარმოვთქვამთ, სამშენებლო ქვა ხდება სულიწმიდისათვის.

ყურადღებით წაიკითხეთ ფილ. 1:9-11; მათ. 4:4; იოან. 6:35, 48-51; კოლასელთა 3:16; 1პეტ. 2:2; და იერ. 15:16. რას ამბობს ეს მუხლები შენს მიერ სიმართლის სიმაგრის მშენებლობის თაობაზე?

მათ. 7:24-27-ში, იესოს სიტყვების თანახმად, კიდევ რა არის საჭირო წარმატებული მშენებლობისათვის?

დაკავშირებული მუხლი: იაკობი 1:22-25;

„თესეთ თქვენთვის სიმართლე და მოიმკით წყალობას, გატეხეთ თქვენთვის ყამირი; დროა უფლის ძიებისა, ვიდრე მოვიდოდეს და სიმართლეს გაწვიმებდეთ“

-ოსია 10:12 (ინგ.ვერსია GW)

იკვებები ისეთი რამით, რაც ღმერთის სიტყვის მიღების მადას გიფუჭებს?

რომელი პრაქტიკული საშუალებები გააძლიერებენ ღმერთის თანდასწრების და მისი სიტყვის მიღების სულიერ მადას?

დღე 5 მორჩილების სიმაგრეს თან სდევს ჯილდო

„თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ [შეჭამთ ყველაზე საუკეთესოს]“
-ესაია 1:19 (ინგ.ვერსია NNIV)

ღმერთის მორჩილება მტრისადმი წინააღმდეგობის გაწევის უმაღლესი გამოხატულებაა.

წაიკითხე 1 იოან. 3:24; მათ. 12:50; გამოსვ. 19:5; 2 რჯ. 11:8-9; და 3 მეფ. 3:14. დაასახელე ამ მუხლებში მოცემული ის კურთხევები, რაც ღმერთის მორჩილებას მოჰყვება.

დაკავშირებული ადგილი: 2 რჯ. 28:1-14;

იოანე 14:23;, 1იოანე 5:3; და 2 იოანე 1:6-ის თანახმად რა წარმოაჩენს თქვენს მორჩილებას?

თუ ტანჯვების დროს ღმერთს ვემორჩილებით, ის გვაკურთხებს ჩვენ. იფიქრე ამ მუხლებში გადმოცემულ აღთქმებზე. როგორ აღგძრავენ ისინი უფლის მორჩილებისათვის?

„ვინ გიბოროტებთ, თუ კეთილის მოშურნე იქნებით? მაგრამ თუ იტანჯებით კიდეც სიკეთისთვის, ღმერთი გაკურთხებთ. ამიტომ შეწყვიტეთ, მათი ნუ შეგეშინდებათ და ნურც დაღონდებით იმის გამო, რასაც ადამიანები მოიმოქმედებენ“
-1 პეტრე 3:13-14 (ინგ.ვერსია NCEV)

„მეგობრებო, როდესაც ცხოვრება ძალიან რთულდება, ნუ დაასკვნით, რომ რწმენით არაფერს აკეთებს. პირიქით, გიხაროდენ, რომ ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეები ხართ. ეს სულიერად განწმენდის პროცესია, და დიდება ახლოსაა. ამიტომ გიხაროდენ, თუ ქრისტეს გამო გაგლანძღავენ, ამ დროს სულიწმინდა ივანებს შენზე“
-1 პეტრე 4:12-14 (ინგ.ვერსია The Message)

„ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა თავისი სამუდამო დიდებისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგამყარებთ“
-1 პეტრე 5:10 (ინგ.ვერსია NLT)

შენი ცხოვრების რომელ სფეროში (სფეროებში) გიჭირს ღმერთისადმი მორჩილება? ილოცე და სთხოვე ღმერთს დაგანახოს რატომ არის ეს ასე. სთხოვე გაგიცხადოს თავისი შეხედულება და სურვილი იმის შესახებ, თუ როგორ გაუმკლავდე ამ მდგომარეობას. დაწერე რასაც ის გიჩვენებს.

დღე 6 ნუ უარყოფ შენს სურვილს

„ხანგრძლივი მოლოდინი გულს ქანცავს, აღსრულებული სურვილი კი სიცოცხლის ხეა“
-იგავები 13:12 (ინგ.ვერსია NLT)

ღმერთისგან მოცემული სურვილით ხარ დაფეხმძიმებული? როგორც ქალი თავის ქმართან ინტიმური კავშირის შედეგად ფეხმძიმდება, ისე ვფეხმძიმდებით ღვთიური ოცნებით, როდესაც ქრისტესთან ახლო ურთიერთობაში ვიმყოფებით. მას უყვარხარ შენ და სურს შენი ცხოვრების მეშვეობით წარმოშვას ახალი. ღმერთის აღთქმებისადმი ძლიერი რწმენა შენს *მიზანთან* მისასვლელი ბილიკია. როცა მისი ნათქვამის გჯერა, მიუხედავად სირთულეებისა, ის შენს ოცნებას აასრულებს.

გახსოვდეს...

როდესაც მთელი ჯოჯოხეთი აჯანყებულია და ყველაფერი უკუღმა მიდის, *იდექი*! მნიშვნელობა არ აქვს რამდენი კვირა და თვეა გასული, *იდექი*. როცა ყველაფერი გააკეთე რაც შეგეძლო, *იდექი*. იდექი ჭეშმარიტებაში, რადგან ჭეშმარიტება უძლებს დროის გამოცდას! ვერც ქალი, ვერც კაცი და ვერც ეშმაკი ვერ შეძლებს შენს ჩამოშორებას ღმერთის ნებისაგან! შენი ცხოვრება მხოლოდ ღმერთის ხელშია.

გაქვს ღმერთისაგან მოცემული ისეთი ოცნება, რომელსაც შენი ახლობლები ვერ იგებენ და უკვირთ? მოკლედ აღწერე ეს ოცნება. დაწერე ისიც, თუ რით დაგიდასტურა უფალმა, რომ ეს ოცნება მისგან არის.

ოცნება, რომელიც ღმერთმა მომცა და ის, რითაც მან დამიდასტურა რომ ეს ოცნება მისგან მომდინარეობს:

ყურადღებით წაიკითხე ებრ. 10:35-19 და იაკ. 1:3-4; რატომ გვიანდება შენი ოცნების ახდენა? რას ავითარებს ღმერთი შენში?

შენი ბედი, მხოლოდ შენ შეგიძლია დაანგრიო. შენი ოცნების არ ასრულების ყველაზე დიდი საფრთხე *ურწმუნოებაა*. ისრაელმა ურწმუნოების გამო ვერ შეძლო აღთქმულ მიწაზე შესვლა. უთმობ ადგილს ურწმუნოებას? თუ დიახ, როგორ?

თუ ღმერთმა აღგითქვა რაიმე, *ის მოხდება*. მაგრამ საქმე იმაშია, იქნები კი მზად ამისთვის? იოსებს დრო არ ჰქონდა, რომ მისთვის ელოცათ, რათა ღმერთისგან მოესმინა. ის მზად უნდა ყოფილიყო. რას აკეთებ იმისათვის, რომ *მომზადებული* შეხვდე ღმერთის ამოქმედებას? რისი გაკეთება შეგიძლია იმისათვის, რომ სათანადოდ მოუარო შენს ოცნებას, სანამ დაიბადება?

აწარმოე ჩანაწერები შენი ოცნების შესახებ. ეს ინფორმაცია მომავალში გაგამხნევებს და ღმერთის ერთგულებას შეგახსენებს.

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე აღმატებული ფორმა მუდმივი მორჩილებაა. როდესაც განსაცდელებშიც კი ღმერთს ემორჩილები, ქრისტეს ხასიათი იზრდება შენში. ღმერთისადმი სრული მორჩილება შენს აზროვნებაში არსებული მტრის სიმაგრეების დანგრევის საფუძველია. სრული მორჩილებაა ის, რასაც ღმერთის სასუფეველში ძალაუფლების ახალ დონეზე აყავხარ.

შენიშვნები

(1) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (2) Christian quotes on Trust (retrieved 8/13/11, http://dailychristianquote.com/dcqtrust.html). (3) Adapted from: the Life Application Bible copyright © 1988, 1989, 1990, 1991 Tyndale House Publishers, Inc. Wheaton, IL 60189. All rights reserved. (New International Version edition; dates found in the Chronology of Bible Events and World Events, just before Genesis). New International Version edition is published jointly by Tyndale House Publishers, Inc. and Zondervan Publishing House. (4) Adapted from The Word In Life™ Study Bible copyright © 1993, 1996 by Thomas Nelson, Inc. Used by Permission (New King James Version, p. 80). (5) Quotes by Kay Arthur (retrieved 8/13/11, http://dailychristianquote.com/dcqarthur.html). (6) Stories for the Heart, compiled by Alice Gray (Sisters, OR: Multnomah Publishers, Inc., 1996) "Choosing," p. 66. (7) See note 1. (8) Quotes by Amy Carmichael (retrieved 8/13/11, http://dailychristianquote.com/dcqcarmichael.html). (9) Adapted from Strong's Exhaustive Concordance of the Bible, James Strong, LL.D., S.T.D. (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 1990). (10) Adapted from Thayer's Greek-English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 471. (11) Adapted from Sparkling Gems from the Greek, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003) p. 918-919. (12) See note 9. (13) See note 10, p. 628.

„რწმენის ლოცვა იხსნის ავადმყოფს. უფალი წამოაყენებს მას და, თუ რამ ცოდვები ჩაუდენია, მიეტევება“

-იაკობი 5:16(ინგ.ვერსია AMP)

თავი 11

შეუპოვარი ლოცვა

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-15 თავი და მოისმინეთ
ვიდეო კურსის მე-11 გაკვეთილი

1. ლოცვა შეუპოვარი ცხოვრების უმთავრესი ნაწილია. ეს მოვლენა არ არის. ეს არის ცხოვრების გზა. ამიტომაც ვკითხულობთ 1 თეს. 5:17-ში: „ილოცეთ დროულად და უდროოდ“. საკუთარი სიტყვებით აღწერეთ, თუ რა მნიშვნელობა და ფასეულობა გააჩნია ლოცვას თქვენს ცხოვრებაში.

გზის მაჩვენებელი

„ლოცვა – ეს ქრისტიანული ცხოვრების წყაროა, ქრისტიანული გზაა. ...სატანის მთავარი სტრატეგია ყოველთვის იყო ყურში ეჩურჩულა ღმერთის ხალხისთვის: „არ მოუხმო, არ სთხოვო, ნუ გექნება იმედი რომ ღმერთი დიდ საქმეებს გააკეთებს. საკუთარი ძალით უფრო კარგად შეძლებ“. საქმე იმაშია, რომ ეშმაკს ადამიანის შესაძლებლობების სულაც არ ეშინია. მაგრამ მან იცის, რომ თუ ჩვენი გულები ღმერთის ხელში იქნება, მისი სამეფო დაირღვევა“.

ჯიმ სიმბალა

ლოცვა უფრო ღრმა შემეცნებისთვის

ახალ აღთქმაში დაახლოებით ათი სიტყვა გამოიყენება ლოცვის აღსანიშნავად. ყველაზე მეტად გამოყენებულია proseuche (*პროსეუქე*), რომელიც 125-ჯერ ჩნდება. ის ორი სიტყვისგან მომდინარეობს: pros (*პროს*) და euche (*ეუქე*). pros (*პროს*) ნიშნავს „მიმართ“ და აღნიშნავს „სიახლოვის შეგრძნებას, ინტიმურობას და პირისპირ სიახლოვეში ყოფნას“. euche (*ეუქე*) არის სიტყვა, რომელიც ისეთ სურვილს ან ნატვრას გამოხატავს,

რომელიც ფიცთან არის დაკავშირებული. უწინ ეს იმ ადამიანს აღწერდა, ვისაც დიდი საჭიროება ჰქონდა და პასუხისათვის ლოცვით მიმართავდა ღმერთს. ის აღთქმას დებდა მის წინაშე, რომ პასუხის სანაცვლოდ რაიმე ძვირფასს შესწირავდა. euche (*ეუქე*) მაგალითია ხანას ლოცვა და ის ფიცი, რომლითაც მან საკუთარი შვილი აღუთქვა ღმერთს (1 მეფ. 1-2:11).

ლოცვის (*ეუქე*) შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდა ასევე მადლობის შეწირვა, ქება და თაყვანისცემა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ ლოცვა ეს არის ახლო მოზიარეობისათვის საჭირო საშუალება, რომელსაც პირისპირ კონტაქტში შევყავართ ჩვენს ზეციურ მამასთან. ის გამოხატავს ჩვენს სიყვარულს და გულიდან წამოსულ მადლიერებას, ქებასა და თაყვანისცემას მისი პიროვნებისა და მისი აღსრულებული ღვაწლის გამო.

G 2. ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივმართოთ ღმერთს *ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს* და *ნებისმიერი საკითხისთვის*. ლოცვა ეს არის მიმდინარე, მაცოცხლებელი ურთიერთობა ჩვენსა და ზეციერ მამას შორის. ყურადღებით წაიკითხე ეს მუხლები, რომლებიც ღმერთის თანდასწრებაში გეპატიჟებიან.

„რომელშიც გვაქვს სითამამე [იესოში] და საიმედო [თავისუფალი] მისადგომი [ღმერთთან მისვლის დაუმსახურებელი შესაძლებლობა] მისი რწმენის მეშვეობით“
-ეფესელთა 3:12 (ინგ.ვერსია AMP)

„აბა, თამამად [უშიშრად, გაბედულად] მივეახლოთ მადლის ტახტს [ღმერთის დაუმსახურებელი კურთხევების ტახტს], რომ მივიღოთ წყალობა [ჩვენი წარუმატებლობისთვის [და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის [აუცილებელი და თანადროული, მაშინ, როცა ამა ვსაჭიროებთ]“
-ებრაელთა 4:16 (ინგ.ვერსია AMP)

„ამრიგად, ძმანო და დანო, ჩვენ შეგვიძლია გაბედულად შევიდეთ ყველაზე წმინდა ადგილას ზეცაში იესოს სისხლის მეშვეობით. ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა მან ფარდით, ესე იგი, თავისი ხორცით, და გვყავს მღვდელმთავარი, რომელიც მეფობს ღვთის სახლზე. მივუახლოვდეთ მას გულმართლად და სრული რწმენით, ბოროტი სინდისისაგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი“
-ებრაელთა 10:19-22 (ინგ.ვერსია AMP)

როგორი სიახლოვე სურს ღმერთს? რისი საშუალებით გეძლევა მასთან მისადგომელი? რისი მიღება შეგიძლია მის თანდასწრებაში?

„ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით, და მუდამ იფხიზლეთ ამაზე ყოველგვარი სიმედგრით და ლოცვით ყველა წმიდისათვის“
-ეფესელთა 6:18 (ინგ.ვერსია NNIV)

G 3. იესომ იცოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ფასეული რამ იყო ლოცვა. მთაზე ქადაგებისას, მან გადმოგვცა ის, თუ რისგან უნდა შედგებოდეს ლოცვა. გაიაზრე მისი სიტყვები და მოუსმინე რას გეტყვის უფალი ლოცვის შესახებ.

„ხოლო ლოცვის დროს ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს წარმართებივით[სხვა რელიგიური შეხედულებების მქონე ადამიანების მსგავსად], ვინაიდან მათ ჰგონიათ, რომ თავიანთი მრავალსიტყვაობის გამო შესმენილ იქნებიან. ნუ მიბაძავთ მათ, ვინაიდან თქვენმა მამამ იცის, რა გიჭირთ თქვენ, ვიდრე სთხოვდეთ.თქვენ კი ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს. და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა ჩვენთა. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ“

-მათე 6:7-13(ინგ.ვერსია NLT)

ლოცვის რა პრინციპებს გიჩვენებს სულიწმიდა იესოს სიტყვებში?

_____

_____

_____

4. რადგანაც ლოცვა ღმერთთან მოზიარეობაა, ის საუბარსა და *მოსმენას* გულისხმობს. ღმერთი გელაპარაკება და შენ შეგიძლია მოუსმინო მას. იფიქრეთ შემდეგ მუხლებზე.

„ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი. მეკარე უღებს მას, ცხვარს ესმის მისი ხმა, იგი სახელით მოუხმობს თავის ცხვარს და გამოჰყავს ისინი.როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიუძღვის და ცხვარიც მისდევს მას, რადგან სცნობს მის ხმას. უცხოს არ გაჰყვება, გაექცევა, რადგან უცხოთა ხმას არ სცნობს“

-იოანე 10:2-5 (ინგ.ვერსია CEV)

„მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე, როგორც მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მამას. ჩემს სულს ვდებ ცხვართათვის. მე სხვა ცხვრებიცა მყავს, არა ამ ფარეხისა. მე ისინიც უნდა მოვიყვანო და მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი. ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ, და მე ვიცნობ მათ, და ისინი მე მომყვებიან“

-იოანეს 10:14-16,27 (ინგ.ვერსია NLT)

„მსხვერპლი და შესაწირავი არ ისურვე; ყურები გამიმახვილე[შენ მომეცი უნარი მოვისმინო და ვიყო მორჩილი]; სრულადდასაწველი და ცოდვის მსხვერპლი არ მოგითხოვია“

-ფსალმუნი 39:7 (ინგ.ვერსია AMP)

გზის მაჩვენებელი

„ლოცვა ეს უბრალოდ მოქმედება, რიტუალი ან ვალდებულება არ არის. არც ღმერთისათვის იმის თხოვნა, რომ ის გააკეთოს, რაც ჩვენ გვსურს. ეს არის მოზიარეობა და თანაზიარება ღმერთთან, რომელიც მის გულს ეხება. როდესაც ლოცვის ხელოვნების პრინციპებს ისწავლი, შენ დაიწყებ ღმერთთან მადლით, ძალით და გაბედულებით აღვსილ ურთიერთობას. ლოცვა რწმენით ცხოვრების ყველაზე საოცარი მხარეა. მას შესწევს ცხოვრებისა და გარემოებების შეცვლის ძალა, განსაცდელებში მშვიდობას და მოთმინებას გვანიჭებს, მართავს ერების ცხოვრების კურსს და ადამიანები ქრისტესთან მოყავს. ლოცვის ძალა – მორწმუნის მემკვიდრეობაა“.

მაილს მონრო

„თუ შენ მიატოვებ ღმერთის გზას და ამ გზიდან გადაუხვევ, შენს უკან გაიგონებ ხმას, რომელიც გეუბნება: აი გზა, მას გაჰყევით“
-ესაია 30:21 (ინგ. ვერსია TLB)

რას გეუბნება სულიწმიდა მისი ხმის მოსმენის უნარზე?

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: ღმერთი გვპირდება რომ გვიწინამძღვრებს: ფსალმ. 24:9; 12-14; 32:8; 47:14; და მათ. 28:20;

G 5. იმისათვის, რომ ღმერთის პასუხის მისაღებად გულმოდგინებით ვილოცოთ, საჭიროა ვიცოდეთ რა არის ღმერთის ნება კონკრეტული საჭიროებისთვის. ღმერთის ნების გაგება მისი სიტყვის ცოდნიდან მომდინარეობს. ასევე უნდა ვიცოდეთ ის, რომ სულიწმიდა იმას ადასტურებს, რაც ღმერთის სიტყვაშია ჩაწერილი.

„თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ“ -იოანე 15:7 (ინგ.ვერსია NLT)

„და აჰა, რა გულდაჯერება [რწმენა, გაბედულება, სიმამაცე] გვაქვს მის მიმართ, რომ, როცა რამეს ვთხოვთ [ვაუწყებთ ჩვენს თხოვნას] მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. ხოლო როცა ვიცით, რომ იგი გვისმენს, რასაც კი ვთხოვთ, ისიც ვიცით [ზუსტად], რომ გვაქვს, რაც მისგან ვითხოვეთ [გვაქვს აწმყოში]“
-1 იოანე 5:14-15 (ინგ.ვერსია AMP)

გახსოვდეს...

ჩვენი მიზანი არ არის ლოცვაში განუწყვეტელი ლაპარაკი; ეს არის მიღების მოლოდინი. მთავარი ყურადღება გადატანილია იმაზე, რომ რასაც ვითხოვთ მივიღებთ. ღმერთთან გაბედულებით მივდივართ, რადგან ვიცით, რომ მისი ნებისამებრ ვითხოვთ და რადგანაც ვიცით ეს, იგი ჩვენს თხოვნას უპასუხებს.

„რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში.თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ“ -იოანე 14:13-14 (ინგ.ვერსია TLB)

რატომ არის მნიშვნელოვანი ღმერთის ნების ცოდნა? რაში შეგიძლია იყო დარწმუნებული, როცა იცი მისი ნება?

_____

_____

_____

_____

_____

„შენი სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია. მასწავლე შესრულება შენი ნებისა, რადგან შენ ჩემი ღმერთი ხარ. შენი კეთილი სული წამიძღვეს სიმართლის ქვეყანაში“
-ფსალმუნი 39:9; 142:10 (ინგ.ვერსია AMP)

ეფექტური და გულმოდგინე

სიტყვა *„ეფექტურის“* ბერძნული ექვივალენტია energeo (*ენერგეო*). ეს ნიშნავს „თავის საქმეში აქტიურს და ძალიან ეფექტურს“. ვებსტერის მიხედვით *„ეფექტური“* არის „სასურველი, წინასწარგამიზნული შედეგის მიღება; სათანადო ძალის ქონა სასურველი ეფექტის მისაღებად; ნაყოფიერი, წრფელი“.

სიტყვა *„გულმოდგინეს“* ბერძნული ექვივალენტია zeo (*ზეო*), რაც ნიშნავს „ცხელს, დუღილს“. სწორედ ამ სიტყვიდან მომდინარეობს *მოშურნეობა*. ფრაზა *გულმოდგინე ლოცვა* მომდინარეობს ბერძნული სიტყვადან deisis (*დეისის*) და „გულმოდგინე, მოშურნე, გულიან, წრფელ ლოცვას“ ნიშნავს, რომელიც ღმერთის წინაშე აღევლინება კონკრეტული საჭიროებისათვის.

G 6. დიდი განსხვავებაა ღმერთისაგან რაიმეს მიღების სურვილსა და მონდომებას შორის. როდესაც მონდომება გვაქვს, გულმოდგინედ ვლოცულობთ. ყურადღებით წაიკითხე ქვრივისა და უსამართლო მსაჯულის ისტორია ლუკ. 16:1-8-ში. იესო გვეუბნება, რომ უსამართლო *მსაჯულისგან* ვისწავლოთ და არა ქვრივისგან. რას გეუბნება ეს ლოცვის მიმართ შენს დამოკიდებულებაზე?

„მღვდელთა სამსახურის წესით, მას წილად ხვდა კმევა და შევიდა უფლის ტაძარში.უამრავი ხალხი ლოცულობდა გარეთ კმევის დროს“
-ლუკა 1:9-10 (ინგ.ვერსია AMP)

7. როდესაც ელია გულმოდგინედ ლოცულობდა წვიმისთვის, ღმერთმა მას პატარა ღრუბლით დაანახა, რომ უპასუხა მის სათხოვარს. დღეს ჩვენი პასუხის დასტურად ფიზიკურ ღრუბელს აღარ ველოდებით. ჩვენ ველით სულიწმიდის დასტურს. აღწერე გზები, რომლის მეშვეობითაც ღმერთმა დასტური მოგცა, რომ შეისმინა შენი ლოცვა. თუ ყოფილა ისე, რომ ღმერთის დასტურს არ დალოდებიხარ? თუ ასეთი რამ მომხდარა, დაწერე როგორი იყო შენი რეაქცია.

გახსოვდეს...

უნდა გვახსოვდეს, რომ „ღმერთს იმაზე გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია ჩვენში მოქმედი თავისი ძალით, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ“ (ეფეს. 3:20). არ შეიძლება საზღვრულ, ადამიანურ გონებას ნება დავრთოთ შეავიწროვოს და შეზღუდოს ჩვენი აზროვნება და რწმენა. თუ მართლა გვწამს, მაშინ განუწყვეტლივ ლოცვაში ვიქნებით და მანამდე არ შეეწყვეტთ კაკუნს, სანამ მის დიდებას არ ვიხილავთ.

გზის მაჩვენებელი

„როდესაც განსაცდელი დგება, ხშირად უგულებელყოფთ განმარტოებულ ადგილს. იესო კი სრულიად საპირისპიროდ იქცეოდა. როდესაც განსაცდელი შეხვდებოდა, ის ლოცვისთვის განმარტოებულ ადგილას მიდიოდა. ამის მაგალითია მისი გეთსემანიაში ყოფნა... (ლუკ. 22:44). როდესაც იესოს სტკიოდა, ის ლოცულობდა. როდესაც ძალიან სტკიოდა, უფრო ძლიერად ლოცულობდა. *ეს იყო იესოს საიდუმლო, რამაც მას საშინელი ტანჯვები გადაატანინა. ლოცვით შეემზადა იგი ტკივილთან გასამკლავებლად.* თუ სწორად მოვიქცევით, განსაცდელი კურთხევად შეიძლება გვექცეს. ტკივილს შეუძლია ლოცვისათვის საჭირო დიდი ძალა წარმოშვას, თუ ამ დროს ღმერთთან უფრო ახლოს მივალთ, მისგან გაქცევის ნაცვლად“.

- ბობ სორჯი

8. ყოფილა ისე, რომ ბევრს ლოცულობდი იმისა-
G თვის, რომ ღმერთს კონკრეტული სიტუაცია შეეცვალა და შედეგი ვერ მიიღე? თუ დიახ, მოკლედ აღწერე ის სიტუაცია. როგორ გამხნევებს ელიას *შვიდგზის* ლოცვა წვიმისთვის და გიბიძგებს იყო უფრო უდრეკი?

_____

_____

_____

_____

_____

დამატებით ჯგუფის ლიდერისათვის: წაიკითხე ელიას ისტორია 3 მეფ. 18:41-45-ში და იაკ. 5:17-18-ში.

„უფალი ღმერთი მეხმარება მე, ამიტომ არა ვარ შერცხვენილი, ამიტომ გავიკაჟე ჩემი სახე, და ვიცი, არ შევრცხვები“

-ესაია 50:7 (ინგ.ვერსია AMP)

9. გულმოდგინე ლოცვა ეფექტურია და იგი დიდი მოშურნეობიდან იბადება. შეჩერდი და ჰკითხე საკუთარ თავს: *რისთვის გიზგიზებს ცეცხლი ჩემს გულში? რა უღმერთოება და უსამართლობა მინდა ვიხილო შეცვლილი როგორც ჩემს, ასევე სხვების ცხოვრებაში? ვისთვის ან რისთვის სურს ღმერთს გულმოდგინედ ვიშუამდგომლო ლოცვაში?* მდუმარებაში მყოფმა, სთხოვე ღმერთს გარჩევის უნარი მოგცეს. დაწერე რასაც ის გეტყვის.

ღმერთს სურს, რომ გულმოდგინედ ვლოცულობდე შემდეგი საკითხებისთვის:

_____

_____

_____

_____

_____

10. ისეთი დავალება მოგცა ღმერთმა მისი სახელის განსადიდებლად, რომ შესრულება შეუძლებელი გეჩვენება? დაკავშირებულია ეს იმ ოცნებასთან, რომელიც მე-10 თავში დაწერე? მოკლედ ჩამოაყალიბე შენი აზრი. ილოცე და სთხოვე ღმერთს დასტური, რომ ეს მისგან არის.

თუ დაადასტურებს, სთხოვე მოგცეს მადლი და დაგანახოს რა კონკრეტულ მოქმედებას ელის შენგან.

იდეა, რომელიც ღმერთმა ჩადო გულში, არის...

ამ იდეის განსახორციელებლად საჭიროა მოქმედებები, რომელიც მე უნდა განვახორციელო, ესენია..

მთელი კვირის ამოცანა

აიღე რვეული ან ბლოკნოტი და მასში ჩაიწერე შენი ლოცვები და მათზე გაცემული პასუხები. ერთ სვეტში ჩაწერე შენი სათხოვრები და თარიღები, როდესაც დაიწყე ლოცვა. გულმოდგინედ აღიარე ღმერთის აღთქმები თითოეული სიტუაციის მიმართ მანამ, სანამ პასუხს არ მიიღებ. მეორე სვეტში ჩაწერე პასუხის მიღების თარიღი და ის, თუ რა გზით მოხდა ეს. ასეთი მეთოდი მოგცემს უნარს რომ ბეჯითი იყო ლოცვებში და იზეიმო ამ ლოცვების მეშვეობით ღმერთის მოქმედების გამოვლინება. აწარმოე ასეთი ჩანაწერები სულ ცოტა 30 დღის მანძილზე.

გზის მაჩვენებელი

„როდესაც ვინმესთვის ვლოცულობთ, ჩვენ *ვშუამდგომლობთ*. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც მათ გამო ღმერთთან კონტაქტს ვამყარებთ, მენტალურად მათ ცხოვრებაში ვიღებთ მონაწილეობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლოცვის ერთადერთ ასპექტს არ წარმოადგენს, თუმცა შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს... არ არსებობს სხვის ცხოვრებაში უფრო მეტი წვლილის შეტანა, ვიდრე გულმოდგინე ლოცვა. ლოცვა უფრო მეტი დახმარებაა, ვიდრე ფულის სახით გაცემული საჩუქარი; უფრო გამამხნევებელი, ვიდრე ძლიერი ქადაგება; უფრო ეფექტური, ვიდრე კომპლიმენტი; უფრო სარწმუნო, ვიდრე ფიზიკური ჩახუტება“.
- ჩარლზ სვინდალი

გახსოვდეს...

ნუ იქნები მორიდებული ღმერთის წინაშე – ნუ შეგრცხვება თხოვნის. იყავი გაბედული, ძლიერი და კონკრეტული. ღმერთის წინაშე ჩვენი დაჟინებულობა არა უკიდურესი მდგომარეობიდან, არამედ გაბედულებიდან – რომ ის ჩვენი ზეციერი მამაა და მოგვცემს იმას, რასაც მისი სახელით ვითხოვთ – მომდინარეობს. რას ელოდები? შენს გარშემო დიდი საჭიროებებია. ირგვლივ მრავალი ადამიანია, ვისაც ღმერთთან შენი შუამდგომლობა და ლოცვა სჭირდება. იყავი მათთვის სინათლე! ახლავე მიმართე ღმერთს შეუპოვარი დაჟინებულობით!

მაგალითი

ჩემი სათხოვარი	ღმერთის პასუხი
თებერვალი 12 – სამუშაო სრული დროით. საჭიროა, რომ გამოჩნდეს ორ კვირაში. ფილ. 4:19; მათ. 6:25-34;	თებერვალი 20 – სამუშაო შემოთავაზებულია დასაქმების კომპანიის მიერ.

დღე 1 ეფექტური ლოცვისთვის საჭირო გარემოებების შექმნა

„ისმინე, უფალო, ვედრება ჩემი, ყური მოაპყარ ჩემს ლოცვას“

-ფსალმუნი 60:2

ყოველ ჩვენგანს სურს, რომ მისი ლოცვა ეფექტური იყოს, ღმერთმა მოისმინოს და გვიპასუხოს, როდესაც მას მოვუხმობთ. წმინდა წერილი ნათლად წარმოგვიჩენს პასუხგაცემული და უპასუხო ლოცვების მიზეზებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოცემული მუხლების ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის, ის შეგახსენებს დავიწყებულ საკითხებს და თვალს აგიხელს, რომ ახალი ჭეშმარიტებები დაინახო.

ეფექტური ლოცვისათვის საჭირო რა პირობებია მოცემული წმინდა წერილში?

2 ნეშტთა 7:14 _____

ფსალმუნი 33:11-18 _____

ფსალმუნი 90:14-15 _____

იერემია 29:12-13 _____

მათე 21:21-22; მარკოზი 11:24 _____

იოანე 15:7; 1 იოანე 3:21-24 _____

რომელი მახასიათებლები მოქმედებს თქვენს ცხოვრებაში? როგორ შეგიძლია სხვა მახასიათებლების განვითარება?

_____

ზოგჯერ ჩვენს ლოცვაზე პასუხი ყოვნდება. *წაიკითხე* დან. 10:10-14 და იოან. 11:1-6; გამოყავი ამის ორი მიზეზი.

_____

ქვემოთ მოცემულ მუხლებში რა წარმოადგენს **პასუხგაუცემელი ლოცვების** საერთო **მიზეზს**?

ფსალმუნი 65:18; ესაია 59:1-1 _____

იგავები 21:13 _____

იგავები 1:28-31; 28:9 _____

მარკოზი 11:25; მათე 5:23-24 _____

მარკოზი 6:5-6; იაკობი 1:6-7 _____

იაკობი 4:3 _____

სთხოვეთ უფალს გაჩვენოთ რომელიმე თუ მოქმედებს თქვენს ცხოვრებაში. მოინანიე და ითხოვე მადლი, რათა ის ნაბიჯები გადადგა, რომელსაც უფალი მიგითითებს. დაწერე, რასაც ის გაგიცხადებს.

_____

დღე 2 თაყვანისცემის ძალა

„უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“

-მათე 4:10 (ინგ.ვერსია The Message)

ლოცვა და თაყვანისცემა განუყოფელია. ორი ბერძნული სიტყვიდან, რომელიც ძირთადად გამოიყენება, ლოცვის განსაზღვრებისათვის, ერთი *თაყვანისცემაა*. თაყვანისცემა გაცილებით მეტია, ვიდრე სიმღერა. იესომ თქვა: „ღმერთისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ხარ და როგორი ცხოვრებით ცხოვრობ. შენს თაყვანისცემაში ჭეშმარიტებას დაწაფული შენი სული უნდა იყოს ჩართული. სწორედ ასეთ ადამიანებს ეძებს მამა: რომლებიც უბრალოებით და სიწრფელით დგანან მის წინაშე თაყვანისცემაში. ღმერთი სულია. ვინც მას ეთაყვანებიან, ამას მთელი თავისი არსებით უნდა აკეთებდნენ - მთელი სულით, მთელი არსებით, თავმდაბლობით და მისადმი მოკრძალებით (იოან. 4:23-24; ინგ. ვერსია „The Message“).

თაყვანისცემა

ახალ აღთქმაში თაყვანისცემის აღსანიშნავად ყოველთვის ბერძნული სიტყვა proskueno (*პროსკუენო*)გამოიყენება, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: pros (*პროს)* და kueno (*კუენო)*. pros (*პროს)*, რომელიც ასევე სიტყვის „ლოცვა“ შემადგენლობაშიც შედის, ნიშნავს „მიმართ“ და გამოხატავს „პირისპირ სიახლოვის შეგრძნებას“. kueno*(კუენო)* კი კოცნას ნიშნავს. თუ ამ ორი სიტყვის ერთობლიობას განვმარტავთ, მივიღებთ „პიროვნების ძირს გართხმა თაყვანისცემაში“. თაყვანისცემა ნიშნავს პატივისცემას, გაღმერთებას, უზარმაზარი სიყვარულის გამოხატულებას და მორჩილებას.

ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით თაყვანისცემა (ინგლისურად worship) ორი სიტყვისგან, worth (ღირებულება) და ship (გემი), შედგება. თაყვანისცემა ნიშნავს ღმერთის, როგორც დიდად ღირებულის, ძვირფასის დანახვას და მის მიმართ მადლიერებით, ქებით, ჩვენი საქმეებით და ცხოვრებით პატივისცემას გამოხატვას.

როგორ გამოხატავ ღმერთისადმი შენს პატივისცემას? როგორ გამოხატავს იგი შენდამი თავის სიყვარულს? გამოყოფ დროს თაყვანისცემისთვის?

როდესაც ვიღაც შეაქებს შენს საქმეს ან ხასიათს, რაც ფასეულობას მატებს შენს პიროვნებას, რა შეგრძნება გეუფლება ამ დროს? რა შეგრძნება გეუფლება იმ პიროვნების მიმართ? როგორ ფიქრობ, რას გრძნობს ღმერთი, როდესაც თაყვანს სცემ?

წაიკითხე საქმე 16:23-40. ჩამოთვალე ის გამოვლინებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა ტანჯვის დროს პავლე და სილა ღმერთს ეთაყვანებოდნენ. რას გეუბნება ეს შენ?

დღე 3 იესოს სახელით ლოცვის ძალა

„ამიტომ ღმერთმაც აღამაღლა იგი და მიანიჭა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი. რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციერმა, მიწიერმა და ქვ ესკნელელმა“ -ფილიპელთა 2:9-10 (ინგ.ვერსია NASB)

იესოს სახელი ძლიერი იარაღია. ყველაფერი, რაც წერილებშია აღთქმული, მხოლოდ იესოს სახელით გვეძლევა! ეს არის ყველა სახელზე აღმატებული სახელი, „და სხვაში არავისში არ არის გადარჩენა; არ არის სხვა სახელი ცის ქვეშ... რომლითაც გადავრჩებით“ (საქმ. 4:12;).

გაიაზრეთ ეს მუხლები, სადაც იესოს ბრწყინვალე აღთქმებია მოცემული:
„რასაც კი სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მოგცეთ თქვენ“
-იოანე 15:16 (ინგ.ვერსია CEV)

„ასე მოიქეცით: მამას სთხოვეთ ყველაფერი,რაც ემთხვევა იმას, რაც გაგიცხადეთ. სთხოვეთ ჩემი სახელით, ჩემი ნების შესაბამისად, და მოგეცემა. ჩვენი სიხარული დიდი იქნება“ -იოანე 16:23-24 (ინგ.ვერსია The Message)

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ. რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ“ -იოანე 14:12,14 (ინგ.ვერსია NLT)

რას ლაპარაკობს სულიწმიდა იესოს სახელით ლოცვის შესახებ?

წაიკითხე საქმ. 2:3; 4:11-12; 10:43; ლუკ. 24:47 და 1 იოან. 2;12; ამ მუხლების მიხედვით, რა გეკუთვნის შენ და მთელს კაცობრიობას იესოს სახელის მეშვეობით?

წაიკითხე იოან. 1:12; და 20:31; ამ მუხლების მიხედვით რა გეკუთვნის შენ იესოს სახელით?

წაიკითხე რა მოიმოქმედა ღმერთმა პეტრეს და იოანეს მეშვეობით საქმე 3:1-10-ში და რა იყო სინედრიონის პასუხი საქმ. 4:17-18-ში. რას გეუბნება ეს იესოს სახელის შესახებ?

დღე 4 ღმერთის სიტყვით ლოცვის ძალა

„ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი[ქირურგის სკალპელზე უფრო ბასრი. ის ჭრის ყველაფერს, იქნება ეს ეჭვი თუ დაცვა; რაც გვაიძულებს მოვუსმინოთ და შევასრულოთ]. არცერთი ქმნილება არ არის დაფარული მისი ხედვისგან, არამედ ყოველივე გაშიშვლებული და ღიაა მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშსდა ახლა, როცა ჩვენ გვყავს დიდი მღვდელმთავარი, რომელმაც გაიარა ზეცა, იესო, ღვთის ძე, მტკიცედ გვეჭიროს აღს არება“ -ებრაელთა 4:12-13 (ინგ.ვერსია The Message)

ღმერთის სიტყვა ცოცხალია! მისი სიტყვა სიცოცხლეა! (იოან. 6:63; 2 რჯ.32:45-47). როგორ შექმნა მან სამყარო? *სიტყვით* (იოან. 1:1-3). რა გამოგზავნა კაცობრიობის გამოსასყიდად? *სიტყვა* (იოან. 1:14). რა მოგვცა იესომ ჩვენს გადასარჩენად და გასაწმედად? *სიტყვა* (ფსალმ.137:2).

იფიქრეთ ქვემოთ მოცემულ მუხლებზე:

„ღმერთთან არავითარი სიტყვა არ დარჩება შეუძლებელი, შეუსრულებელი“ -ლუკა 1:37 (ინგ.ვერსია AMP)

„მითხრა მე უფალმა: „კარგად ხედავ, რადგან მე ვაჩქარებ ჩემს სიტყვას შესასრულებ ლად“ -იერემია 1:12 (ინგ.ვერსია NASB)

„ადიდეთ უფალი, ანგელოზნო მისნო; ძალით ძლიერნო, მისი სიტყვის შემსრულებელნი ემორჩილებიან მის ნათქვამს“ -ფსალმუნი 102:20 (ინგ.ვერსია NKJV)

რა აღთქმა მოგვცა ღმერთმა თავის სიტყვასთან მიმართებით იერემიას 1:12-ში? რას გეუბნება შენ ეს?

როგორ პასუხობენ ღმერთის სიტყვას უხილავი, მაგრამ ძლიერი ანგელოზთა ძალები? იხ. ებრ. 1:14;

კითხვა მდგომარეობს შემდეგში – *გჯერა ეს?* თუ დიახ, მაშინ როგორ აღგაფრთოვანებს ეს ჭეშმარიტებები? თუ არ გჯერა, რატომ? სთხოვე ღმერთს დაგანახოს რა აბრკოლებს შენს რწმენას. გამოათავისუფლე ეს მის წინაშე და იფიქრე რიცხვ. 23:19-ზე.

„ასეთი იქნება ჩემი სიტყვა, რომელიც გამოდის ჩემი პირიდან;
არ დამიბრუნდება ცარიელი, რადგან მოიმოქმედებს იმას, რაც მე მწადდა, და
წარმატება ექნება იმაში, რისთვისაც მე მივავლინე“
-ესაია 55:11 (ინგ.ვერსია GW)

დღე 5 იესოს სისხლის ძალა

„გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით და არ შეიყვარეს მათი სული თვით სიკვდილამდე“ -გამოცხადება 12:11 (ინგ.ვერსია CEV)

იესო ქრისტეს სისხლი ძლიერია! როდესაც გვწამს, რომ მან ჩვენი ცოდვების საფასური გადაიხადა, ჩვენ გამოსყიდულნი ვართ ღმერთის რისხვისგან (იხ. რომ. 5:9). ქრისტეს სისხლი მხოლოდ ხარების და თხების სისხლის მსგავსად არ ფარავს ჩვენს ცოდვებს. მისი სისხლი გვწმენდს ცოდვებისგან ერთხელ და სამუდამოდ (იხ. ებრ. 10:4; 11-12). როდესაც მასში ვრჩებით, ის გამუდმებით წმენდს ჩვენს სინდისს (ებრ. 9:14; 1 იოან. 1:7). მისი სისხლით ჩვენ შეგვიძლია გაბედულად შევიდეთ ღმერთის თანდასწრებაში ლოცვით (იხ. ებრ. 10:19). დიდება ღმერთს იესოს წმიდა სისხლისთვის!

საოცარი ფაქტები სისხლის შესახებ:

- ადამიანის სხეულში 5 ლიტრამდე სისხლია;
- სხეულის ყოველი უჯრედი იკვებება და იწმინდება სისხლის მეშვეობით. თუკი სისხლი მოძრაობას შეწყვეტს, სიცოცხლეც შეწყდება;
- სისხლის ორი მთავარი შემადგენელი ნაწილია *სისხლის წითელი* და *თეთრი უჯრედები*;
- თეთრი უჯრედები სხეულს დაავადებისგან იცავენ;
- წითელი უჯრედები ჯანგბადით და საკვებით ამარაგებენ უჯრედებს;
- სისხლის უჯრედები სხეულის თითოეული უჯრედს ნარჩენებისგან ათავისუფლებენ;
- ჩვენს ხეულში ყოველ 23 წამში 5 ლიტრი სისხლი ცირკულირებს.

ყურადღებით წაიკითხეთ სისხლის შესახებ მოცემული ფაქტები. რა მსგავსებას ხედავთ ქრისტეს სისხლთან, რომელიც სულიერად მოქმედებს ჩვენში – ქრისტეს სხეულში?

წაიკითხე გამოსვლა 12:1-13; რაც ისრაელიანებმა ფიზიკურად გააკეთეს, ჩვენ სულიერად უნდა გავაკეთოთ რწმენით. **დაწერე ლოცვა**, აღიარე მასში ქრისტეს სისხლის ძალა შენს მიმართ, შენი შვილების, შენი სახლის, შენი ფინანსების და ყველაფრის მიმართ, რაც მან მოგანდო.

დაუფიქრდი ამას: ექნებოდა იესოს სახელს ძალა მისი დაღვრილი სისხლის გარეშე? ექნება რაიმე ძალა ღმერთის სიტყვით ლოცვას ქრისტეს სისხლის გარეშე? ექნება ღმერთის მიერ ჩვენთვის მოცემულ იარაღს რაიმე ძალა ქრისტეს სისხლის გარეშე? ყურადღებით წაიკითხე შესავალი აბზაცი და დაწერე ლოცვა, რომელშიც მადლიერებას და ქებას გამოხატავ მის მიმართ, ვინც შენთვის თავისი წმინდა სისხლი დაღვარა.

დღე 6 სულით ლოცვის ძალა

„ხოლო თქვენ, მეგობრებო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით“ -იუდა 1:20(ინგ.ვერსია GNT)

რა წუთიდანაც ღმერთის გადარჩენის უსასყიდლო საჩუქარს ვიღებთ მისი ძის იესო ქრისტეს მეშვეობით, იმ წუთიდან ზეციდან ვიშვებით და შევდივართ მის სასუფეველში. მამა ღმერთის და იესო ქრისტეს სული შემოდის და მკვიდრდება ჩვენში (იხ. იოან. 14:23). პირველად ეს იესოს აღდგომის შემდეგ მოხდა, როდესაც ის დაკეტილი კარებიდან გამოეცხადა მოწაფეებს. იოან. 2:21-22 ამბობს: „იესომ უთხრა: „მშვიდობა თქვენდა! როგორც მამამ წარმომგზავნა თქვენთან, ასევე ggზავნით თქვენ“. ამის შემდეგ სული შეუბერა და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა“.

ზეცად ამაღლებამდე, იესომ მოწაფეებს უთხრა, დარჩენილიყვნენ იერუსალიმში მანამ, სანამ სულიწმიდით ნათლობის ნიჭს არ მიიღებდნენ (იხ. საქმ. 1:4-5,8). იესო ამბობს, რომ **სულით ნათლობა ძალით შემოსვაა** (იხ. ლუკ. 24:49). დიახ, სულიწმიდა ცხოვრობდა მათში, მაგრამ სულით ნათლობა მკვეთრად განსხვავებული რამაა (იხ. საქმ. 8:12-17). ეს არის ღმერთის უზენაესი მმართველობის უდიდესი გამოვლინება. იმისათვის, რომ ისინი იესოს მოწმეები ყოფილიყვნენ, უკეთურ წუთისოფელში საჭირო იყო სულით აღვსილიყვნენ. დღესაც ეს გვჭირდება.

ვინ არის შენთვის სულიწმიდა?

ის არის შენი ნუგეშისმცემელი, დამრიგებელი და ჭეშმარიტების გამცხადებელი. იოან. 14:16-17; 15:26; 16:7-15.
ის არის შენი მასწავლებელი. მათ. 10:19-20; ლუკ. 12:11-12; იოან. 14:26; 1იოან. 2:27;
ის არის შენი მადლის წყარო.....ებრ. 10:29;
ის არის შენი მეგზური.....საქმ.10:19-20; 13:2; რომ. 8:14; გალ. 5:16-26;
ის არის შენი სიცოცხლის მომცემი.....იოან. 6:63; რომ. 8:2, 6,11; 2 კორ. 3:6;
ის არის შენი ძალა.....ლუკ. 24:49; საქმ. 1:8;

იესოს თქმით, რა ნიშნები ახლდა ამ ძლიერ აღვსებას? ვის მიეცა ეს აღთქმა? *წაიკითხე* მარკ. 16:17; საქმ. 2:4, 38-39; 10:44-46 და 19:3-6.

მეერგასე დღეს სულიწმიდით აღვსებამდე, მოწაფეები ჩარაზული კარის მიღმა იმალებოდნენ. რა გავლენა იქონია მათზე *ძალით შემოსვამ?* რა გავლენა ექნება ამას შენზე? *წაიკითხე* საქმ. 4:8-13; 31-35; და 5:27-42.

როდესაც განსაცდელების დროს ლოცვა გჭირდება, როგორ გეხმარება სულიწმიდა? წაიკითხე რომ. 8:26-27;

_____

_____

_____

_____

სულიწმიდით ნათლობის ნიჭი, *აღვსების* მიმდინარე პროცესია და არა ერთჯერადი მოვლენა. ამიტომაც ამბობს პავლე: „მუდამ აღივსენით სულით“. და იუდაც გვეუბნება: „აღივსენით თქვენი თავი უწმინდეს რწმენაზე. ილოცეთ სულიწმიდის ძალით“ (ეფე. 5:18; იუდ. 1:20).

ოდესმე თუ მიგიღია სულიწმიდით ნათლობის ნიჭი? თუ არა, გაქვს ამის *სურვილი*? მხოლოდ ითხოვე. იესომ თქვა, „...თქვენი ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“ (ლუკ. 11:13). როდესაც სულიწმიდას ითხოვ, *მიიღებ*. საქმ 2:4 ამბობს: „და ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და სხვა ენებზე იწყეს ლაპარაკი, ისე როგორც სული ამეტყველებდა მათ“. სიტყვა *მეტყველება* ნიშნავს „ბგერების, მარცვლების და სიტყვების წარმოთქმას“. ლოცვის შემდეგ შენ იგრძნობ, რომ შიგნიდან ბგერას ან სიტყვას სურს ამოხტომა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისულელედ შეიძლება მოგეჩვენოს, მაინც ***წარმოთქვი***! სულიწმიდა გაძლევს მეტყველებას, მაგრამ შენ უნდა აამოძრავო ბაგე, ენა და ხმის იოგები, რათა წარმოთქვა ის, რასაც შენს ბაგეზე დებს.

მზად ხარ მისაღებად? გჯერა, რომ მიიღებ რასაც ითხოვ? მზად ხარ, რომ მიენდო სულიწმიდას? მაშინ ილოცე...

ლოცვა აღთქმული სულიწმიდის ნიჭის მისაღებად

მამაო, მოვდივარ იესოს სახელით. უპირველეს ყოვლისა, ვინანიებ ყველა ცოდვას, რამაც შეიძლება ხელი შემიშალოს, მათ შორის უპატიებლობის ცოდვასაც. შენი მადლით და ჩემი ნების გამოვლინებით, ვათავისუფლებ ყველას, ვინც კი წყენა მომაყენა და ვაკურთხებ მათ ყოველივე საუკეთესოთი; მადლობა, რომ მწმენდ იესოს სისხლით.

ახლა, როგორც შენი შვილი, გთხოვ შენს მიერ აღთქმულ სულიწმიდის ნიჭს. შენ თქვი, რომ თუ გთხოვ სულიწმიდას, შენ მომცემ. ამიტომ, ახლა, რწმენით გთხოვ მომნათლე შენი სულიწმიდით. ვიღებ ყველაფერს, რაც შენ ჩემთვის გაქვს, მათ შორის ახალ ზეციურ ენებზე ლაპარაკის უნარს. ახლა, მე რწმენით ვილაპარაკებ ახალ ენებზე, იესოს სახელით!

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

ლოცვა ღმერთთან სასიცოცხლო მნიშვნელობის ურთიერთობის საშუალებაა. ის ადგილმდებარეობაზე არ არის დამოკიდებული. შენ შეგიძლია ილოცო ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ საკითხზე. მთავარი მხოლოდ მოდრეკილი გულია. ეფექტური ლოცვა გულმოდგინე ლოცვაა, რომელიც დინამიურ ძალას ათავისუფლებს ნებისმიერ სიტუაციაში. როდესაც შენს ცხოვრებაში ღმერთის ნების საწინააღმდეგო მდგომარეობები იქმნება, ესწრაფე ღმერთის თანდასწრებაში ყოფნას; ითხოვე, ეძიე და მანამდე აკაკუნე, სანამ სულიწმიდა პასუხს არ დაგიდასტურებს.

(1) Jim Cymbala, Fresh Wind, Fresh Fire (Grand Rapids, MI: Zondervan Publishing House, 1997) pp. 50, 56. (2) Adapted from Sparkling Gems from the Greek, Rick Renner (Tulsa, OK: Teach All Nations, 2003) pp. 334-335. (3) Dr. Myles Munroe, Understanding the Purpose and Power of Prayer (New Kensington, PA: Whitaker House, 2002) pp. 22-23. (4) Adapted from Strong's Exhaustive Concordance of the Bible, James Strong, LL.D., S.T.D. (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 1990). (5) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (6) Adapted from Vine's Complete Expository Dictionary of Old and New Testament Words, W.E. Vine (Nashville, TN: Thomas Nelson Publishing, 1996) p. 233. (7) See note 2, p. 710. (8) Bob Sorge, Secrets of the Secret Place (Greenwood, MO: Oasis House, 2001) p. 122. (9) Charles R. Swindoll, The Quest for Character (Portland, OR: Multnomah Press, 1987) pp. 130, 132. (10) See note 4. (11) See note 6, p. 686. (12) See note 4. (13) See note 5. (14) Adapted from The Word, The Name, The Blood, Joyce Meyer (New York, NY: Warner Faith, 2003) pp. 133-134.

შენიშვნები

„იბეჯითეთ და ნუ დაიღლებით.
სულით აღეგზნეთ. ემსახურეთ
უფალს.იხარეთ იმედში,
მომთმენნი იყავით გასაჭირში,
ლოცვაში - ურყევნი“

-რომაელთა 12:11-12
(ინგ.ვერსია CEV)

თავი 12

არასოდეს დანებდე

გადაშალეთ წიგნ „შეუპოვარის“ მე-16, მე-17 და მე-18 თავები და
მოისმინეთ ვიდეო კურსის მე-10 გაკვეთილი

G 1. იესომ თქვა, რომ ბოლო დროს მრავალი დანებდება და მიატოვებს მის რწმენას. დევნა და შევიწროება გამრავლდება, და რომლებიც სწორად არ დგანან და არ არიან აღჭურვილნი ტანჯვასთან გასამკლავებლად, დაეცემიან (იხ. მათ. 24:9-10; 1 პეტრ. 4:1). როგორია შენი შეხედულება ტანჯვებისა და განსაცდელების შესახებ? როგორ შეიცვალა ის მას შემდეგ, რაც ამ სასწავლო კურსის გავლა დაიწყე?

2. შეჩერება, სხვადასხვა სახით ხდება, მაგრამ ყველაზე ხშირად იგი *კომპრომისზე* წასვლაში ვლინდება: მიდიხარ რაიმე სახის დათმობაზე შენს აზროვნებაში, ლაპარაკში ან მოქმედებაში? *დადუმდი ღვთის წინაშე.* სთხოვე მას დაგანახოს შენი გული. დაწერე რასაც გაგიცხადებს, მათ შორის ის მოქმედებებიც, რომლისათვისაც აღ-გძრავს.

გახსოვდეს...

ვერავინ გაიძულებს შეჩერებას. ღმერთი ამას არ გააკეთებს, ეშმაკს კი ეს არ შეუძლია. ამ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ შენ შეგიძლია. ასე, რომ არ შეჩერდე! გამარჯვებისთვის საზღაური როგორც ამ ცხოვრებაში, ასევე მომავალშიც უფრო დიდია, ვიდრე განსაცდელები, რომელიც გხვდება.

გზის მაჩვენებელი

„*იქონიე ღმერთის შეხედულებები.* გააკეთე ის, რის გასაკეთებლადაც ღმერთის სიტყვა მოგიწოდებს. მიჰყევი იმ სურვილს, რასაც სულიწმიდა ჩადებს შენში. და გაიგებ თუ როგორ იმოქმედო გონივრულად. გულში მიიღე გადაწყვეტილება, რომ ყოველ დღე მიენდობი ღმერთს. დარჩი იმ საქმეში, რომლის კეთებისკენაც ღმერთი მოგიწოდებს. და შენ ივლი სიბრძნეში... მთელი ცხოვრება, მარადისობის კარამდე“.

- ჩარლზ სტენლი

„არ დანებდეთ. არ დაუშვათ ხელები. ბოლოს დაინახავთ, რომ ეს ყველაფერი ღირდა იმად, რომ წინ გევლო“

-მათე 10:22

G 3. დღეს, მრავალი ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს, წმინდა წერილს საზოგადოებას და მის წესებს უსადაგებენ ნაცვლად იმისა, რომ თავად მიესადაგონ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უფლის სიტყვაში იმას კითხულობენ, რაც თავად სურთ და არა იმას, რასაც ის სინამდვილეში ამბობს. რატომ არის ეს სახიფათო? როგორ შეგიძლია თავი დაიცვა ამისგან?

ურჯულოება და ავხორცობა

ურჯულოება ეს არის „კანონის გარეშე არსებული მდგომარეობა – უცოდინრობით ან ძალადობით გამოწვეული; ეს არის კანონის მიმართ უპატივცემულობა და სიძულვილი; არეულობა.

ავხორცობა ნიშნავს „თავაშვებულობას; ცხოველური ინსტიქტების აყოლას; გულისთქმას და ნდომას, ჭარბს და უსაზღვროს“. წმინდა წერილში ავხორცობა ასევე ნიშნავს „უკონტროლო ვნებას, უსირცხვილობას, უგუნურებას, ბინძურ საუბარს და ამორალობას“. ურჯულოება და ავხორცობა გამუდმებით არის გამოყენებული წმინდა წერილში და არა მხოლოდ ქვეყნიერებაზე არსებულ მდგომარეობას აღწერს, არამედ ბოლო დროის *ეკლესიასაც*.

G 4. პირველ ეკლესიაში, ყველაზე დიდ პრობლემას ლეგალიზმი წარმოადგენდა. ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც დღეს გვაქვს, ეკლესიის ბოლო დღეებში, არის ურჯულოება და ავხორცობა. სწორედ ამიტომ არის ძნელი ქრისტიანობა. რა არის ამგვარი ცხოვრების სტილის მთავარი მიზეზი იმ ადამიანებში, რომლებიც თავს მორწმუნედ მიიჩნევენ? რა საშიშროება ახლავს ასეთ მდგომარეობას?

ქრისტიანებში უკანონობისა და ავხორცობის მთავარი მიზეზი არის...

საშიშროება, რომელიც ასეთ მდგომარეობას ახლავს თან, არის...

G 5. მეორედ მოსვლის წინა დღეები იესომ *ნოეს* და *ლოტის* დღეებს შეადარა. ორივე ადამიანი ღმერთის მიმდევარი იყო, მაგრამ მათ ცხოვრებასა და ხასიათს შორის აშკარა განსხვავებები არსებობდა. რა არის ეს განსხვავებები? რომელს უფრო ამსგავსებ საკუთარ თავს? რატომ?

ნოეს ხასიათი და ცხოვრების სტილი დაბ. 6:1-7:5; 8:15-22.	**ლოტის ხასიათი და ცხოვრების სტილი** დაბ. 13:10-13; 19:1-38.

მე უფრო _____ ვგავარ, რადგან...

გზის მაჩვენებელი

„ქრისტიანობა ყოველთვის თავის მსგავს ადამიანებს წარმოშობს. ქვეყნიური აზროვნების მქონე, არასულიერი ეკლესია ... რა თქმა უნდა, მეორე ნაპირზე გამორიყავს თავისივე მსგავს ქრისტიანობას. არა მხოლოდ შიშველი სიტყვა განსაზღვრავს გაქრისტიანებული ადამიანის ხარისხს, არამედ მოწმობის ხასიათი. ეკლესიას, მხოლოდ საკუთარი თავის გადანერგვა შეუძლია. ის, რაც ერთ მინაზეა, მეორეზეც იგივე გაიზრდება“.

- ა.ვ. ტორეზი

დამატებით ჯგუფის ლიდერისთვის: იესო ნოეს და ლოტის დღეებზე საუბრობს მათ. 24:36-39 და ლუკ. 17:26-33-ში.

„ყველაფერში შევიწროებულნი [ვართ უიმედო მდგომარეობებით], მაგრამ არა ვართ დათრგუნულნი. შეწუხებულნი ვართ, მაგრამ არა სასოწარკვეთილნი. დევნილნი ვართ, მაგრამ არა მიტოვებულნი. გადაყრილნი ვართ, მაგრამ არა დაღუპულნი“

-2 კორინთელთა 4:8,9 (ინგ.ვერსია TLB)

G 6. ღმერთს არ სურს, რომ ამ ბოლო დღეების მანძილზე ქანცგაწყვეტილი ცხოვრებით იცხოვრო. პირიქით, უნდა, რომ მასთან ახლოს იყო, მიიღო მისი მადლი, და მეტი ცოდნა შეიძინო მისი დამცველი და შემნახველი ძალის შესახებ.

ჩაუფიქრდით ამ მუხლებში გადმოცემულ საოცარ აღთქმებს.

„ახლა მთელი დიდება მას, ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისაგან და უბიწონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე“

-იუდა 1:24 (ინგ.ვერსია NLT)

„უფალია შენი მცველი; უფალია შენი მფარველი შენი მარჯვენის გვერდით. დღისით მზე არ გავნებს, და ღამით - მთვარე. უფალი დაგიცავს ყოველგვარი ბოროტისაგან, დაიცავს შენს სულს; უფალი დაიცავს შენს წასვლას და მოსვლას ამიერიდან და უკუნისამდე“

-ფსალმუნი 120:5-8 (ინგ.ვერსია AMP)

„დედის მუცლიდან, დედის საშოდან ჩემს მიერ ნატარებნო. თქვენს სიბერემდე მე იგივე ვარ, და თქვენს ჭაღარამდე გზიდავთ თქვენ. მე შევქმენი და მე ვიტვირთავ; მე ვზიდავ და მე გადავარჩენ. ვის მიმამსგავსებთ და შემადარებთ, ვის მიმამგვანებთ, რომ მსგავსნი ვიყოთ?“

-ესაია 46:3-5 (ინგ.ვერსია CEV)

„მამა ღვთის წინასწარი განჭვრეტით და სულის მიერ განწმენდით, დამორჩილებად და იესო ქრისტეს სისხლის საპკურებლად - მადლი და მშვიდობა გიმრავლოთ.“

-1 პეტრე 1:2 (ინგ.ვერსია The Message)

რა ახალ აზრებს და შემეცნებას გაძლევს ღმერთი თავის უნარზე, რომელიც გიცავს და გინახავს?

„თავად მშვიდობის ღმერთმა წმიდა გყოთ სრულად და მთლიანად: სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უმწიკვლოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისათვის. სარწმუნოა თქვენი მხმობელი, რომელიც აღასრულებს კიდეც“

-1 თესალონიკელთა 5:23-24 (ინგ.ვერსია The Message)

7. ღმერთი გვპირდება, რომ დაგვიცავს და შეგვინახავს, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა გავაკეთოთ. ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოყვანილი მუხლები და დაადგინე, რა როლი გაკისრია ღმერთის დაცვის და შენახვის საქმეში. რა კავშირშია ეს იმასთან, რაც უკვე ნასწავლი გაქვს ამ სწავლებაში?

„რაკი შენ დაიცავი სიტყვა ჩემი მოთმინებისა[მტკიცედ იდექი იმის მოლოდინში, რაც გითხარი], მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამისაგან, რომელიც მოვა მთელ მსოფლიოზე, რომ გამოსცადოს მიწის მკვიდრნი. აჰა, მოვალ მალე. გეპყრას, რაც გაქვს, რათა არავინ წაგართვას შენი გვირგვინი“

-გამოცხადება 3:10-11(ინგ.ვერსია AMP)

„გადაგარჩენ შენ იმ დღეს.... და არ გადაეცემი იმ კაცთა ხელთ, რომლებისაც გეშინია. რადგან თავს დაგაღწევინებ შენ და მახვილით არ დაეცემი, და ნადავლად გექნება შენი სული, რადგან ჩემზე იყავი დაიმედებული! - სიტყვა უფლისა“

-იერემია 39:17-18(ინგ.ვერსია NLT)

„ამ მიზეზით ვიტანჯები ასე, მაგრამ არა მრცხვენია, ვინაიდან ვიცი, ვისაც ვერწმუნე, და მწამს, რომ მას ძალუძს შეინახოს ჩემი სანინდარი იმ დღისათვის. ჩაეჭიდე საღი სიტყვების მაგალითს, რაც ჩემგან მოისმინე რწმენით და სიყვარულით, რაც ქრისტე იესოშია“

-2 ტიმოთე 1:12-13

ჩემი წილი ღმერთის დამცავი ძალის მიღებაში, არის...

გზის მაჩვენებელი

„წმინდა წერილი გვეუბნება, რომ უფალია ჩვენი დამცველი. მისი დაცვა არ გულისხმობს იმას, რომ განსაცდელები არ შეგვემთხვევა, რამეთუ თავად ქრისტეს ხვდებოდა განსაცდელები. უფალი სწორედ განსაცდელებში და ცდუნებების დროს გვიცავს. ის თავისი *სიტყვის* მეშვეობით გვიცავს. ამიტომ თუ სიწმიდეში ვიცხოვრებთ, შევძლებთ ძალიან ახლოს ვიცნობდეთ იმ პიროვნებას, რომელსაც ბიბლია სიტყვას უწოდებს“.
- ფრანცის ფრანგიპენი

G 8. ერთ-ერთი რამ, რაც გვეხმარება რომ არ დავნებდეთ, არის ცოდნა იმისა, რომ ღმერთი არ მიგვატოვებს. იგი დაგვპირდა, რომ მოგვცემს ძალას მანამ, სანამ მიზანს არ მივაღწევთ. ყურადღებით წაიკითხე ეს მუხლები.

„ისე, რომ არ გაკლიათ არავითარი ნიჭი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამოცხადების მოლოდინში, ვინც განგამტკიცებთ თქვენ ბოლომდე, რათა უმწიკვლო იყოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დღეს. სარწმუნოა ღმერთი, რომლისგანაც იქენით მოწოდებულნი მის ძესთან, ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან თანაზიარებისათვის“

-1 კორინთელთა 1:7-9 (ინგ.ვერსია NLT)

„მე ყველაფრისთვის მაქვს ძალა, რომელიც მაძლიერებს. ყველაფრისთვის მზად ვარ მისი მეშვეობით. ქრისტეს საკმარისობაში მე ყველაფერი საკმარისად მაქვს“

-ფილიპელთა 4:13 (ინგ.ვერსია AMP)

„ღმერთი არ მიდის არ მოდის. ღმერთი არის ყოველთვის, მარადიულია. ის არის ყველაფრის შემოქმედი. უფალი, შემქმნელი ქვეყნის კიდეებისა, არ იღლება და არ იქანცება, გამოუკვლეველია მისი გონება. მან იცის ყველაფერი შინაგანი და გარეგანი. იგი აძლევს ძალას დაღლილს და უძლურს სიმტკიცეს უმატებს. და დაიღლებიან ყმაწვილნი და დაიქანცებიან, ჭაბუკნი კი წაბორძიკებით წაბორძიკდებიან, ხოლო უფლის მოიმედენი ძალას განიახლებენ; ასწევენ ფრთებს, როგორც არწივები, გაიქცევიან და არ დაიქანცებიან, ივლიან და არ დაიღლებიან“

-ესაია 40:28-31 (ინგ.ვერსია The Message)

„ვლოცულობ, რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით, თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად.
ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში, და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში,
რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩაწვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე“

-ეფესელთა 3:16-18 (ინგ.ვერსია NLT)

როგორ გამხნევებენ ეს მუხლები იმაში, რომ მიენდო ღმერთს ძალის მისაღებად? კვლავაც, რა არის შენი წილი?

9. პავლე გვეუბნება, რომ წმინდა წერილის ჭეშმარიტებაში დავრჩეთ, რათა რწმენიდან არ გადავუხვიოთ და არ უარვყოთ ღმერთის მადლი. ის იქვე ძალიან მნიშვნელოვან შეგონებას იძლევა. ყურადღებით წაიკითხე მისი სიტყვები, ჩაიმარხე გულში და ისე მიიღე თითქოს ღმერთი გეუბნებოდეს.

გახსოვდეს...

ღმერთმა ძალა მოგცა, რომ ყველა სირთულე და განსაცდელი გადალახო. შეუპოვრად გაირბინე შენს წინ მდებარე სარბიელი, ბოლომდე გაბედულად ებრძოლე გზაზე შემხვედრ ყველა წინააღმდეგობას. შენ გამარჯვებული ხარ. შენში იმყოფება მისი თესლი, რომელმაც ყველაზე დიდ განსაცდელს გაუძლო, რაც კი ოდესმე არსებულა. მისი ძალა შენშია! შენ მარცხისთვის, უკანდახევისთვის და კომპრომისისთვის არ ხარ შექმნილი. შენ ღმერთის საკვირველი მადლით ხარ ნაკურთხი. მნიშვნელობა არ აქვს რამდენად დიდია განსაცდელი, ჩათვალე, რომ ის მეფობის უფრო მაღალ დონეზე გადასვლისათვის საჭირო საშუალებაა.

„ამრიგად, გიმოწმებ ღვთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი მოსვლითა და თავისი სასუფევლით. იქადაგე სიტყვა, დაჟინებით, დროულად და უდროოდ, ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი სულგრძელებითა და სწავლებით“

-2 ტიმოთე 4:1-2

რას გეუბნება ღმერთი პირადად შენ ამ შეგონებით?

10. ამ სწავლების დასასრულს, შეჩერდი და საკუთარ თავს ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის კითხვა დაუსვი: შეუპოვრად ვცხოვრობ თუ დავნებდი? მართლა ვისწრაფვი ჩემს ცხოვრებაში ღმერთის აღმატებული მოწოდებისკენ, თუ უბრალოდ მოხერხებული მდგომარეობა მიკავია? დადუმდი უფლის წინაშე და სთხოვე მას გაჩხრიკოს შენი გული და გიჩვენოს სად იმყოფები. თუკი დანებდი ან შენელდი მიზნისკენ სწრაფვაში, სთხოვე გიჩვენოს რატომ მოხდა ასე. დაწერე რასაც ის შენს გულს ეტყვის.

„მიენდე უფალს, დარჩი ღმერთთან! იყავი მამაცი.
არ დანებდე. გამხნევდი და გაამაგრე შენი გული, და გქონდეს
უფლის იმედი. კიდევ ვიმეორებ: დარჩი ღმერთთან!“
-ფსალმუნი 26:14 (ინგ.ვერსია The Message)

ლოცვა

მამაო მადლობა, რომ მომეცი ამ სწავლების საშუალება. ჩემი გულის სურვილია შეუპოვარი ვიყო და არასოდეს დავნებდე. გთხოვ, ყოველდღე მომანიჭო შენი მადლი, რათა ვიდგე და შენთვის ვცხოვრობდე. დამეხმარე, რომ შენი სიტყვის ჭეშმარიტებაში ყოფნა განვაგრძო და კომპრომისზე არ წავიდე. დაე, ვიყო შენი სიყვარულის, მშვიდობის და ძალის მოგიზგიზე ცეცხლი ამ მიწაზე. იცხოვრე ჩემში სულიწმიდავ. დამეხმარე მოვისმინო შენი სიტყვა და მორჩილად მოგყვე. დამეხმარე მუდამ მზად ვიყო შენზე დასამოწმებლად და მზად ვიყო შენი დაბრუნებისათვის. იესოს სახელით, ამინ.

გზის მაჩვენებელი

„აი რამდენიმე რჩევა, რაც ქრისტიანული ცხოვრების სრულყოფილად აღსრულებაში დაგეხმარება. პირველი რჩევაა, გულდასმით შეისწავლო ბიბლია ყოველდღე. მეორე, ის, რომ მლოცველი პიროვნება იყო – ლოცულობდე რეგულარულად და დისციპლინირებულად. აკეთე ეს შეუჩერებლივ, ყოველ სიტუაციაში. იქნება დღეები, როდესაც ამის სურვილი არ გექნება, მაგრამ ის მყარი გადაწყვეტილებები, რომელიც მიიღე – გამუდმებით იკითხო და ილოცო – გამოგარჩევს ნელ თბილი რწმენის მქონე ხალხის მასიდან. ეს გამოიწვევს იმას, რომ ქრისტეს იმდაგვარად განიცდი, როგორც ვერასოდეს წარმოიდგენდი. *იკითხე, ილოცე, იმსახურე, გაიმეორე.* ყოველდღე გააკეთე ეს და იმ საოცარ დღეს, როდესაც ქრისტე დაბრუნდება, მის წინაშე გაბედულად წარსდგები.“

- დევიდ იერემია

მთელი კვირის
ამოცანა

ჩვენი დროის ეკლესიაში უკომპრომისო ჩემპ-იონების თაობა აღდგება. ეს იქნება მორწმუნეთა კრებული, რომელიც არა მხოლოდ მოზიარეობაში იქნება ერთმანეთთან და ერთად გაიზიარებს გადარჩენის სიხარულს, არამედ წინ აღუდგება არსებულ ყველა დაბრკოლებას და წაახალისებს მოშურნეობას ქრისტეს სხეულში. შეუერთდი ან უხელმძღვანელე ადამიანთა ჯგუფს, რომელიც აძლიერებენ და ამხნევებენ ერთმანეთს ღმერთის მადლის ძალითა და ავტორიტეტით. გამოიყენე ეს სწავლება და მსგავსი საშუალებები და ითანამშრომლეთ სულიწმიდასთან ღმერთის შვილების გამხნევებისა და გაძლიერებისათვის.

„მოდით ვიფიქროთ იმაზე, როგორ წავახალისოთ ერთმანეთი,
წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისათვის.
ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ,
არამედ შევაგონოთ ერთმანეთს, რაც უფრო ატყობთ იმ დღის მოახლოებას“

-ებრაელთა 10:24-25 (ინგ.ვერსია NLT)

დღე 1 მიჰყევი ჭეშმარიტებას

„რადგან თვალწინ მიდგას შენი წყალობა და მივყვებოდი შენს ჭეშმარიტებას“
-ფსალმუნი 25:3(ინგ.ვერსია NIV)

ბევრ მორწმუნეს სურს იცოდეს, როდის დაბრუნდება ქრისტე. საინტერესოა, რომ სანამ დაბრუნებაზე მოსწავლეებს რამეს ეტყოდა, მან ისინი გააფრთხილა: „გაფრთხილდით, რომ ვინმემ არ გაცდუნოთ“ (მათ. 24:4; ასევე იხ. მარკ. 13:5; ლუკ 21:8).

ბოლო დროს მრავალი ცდუნებაა. ამ ცდუნებისგან თავის დასაცავად საჭიროა ჭეშმარიტებას მივყვეთ. ამ სწავლებაში ყურადღება გამახვილდა ღმერთის სიტყვის მნიშვნელობაზე. ღმერთის სიტყვა ზეცაშია დაფუძნებული საუკუნოდ და იგი არასოდეს შეიცვლება. მას დიდი ძალა გააჩნია შენი სულის სახსნელად, შენი გულის დასაცავად და უღვთო, ხორციელი ფიქრებისგან გასათავისუფლებლად.

იფიქრეთ ქვემოთ მოცემულ მუხლებზე:

„შენ კი იდექ იმაზე, რაც გისწავლია და რაც გირწმუნია..... არაფერი შეედრება წმინდა წერილს, მხოლოდ ის მიგვითითებს ხსნის გზას იესოს მეშვეობით. მისი ყოველი ნაწილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა – გვიჩვენებს ჭეშმარიტებას, სააშკარაოზე გამოაქვს ჩვენი ურჩობა, გვისწორებს შეცდომებს, გვასწავლის ღმერთის გზებით სიარულს, სიტყვის მეშვეობით ვყალიბდებით იმ საქმეებისთვის, რომლებიც ღმერთმა გაგვისაზღვრა“ -2 ტიმოთე 3:14-17 (ინგ.ვერსია The Message)

„ჩვენ მოგვეცა წინაწარმეტყველური სიტყვა. კარგათ მოიქცევით, თუ კი კონცენტრირებას მოახდენთ მასზე, რადგან ეს არის ნათელი თქვენთვის ამ ბნელ დროში, რომელიც ანათებს“
-2 პეტრე 1:19 (ინგ. ვერსია AM)

„ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში, ფესვგადგმულებმა და მისით აღშენებულებმა, განმტკიცებულებმა რწმენით, როგორც გისწავლიათ, და წარმატებულებმა მადლიერებაში“
-კოლასელთა 2:6-7 (ინგ.ვერსია NLT)

გახსოვდეს...

ჭეშმარიტება მოდური არ არის. ის დროს უძლებს და კულტურა მასზე გავლენას ვერ ახდენს. მოდის მიყოლის სურვილი მაცდურია, მაგრამ სინამდვილეში ცდუნებისკენ უბიძგებს ადამიანს. არაღვთიური მოდისგან დასაცავი ანტიდოტი ღმერთის სიტვყის ჭეშმარიტებით ცხოვრებაში მდგომარეობს.

როგორ დაგიცავს ცდუნებისა და კომპრომისისგან ღმერთის სიტყვით ცხოვრება?

_____

გახსოვთ თქვენი სამოქმედო გეგმა ღმერთის სიტყვაში ჩასაღრმავებლად? თუ არა, მაშინ დაუბრუნდი მე-4 თავს და განიხილე. რა მოქმედებს შენთვის? ხელახლა დაწერე შენი გეგმა და შეიტანე შესწორებები, რომელზეც სულიწმიდა მიგითითებს.

ღმერთის სიტყვით ცხოვრების გეგმა არის...

_____

_____

დღე 2 იყავით მუდამ მზად

„ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან, რომელ საათზეც არ ფიქრობთ, მაშინ მოვა ძე კაცისა“ -მათე 24:44 (ინგ.ვერსია NLT)

აფრთხილებს რა იესო თავის მოწაფეებს თავი დაიცვან ცდუნებისგან, ის ეუბნება მათ, რომ *მუდამ მზად იყვნენ მისი დაბრუნებისთვის*. ეს ჩვენც გვეხება, აწმყოში მის მოწაფეებს. წმინდა წერილში გამუდმებით ვკითხულობთ, რომ ის მოვა, *ღამით მოსული ქურდის მსგავსად*. (იხ. მათ 24:43; 1 თეს. 5:2-4; 2 პეტრ. 3:10; და გამოცხ. 3:3; და 16:15).

წაიკითხე ათი ქალწულის შესახებ იგავი (მათ 25:1-13)

რა საერთო ჰქონდათ გონიერ და უგუნურ ქალწულებს? რა განასხვავებდა გონიერებს?

რა შეგიძლია ისწავლო ამ იგავიდან საკუთარ ცხოვრებაში გამოსაყენებლად?

„გავიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა“
-გამოცხადება 19:7

ჩვენ მის შესახებ მოწმობისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. 1 პეტ. 3:15-ში ვკითხულობთ: „წმიდაჰყავით ქრისტე, როგორც უფალი თქვენს გულებში და მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ“.

რამდენიმი წუთით ვინმე რომ გამოგელაპარაკოს სამეზობლოში ან სამსახურში, რომელსაც უფალზე დაელაპარაკებოდი, რას ეტყოდი, რატომ ცხოვრობ ისე, როგორც ცხოვრობ? გამოყავი რამდენიმე წუთი და ჩამოაყალიბე შენი დამოწმება, რათა მზად იყო დასამოწმებლად. **მიზეზი, რატომაც მივყვები იესო ქრისტეს არის...**

დღე 3 აკეთეთ ღმერთის საქმე

„ჩვენ უნდა ვაკეთოთ იმისი საქმეები, ვინც მე მომავლინა, სანამ დღეა“
-იოანე 9:4 (ინგ.ვერსია AMP)

თუ ჭეშმარიტებაში დადიხარ, ქრისტეს დაბრუნებისთვისაც მზად იქნები და მის შესახებ დამოწმებისთვისაც. მის შესახებ მოწმობა გულისხმობს იმ საქმის კეთებას, რისთვისაც მან მოგიწოდა და აღგჭურვა, რათა განავრცო მისი სასუფეველი და დიდება მოუტანო მის სახელს. იესომ თქვა: „ნეტარია მონა, რომლის ბატონიც მოვა და ამგვარად მოქმედს ჰპოვებს მას. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მთელს თავის საბადებელზე დააყენებს მას!“ (მათ. 24:46-47).

ყურადღებით წაიკითხეთ მათ. 25:46-47-ში მოცემული იგავი ტალანტების შესახებ.

პრაქტიკულად თუ შევხედავთ, რას წარმოადგენს ეს ტალანტები შენს ცხოვრებაში?

ბატონმა *სხვადასხვა რაოდენობის* ტალანტები მისცა თავის მონებს. რას გეუბნება ეს?

შეადარეთ ხუთი და ორი ტალანტის მქონე მონის გულის მოტივაცია ერთი ტალანტის მქონეს გულის მოტივაციას. შენი გულის მოტივაცია რომლის მსგავსია?

რა გამოწვევას გიგზავნის ბატონის დაბრუნება და მონების მხრიდან მისთვის ანგარიშის ჩაბარება?

დაკავშირებული მუხლები: რომ. 12:5-8; 14:12;

„ღმერთმა ყოველ ჩვენგანს მისცა ნიჭი და ერთმანეთს იმ ნიჭით ემსახურეთ, რაც მიგიღიათ, როგორც ღვთის მრავალგვარი მადლის კეთილმა მნეებმა. თუ ვინმე ლაპარაკობს, ილაპარაკოს როგორც ღვთის სიტყვით. თუ ვინმე ემსახურება, ღვთის მიერ მინიჭებული ძალით ემსახუროს, რათა იდიდებოდეს ღმერთი ყველაფერში იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც აქვს დიდება და ძალი უკუნითი უკუნისამდე. ამინ“
-1 პეტრე 4:10-11 (ინგ.ვერსია NLT)

***წაიკითხე* რას ამბობს იესო ამ იგავის შემდეგ მათ. 25:31-46-ში.**
როგორ შეგიძლია პრაქტიკულად აკეთო ღმერთის საქმეები ყოველდღიურ ცხოვრებაში?

დღე 4 დაიცავი საკუთარი თავი ღმერთის სიყვარულში

„დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისაგან, იესო ქრისტესაგან, წყალობას საუკუნო სიცოცხლისათვის“ -იუდა 1:21

იესო ამბობს, რომ ბოლო დღეებში „გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული. ბოლომდე დამთმენი კი გადარჩება“ (მათ. 24:12-13). ერთგულად ყოფნისათვის მთავარია საკუთარი თავის დაცვა ღმერთის სიყვარულში.

სიყვარულში სიარული შემოთავაზება არ არის: ეს მცნებაა. როგორც მე-7 გაკვეთილიდან შევიტყვეთ, ეს ჭეშმარიტი თავმდაბლობის მაჩვენებელია. ღმერთი თავად არის სიყვარული (1 იოან. 4:8) და მისი სიყვარული მაშინ იზრდება, როდესაც მასთან მოზიარეობაში ვრჩებით და გვიყვარს სხვები. *„ღმერთი არასოდეს არავის უხილავს. თუ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში რჩება და მისი სრულყოფილი სიყვარული ჩვენშია“* (1 იოან. 4:12).

„უპირველეს ყოვლისა კი, იქონიეთ **გულითადი სიყვარული ერთმანეთისადმი**“
-1 პეტრე 4:8 (ინგ.ვერსია AMP)

***წაიკითხე* 1 იოან. 3:17-18; იგავ. 3:27-28; გალ. 6:10 და ლუკ. 6:38;**
რას გეუბნება ეს მუხლები მორწმუნეების მიმართ სიყვარულის გამოვლენაზე?

ვის მიმართ შეგიძლია გამოავლინო ასეთი სიყვარული? რა კონკრეტული გზით?

„მთავარი რასაც ღმერთი აკეთებს – ესაა ის, რომ უყვარხართ. ისწავლეთ სყვარულში ცხოვრება. მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა. იარეთ სიყვარულში, ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირავად და მსხვერპლად, საამო კეთილსურნელებად“
-ეფესელთა 5:1-2 (ინგ.ვერსია The Message)

წაიკითხე მათ. 5:43-47; რომ. 12:20-21 და ლუკ. 6:35;
რას გეუბნება ეს მუხლები შენი მტრის მიმართ სიყვარულის გამოვლინებაზე?

შენს ცხოვრებაში ვის შეგიძლია დაანახო ასეთი სიყვარული? რატომ?

ილოცე ამ ადამიანისთვის, აღიარე მასზე ის კურთხევები, რომელსაც საკუთარი თავისთვის მოისურვებდი. სთხოვე ღმერთს პრაქტიკული გზები გიჩვენოს ამ ადამიანების მიმართ მისი სიყვარულის გამოსავლენად. დაემორჩილე მის ნათქვამს და დაელოდე რა მოხდება.

დღე 5 მიჰყევი სულიწმიდის ხელმძღვანელობას

„ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად. თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ. მოდით მივყვეთ სულიწმიდის ხელმძღვანელობას ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში“

-გალატელთა 5:24-25 (ინგ.ვერსია NLT)

2 ტიმ. 3:1-9, სადაც პავლე ბოლო დღეების შესახებ საუბრობს, გვიცხადებს, რომ ბოლო დროს ბევრი ადამიანი ხორცის მონა გახდება. ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებენ, ამაყნი იქნებიან და ღმერთის ნაცვლად, ხორცის სიამოვნების მოყვარულნი გახდებიან. ეს რომ ავირიდოთ, საჭიროა ღმერთის სულის ხელმძღვანელობას მივყვეთ. ეს კი ნიშნავს უარის თქმას იმაზე, რასაც ქვეყნიერება გვთავაზობს, უარის თქმას ხორცის ნდომაზე – საკუთარ სურვილებზე, საკუთარ აზრებზე და გრძნობებზე. ცნობილი მახარებელი, ხუცესი და მწერალი **ლესტერ სამრალი** ამბობდა:

„სატანა ისეთი მაცდური გზებით მოვა, რომ ბევრი მას ვერც კი დაინახავს. მისი ხრიკები შესაძლოა ხიფათის შემცველად სულ არ ჩანდეს, მაგრამ ისე გააბამენ კაცის სულს მახეში, რომ იგი ღმერთის თაყვანისცემას ვერ შეძლებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სულიერი კაცით ვიცხოვროთ და გამუდმებით ღმერთთან უწყვეტი ურთიერთობა შევინარჩუნოთ. ბოლო ბრძოლას ჩვენ მოვიგებთ, მხოლოდ თუ სულთან, როგორც მეფესთან და იესოსთან, როგორც უფალთან ისე ვიცხოვრებთ. სულში ცხოვრებით ჩვენ გამარჯვებული ეკლესია ვხდებით, რომელსაც ჯოჯოხეთის კარიბჭენი ვერ დაძლევენ“ (იხ. მათ. 16:18)

ღმერთი ამბობს: „თუკი ხორცის სურვილებს აყვები, დაღუპვას მოიმკი, მაგრამ თუკი **სულს მიჰყვები** – საუკუნო სიცოცხლეს“ (გალ. 6:8).

წაიკითხე თითოეული მუხლი და ყურადღება გაამახვილე იმ სიბრძნეზე, რომლის გამოყენებაც საკუთარ ცხოვრებაში შეგიძლია.

იმისათვის, რო თავი ქვეყნიერების გზებისგან დაიცვა, იფიქრე...

1იოან. 2:15-17; ტიტ. 2:12-13; და იაკ.4:1-10;

კოლ.3:1-4; გალ. 6:14; და რომ. 12:2;

იმისათვის, რომ მიჰყვე სულიწმიდას და უარი უთხრა ხორცს, იფიქრე ...

რომაელთა 8:1-14;

გალატელთა 5:16-26;

დღე 6 იყავი ჭეშმარიტების ჩემპიონი!

„ღმერთის დახმარებით ჩვენ შევძლებთ დიადი საქმეების კეთებას, რადგან ის გაუსწორდება ჩვენს მტრებს“ -ფსალმუნი 107:13 (ინგ.ვერსია NLT)

ამ ბოლო ჟამს, დიდი განსაცდელები ხელს შეუწყობს ჩემპიონთა თაობის დაბადებას და ისინი არაჩვეულებრივი ხალხი იქნებიან. ეს მორწმუნეები დათმობაზე არ წავლენ და უკან არ დაიხევენ, არამედ თავიანთი დაჟინებული რწმენითა და მოქმედებებით დიდად გაავრცელებენ ღვთის სასუფეველს. ისინი ნამდვილად გამოარჩევენ საკუთარ თავს როგორც ღმერთის დიდების მანათობლებს, და ცხოვრების ყველა სფეროში უპირატესნი იქნებიან. ღმერთს სურს, რომ შენ ერთი ამ ჩემპიონთაგანი იყო!

ჩემპიონი

ნოე ვებსტერის მიხედვით *„ჩემპიონი“* არის „ის, ვინც თავისი მიზნის მისაღწევად ან სხვის მაგივრად ბრძოლაში ერთვება“. ის არის „გმირი, მამაცი მეომარი“.

მწერალი და პასტორი **მარკ ბატერსონი** ადასტურებს ასეთი ახალი მეომრების გამოჩენას. ის ამბობს:

„ღმერთს ლომზე მონადირეთა ახალი თაობა მოჰყავს, რომელიც ეშმაკს არ გაექცევა. ღმერთს მოჰყავს ლომზე მონადირეთა ახალი თაობა, რომლებიც მზად არიან აღასრულონ სასუფევლის საქმე. ...ლომებზე მონადირეებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს სიტუაციას. ისინი თავდასხმაზე მიდიან. ლომებზე მონადირეები პასიური ცხოვრებით არ ცხოვრობენ. ისინი აქტიურები არიან. ლომებზე მონადირენი თავდაცვითი დამოკიდებულებით არ ცხოვრობენ. ისინი აქტიურად ეძებენ გზებს, რათა ცვლილებები მოახდინონ“

შენ გაქვს ის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ არ დანებდე – ღმერთის მადლის უსაზღვრო, შეუდარებელი ძალა! „ღმერთი გაკურთხებს თუ რწმენის გამოცდისას არ დანებდები. ის დიდებული სიცოცხლის საჩუქრით დაგაჯილდოვებს“ (იაკ. 1:12). ამ საჩუქარს ამ ცხოვრებაშიც მიიღებ და მომავალშიც.

წაიკითხე მათ. 6:19-21; და 1 ტიმ. 6:18-19; რა ჯანსაღ პერსპექტივებს გაწვდიან ეს მუხლები?

„ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და
ყოველნაირად ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემს გამო.
იხარეთ და იმხიარულეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში“
-მათე 5:11-12 (ინგ.ვერსია NLT)

წაიკითხე გამოცხადება 2:7; 26-28; 3:12, 21; ლუკ. 22:28-29; 2 ტიმ. 2:12; და აღმოაჩინე ის მარადიული საზღაური, რომელსაც მიიღებ თუ შეუპოვრად შეეწინააღმდეგები მტერს და გადაიტან განსაცდელებს.

წაიკითხე მათ. 16:27, რომ. 2:6-8 და გამოცხ. 22:12. რა ჭეშმარიტება მეორდება ჩვენს საზღაურთან დაკავშირებით? რა სახის გამოწვევას გიკეთებს ეს, განსაკუთრებით 1 კორ. 3:7-15-ის ფონზე?

არ შეცდე. შენ, როგორც ჭეშმარიტების ჩემპიონი, ჯილდოს მიიღებ. ღმერთი ჯილდოს მომნიჭებელია და ის საზღაურს აძლევს მათ, ვინც ეძებს მას და ვისაც მისი სიტყვა სწამს (ებრ. 11:6). ამიტომაც „ყოველივეს რასაც აკეთებთ, გააკეთეთ სულით, როგორც ღვთისათვის და არა კაცთათვის. იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისაგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით (კოლ. 3:23-24).

გაკვეთილის მოკლე დასკვნა

ბოლო დროს ძნელია ქრისტიანობა, მაგრამ არა შეუძლებელი. ღმერთმა მადლისმიერი ძალა მოგანიჭა, რათა შეუპოვრად იცხოვრო, ეკლესიაში სხვათა მდგომარეობისა და წინააღმდეგობების მიუხედავად. მას მშვენივრად ძალუძს შენი დაცვა და შენზე ზრუნვა. *მაშ, იარე ჭეშმარიტებაში და ნუ წახვალ დათმობაზე!* თვალები ღმერთის ზეციურ საზღაურს მიაპყარი და აირჩიე – არ დანებდე. გამარჯვების საზღაური ამ ცხოვრებაშიც და მომავალშიც გაცილებით დიდია, ვიდრე ნებისმიერი ის განსაცდელი, რომელიც შეიძლება შეგხვდეს.

(1) Charles F. Stanley, Walking Wisely (Nashville, TN: Thomas Nelson Publishers, 2002) p. 242. (2) Adapted from Thayer's Greek English Lexicon of the New Testament, Joseph H. Thayer (Grand Rapids, MI: Baker Book House Company, 1977) p. 48. (3) Adapted from Noah Webster's First Edition of an American Dictionary of the English Language (1828), Republished in facsimile edition by Foundation for American Christian Education (San Francisco, CA 2000). (4) Ibid. (5) See note 2, p. 79. (6) A.W. Tozer, The Warfare of the Spirit (Camp Hill, PA: Wing Spread Publishers, 1993) p. 124. (7) Francis Frangipane, Holiness, Truth and the Presence of God (Cedar Rapids, IA: Arrow Publications, 1999) p. 55. (8) David Jeremiah, Living with Confi dence in a Chaotic World (Nashville, TN: Thomas Nelson, 2009) p. 182. (9) Lester Sumrall, Spirit, Soul, and Body (New Kensington, PA: Whitaker House, 1995) pp. 251-252. (10) See note 3. (11) Mark Batterson, In a Pit with a Lion on a Snowy Day (Colorado Springs, CO: Multnomah Books, 2006) pp. 120-121

შენიშვნები

შენიშვნები

შეუპოვარი

ძალა, რომელიც არასოდეს არ უნდა დათმო

თქვენს ხელთ არსებული სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამის „შეუპოვარის“ ნაწილია, რომელიც ჯონ ბევირმა დაწერა. ამ წიგნის გამოყენება სხვა თანმხლებ მასალებთან ერთად, რომელთა გადმოწერა და გამოყენება შესაძლებელია ინტერნეტიდან, შესაძლებლობას მოგცემთ შეისწავლოთ ამ დინამიური სწავლების ყველა ნაწილი. სათანადოდ შესწავლის შემთხვევაში ეს დიდ გავლენას მოახდენს და წინ წასწევს თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებას, რაც შეგაძლებინებთ უფრო მეტი გააკეთოთ ღმერთისთვის.

სრული პროგრამა შედგება:

- <u>წიგნი „შეუპოვარი“</u>
  ამ პროგრამის ერთადერთი გამოცემული ნაწილი. ამ წიგნის ელექტრონული ვერსიის მოძიება ინტერნეტითაც არის შესაძლებელი, როგორც ელ-წიგნი ასევე PDF ფორმატი;
- <u>შეუპოვრის რესურს დისკი</u>
  დისკი მოჰყვება გამოცემულ წიგნს, რაც შეიცავს ამ პროგრამის მასალას ციფრული ფორმატით (ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ჩამოტვირთეთ უფასოდ);
- <u>სახელმძღვანელო (სამუშაოწიგნი):</u>
  ეს არის ის წიგნი, რომელსაც შენ ახლა კითხულობ. ის ხელმისაწვდომია როგორც ელ-წიგნის სახით ასევე PDF ფორმატითაც რესურ დისკზე და ინტერნეტშიც;
- <u>აუდიო წიგნი</u>
  წიგნის „შეუპოვარის“ თვრამეტი თავი მოცემულია თქვენ მშობლიურ ენაზე MP3 ფორმატში
- <u>ვიდეო გაკვეთილები</u>
  შედგება თორმეტი გაკვეთილისგან, რაც მოცემულია AVI ფორმატში.

ჯონ და ლიზა ბევირებისაგან ამ რესურსის და სხვა სწავლებების (თქვენს მშობლიურ ენაზე) ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდებიდან:

www.MessengerInternational.org
www.CloudLibrary.org

მრავალ ენაზე არის შესაძლებელი დამატებითი რესურსების ნახვა და ჩამოტვირთვა Youtube.com-ისა და Youku.com-დან, ასევე სხვა მსგავსი ვებგვერდებიდან.

შეუპოვარი

გამოცდილება

სახელმძღვანელო

რა სჭირდება სარბიელის კარგად დასრულებას, ეშმაკის თავდასხმების გადატანას და განსაცდელებზე გამარჯვების მოპოვებას? შეუპოვარი სული! შეუპოვრობა ნიშნავს შეწინააღმდეგებას და გამძლეობას, უკომპრომისობას, დაუმორჩილებლობას და გამარჯვების დიდ სურვილს. ღმერთმა აღგჭურვა თავისისი მადლით, რათა იმეფო ცხოვრებაში და გაავრცელო მისი სასუფეველი. მას სურს შენი წარმატება და არა ის, რომ უბრალოდ თავი გაიტანო მის დაბრუნებამდე. ამ აღვსილი ცხოვრების გასაღებს კი შეუპოვარი სულის განვითარება წარმოადგენს.

ამ სწავლების დროს აღმოაჩენ...

- გამორჩეული ცხოვრების ძლიერ გავლენას;
- რას ნიშნავს ღმერთის სასუფეველში შესვლა და ცხოვრება;
- განსაცდელების განუზომელ ფასეულობას და დანიშნულებას;
- თუ როგორ ებრძოლო მტერს და გაიმარჯვო ღმერთის მირ მოცემული იარაღით;
- მორჩილებისა და ლოცვის საკვირველ ძალას.

სახელმძღვანელო შედგება თორმეტი თავისგან, აქტუალური კითხვებით, წმინდა წერილის ადგილებით, რომლებიც ცვლიან ცხოვრებას, ასევე შთამაგონებელი ციტატებით და ყოველდღიურად გასააზრებელი მასალით, რაც გაგაძლიერებს და სირთულეებზე გამარჯვებას მოგაპოვებინებს. მთელი კვირის ამოცანები კი დაგეხმარება ყოველ გაკვეთილში ნასწავლი პრინციპები პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოიყენო. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია ელექტრონული მასალა, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს „შეუპოვრისგან“ მიღებულ გამოცდილებას.

შენ დედამიწაზე, ქრისტეს სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილი ხარ! ღმერთმა ყველაფერი მოგცა იმისათვის, რომ გამარჯვებული ცხოვრებით იცხოვრო. დროა გაიღრმავო შენი ცოდნა და შეიძინო ის ძალა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ არასოდეს არ დანებდე!

„შეუპოვარი“ უფრო მეტია, ვიდრე გზავნილი, ეს ღმერთის მიერ მონიჭებული მანდატია, რათა ამ უკანასკნელ დღეებში შენი ცხოვრება აავსო ძალით!

წინ გელის მეფობა! შენ გამარჯვებისთვის და მეფობისთვის ხარ დადგენილი, არ დანებდე!

ეს რესურსი და სხვა სწავლებები ხელმისაწვდომია ჩამოსატვირთად:
www.CloudLibrary.org
www.MessengerInternational.org

ჯონ ბევირი

არის პოპულარული მწერალი და საკონფერენციო მომხსენებელი. მან და მისმა მეუღლემ ლიზა ბევირმა, ასევე პოპულარულმა მწერალმა, 1990 წელს ჯონ ბევირის მსახურება დააფუძნეს. ეს მოღვაწეობა მრავალმხრივ საერთაშორისო საევანგელიზაციო საქმიანობაში გადაიზარდა, რომელიც მოიცავს ყოველკვირეულ სატელევიზიო პროგრამას „მესენჯერს“, რომელიც 214 ქვეყანაში გადაიცემა. ჯონ ბევირი მრავალი წიგნის ავტორია, მათ შორის „გაუბედაობის დამსხვრევა“, „უფლის შიში“, „სატანის სატყუარა“ და „საფარქვეშ“.

სახელმძღვანელო გამოიყენეთ შეუპოვრთან ერთად: *ძალა, რომელიც არასოდეს არ უნდა დათმო.*

teach reach rescue
Messenger International®
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქრია
და არ იყიდება

ჯონ ბევირი
ფეისბუქსა და ტვიტერზე